



ახალი

№3 მაისი 2013 წელი
ფასი 2 ლარი

NEW

1970
2013

საუნჯე

ტექსტებისა და
აონსტრუქციების
ჟურნალი



ლიბიტრი ნიკლაური
საფრთხოებულას სეზონი

ნობლის ავტორები

რუსუდან ჯაიშაური & თაა თოფურიცა
ჯიბრან ხალილ ჯიბრანი

Maurice Joly დიპლომატი ჯოჯოხეთში
მაქიაველსა და მონტესკიეს შორის

პოეზია

- ზურაბ რთველიანი
- სოფიკო კვანტალიანი
- დინა ანდრიაძე
- ნუზარ ზაზანაშვილი
- დათო ყანაშვილი
- ირმა შიოლაშვილი
- ერეკლე დინსაძე

მანანა მათიაშვილი
გალაკტიონი –
არტიტული მთარგმნელი

დავით ანდრიაძე
ეთერ(ი) ჭკადუას
ტერორისტული
ნატურალიზმი

სირა ყურაშვილი
სოფო წულაია
კაატა შამუგია
ეკა ქვანიშვილი

ალექს სეტიშვილი
გიორგი ლოჭანიძე
ლელა კოძალაშვილი

READ

ნომრის ავტორები

რუსუდან კაიშაური

„პოეზია ჩემი სისხლის დაავადებაა და გარეგნულად დამემჩნა“

(ესაუბრა დიანა მიქაძე-რინკიმეკატეზიკუ)

მიძღვნები (ნაირა გელაშვილი, შოთა იათაშვილი, გიორგი ლობჯანიძე) 7, 10, 12

ნაირა გელაშვილი – საათზე ქალის დრო ტრიალებს (ფრაგმენტები წერილიდან) 14

რუსუდან კაიშაური – ლექსები 15-18

შოთა იათაშვილი – ორი რაკურსი 17

ლელა კოდალაშვილი – მაღალი ძაბვის სადენები რუსუდან კაიშაურის ლექსებში 18

თეა თოფურია

ეკა ქევანიშვილი – თ.თ.-ს ცნობიერების ნაკადი 19

პაატა შამუგია – თეა და თოფურია 22

თეა თოფურია – ლექსები 22-24

ალექო ცქიტიშვილი – თეა თოფურია და ნუთისოფლის სტუმრები 25

ეკა ქევანიშვილი – თეა თოფურიას ადვილი სიკვდილი 26

ჯიბრან ხალილ ჯიბრანი

გიორგი ლობჯანიძე – ჯიბრან ხალილ ჯიბრანი 27

ჯიბრან ხალილ ჯიბრანი – ქვიშა და ქაფი (ინგლისურიდან თარგმნა ირმა მახარაძემ) 31

ჯიბრან ხალილ ჯიბრანი – გუშინ, დღეს, ხვალ; სკალპელი და საანესთეზიო საშუალებები
(არაბულიდან თარგმნა დარეჯან გარდავაძემ) 34

ჯიბრან ხალილ ჯიბრანი – არაბული ენის მომავალი

(არაბულიდან თარგმნა ნინო სურმაგამ) 37

ჯიბრან ხალილ ჯიბრანი – მუსიკა (არაბულიდან თარგმნა ნინო დოლიძემ) 42

ჯიბრან ხალილ ჯიბრანი – შუალამიდან განთიადამდე

(არაბულიდან თარგმნა იზოლდა გრძელიძემ) 46

ცისფერი ცეცხლის ალი: ჯიბრან ხალილ ჯიბრანისა და მეი ზიადას მიმოწერიდან

(არაბულიდან თარგმნა გიორგი ლობჯანიძემ) 48

პროზა

ცირა ყურაშვილი – საცურაო აუზი; უჯრულა თავშალი 53; 55

დიმიტრი წიკლაური – საფრთხობელას სეზონი 57

სოფო წულაია – დიმიტრი წიკლაურის „საფრთხობელას სეზონი“ 66

კოზიი

ზურაბ რთველიიშვილი 71
დითო ყიზიიშვილი 72
სოფიკო კვინტალიანი 74
ირმე შიოლიიშვილი 75
ერეკლე დეისიიქე 76
დიიანი ანფიიიიდი 77
ნუგზარ ზიზიანიიშვილი 78

ბილიკტიონოლოგიი

მინიანი მითიიიშვილი – გილიკტიონი – არტისტიული
მითარგმნიელი 81

იხილი თიარგმნი

მორის ყოლი – დიილოგი ჯოჯოხეთში მიკიიიველსი დი მონ-
ტიესკიეს შორის
(ფრინგულიდინ თიარგმნი იმარ თურმინიიულიმე) 87

მხიტივრობი

დევით ანდრიიიქე – სურვილის სურვილი ანუ ეთერ(ი) ქკადუეს
ტიერორისტიული ნიტიურალიზმი 95

მითივარი რედიიკტიორი:
შოთი იითიიშვილი

გამომციემელი:
ვიიიი ნონკოლიიური

დიზიინი:
თიიი აკოზიი
დიიკიბადონები:
ნიიკი სვიდელიიქე

ნომერზე მუშოობდნიენ:
რუიუდინ კიიიიიური
დიიანი მიიქიიქე
ლეულ კოდიიიიიიიიიი
თიიი თოფურიი
ილიიკო ცვიტიიიიიიი
ეკი ქვიანიიიიიიი
კიიიიიიიიიიი
გიორგი ლოჯიანიიქე
ირმე მისიიიიიი
დიიიიიიიიი ბარდიიიიიი
ნიიიიი სურიიიი
ნიიიი დოლიიიი
იიიიიიი ბრედიიიიი
ციიიიი ყურიიიიიი
დიიიიიიიიი ნიიიიიიი
სოფო ნულიიი
ზურიიი რთვილიიიიი
დითო ყიზიიიიი
სოფიკო კვინტალიანი
ირმე შიოლიიიიი
დიიანი ანფიიიიი
ერეკლე დეისიიი
ნუგზარ ზიზიანიიი
მინიანი მითიიიიი
იიიი თურმინიიი
დევით ანდრიიიი

გამომციემოლი – „სიუნჯე“

მის.: ალ. ყიზიიიი 32/34

ტილ.: 2141214, 2395587, 2397188

Skype: saunje-saunje

ილ-ფოსტი: saungeo@gmail.com

Facebook: გიამომციემოლი სიუნჯე/

Saunje publishing [http://www.](http://www.facebook.com/saunjee)

facebook.com/saunjee


ყურნილში იბეტიდები მხოლოდ
შეკვეთილი მისიიიი

ილ-ფოსტი: axalisajunje@yahoo.com

ტირიიიი – 2000 ეგზებლარი



ნომრის ავტომატი •



რუსუდან კაიშაური



„პოეზია ჩემი სისხლის დაავადებაა და ბარებულად დამემჩნა“

პოეტმა რუსუდან კაიშაურმა ლექსების ახალი კრებული გამოსცა. ანოტაციაში ვკითხულობთ: „ლექსების კრებული „სახედრიდან მერნამდე“ რუსუდან კაიშაურის მესამე წიგნია.

სამივე წიგნის გამოცემა დააფინანსეს „კავკასიური სახლის“ დიდმა მეგობარმა, გერმანელმა მეცენატმა იორგ ჰენლემ და ევროპულმა ფონდმა „ჰორიზონტმა“.

კრებულში შესულია ახალი, 2012 წელს დანერგილი ლექსები და მათ დაემატა – რამდენიმე წინა წლებიდან. შეიძლება ითქვას, რომ ეს წიგნი აგრძელებს რუსუდან კაიშაურის პოეტურ და ყოფით ბიოგრაფიებს. ამ მცირე ზომის ლექსებში, იგი ეცადა, ლაკონურად გამოეხატა თავისი ვრცელი ისტორიები და განცდები, რომლებიც, მართალია, კერძოა, მაგრამ სხვასაც შეიძლება ენიშნოს და მის სათქმელს გამოხატავდეს. თუმცა ეს უკვე წარმატებაა და რამდენად მოახერხა ავტორმა აღნიშნული თავის ლექსებში, ამაზე მკითხველმა იფიქროს“.

- რუსუდან, მომიყევი შენს თავზე, ბავშვობაზე, ვინ ხარ, საიდან მოდიხარ?

- ჯერ კიდევ იმის ძიებაში ვარ, თუ ვინ ვარ. იმ წუთიდან, რაც ჩემი თავი შევიცანი, აღმოვაჩინე, რომ ძალიან ადრინდელი ამბები მახსოვს. მაგალითად, მახსოვს ამბები, ექვსი თვის რომ ვიყავი. დედაჩემს და ოჯახის წევრებს რომ ვუთხარი, გაუკვირდათ... რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი გამოვიცვალეთ და ისიც მახსოვს, სად რა ხდებოდა. თავდაპირველად კომუნალურ ბინაში ვცხოვრობდით და ეს იყო კომშარი. სულ ვფიქრობ, რომ ოდესმე მოვიცალო და დავწერო, როგორი სხვადასხვანაირი ადამიანები იყვნენ, როგორ არ გამოდიოდა ამგვარი თანაცხოვრება. ეტყობა, მაშინ ადამიანებს სხვანაირი მენტალიტეტიც ჰქონდათ. ახლა უფრო სხვაგვარი მდგომარეობაა, ადამიანები განვითარდნენ. მაშინ შედარებით სტაბილური დრო იყო და წესით წერვები არ უნდა ჰქონოდათ მოშლილი, მაგრამ რაღაც მტაცებლური ბუნება ჰქონდათ, სულ იმას ცდილობდნენ, რომ ვინმე გაეძევებინათ, მეორე ადამიანის ადგილი დაეკავებინათ და საამისოდ ყველანაირ საშუალებას იყენებდნენ, ძალიან უღირსსაც კი. მახ-

სოვს, ჩვენს გვერდით ცხოვრობდა უკრაინელი ქალი, რომელსაც პატრონი არავინ ჰყავდა, ჩამოსული იყო, აბრეშუმის ფაბრიკაში მუშაობდა. ამ ქალის გაძევება და მისი ბინის დასაკუთრება უნდოდათ ერთ ქართველსა და ერთ რუს ქალს და ამ საქმეში შეკავშირებულები იყვნენ. მაგალითად, სადილში უგდებდნენ სარეცხის საპონს. ეს ქალი რომ ამაზე გიჟდებოდა, ამბობდნენ, იტყუება და თვითონ აგდებოდა და მსგავს რაღაცებს აბრალებდნენ. იძახებდნენ სასწრაფოს, მოჰყავდათ ფსიქიატრიულის ექიმები... მილიციაც არაერთხელ გამოუძახიათ... თან რაღაცნაირი დაუსჯელობის სინდრომი იყო, სამართლიანობა არ იყო. რომ ამბობენ, რა კარგი დრო იყო, ჩემთვის ის დრო იყო საშინელება. როცა ფორმანის ფილმი ვნახე „ვილაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“, არ გამკვირვებია, იქ რაც ხდებოდა...

ბებიჩემი ერთადერთი აღმოჩნდებოდა ხოლმე დაჩაგრულის მხარეს, გადაეფარებოდა იმ ქალს და არ აძლევდა უფლებას, რომ ფსიქიატრიულში წაეყვანათ. მაშინ ჯერ კიდევ არ დავდიოდი სკოლაში. იმ სახლში ბებიასთან ერთად ვცხოვრობდი, მან გამზარდა. ჩემი მშობლები და ძმები ცალკე ცხოვრობდნენ. ბებიას დედაჩემის გარდა არავინ ჰყავდა. ჩემს დაბადებამდე ორი წლით ადრე ბიჭი გარდაეცვალა ავარიაში და სიკვდილის პირას იყო მისული მწუხარებისგან. მერე ჩემს მშობლებს სთხოვა: ეს ბავშვი მომეცით, ჩემთან იყოსო. მე გადავატანინე მწუხარება, ჩემი საზრუნავით იყო დატვირთული და დაკავებული. მე და ბებია საბურთალოზე ვცხოვრობდით, იოსებიძეზე და ჩემი მშობლები და ძმები – დიღმის

2012



მასივში. მე სხვა სკოლაში დავდიოდი, ძმები – სხვა სკოლაში. ძალიან მძიმე ბავშვობა მქონდა, მუდმივად მენატრებოდა მშობლები და ძმები, მაგრამ ვერ ვამბობდი, რადგან ბებიაც ძალიან მიყვარდა და თითქმის მთელ ღამეებს ტირილში ვატარებდი. ჩემი ბავშვობა ძალიან გაშავებული იყო და მძაფრი შთაბეჭდილებები დამრჩა.

- სკოლის წლები გაიხსენე...

- ვსწავლობდი ე.წ. ელიტარულ სკოლაში, 62-ეში და კლასშიც საშინელებები ხდებოდა. ერთი ჩვენი თანაკლასელი ბიჭი „იჯდა ქურდად“ და დანარჩენი ბიჭები ჰყავდა და-მორჩილებული, რაც მოესურვებოდა, იმას აკეთებინებდა. მთელი ბავშვები მძიმე დღეში ვიყავით, ვერც მასწავლებელი აკონტროლებდა სიტუაციას და ვერც დირექტორი. ყველა ფაშილარულ ურთიერთობაში იყო მასთან. ყველა საუკეთესო გოგო მისი შეყვარებული იყო. კლანებად იყვნენ დაყოფილნი, ზოგს „სვეტობა“ უნდოდა, ზოგს – რა და ზოგს კიდევ – რა. მე არ მერჩოდნენ, რადგან არ მქონდა არანაირი პრეტენზია. არც მე ვერჩოდი მათ, ცუდს არაფერს ვუკეთებდი, ჩემთვის ვიყავი. ეს 70-იან წლებში ხდებოდა. სულ სხვა მენტალიტეტი იყო. ჩვენს სადარბაზოში იკრიბებოდნენ ე.წ. მორფინისტები. ბებიაჩემს ეცოდებოდა ისინი და ჩვენ გვატანდა ზოგისთვის წყალს, ზოგისთვის – წამალს, რაღაც აგრესია არ გვექონდა მათ მიმართ. სკოლის სიტუაციასთანაც არ მქონდა აგრესია, არც „ის ბიჭი“ მძულდა. რომ გავიზარდე, მერე – კი. ჩემი ერთ-ერთი ბიჭი ძალიან მშვიდობისმოყვარე ბავშვი იყო, ახლა უკვე 22 წლისაა და არასდროს არავისზე ცუდს არ გათქმევინებს. დედაჩემიც ჩვენთან ცხოვრობს და ხანდახან რომ გავუბრაზდები, ან ხმაშალდა ვეტყვი რაღაცას, ბრაზობს. შეუძლია, ბებიას გახადოს, ჩააცვას, ლოგინი გაუშალოს, დაანვინოს, მიუჯდეს, აჭამოს, სულ თვალეში შესცივინებს. პატარაობაშიც ასეთი იყო. არასდროს ჩხუბობდა და არავის ერჩოდა. ამის გამო პრობლემები ჰქონდა. ჩავიდოდა ეზოში, სადაც იყო ერთი ბიჭი, რომელიც თვლიდა, რომ „ეზოს აკონტროლებდა“, რამდენიმე წლით იყო უფროსი დიტოზე და მას ერჩოდა მაინცადამაინც. დაშინებული ჰყავდა, ურტყამდა, ლანძღავდა. ეს ამბავი სხვებისგან გავიგე და იმ ბიჭს დაველაპარაკე. ვუთხარი: რამეს გიშავებს ეს ბავშვი, რატომ გაღიზიანებს-მეთქი და პასუხად მომიგო: ეგ რა ბიჭია, ჩვენ რომ ვჩხუბობთ, ან ვცემთ ვინმეს, ან ვაგინებთ, ეგ არასდროს ამაში მონაწილეობას არ იღებსო. მერე შენ რა გინდა, რა შენი საქმეა-მეთქი და

როგორ თუ რა მინდა, ამ ეზოში მე ვარ მთავარი, ეგ ბიჭივით არ იქცევა და მე მინდა, ბიჭად გავზარდო.

უტიფრობისა და ძალადობის სცენები კლასშიც იმართებოდა. ერთხელ, გერმანულის გაკვეთილზე ვისხედით, ჩვენს უკან ისხდნენ ბიჭები „იმის“ თამადაობით და დაუფარავად ვენაში იკეთებდნენ მორფს. მასწავლებელი ვითომ ვერც ხედავდა. მხოლოდ ერთმა გოგონამ გაბედა, მიიხედა და უთხრა: რა არის ბოლოს და ბოლოს, ყელში ამომვიდა თქვენი ასეთი საქციელი და „იმ ბიჭმა“ გამოუქანა შპრიცი და ამ გოგონას შეერჭო... მერე კი აღვფოთოდით, მაგრამ მასწავლებელმა ხმაც კი ვერ ამოილო და საერთოდ, ვერანაირი პროტესტი ვერ გამოთქვა.

- შემდეგ, შემდეგ როგორ განვითარდა შენი ცხოვრება?

- ყველაფერი ტყუილზე იყო აგებული. ყოველთვის ნორმალურ სამსახურში ვმუშაობდი, კარგი ხელფასიც მქონდა, მაგრამ ყველაფერი იყო ფარსი. ტყუილები უნდა მენერა, რაც ძალიან მოქმედებდა ჩემზე და ამის გამო, ძალიან დათრგუნული ვიყავი. სულ ვფიქრობდი, რომ სხვანაირი ვიყავი და ეს მანუ-ხებდა. ძალიან მინდოდა, ჩვეულებრივი გავმხდარიყავი, ძალიან ვცდილობდი, მაგრამ ეს მცდელობაც სასაცილო გამომდიოდა. აი, სტუდენტობისას, როცა ნაირა გელაშვილი იყო ჩემი ლექტორი და ავლებდა ხოლმე ცხოვრებისეულ პარალელებს იმ ნაწარმოებებთან, რომლებსაც გვიხსნიდა (საზღვარგარეთის ლიტერატურას გვიკითხავდა), მაშინ გავიფიქრე, თურმე არც მთლად არასწორად ვფიქრობ, თურმე სხვებიც ასე ფიქრობენ-მეთქი. რამდენჯერმე თავის მოკვლაზეც მიფიქრია, ისე განვიცდიდი ჩემს მდგომარეობას. ერთხელ საბავშვო ბაღში ჭიშკართან მივედი, მეტი არაფერი დამიშავებია. მოვიდა მასწავლებელი და თმა მომქანა. დღემდე მახსოვს, განა ისე რა მეტკინა, მაგრამ თავი ძალიან შეურაცხყოფილად და დამცირებულად ვიგრძენი. 4-5 წლის ვიქნებოდი და ის წყენა არასდროს დამიწყებია. ერთ-ერთ სამსახურში კომკავშირის მდივანიც ვიყავი, კარგ თანამშრომლად ვითვლებოდი, ბეჯითი შემსრულებელი ვიყავი და ამირჩიეს. უკვე ის პერიოდი იყო, ყველაფერი რომ იშლებოდა და, ფაქტიურად, ფორმალური კომკავშირის მდივანი ვიყავი, არაფერს ვაკეთებდი, ანგარიშებში მხოლოდ ტყუილებს ვნერდი, რაც ძალიან მანუ-ხებდა. ამ ამბებს ჩემს გულითად მეგობრებს რომ ვუყვებოდი, უკვირდათ: რა განუხებს, კარგი ხელფასი გაქვსო. ვერ იგებდნენ, რატომ ვიტანჯებოდი და, მგონი, ამიტომაც დავიწყე ლექსების წერა – მინდოდა თავშესაფარი მომეძებნა, სადაც თავს კარგად ვიგრძნობდი. ვერსად ვერ ვგრძნობდი თავს კარგად. ოჯახშიც ასე ვიყავი, გაყოფილი. ჩემს ერთ ნახევარს მშობლებთან და ძმებთან ყოფნა უნდოდა, მეორე ნახევარს – ბებიასთან, რადგან მეცოდებოდა და მისი დატოვებაც არ მინდოდა. დედა შაბათ-კვირას წამიყვანდა სახლში და იქ ბებიასზე ვდარდობდი, ბებია რომ წამომიყვანდა – ჩემს ოჯახზე. ბებია ავად იყო, ლამლამობით ვდგებოდი და მკერდზე ყურს ვადებდი, ვამონმებდი, ცოცხალი იყო თუ არა. ერთი მხრივ, სწორად არ მოიქცა დედაჩემი, რადგან დიდი ტვირთი ამკიდა: მე უკვე პასუხისმგებლობა მქონდა ბებიას წინაშე, თან მიყვარდა, ნაძალადევად კი არ ვაკეთებდი ამას. გვარიც შემიცვალეს, მე მამის გვარს არ ვატარებ. ბებიამ თქვა, რადგან ბიჭი აღარ მყავს, კაიშაურების გვარი გაგრძელებათ. მამასთან მოილაპარაკეს და ისიც დათანხმდა. ესეც გარკვეულ უხერხულობას მიქმნიდა. ერთი პერიოდი, ჩემი მშობლები და

ნაირა გელაშვილი

ღმერთის მღვთო მარაგობა ქალის თვალით

რუსუდან კაიშაურს

ახლა მას უკვე
ექვს მილიარდზე მეტი შვილი ჰყავს
და ამდენივე ძიძა – მფარველი ანგელოზი,
და მაინც,
ალბათ როგორ უჭირს ამდენის მოვლა!
ყველაზე უკეთ მრავალშვილიანი დედები უგებენ...

ძმებიც ბებიასთან ვცხოვრობდით და ერთ სკოლაში დავდიოდით. სკოლაში ყოველთვის მიწევდა ახსნა, რატომ იყვნენ ჩემი ძმები სხვა გვარისანი, მე კიდევ – სხვა. ისიც კი უთქვამთ, დედაშენს სხვა ქმარი ჰყავდაო... ერთხელ მივლინებით ვიყავი შუა აზიაში კონფერენციაზე და ჩემი ძმაც წავიყვანე, კოტეჯში უნდა გვეცხოვრა. ადმინისტრაციაში ვუთხარი, ჩემი ძმაც და ერთ კოტეჯში ვიცხოვრებთ-მეთქი. პასპორტები რომ ნახეს, გაგიუდნენ, გამლანძღეს, რა არ მიწოდეს. მე გულუბრყვილოდ ვეუბნებოდი: შემოგვხედეთ, როგორ ვგავართ ერთმანეთს, მაშინ სახელიც ერთი გვაქვს-მეთქი, მაგრამ ვერ დავარწმუნე. მაინც ცალ-ცალკე მოგვინია ცხოვრება, ახლა სასაცილოდ მახსენდება.

– **შენი შემოქმედება შენი თავშესაფარია, როგორც აღნიშნე...**

– ეს ის ადგილია, სადაც თავს უხერხულად არ ვგრძნობ და შემოძლია, ჩემი აზრები თამამად გამოვთქვა. პატარაობიდანვე დავიწყე წერა. წერა-კითხვა მალე ვისწავლე. პირველი ლექსი პირველ კლასში დავწერე პატრიოტულ თემაზე. სკოლა რომ დავამთავრეთ, მონინავე მოსწავლეებთან შეხვედრა გაიმართა. ყველას რაღაც უნდა გვეთქვა. მე ჩემი ლექსი წავიკითხე და ჯილდოც დავიმსახურე, ძალიან ლამაზი დათუნია მაჩუქეს, შემაქეს კიდევ. სხვებსაც მოსწონდათ, მაგრამ მაინცაღამაინც არ ვაცხადებდი, ლექსებს რომ ვწერდი. უნივერსიტეტში დიდხანს ლექტორებმაც არ იცოდნენ, რომ ვიბეჭდებოდი, გვიან გაიგეს. სულ სადაც ქვეყნდებოდა ჩემი ლექსები: „ცისკარში“, „მნათობში“, „ლიტერატურულ საქართველოში“, „სხივიში“, მაგრამ ნიგნის გამოცემას ვერ ვახერხებდი. მერე თვითონ დამიკავშირდნენ „მერანიდან“ და შემომთავაზეს კრებულის გამოცემა. რომ მივითანე, მეორე დღეს მოხდა, თუ არ ვცდები, 9 აპრილის ტრაგედია, დაინგრა ყველაფერი და ვიღას ახსოვდა ის ნიგნი. მაშინ უკვე გათხოვილი ვიყავი, პირველ ბავშვს ველოდებოდი, მთელი დღეები ტელევიზორს ვიყავი მიჩერებული და ძალიან განვიცდიდი ამ ყველაფერს. პირველი ბავშვი 89 წლის 24 მაისს შემეძინა. მესამე გოგო – „თბილისის ომი“ რომ დაიწყო, იმ დღეს... ჩემი ერთ-ერთი ძმაც „აფხაზეთის ომი“ იბრძოდა, რადგან საბჭოთა კავშირის დროს ავღანეთში მსახურობდა. ჩემი მეუღლეც ხომ 9 აპრილის ამბებს გადაჰყავს... მაშინ მოინამლა, სისხლში რაღაც ცვლილებები დაეწყო და რამდენიმე წლის შემდეგ გარ-

დაიცვალა. ასე რომ, რაც ჩვენს ქვეყანაში მოხდა, ყველაფერმა ჩვენზე გადაიარა. ერთ-ერთი მშობიარობისას, პალატაში ტყვია შემოვარდა, უბრალოდ, დახრილები ვიყავით ქალები და აგვცდა ტყვია, თორემ თავში მოგვხვდებოდა. არც გაზი იყო, არც შუქი და მამაჩემი კიბის უჯრედზე ამოიტანდა ხოლმე შეშას, ცეცხლს დაანთებდა და წყალს ისე ვადულებდით. ბავშვს რომ ვუცვლიდით, მე და ჩემი მეუღლე საბნებს გადავიფარებდით ხოლმე, რომ სითბო შეგვენარჩუნებინა და ბავშვი არ გაგვციებოდა. ხუთი შვილის ყოლა ჩემი მეუღლის სურვილი იყო. თვითონაც ხუთი დედამამშვილი იყვნენ. მე სამი შვილი ნამდვილად მიწოდდა, მაგრამ დანარჩენი ორი მისი ხათრით გავაჩინე. საერთოდაც მივხვდი, რომ მამაკაცზე დამოკიდებული, რამდენი შვილი ეყოლება ოჯახს... ჩემი მეუღლე ყოველთვის მხარში მედგა, ის იყო ჩემი უპირობო დამხმარე. ერთადერთი, წინსაფარი არ ეკეთა, თორემ ყველაფერს აკეთებდა, რასაც მე. საღამო რომ დგებოდა, ვიდრე ბავშვებს დავაძინებდით, ნაწილს ის დაბანდა, ნაწილს – მე, ვაჭმევდით და მერე დაჯდებოდა და თუ დასაკერებელი იყო ბავშვის ტანსაცმელი, იმასაც დააკერებდა. ევროპული აზროვნების ადამიანი იყო, ძალიან გულთბილი და კეთილშობილი.

– **როგორ შეხვდით ერთმანეთს?**

– იმ დროს ისეთი კანონი იყო, რომ სკოლას როგორც კი დაამთავრებდი, მუშაობა უნდა დაგეწყო. „ქალღმერთი დანერვილი სამსახურები“ არსებობდა. ჩემი მომავალი მეუღლე საქვების უფროსი იყო (საქვებზე ცენტრალურ გათბობას აწესრიგებდა), სადაც ჩემი ნათესავი იყო გაფორმებული, 10, 20 თუ 25 მანეთს უხდიდნენ და ისიც უწყისზე აწერდა ხელს. ის გოგო რომ წამოვიდა, მე მიმიყვანა. იქ მნახა პირველად, 17 წლის ვიყავი და რა ვიცი, მოფუვედი თვალში. იმ დროს ჯერ არ იყო საქვების უფროსი, ჩვეულებრივი, რიგითი თანამშრომელი იყო. მერე დაანინაურეს, რადგან ჭკვიანი და განათლებული ადამიანი იყო. ენერგეტიკოსი იყო, მაგრამ ძალიან კარგად იცოდა ლიტერატურა და პირველ რიგში ამით მომხიბლა. მალევე შემომთავაზა ცოლობა, მაგრამ უარი ვუთხარი, რადგან ჯერ სწავლა მიწოდდა, ოჯახის შექმნა არ მაინტერესებდა. მითხრა, ვეცდები, თავი შეგავყარო. ხან სად დამხვდებოდა, ხან – სად. ძალიან რომანტიული იყო. ერთხელ, მეზობელი ამოვიდა და გვითხრა: თქვენს საფოსტო ყუთზე შავი ვარდებია ისე მიბმული, ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერ გავხსენიო. მივხვდი, ვისგანაც იყო. მამაჩემი გაგიჟდა, დედაჩემსაც გაუკვირდა.

ჩავიდა მერე მამაჩემი, ბრტყელტუჩა ჩაიტანა და იმით მოჭრა. რამდენი წლისაც ვიყავი, იმდენი შავი ვარდი იყო გრძელღეროიანი და მერეც, ბოლომდე, სანამ გარდაიცვლებოდა, ყოველთვის მოჰქონდა დაბადების დღეზე და კიდევ, მორიგი ბავშვი რომ შეგვეძინებოდა, მანქანაში ენყო ხოლმე. ერთხელ საყვედურიც ვუთხარი: რა მევარდება, რა დროს ვარდება, ასეთ დღეში ვარ, ამდენი საქმე მაქვს-მეთქი და მითხრა: მერე მოგენატრება, როცა აღარ იქნება ეს ვარდებიო. მერე სულ მახსენდებოდა ეს სიტყვები. რომ გარდაიცვალა, იმ წელს ჩემმა მამულმა მომართვა და ჩავთვალე, რომ მან გამომიგზავნა...

- ალბათ, ძალიან რთულია ხუთი შვილით მარტო დარჩენა...

- რა გითხრა, დავრჩი ხუთი შვილით და მერე დავინყე ცხოვრების შესწავლა. მანამდეც მაინტერესებდა, მაგრამ რალაცნაირად ვერ ვხსნიდი ცხოვრების გამოცანებს. ერთხელ, ერთმა ნაცნობმა, რომელიც ჩვენთან პრაქტიკაზე იყო სკოლაში, დედაჩემს უთხრა: ეს ბავშვი როგორ მეცოდება, სულ თავისთვის არის, არაფერში ერევაო. ძალიან მინდოდა, რომ სხვებთან ერთად ვყოფილიყავი, ცუდად არ ვგრძნობდი მათთან თავს, მაგრამ სულ ის შეგრძნება მქონდა, რომ ვერ ვიყავი მათნაირი და ეს მანუხებდა, ვერ ვყვებოდი მათ ლაპარაკში, სიცილში, თუ აყვებოდი, ხელოვნურად გამომდიოდა, რადგან არ მაინტერესებდა ის საკითხები და ვერ ვამბობდი ამას. ძალიან მიყვარდა მოხუცებთან ყოფნა და ჩემზე უმცროსებთანაც... მარტო რომ დავრჩი, სულ ვფიქრობდი, როგორ მომეხერხებინა ცხოვრების გაიოლება, შვილების ნორმალურად აღზრდა, რომ არ დათრგუნულიყვნენ, არ ჰქონოდათ სულიერი შეჭირვება და, რა თქმა უნდა, მატერიალურიც. ერთხელ, რალაც პროგრამით მოვხვდით ბაკურიანში, ჩემი ადგილი იქ არ იყო, მაგრამ მაინც წავყევი, რადგან არ შემეძლო, რომ ისინი ჩემ გარეშე ყოფილიყვნენ. ძალიან ცუდ პირობებში ვიყავი, ბავშვის სანოლში ვინეკი მოკუნტული ორი კვირა. ნაღებული მქონდა „სახარება“ და დავინყე კითხვა. ადრეც მქონდა წაკითხული, ფილოლოგი ვარ და უნივერსიტეტში გვევალებოდა, მაგრამ მაშინ ისე დამემართა, თითქოს რალაც ჩამომგლიჯეს თვალებიდან და ვიფიქრე, თურმე, რა ადვილი ყოფილა ცხოვრება და მე რას ვფიქრობდი, ან რას დავეძებდი, ყველაფერი აქ წერია, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი-მეთქი. მივხვდი, რომ არ შეიძლება, იყო გაბრაზებული სხვაზე, შენი თავიდან უნდა გამოხვიდე – ყველაფერი, რაც

დაგმართნია და გემართება, შენგან გამომდინარეობს და მცირე წილი აქვს გარემოს. არ უნდა იფიქრო ხვალინდელ დღეზე. ყველაფერი ეს თავისთავად მოვა... ამის გაცნობიერებამ ძალიან გამიადვილა ცხოვრება. ღმერთს მივენდე, რალაცნაირი ურთიერთობა დავამყარე ღმერთთან. სამუშაოდ რომ გავედი, ვიდრე კარს გადავუკეტავდი, მანამდე ჩავაბარებდი ღმერთს ჩემს შვილებს და მერე პასუხსაც ვთხოვდი: აი, ჩავაბარე და აბა შენ იცი, მიხედ, არაფერი დაუზიანდეთ-მეთქი და ეს კარგად ამართლებდა. რაც მითხოვია ღმერთისთვის, ყოველთვის შეუსრულებია და ასე გამოიოლდა ცხოვრება.

- ბევრ ადგილას მიმუშავიაო, აღნიშნე. რომელიმე მათგანს ხომ არ გამოყოფდი?

- სკოლაში დავინყე მუშაობა, ქართულის მასწავლებელი არ ჰყავდათ და მიმიღეს. ეს ცალკე პერიოდი ჩემს ცხოვრებაში. დიდი სიხარულიც მივიღე და მწუხარებაც, რადგან იძულებული გავხდი, წამოვსულიყავი. ძალიან ბედნიერად ვგრძნობდი თავს სკოლაში ყოფნით და მივხვდი, რომ ჩემი ადგილი იყო იქ, ბავშვებთან. ბევრ რამეს მე თვითონ ვიგონებდი, ვცდილობდი, ბავშვებისთვის სკოლა შემეყვარებინა, სახლის გარეშე შემექმნა მათთვის. საკმაოდ პრესტიჟული სკოლა იყო, 116-ე ნერეთლის გამზორზე. ცოტა პრეტენზიული მშობლები იყვნენ, ბავშვი, ზოგადად, ყველა კარგია. მაგრამ რალაც კლანებად იყვნენ დაყოფილები და მოვახერხე, რომ დავამეგობრე ერთმანეთთან. იმდენად მიყვარდა ჩემი მოსწავლეები, რომ ყველა ბავშვს უკან დავყვებოდი, ყველას პრობლემა ვიცოდი და შეყვარებული ვიყავი ამ ბავშვებზე, მეტსაც ვიტყვი, ვეკეკლუცებოდი მათ. აი, შეყვარებული რომ გყავს და გინდა, თავი მოაწონო, ასიამოვნო, ზუსტად ასეთი შეგრძნება მქონდა. მათაც ზუსტად ასეთი განწყობა ჰქონდათ ჩემ მიმართ. ცოტა „ავარდნილი კლასი“ იყო, მეექვსე კლასი, ასაკიც ხელს უწყობდათ. პირველად რომ შევედი, ყველა მათგანი დემონსტრირებულად კევს ლეჭავდა და უტიფრად თვალეში მიყურებდა. მე ყოველთვის მიყვარდა კევი და სულ მელო ჩანთაში.



ამოვიღე, დავინყე ლეჭვა და ვთქვი: რა კარგია, რომ ამ საკითხში ერთი აზრი გვაქვს, მეც მიყვარს კევი-მეთქი. იმის შემდეგ არც მახსოვს, ოდესმე გაკვეთილზე კევი დაეღეჭოთ. თავდაცვის ყველაზე კარგი საშუალება მქონდა ის, რომ მათ ვექცეოდი ისე, როგორც მე მინდოდა მომქცეოდა თუნდაც მასწავლებელი და თუნდაც სხვა ადამიანი. დამყავდა, თუკი სადმე კარგი გამოფენა ან ღონისძიება იყო ქალაქში. კიდევ ერთი რალაც მოვიფიქრე. კლასში გვყავდა ძალიან გაჭირვებულებიც და ძალიან მდიდრებიც და ამ უკანასკნელებს ვეუბნებოდი, მოდი, იმ ბავშვის მაგივრად ჩვენ დავდოთ ფული და პირველი მე ვდებდი ხოლმე, ისე რომ, ის ბავშვი და მისი მშობელი ვერც იკებდნენ. მერე იმ ბავშვებს მადლობას გადავუხდდი ხოლმე და ამან ისე იმოქმედა, ისე დამეგობრდნენ, რომ მშობლებიც მიხვდნენ: მე მათი მტერი და მოწინააღმდეგე კი არ ვიყავი, არამედ მათ მხარეს ვიდექი... ძალიან ადვილი გახდა ურთიერთობა. ასე გრძელდებოდა საკმაო ხანს, მაგრამ, ერთხელაც, ჩემმა შვილებმა მითხრეს: დედა, ან ეგენი აირჩიე, ან ჩვენო. ჩვენ შენს მეტი არავინ გვყავს და ასე ვერ გაგრძელდებაო, რადგან მართლა „გადავარდნილი ვიყავი“ და სიმართლე რომ ვთქვა, ზოგჯერ ვეჭვიანობდი ჩემს შვილებზე, რალაცას რომ მთხოვდნენ და ჩემი მოსწავლეებისთვის დრო რომ უნდა წამერთმია, ამაზე ბრაზიც კი მომდიოდა. ეტყობა, ბავშვებმაც შეამჩნიეს ეს. იძულებული გავხდი, წამოვსულიყავი. განცხადება დედაჩემს გავატანე, იმის შემდეგ აღარც მივსულვარ იმ სკოლაში, საბუთების გამოსატანადაც კი ვერ მივედი, იმდენად მძიმე იყო ჩემთვის და დიდხანს, ძალიან დიდხანს მესიზმრებოდნენ ჩემი მოსწავლეები. ქუჩაში რომ მივდიოდი, უცებ მომელანდებოდა, რომ, აი, ის ჩემი მოსწავლეა... მათაც დიდხანს ჰქონიათ სტრესი და მეც დიდხანს მქონდა, ბევრჯერ მიტირია ღამით, ისე განვიცდიდი. „კავკასიურში“ რომ მოვედი და მასწავლებლობა დავინყე, ცოტა ამით „გადავხარშე“ ის მწუხარება, რომელშიც ვიმყოფებოდი.

- „კავკასიურ სახლში“ როგორ მოხვდი?

- ჩემი მეგობარი ნანა დევიძე მუშაობდა აქ და მან შემთხვევით წამომიყვანა. იმდენად ვიყავი დაჩლუნგებული სახლში ყოფნით, რომ ვერ დავდიოდი, მუხლები მქონდა ჩაკეტილი... ასე დავინყე სიარული „კავკასიურში“, ნაირა გელაშვილთან მოვდიოდი ხოლმე... პირველი დავალეხე ნანამ მომცა - რალაც ლექსი უნდა მეთარგმნა, შემდეგ თარგმანის საღამო იყო და რომ ნავიკითხე ჩემი თარგმანი, ნაირას მოენონა, ყურადღება მიაქცია ჩემს ლექსს. ნანაც შემთხვევით გავიცანი, შადიმან შამანაძემ, ჩემმა შორეულმა ნათესავმა, გამაცნო. შადიმანს მოსწონდა ჩემი ლექსები, მივდიოდი და ვუკითხავდი ხოლმე და რჩევებს მაძლევდა. 2001 წლიდან „საკვირაო სკოლაში“ დავინყე ქართულის მასწავლებლად მუშაობა. რომ მოვედი, არც პროგრამა იყო, არც არაფერი და მე თვითონ მოვიფიქრე რალაცები. აქ ჩვეულებრივი გაკვეთილები არ იყო საჭირო. უნდა ყოფილიყო ისეთი, ამ ბავშვებს ყოფას რომ არ დაუმძიმებდა, ისედაც დევნილი და სოციალურად დაუცველი ბავშვები მოდიოდნენ სკოლაში და მეორეც, შაბათ-კვირას ბავშვი უნდა ყოფილიყო განტვირთული და არ აინტერესებდა შენი გრამატიკა და ეგეთები. ექსპერიმენტებს ვატარებდი იმ ბავშვებზე და ჩემს თავზეც და რალაცები კარგად გამომდიოდა... ყველა გაკვეთილი სპექტაკლი უნდა იყოს. ბავშვს არ უნდა მიეცეს საშუალება, რომ „ამოისუნთქოს“, ისეთი

ინტერესით უნდა უყურებდეს ამ სპექტაკლს, რომ სხვა რამეზე ველარ იფიქროს და ამისთვის საჭიროა მრავალფეროვნება. ხან უნდა წეროს, ხან უნდა იკითხოს, ხან უნდა რალაც თქვას, ხან დისკუსიაში მიიღოს მონაწილეობა, მთელი გაკვეთილი უნდა მიმდინარეობდეს ცვლილებებში და მაშინ არის ის დაინტერესებული. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ უნდა გრძნობდეს, რომ გიყვარს და სამართლიანი ხარ, ყველაფრის მიუხედავად, ვინ არის, საიდან არის, როგორია. რამდენი შეგონებაც გინდა უკითხე, თუ ოდნავ მაინც შეგამჩნია, რომ არასამართლიანი ხარ და არ გიყვარს, არაფერი გამოდის. მასწავლებელი ყოველდღე უნდა სწავლობდეს წიგნებიდანაც და ბავშვებისგანაც... თან, უნდა შეეძლოს, ყოველ წუთას აღიაროს შეცდომები და ბავშვები გაპატიობენ, თუკი მიზეზსაც აუხსნი. მე ჩემს შვილებთანაც ასე ვიყავი - სანამ კარგად არ აუხსნიდი, რატომ ვსჯი, არასდროს ვსჯიდი. ცემით არც მიცემია, მაგრამ დასჯა რომ იყო, ან პატარა შემორტყმა ქვედა ნაწილზე, დანვრილებით ვუხსნიდი, რატომ ვსჯიდი და როცა ასეთ ნდობას უცხადებ, მერე მოდის ის შენკენ. საერთოდ, შვილები როცა გყავს, რაც შენ ნაკლი გქონია, რაც დაგიშავებია, აბსოლუტურად ყველაფერი მოგეკითხება, მათშია ჩადებული შენი დანაშაული, ნაკლი, ცუდი საქციელი, შენ წინ დგას და ვერანაირად გაექცევი. ჩვენი სამყარო ასეთია - ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ჩემს მეუღლესთანაც დღემდე ურთიერთობა მაქვს. როცა რალაც პრობლემა მიჩნდება, ჩვეულებრივ, ველაპარაკები ხოლმე, პასუხსაც ვთხოვ და ასე მგონია, რომ ისიც მეხმარება. მე ვერ ვხედავ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ის მხედავს, ახლოს ვართ, სხვადასხვა განზომილებაში, მაგრამ ახლოს.

- ახლა „საკვირაო სკოლის“ ხელმძღვანელი ხარ...

- ამას ვერც ვგრძნობ. ვფიქრობ, რომ კარგი კოლექტივი ვართ, თანამოაზრეები და ერთად ვაკეთებთ ყველაფერს, ვინაილებთ საქმეებს. სკოლაში ისწავლება: საუბრები კავკასიაზე, გეოგრაფია, ეკოლოგია და გარემოს დაცვა, სამყარო და მე, ქართული, ასევე კინოგადაღება, ხელგარჯილობა, ცეკვა და მუსიკა. ხუთასამდე ბავშვმა გაიარა ამ სკოლის კურსი. ახლა უკვე მეთვრამეტე გამოცემა გვყავს, ესენი არიან დევნილი და სოციალურად დაუცველი ბავშვები, ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. ამ ნაკადში გვყავს ორი ქურთი, ორი სომეხი, ერთი აზერბაიჯანელი, ერთი ბელორუსი და ერთიც რუსი.

შოთა იათაშვილი

„არც მიწისა ვარ, არც ცისა“

რუსუდან კაიშაურს

სულისშემხუთავია ეს გაუთავებელი თავბრუდამხვევი სირბილი -

სამზარეულოდან ზეცისაკენ,
ზეციდან სამზარეულოსაკენ,
სამზარეულოდან ზეცისაკენ:
სიჩქარეში ტაფა რომ შერჩება ხოლმე მარცხენა ხელში და
შიშხინებს ერბო-კვერცხი,
და სანამ შემწვარა,
ასჯერ მოასწრებს ცაში აჭრას,
მარჯვენათი მობზრიალე კალმისტრით
ლაჟვარდის შეთქვეფას,
მერე კი კვლავ უკან ჩამობრუნებას -
გაზქურის ლობიო-ტროპებთან და

სულისშემხუთავია - მწვანილ-მორფოლოგიასთან -
და ის კი დარბის, დარბის,
არ ეთმობა არც ერთი და რათა გაგვაგონოს,
ჩამოგვეყვიროს შუაგზიდან:
„ერბო-კვერცხზე გეპატიუებით!“

- „ცისკრის“ რედაქტორი ჯანსუღ ლვინჯილია აფასებდა ხოლმე ჩემს ლექსებს. ტელევიზიითაც გამოვიდა და ისაუბრა ჩემზე. ნაირა გელაშვილსა და შოთა იათაშვილსაც აქვთ წერილები ჩემს შემოქმედებაზე, სხვებსაც, ყველას ვერ ვიხსენებ, თუმცა, ერთხელ, პოეტმა და კრიტიკოსმა დავით მჭედლოურმა ისეთი რალაცები დანერა, 37 წელი რომ ყოფილიყო, ალბათ გადამასახლებდნენ, ან დამხვრეტდნენ. მე ცოტა მეწყინა, მაგრამ სხვებმა მითხრეს: ეს, პირიქით, შექებააო. ბატონი დავითიც რომ შემხვდა, მომიბოდიშა, განითლდა. მე ვუთხარი, მადლობელი ვარმეთქი. მას ეგონა რომ, ჩვეულებრივ, როგორც ჩვენთან ხდება, მეც გაბრაზებული და განანწყენებული ვიქნებოდი და გაუხარდა ასე რომ არ იყო. მერე მითხრა, შენს ლექსებს დეკადენტური რომ ვუნოდე, კი მიწოდდა უარყოფითად წარმომეჩინა, მაგრამ მერე მეუბნებოდნენ, ეს რამხელა ხოტბა შეასხი რუსუდან კაიშაურს, ვერც წარმოიდგენო.

- შემოქმედებითი საღამოები თუ გაგიმართავს?

- არც ისე ბევრი. ერთი მქონდა „კავკასიურ სახლში“, ერთი - „მასწავლებლის სახლში“ და ერთიც - „უსინათლოთა საზოგადოებაში“, სადაც ძალიან დიდი სიყვარული და სითბო მივიღე. ისე კარგად დამამახსოვრდა, როგორ აღიქვეს ჩემი პოეზია... ბრაილის შრიფტზეც კი ჰქონდათ გადატანილი ჩემი ლექსები. მაჩუქეს კიდევ ორიოდე ფურცელი, სახლში მაქვს შენახული.

11-დან 13 წლამდე ასაკის ბავშვები. ერთი ბიჭი სასაზღვრო ზონიდან, სოფელ მერეთიდან დადის. უნიჭიერესი ბავშვია, არაჩვეულებრივი ნმა აქვს და შესანიშნავად მღერის. ნაკადი ექვს თვეს გრძელდება, ზაფხულობით კი საზაფხულო ბანაკში მივდივართ. ბოლო რამდენიმე წელია, ფშავში ვატარებთ ზაფხულს. იმართება ინტელექტუალური თამაშები, სპორტული შეჯიბრებები, შოუები არაგვის პირას. ბავშვებს მდინარეში ვაბანავებთ, საგუბარს ვაკეთებთ და ჩვენი მეთვალყურეობის ქვეშ მშვენივრად ჭყუმპალაობენ. იქ უფრო საველე პირობებია, კარვებში ცხოვრობენ, გამოიჩორკნენ მაგიდაზე სადილობენ, დიდი მუხის ქვეშ ვსხედვართ გაკვეთილების დროს, ეზოც გადასარეგია, ქვემო კანატიკაში, უძილაურებთან...

- რუსუდან, შვილებზე მომიყვი, უკვე დიდები არიან, ალბათ...

- უფროსი ნონა 89-შია დაბადებული, დიმიტრი - 90-ში, ელისო - 91-ში, თემური - 93-ში და ეკა - 95-ში. ნონას ყოველთვის მოსწონდა ჩემი პროფესია, აინტერესებდა და ჩემი პროფესიაც აირჩია. ვთვლი, რომ კარგი ფილოლოგია, კარგი მასწავლებელია. მაგისტრატურაშიც სწავლობს და იმდენად უყვარს თავისი პროფესია, რომ გრამატიკის ნიგნიც კი შეადგინა. დიტო მამამისის სპეციალობაზე სწავლობს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ენერგეტიკოსი იქნება. ელისო - „ჯავახიშვილში“ საერთაშორისო ურთიერთობებზე და გაცემული ვარ, რომ პოლიტიკა აინტერესებს, რალაც „კაცური ჭკუა“ აქვს, ანალიტიკური და ზოგადად, ნიჭიერი გოგოა, გამოირჩევა თავის დაძმებში, რამდენიმე ენა იცის და ძალიან ობიექტური ადამიანია. თემოც „ჯავახიშვილში“ სწავლობს ინფორმატიკაზე, კარგად იცის თავისი საქმე, დაინტერესებულია, სულ ცდილობს, გაიღრმავოს ცოდნა. ეკა მე-12 კლასელია და უცხო ენებზე აპირებს ჩაბარებას.

- რას ფიქრობ, როგორი პოეტი ხარ?

- ჩემს თავს პოეტს ვერ დავარქმევ, როცა ასეთი პოეტები ჰყავს საქართველოს. ძალიან მომწონს ეკა ქვეანიშვილის, ზვიად რატიანის, გიორგი ლობჯანიძის პოეზია, შოთა იათაშვილისა და მანია სარიშვილისაც, მაგრამ მეუხეხურხულება ამის თქმა, რადგან ისინი ჩემი მეგობრები არიან. ეკა ქვეანიშვილის ადრინდელი ლექსები უფრო მომწონდა. მათ შემოქმედებას ძირითადად „ალტერნატივაში“ ვეცნობოდი, დიდი მონატრება მაქვს მისი...

- შენი შემოქმედება თუ შეუფასებიათ, ან კრიტიკული წერილები თუ დაუწერიათ?

- ვინმეს ხომ არ ბაძავდი, ვიდრე საკუთარ ინდივიდუალურ ხმას იპოვიდი?

- თავიდან ვბაძავდი ემილი დიკინსონს. პირველად რომ წავიკითხე, ჩემზე შოკური შთაბეჭდილება მოახდინა. მერე ამ გატაცებამ გადამიარა, უკვე სხვა რაღაცები მომწონდა. ბოლოს ერთ რამეს მივხვდი: ვინც წერს, იმან ძალიან ბევრი უნდა იკითხოს თანამედროვეც და ძველი ლიტერატურაც იმიტომ, რომ თუ არაფრით შეივსე, იქიდან არც არაფერი წამოვა. დიდახან ვერ იქნები ნიჭის იმედად. ჩემს ლექსებში პუნქტუაციას დიდ ყურადღებას ვაქცევ, მიყვარს სასვენი ნიშნები, ერთი წერილი მახსოვს - „რას ფიქრობენ სასვენი ნიშნები თავის თავზე“, „ალტერნატივაში“ იყო გამოქვეყნებული და მას მერე უფრო შემოიყვარდა. ცოცხალ არსებებად აღვიქვამ სასვენი ნიშნებს, ერთი წერტილიც რომ დამაკლდეს, იმასაც ძალიან განვიცდი იმიტომ, რომ ის ჩემთვის რაღაცას ნიშნავს, ის არანაკლებია, ვიდრე სიტყვა, ან ასო. ძალიან მიყვარს კითხვის ნიშანი, მოხრილი რომაა, ადამიანი მგონია, ცოცხალი არსება.

- მეგობრობ კოლეგა პოეტებთან, ან მწერლებთან?

- განსაკუთრებული მეგობრობა მაქვს ნაირა გელაშვილთან, მაგრამ ვცდილობ, მის გვერდით არ ვიყო და რაღაც დისტანცია შევინარჩუნო. მე მას სტუდენტობისას მივუძღვენი ერთი ლექსი. „მე მივხვდი: დროა შენი დაკარგვის,/ ჩვეულებრივი ყოფა თუ მინდა!“ რაღაცნაირად არ მინდა, რომ ჩვეულებრივად ვიყო მის გვერდზე. ამიტომ ვცდილობ, ზედმეტად თვალში არ მოვხვდე, მაგრამ, ამავდროულად, ძალიან ახლობლობას ვგრძნობ და მიყვარს. ასეთი დამოკიდებულება ბევრ ადამიანთან მაქვს, თან მიყვარს და თან არ მინდა მასთან ყოფნა, გაუბრალოების მეშინია.

- გიყვარს მეგობრებისთვის ლექსების კითხვა?

- არა, არ მიყვარს. ასე მგონია, რომ ჩემს ძალზე სანუკვარ რაღაცას ვანდობ სხვას. ძალიან უნდა ვენდობოდე იმ ადამიანს, თითქმის საკუთარი თავივით, რომ მას ლექსი წავუკითხო. შეიძლება, ძალიანაც მიყვარდეს, ვაფასებდე, მაგრამ ის ჩემი მხარე არ მინდა დავანახო. შეიძლება, ის ჩემი მხარე, მთვარესი არ იყოს, ბნელი მხარეა და ალბათ, მაგისიც მეშინია. ჩემს ლექსებს ისე ვმაღავ, როგორც „უკანონო შვილებს“. აი, კანი რომ არა გაქვს და ხელი რომ დაგადონ, ხომ საშინელი შეგრძნება გექნება, ზუსტად ასეთი შეგრძნება მაქვს, ამიტომ თუ არ ვარ დარწმუნებული, რომ ვინმეს მართლა აინტერესებს ჩემი ლექსები და უნდა მათი მოსმენა, ვცდილობ, არ მოვახვიო თავს. მეგობრებთანაც სხვა თემებზე საუბარს ვამჯობინებ.

- შენი ლექსები ინტერნეტით მოვისმინე პოეზიისა და პროზის პოპულარიზაციის პროექტ „ოქროს ფონდში“. ვფიქრობ, კითხვის განსაკუთრებული მანერა არ გაქვს...

- არტისტულ კითხვასაც, ალბათ, თავისებური ნიჭი უნდა, მაგრამ ზოგჯერ ხდება, რომ იმდენად შედისხარ ექსტრაში, იმდენად გავიწყდება ყველაფერი, რომ გამოგდის. მაგალითად, უსინათლოებს რომ ვუკითხავდი, არ ვფიქრობდი, როგორ უნდა წამეკითხა, მთელი სული და გული ჩავაქსოვე და კარგად გამომივიდა. ამას შენს თავს ვერ უბრძანებ. რაღაც უნდა მოხდეს შენში, რომ ეს გამოგივიდეს და ზემოქმედება მოახდინო მეორე ადამიანზე.

- რუსუდან, რას ნიშნავს, ზოგადად, მეგობრობა შენთვის და როგორ გრძნობ თავს მათ წრეში?

- მეგობრობა ძალიან დიდი ტვირთი და პასუხისმგებლობაა. ცარიელი, სიტყვიერი მეგობრობა არ მომწონს. მეგობარს ყურადღება უნდა მიაქციო, მის გვერდით უნდა იყო, თუნდაც სულიერად. ამიტომ ჩამოვიწერ ხოლმე ვალდებულებებს: რომ ახლა იმ ადამიანს უნდა დავუბრუნო, ამასთან უნდა მივიდე. სხვანაირად არ გამოგდის. ადამიანს რაღაც უნდა მისცე, უნდა გაახარო ცოტა ხნით, იმ დოზით, რომ სანამ შენ მისთვის მეორედ მოიცილი, იქამდე ეყოს. ფუჭი ურთიერთობები ძალიან არ მომწონს, ბავშვობაშიც ასე ვიყავი, ნერვებს მიშლიდა ფუჭი გამარჯობა და ფუჭი მოკითხვა... რომ არა ეს ადამიანები, მეგობრებიც და მეგობრობის გარეთ მდგარი ადამიანებიც და საზოგადოდ, ბევრი კარგი ადამიანი, ალბათ, ვერ გავძლებდი და ძალიან ადრე წავიდოდი ამ ქვეყნიდან. ბევრი დადებითი მუხტი მიმიღია ადამიანებისგან თუნდაც ერთი შემოხედვით, ერთი სიტყვით, ან ხელის ერთი გამოწვედნით, რაღაც პატარა ნიუანსითაც კი. რომ ვუკვირდები, ცუდი ადამიანი არც კი შემხვედრია, სულ კარგი ადამიანები მხვდებოდნენ, ყველა რაღაც კეთილგანწყობილი იყო ხოლმე და მეც დადებითად ვიმუხტებოდი. რომ უკვირთ, მარტო დარჩი და როგორ შეძელი ცხოვრების გაგრძელებაო, აი, ამიტომ შევძელი...

- როგორ ფიქრობ, რთულია იყო შემოქმედი?

- პირიქით, ვფიქრობ, რომ ადვილია. იმიტომ რომ მე რომ ეს არ მქონდეს, ვერ შევძლებდი ვყოფილიყავი ჩვეულებრივი ადამიანი, ვერ გავძლებდი ამ წუთისოფელში... წყენაც მოუყენებიათ, შეურაცხყოფაც და ტრავმებიც მიმიღია, მაგრამ ნიშნის მოგებით ვეუბნებოდი ხოლმე იმ ცუდ რაღაცას, რაც მოვიდოდა ჩემთან: ახლა წავალ, შევიკეტები ჩემს სამყაროში, სადაც ძალიან კარგად ვიგრძნობ თავს მეთქი. ლექსებს კი ვწერ, მაგრამ ამით არასოდეს „მისპეკულიანტია“. მე მამლის წელში ვარ დაბადებული და მოთხოვნილება მაქვს, რომ ჩემ გარშემო წესრიგი იყოს. არასდროს ხდება, ოჯახში სადილი არ იყოს გაკეთებული, ან ვახშამი, ან რამე არ იყოს დალაგებული და ამას ბევრი დრო სჭირდება. თუ ქაოსია, ჩემზე უარყოფითად მოქმედებს და უნდა მოვანესრიგო. ამიტომ ძალიან ცოტა დრო მრჩება და მეც მიკვირს, როდის ვახერხებ ლექსების წერას. შეიძლება, რამდენიმე საათში ორმოცი ლექსი დავწერო ჰილარო ბუერასავით. ხომ ვერ

გიორგი ლობჯანიძე

მეტამორფოზა

რუსუდან კაიშაურს

ჩემი მეგობარი ლექსებად იქცა,
და სიტყვები გაუჯიქდნენ, დაუმნარდნენ...
დედად იქცა და ქმარი
მეორე მხარეში გაემგზავრა, მიატოვა.
შვილები დაიზარდნენ...
ჩემი მეგობარი განვდილ ხელებად იქცა
სამათხოვროდ კი არა,
სხვათა საშველად,
ლობეზე შემოდებულ პურად,
რომელსაც ვკოცნიდით ბავშვობაში
და საკენკად ბელურებს ვუტოვებდით.
ჩემი მეგობარი თვალებად იქცა,
და მთელი სამყარო შიგნით მოიქცა წიაღივით,
ავობა არა, ევობა მოუნდა.
მოდის, იქეცი ვაშლად, მეგობარო,
მე ხედ ვიქცევი, კენწეროზე გამოგიბამ,
გულში ჩაგიხუტებ და შენს თავს
მოსანყვეტად არავის დავანებებ.
უმნიშვარი მხარე ჩემკენ მოაქციე,
წითელი მხრით კი მზეს ეკეკლუციე,
როგორც სამოთხეში...

მოვახერხე მთელი თვე, ან წელიწადი, მერე უცებ დავეწერე. აი, ამ ჩემი ბოლო წიგნისთვის ვერ მოვახერხე დანერა, ბევრი საქმე მქონდა, სოფელშიც ვიყავი წასული და რომ დავბრუნდი, დეკემბერში, რამდენიმე დღეში მოვახერხე, ახალი ლექსები დამეწერა, ნაწილი ძველი კრებულებიდანაც შევიტანე.

პრინციპში, ყველაზე მთავარი ჩემთვის ჩემი შემოქმედებაა და დანარჩენი ყველაფერი მისი წყალობით მაქვს. ვფიქრობ, რომ ადამიანი ძალიან საცოდავი არსებაა. თუ ღრმად ჩაუკვირდები და ფილოსოფიურ ძიებას დაიწყებ, ფაქტიურად, ხარ როგორც მიებას დაინყებ, ვაქტიურად, ხარ როგორც ძიებას, ცხოველი, ან თუნდაც მწერი და არაფერი გაქვს, რაც ამ სამყაროში გამაგრებს, რადგან ეს სამყარო ძალიან სასტიკია და გვლანგავს, არარაობად გაქცევს და მერე უნდა დადგე, ეძებო შენი თავი და შეაკონინო. თითქმის ყოველდღე ასეთი რაღაცები ხდება და შენთვის აღარაფერი გრჩება. როდესაც შემოქმედებითი რაღაც გაქვს, თუნდაც პატარა და სხვებისთვის უმნიშვნელო, მაგრამ იცი, რომ გაქვს და ეს შენთვის გაქვს დამალული, ამით სამყაროში წონასწორობას ინარჩუნებ, ამით ხარ დაცული და შენს ადამიანობასაც უფრო კარგად ამჟღავნებ. ვფიქრობ, თითქმის ყველა ადამიანს აქვს თავისი თავშესაფარი. ზოგს შემოქმედება არა აქვს, მაგრამ რელიგია აქვს და ეს შველის. ზოგს კიდევ სიყვარული აქვს, ძალიან დიდი სიყვარული, სიყვარულითაა გაჟღენთილი და ეს ეხმარება. მაგალითად, დედაჩემი არც შემოქმედი ყოფილა, არც რელიგიური, ძალიან ბევრი ნაკლიც ჰქონდა, მაგრამ სიყვარულით იყო გაჟღენთილი. ახლაც, არაფერს აკეთებს, ზის თოჯინასავით, ვუვლით, მაგრამ მას ამ თავისი სიყვარულით სამყაროში აქვს დაცულობა. ბებიაც ასეთი იყო. თავისი ყოფილი ქმრის მეუღლეს იღებდა სახლში და დიდი პატივით ეპყრობოდა. მამაჩემიც ასეთი იყო, ჩემი მეუღლეც... ასე რომ, არ არის მნიშვნელოვანი, რა გარემოში ცხოვრობ, ან რა გაქვს გადატანილი. ეს შინაგანად უნდა გქონდეს, ესეც თავისებური ნიჭია.

- რუსუდან, მოდი, შენს ახალ წიგნს დავუბრუნდეთ...

- ერთი ლექსი მაქვს ასეთი შინაარსის: „შვილებო, ნუ მამბრაზებთ, იცოდეთ, სახედრიდან მერნად გადაქცევაც შემოიძლია“. ანუ, ჩემს თავს მოვიზარებ სახედრად, რადგან სახედარი ხომ დამორჩილებულია თავის ბედს, ეწევა ჭაპანს, მაგრამ თან უნდა, რომ მერანიც იყოს. ამიტომ ეს ჩემი ერთი პატარა ლექსი გამოვიტანე სათაურად... ექვსწლიანი შუალედიც რამოდენ-

იმე დღეში ამოვავე. ეს წიგნი გაგრძელებაა ჩემი ბიოგრაფიის. ჩემი ბიოგრაფია დაიწყო პირველი წიგნით – „ლექსები, 2002“, მეორე წიგნით – „ცოცხების გადაფრენა, 2004“ განვითარდა და ახლა გაგრძელდა. შეიძლება სულ სხვა რაღაც ეწეროს ლექსში, მაგრამ სინამდვილეში ჩემი ბიოგრაფიაა. ყველაფერია, რაც გადავიტანე, რაზეც ვფიქრობდი, რაც მიხაროდა და მანუხებდა. წინა კრებულებიდან რომელი ლექსებიც გადმოვიტანე, ეტყობა, ჩემთვის ბიოგრაფიის ის ნაწილები მნიშვნელოვანი იყო. ეს წიგნი მომწონს. ის წიგნები როცა შევადგინე, ძალიან დაუდევრად მოვიქეცი, რაც მომხვდა ხელში, განურჩევლად ჩავყარე და მერე ძალიან ვნანობდი. ახლა, მართალია, უფრო ცოტა დრო მქონდა, მაგრამ ჩემი შვილი დამეხმარა. ვიდრე სოფელში ვსაქმიანობდი, მას ყველა ჩემი ლექსი აუკრეფია, თუ სადმე რამე გაჭაჭანებულა და რომ ჩამოვედი, დამახვედრა მთელი ჩემი შემოქმედება ერთად თავმოყრილი. ამან ძალიან გამიადვილა საქმე და მერე უკვე კომფორტულად ვიყავი, რომელი ლექსიც მომწონდა, იმას ვარჩევდი და რაც დავწერე ახლები, ისინიც უცებ ავკრიფეთ. ამდენად, შედარებით, კმაყოფილი ვარ. ერთ-ორ სასვენ ნიშანზე მწყდება გული, ზოგან ზედმეტი მომივიდა, ზოგან დავაკელი... მხატვრული გაფორმებაც ძალიან მომეწონა, კოტე სულაბერიძის ნამუშევარია. სასიგნალო ეგზემპლარები რომ მოვიდა, ერთი წიგნი სახლში წავიღე, ის ახალი ლექსები კარგად აღარ მახს-

ოვდა და ერთი სული მქონდა, წამეკითხა და რომ წავიკითხე, ცუდი არ იყო.

- პოეტურ ფესტივალებზე თუ მიგიღია მონაწილეობა?

- ორჯერ, ლიტვასა (2010 წ.) და პოლონეთში (2012 წ.). ეს იყო არაჩვეულებრივი დღეები, ავტორები იყვნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან და ძალიან სასიამოვნო იყო მათთან ურთიერთობა. ქვეყნებიც მომეწონა, ხალხიც და ყველაფერი დადებითი წამოვიღე იქიდან. პოლონეთს ლექსიც კი მივუძღვენი, ახალ წიგნში შევიდა. ეს გაცვლა, შემოქმედებითი ურთიერთგაზიარება აუცილებელია. ბევრ კარგ რაღაცას სწავლობ, იღებ, ბევრი ისეთი ავტორი გავიცანი, რომელთა ლექსებიც ძალიან დასამახსოვრებელი იყო. ლიტვაში პატარა ზღვისპირა ქალაქ პალანგაში ვიყავით. ბალტიის ზღვა რაღაც არაჩვეულებრივია, რაღაცნაირი ჩამუქებული, მკაცრი სილამაზე აქვს. ამით დამამახსოვრა თავი. ციოდა, მაგრამ მივდიოდით და ვნახულობდით, აი, საყვარელ ადამიანს რომ ინახულებ, ისე. პოლონეთში ლუბლინში ვიყავით, სიძველეები იყო იმ ქალაქში ძალიან ბევრი: მოჩუქურთმებული შენობები, ლამაზი ეკლესიები და მოკირწყლული ვიწრო ქუჩები. არაფრით ჰგავდა თბილისის ძველ უბნებს, მაგრამ ძალიან დასამახსოვრებელი და შთამბეჭდავი იყო.

- რუსუდან, ბედნიერი თუ ხარ და რა ინვესტაციები შენში ამ შეგრძნებას?

- ვფიქრობ, რომ ბედნიერი ადამიანი ვარ, თუნდაც იმიტომ, რომ მაქვს ჩემი შემოქმედება. იმ ბედნიერების გამოთქმა და გაზომვა, რასაც ადამიანს შემოქმედება ანიჭებს, შეუძლებელია. სადღაც წამიკითხავს, რომ ინტიმური აქტივს ხომ ძალიან დიდ სიამოვნებასა და ბედნიერებას ანიჭებს ადამიანს და იმაზე უფრო დიდი ბედნიერებაა ეს. ყველაზე დიდი ბედნიერება შემოქმედებითი ბედნიერებაა, ამ დროს ღმერთს უახლოვდები. ინტიმური კავშირის დროსაც ღმერთს უახლოვდები და იმიტომაც ასეთი დიდი სიამოვნება. თუ ღმერთს უახლოვდები, ე.ი. სიყვარულს უახლოვდები, ყველაფერი მაინც სიყვარულამდე დადის...

- თუ გაინტერესებს, როგორ შეხვდება შენს ახალ წიგნს მკითხველი, პოეზიის მოყვარული საზოგადოება?


- პირველ რიგში, მაინტერესებს რას იტყვიან ჩემი ახლო მეგობრები, რადგან მათ აზრს ვაფასებ. ერთი სული მაქვს, როდის მივუტან, როდის ვაჩვენებ ჩემს წიგნს და რომ წავიკითხავენ, როგორი რეაქცია ექნებათ. დანარჩენი მკითხველების გამომხატვრებაც ძალიან მიხარია, ზოგი წერილს მწერს, ზოგი ვირტუალურად მეხმაურება. მოველი, სხვა ადამიანსაც გაუჩნდეს თავისი დამოკიდებულება, თუნდაც უარყოფითი. ჩემმა შეილებმა წაიკითხეს, მაგრამ დიდად ყურადღებას არ აქცევენ. რომ მივიტანე და ვაჩვენე წიგნი, უი, რა კარგიაო და მორჩა, გადადეს გვერდზე. მე არ მწყინს, მე მათთვის დედა ვარ და მირჩენია, დედით იყვნენ კმაყოფილები. ჩემმა ძმამაც გადაშალა და გადადო გვერდზე. არც მაგისტრის მიმიქცევია ყურადღება. პატარები რომ ვიყავით და ჩემთვის რომ მივყურებოდი და ვწერდი რაღაცას, „გიჟ-პოეტას“ მეძახდნენ. სწყინდათ, რომ ყურადღებას ველარ ვაქცევდი და ეჭვიანობდნენ. შეილებსაც აქვთ ეჭვიანობის მომენტი. ზოგჯერ რომ მომინდება რაღაც დაწერო და განემარტოვდები ხოლმე, მათ უკვე რაღაც მოაკლდებათ და დისკომფორტს განიცდიან. რაც გაიზარდნენ, ამას უფრო შეგნებით ეკიდებიან, მაგრამ ადრე

არა, ადრე მე თვითონაც მერიდებოდა, რომ მათი დროიდან მომეპარა თუნდაც წუთები და ჩემთვის რაღაცა გამეკეთებინა. ამას დიდ ფუფუნებად ვთვლიდი ჩემი თავისთვის. ერთხელ, ნონა საავადმყოფოში მოხვდა და იმდენად გამწარებული ვიყავი, ღამეები არ მეძინა, ვიჯექი და ვწერდი და ამან ძალიან მიშველა.

- რუსუდან, შენი ლექსები ძალიან რეალისტურია და ყოფითი, ისეთი განცდა მიჩნდება, თითქოს ალესილი დანის წვერზე დადიხარ...

- როგორც არის ჩემი ცხოვრება, ისეა ასახული, ვერც შევალამაზებ. როცა მიცდია, შემელამაზებინა, ძალიან ცუდი გამოსულა. რეალისტურია, რა თქმა უნდა, ადრე თითქოს პესიმისტურიც იყო. ადრე არ ვწერდი ყოველდღიურ თემებზე, მოგვიანებით დავიწყე. ბოლოს რაც დავწერე, ძალიან გულწრფელია, რასაც ვფიქრობდი იმ წუთში, ან რაც ხდებოდა ჩემ გარშემო, ის ავსახე და მართლა გულიდან გამოსული გამოვიდა.

ესაუბრა დიანა მიქაძე-რინკიმეკატეზიკუ



საათზე ქალის ღრო ტრიალებს

(ფრაგმენტები წერილიდან)

[...] ცხადია, არსებობენ შემოქმედი ქალები, რომლებიც დედებიც იყვნენ, ოჯახსაც უვლიდნენ და დიდ ხელოვნებასაც ქმნიდნენ (თუნდაც მარინა ცვეტაევა), მაგრამ, – არც ისე ბევრი, თუკი ოჯახის შექმნასა და მოვლაში მართლა იმას ვიგულისხმებთ, რასაც ეს ტრადიციულად ნიშნავს: ფეხმძიმობებს, მშობარობებს, ბავშვებისა და ოჯახის სხვა წევრთა მოვლას, სადილის კეთებას, წმენდას, ხეხვას, რეცხვას (კოშმარული ბაზარში სიარული და სანოვაგით დატვირთული ჩანთების თრევა აღარც რომ ვახსენოთ)... ეს სახის ნამშლელი, კონვეიერული ჯაფა... მაგრამ, აი, ხუთი ბავშვი რომ ჰყოლოდეს პოეტ ქალს, თან მარტოხელა დედა ყოფილიყოს, ახალგაზრდობაშივე დაქვრივებული, და თან იმ ქვეყანაში ეცხოვროს, რომელიც იმისათვისაა მონოდებული, რაც შეიძლება ბევრი ცოცხალი არსება რაც შეიძლება უკვალოდ დაკარგოს, – ნამდვილად არ მაგონდება...

ხუთი პატარა ბავშვი! დედის პატარა სახელმწიფო – ესოდენ ძნელად მოსავლელი და სამართავი, და უახლოეს, დაუცველ არსებათა უმჭიდროეს წრეში – ქალისა და პოეტის უკიდვანო მარტოობა! მე მგონი, ამით ყველაფერი ითქვა. ეს არის რუსუდან კაიშაურის ბედისწერა! ამ ბედისწერის ამალღებული და თავზარდამცემი, სამიში და დიადი სახე, სწორედ ეს ბედისწერა ასხივებს თავის მძაფრ სიმართლეს მის ლექსებში, თუმცა აქ მისი სახის კონკრეტულ ნაკვეთებს არ აღვინერუნე... და ეს რუსუდან კაიშაურია: „ო, ბედისწერავ! საყვირს დაუჭკრავ, მნადია შენთან ომი!“ „შესარკინებლად მოვდივარ ბედთან, მაქეზებს ჩემი და სხვათა დარდი, ცხრათვალა ილბალს შუაზე ვკვეთავ იმ ხელით, რითაც ვამზადებ სადილს“.

და უმთავრესი, რაც „აქ ხდება“ – სწორედ ეს არის, უკიდურესად გამძაფრებული შინაგანი ბრძოლა საკუთარი თავის შექმნისათვის, რაც ბედისწერის წინაშე გამძლეობის ერთადერთი საფუძველია. მაშასადამე, ეს გამძლეობა მხოლოდ ან ყოველთვის ფიზიკურ გადარჩენას არ ნიშნავს, იგი საკუთარი თავის შექმნას გულისხმობს, რადგან ხუთი (თუნდაც, ათი) ბავშვის გაჩენა, კვება და გაზრდა, თავისთავად, პოეტური სულისათვის, მისი საკუთარი დაბადებისა და ქმნადობის გარანტია არ არის, მაგრამ, სირთულეც იმაშია, რომ დედური მოვალეობის უგულვებელყოფით ვერც ნამდვილი ადამიანი, შესაბამისად პოეტი დაიბადება. და ხელოვნება რომ მსხვერპლს ითხოვს, ხშირად ეს მსხვერპლი ხელოვანის უახლოესი ადამიანებიც არიან და მამაკაც ხელოვანთა ისტორიამ ბევრი ასეთი მსხვერპლი იცის, პირველ რიგ-

ში, მათი მეუღლეების, შემდეგ მათი შვილების სახით, მაგრამ, დედა ბავშვს ხომ ვერ მიიტანს მსხვერპლად ხელოვნების სამსხვერპლოზე და რაც ამ ამბავს ენერება, ეს ჩვეულებრივ, ქალის ჯანმრთელობა, სიცოცხლე და მისი ხელოვნებაა...

ეს გამანადგურებელი „ან-ან“ (ს. კირკეგორი), ან პოეზია ან ცხოვრება – თავად იქცევა ნამყვან თემად რუსუდან კაიშაურის ლექსებში:

„ეს მერამდენედ, კერძი დავასხი, რომ დავაპურო ჩემი შვილები, მსახიობივით მიწვევს თამაში დღეში ათასჯერ ვინც, ვიღვეი. ეს მე ვარ, ჩემი მარად დასევდილ ოცნებისა და სახლის გამყოფი, ორივეს ვსურვარ მთელი არსებით და ნახევარი ჩემი არ ყოფნით“.

და ახლა ამას კიდევ სხვა სამყაროც დაუმატეთ, რომელიც ვინ იცის, შეიძლება ყველაზე ღრმადაც კია შემოჭრილი რუსუდან კაიშაურის ყოფიერებაში. სამყარო, ერთდროულად უცნობი, თავზარდამცემი და საყვარელი, რომლის ასეთობა პოეტის უძვირფასესი არსების იქ ყოფნითაა გამძაფრებული – მკვდართა სამყარო და არც ამ სამყაროს არ სურს არაფერი ნახევარი.

„სხვებისთვის უკვე წარსულს ბარდები, გინდა კარები გავიჯახუნო, და შენ გესტუმრო შავი ვარდებით? მიკვდები, როგორც ლურჯი ფრინველი, ხელში ბუმბული მრჩება ბალიშის, დედა! ყვირიან დილით შვილები და გთხოვ, ცოტა ხანს მათთან გამიშვი...“ [...]

[...] რუსუდან კაიშაურის ლექსებიდან დიდი ენერგია მოდის (რადგან რაც დედას ენერგიას ართმევს, იგივე ანიჭებს ათმაგად: ბავშვი). და ჩემში აღძრავს დიდ ნდობას, რომ ეს ენერგია ნამდვილი კალაპოტით ივლის. ამ ნდობით მავსებს თუნდაც პოეტის მართალი ხედვა, რომელიც არაფერს ალამაზებს, არამედ მხოლოდ თამამად აზუსტებს:

„მშია, მწყურია, თავს ჭერი მინდა ყვირილი, ჩხუბი, დაღუნვა მართობს. მოვდივარ მზიან, ჭუჭყიან გზიდან გაბრაზებული და სახიფათო“.

და ეს მკვეთრი ამპლიტუდა – გაბედიებასა და გაღლობას, სინაზეს შორის: „მანც მოვიდა ფოთოლი ჩემთან, როგორც წერილი, და ცრემლში ჩამსვა“. და ბოლოს ან ნდობას პოეტის შინაგანი ძალისადმი მისივე სიტყვებით გამოვხატავდი: „საიდან მოხვალ, არ ვიცი სიტბოვ, მაგრამ რომ მოხვალ მჯერა და ვუცდი“. [...]

კინოგმირი

სად გაქრა თვალები,
რომელშიც გადიოდა ჩემი საყვარელი ფილმები:
„ჩხიკვთა ქორნილი“, „ბემბი“,
„მედგარი კალის ჯარისკაცი“,
„ვილაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“,
„რომაული არდადეგები“?
ლამდებოდა და ყველა ფილმში
მე ვიყავი ქალი კინოგმირი
ჩხიკვი ქეთევანიდან – დედოფალ ანამდე.
სიბნელე იყო და ყველაფერი
კარგად გამოგვდიოდა...
ზედიზედ დაიხურა კინოთეატრები,
ჩვენს დაჭრილ ოცნებებს
ხმამალა რომ გამოთქვამდა.
ჩვენი ბავშვობის კინოთეატრი „გაზაფხული“
ჰაერში ხმელ ფოთლებს ატრიალებს
საპნის ბუშტებივით
და შენც თავის გადასარჩენად
„სხვანაირ“ ფილმებს უშვებ,
როგორც კუდიან ვარსკვლავებს,
მაგალითად, „ძირითად ინსტინქტს“.
ამიტომ გაგექეცი შორს,
ძალიან შორს.
თუმცა მანდვე ვარ,
საკუთარ ჩრდილს მიფარებული.
ველოდები შენში
„გრძნობათა იმპერიის“ დანყებას
და მაშველი რგოლივით
გადმოგდებულ ქალის როლს.

ბავის გახსენება

ჩემი ბებია ვარდების გამლას
უყურებდა, როგორც პორნოსერიალს.
იგი, ვით ძაფის თეთრი გორგალი
მცირდებოდა,
ვიქსოვებოდი მე ვარდის ეკლებით.
ბებია ეხლა ჩემს ლექსებში გაფანტულია.
ის იმალება ჩემი კაბის
ათას ნაოჭში
და მარგალიტის მძივებშია
ის გატრუნული.
ჩემი თავიდან უკვე
თეთრმა თმებმა ამოხეთქეს.
ბებია ყველაზე უკეთ
იქ დამემალება.

მკერდი

როცა ბერდები,
მკერდი ანაქრონიზმად
იქცევა,
უყურებ მათ, როგორც
ჩამოყრილ ყურებს
ცხოვრების წინაშე
და გიკვირს (ადრე გიხაროდა)
რა საჭიროა
წინ წანეული
(ცხვირისა არ იყოს)
ადგილები შენი სხეულის.
ორივე ხელით
მიანვები ჩასაბრუნებლად
იმ წიაღში,
საიდანაც ერთდროს იყვნენ ამოფრქვეული.
ეჰ, მკერდნო,
არასდროს ყოფილხარ
დედოფალი ანდა მამფალი.
მაგრამ ღია გქონდათ
ბავშვებისთვის დიეტური
სასადილო, თავშესაფარი.

გეოგრაფია

შვილებისთვის მე რუკა ვარ,
ჯოხით შემოხაზავენ გულს.
ხელით მიფარავენ პირს და
სხვა საჩოთირო ადგილებს.
თვალებს მიტრიალებენ მრგვალებს
და ჩემი მოთმინების ემინიათ.
სახლში მე ჭუჭყიან კედელს ვმაღავ,
როცა გაკრული ვარ,
მაგრამ ცაშიც შემიდლია გაფრიალება.
საყრდენი მეცლება, როცა შვილები
ჩემგან ქალაქის გემს აკეთებენ
გეოგრაფიაში სამოგზაუროდ.

სამშობლო

ლიპიანი საზამთრო
ჩემი სამშობლოა,
ამწვანებული – ტკბილი.
ჯანმრთელობისთვის სასარგებლო
წყლებით, მინერალებით.
დაზოლილი გზებით,
რომლებიც სადღაც ერთდება,

ნაქცეულები

თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ.
გატყაპნილი ლაქები
ჩვენა ვართ,
ვინმე რომ გვათვალეიერებს,
ვხვდებით და ფორმას ვიცვლით.
ადრე სამშობლო გრძელი იყო,
მუთაქასავით თავქვე ამოდებული,
ხალხიც, თუ ფეხზე იდგა,
ზეცისკენ იყო ნაგრძელებული.
მერე ხელებს ღონივრად უჭერდნენ,
უტყაპუნებდნენ:
დამნიფდა თუ არაო
და გასკდა, პირი დაალო საზამთრომ.
რა საზარელია გახლეჩილი სამშობლო!
ჭირისუფლებმა უფრო დააპატარავეს
თავიანთი გარშემოვლებით.
ცრემლი კი არა, ნერწყვი სდით.
სამშობლო და მისი ჭირისუფლები
ერთმანეთის შეჭმამზე
უარს არ ამბობენ.

სინანული ერთი მარცვალაია,
მაგრამ მე უკვე გრძელი მძივი
მკიდია ყელზე
და ამით ვცდილობ გარეგნობა
გამოვისწორო.
ვერ დავაბრუნებ ნახდენილს
და ვერ ჩავასწორებ.
არაფრის შემძლე ვარ.
ჩემს ცხოვრებას დამარცვლულს,
ხელებში დიდხანს ნატრიალებს,
მრგვალი ფორმა ეძლევა
და ნემსზე ვაგებ.
ამდენი შეცდომის პატრონი,
როდის ვიყავი უშეცდომო,
სწორად მოლაპარაკე და მოქმედი.
ეჭვი მეპარება, მქვია კი, საერთოდ,
მოყვასი და მოკეთე.
ჩვენი სინანულები ყვავენადაა ქცეული
მძიმეებია, მაგრამ ფრენა შეუძლიათ.
მღვდლებს მხოლოდ ანაფორები შეუცვლიათ,
მტრედები უფრიალებთ და ჩვენ ნავექცეულვართ.

შოთა და მე

დროდადრო შოთა მეკითხება:
– ახალი ლექსები გაქვს?
თავს ვუქენევ ყურზე გადებული ფანქრით
გავიუქმებ უქმეს.
ცალ ხელში ბატის ფრთა,
მეორეში – ჯაყვა.
როცა შვილი მყავს
ჩანგალზე ნამოცმული და
მარილს ვაყრი,
ფრთიანი ხელი ანგელოზობს:
ნაგასნარ თუ არა მხეცობაზე,
შე, კალმის გლახავ.
მეუბნება, რომ სეირს ვნახავ,
კოვზიანი შვილები დამადგებიან
თავზე ყვირილით
– დედა, საით ხარ, გვშია!
ეჰ, შოთა, შენ მოიხერხე
შუბლზე ბატის ფრთის არშია,
ყურს უკან საოჯახო ჯაყვა,
ცოლში, გაპრიალებულ ქვიჯაში
შვილები ჩაგიყრია
და ნაყავ.

პოსტმოდერნიზმი

უჩვეულოდ დაიწყო დღევანდელი დღე:
არ მილოცია, ვერ ვივარჯიშე.
ალაბთ დღეს ვინმეს უნდა, ომი დაიწყოს.
შეშინებული ჰქვია ასეთ დღეს,
მეორე დილამდე კვდებიან ახლობლები.
ასეთ უუფლებო დღეში თუ
გაჭაჭანდება პოეტი,
რომ დაუცველ ქალაქს უპატრონოს.
ქალაქი ალბომივით გადაშალოს
და დაათვალეიეროს,
რაც არ შეუმჩნევიათ სხვებს,
მაგალითად, ზამთარი თბილისში.
თოვლის გუნდებით შექმნილი თოვლის პაპა,
სტაფილოს ცხვირით
და ნახშირის თვალეებით;
ხელში ჯოხიც უჭირავს,
რაც პრეზერვატივია თოვლით გატენილი.
შენ ჩაქრი! – ეტყვის პოეტი თავს,
რადგან თოვლიან სკვერში
ყვაგები თუ ბიჭები
დაიბუხებიან ბატებივით.

ჭიანჭველა

მე რომ ფენა-ფენა ტვირთი ჩამომართვან,
ჭუჭყი ამადრონ და საზრუნავი ამავლიჯონ,
ჭიანჭველა დავრჩები.
ბაზრიდან მომავალს
ყველა გამონეულ ნაწილზე
ჩანთადაკიდებულს,
სიმძიმის კანონებზე ჩამეძინება.
კიდევ ბევრ რამეში შემომლის ხელს
ჩემი სიმცირე,
და ამიტომ დანას არ გამოვიყენებ,
სჯობს, პური ნაზად დავჩქმიტო.
ანგელოზების გარდა,
ძირს რომ არავინ იყურება,
გვარიანად დავზიანდი.
ადამიანებმა, რომლებიც ფეხს მადგამენ,
არ იციან, რომ უმნიშვნელო ვარ,
მაგრამ აზრიანი.

აკვირება

ვინ გვაკლია დილის სიის ამოკითხვისას:
მამა, ქმარი, ბიძა, დეიდა, ბიცოლა...
ზარმაცი ანგელოზიც,
რომელსაც ადგომა დავასწარი.
ჩაიში დავსველებულ პურზე თავსდებიან
ყველანი ჯერჯერობით.
სალამო არის ძნელი,
მათი ჩრდილები ცეკვავენ და არ ჩერდებიან,
ვიდრე არ აგვიყოლიებენ
და ხმამალა ვმღერით,
მათ ჯიბრზე, ვინც გვაკლია.
ძილი გვაშოშმინებს და ვთანხმდებით,
რომ სიცოცხლე აკვირებაა,
რადგან უმისამართოდ ბევრგან ყრია.

შოთა იათაშვილი

ორი რაკურსი

[...] რუსუდან კაიშაურის ლექსების მთავარი პრობლემა ქალური რუტინაა. მისი გმირი აღწერს ქალის საქმიანობას – რეცხვას, დალაგებას, საჭმლის მომზადებას – აღწერს ერთგვარი აგრესიით, მაგრამ ამ ყველაფრისადმი დამოკიდებულება გაორებულია, და ეს აგრესია ხანდახან კაიშაურის ლექსებს პოზიტიურ ენერჯიასაც ანიჭებს.

„ზღაპრის გმირი ვარ, ქალთევზას დარი
და ტანის ნაცვლად ცოცხზე ვარ მდგარი.
მკერდი მაქვს ქალის,
თავი და მკლავი – ძვალა, ტყავი.
ვხვეტავ და ვნაყავ, ვამტვრევ და ვბერტყავ,
ვამზადებ საჭმელს.
შვილებსაც ვაჩენ – როგორც ჩემს სასჯელს.
ვწრიალებ, ვწვალბობ და სისხლის ფასად
ჩემი ცოცხიდან ყვავილებს ვაფრენ –
ვაბრაზებ ასფალტს.
მერე კვლავ ვხვეტავ, ვრეცხავ და ვხეხავ
და ცოცხზე მდგარი... აჟოტობ ქალი!“

რუტინა ემოციონალურად და იდეოლოგიურად ტრანსფორმირდება: კაიშაურის ლექსებში სამყარო მაგიური ხდება. კაიშაურის პოეზიისათვის დამახასიათებელია მოულოდნელი სახეები. ის ხშირად იყენებს უბრალო რითმებს, მაგრამ მძაფრ და მკვეთრ ტონს ამ უბრალოებასთან ერთად იგი ახალი პოეტური ენის ფორმირებასთან მიჰყავს. [...]

[...] ქალ ავტორებთან სიღრმისეული თვალსაზრისით ყველაზე უკეთ ნაფიქრი და გააზრებული, ჩემი აზრით, დედაშვილობის პრობლემაა. ქალისა და მამაკაცის სასიყვარულო, სექსუალური ურთიერთობების ანალიზი შეიძლება იმდენი თავისებურებით არ გამოირჩეოდეს, როგორც აღნიშნულ თემაზე დაწერილი ტექსტები, და ამას თავისი ახსნა აქვს. ამ მხრივ უაღრესად საინტერესო ავტორია რუსუდან კაიშაური, რომელიც ცდილობს ორივე რაკურსიდან დაინახოს ეს ურთიერთობა და ორივე შემთხვევაში ზღვრულ, დაუნდობელ სურათს იღებს. აი, დედის თვალთახედვა:

„შვილებსაც ვაჩენ, როგორც ჩემს სასჯელს“

ლექსში „დედაჩემის სიბერე“ კი შვილი ამბობს:

„მხოლოდ გულს არ სჭირდება შეკეთება.
მექანიკური საათივით
კიდევ ერთხელ დავექოქავ
და ბუდიდან გამოხტება:
„დედა გენაცვალოს!“
და მარადიულია ეს წყევლა.“

ეს ორმხრივი – დედის შვილისადმი და შვილის დედისადმი – აგრესია შოკისმომგვრელი და პარადოქსულია, მაგრამ, ვფიქრობ, ქართველთათვის იოლად გასაგები. ამაზე უკვე იმდენი ითქვა, რომ ალბათ არც ღირს შეგახსენოთ დედის დაქვემდებარებაში ჩარჩენილი ზრდასრული შვილი, რასაც მოჰყვება ხოლმე ის შედეგი, რომელიც კაიშაურის ლექსებშია ნაჩვენები. [...]



მანონი

სიკვდილმისჯილია ადამიანი:
ტელევიზორი
გაზეთები
სტიქიები
წმინდა წიგნები –
აპოკალიფსისთვის ამზადებენ.
„მანონი! მანონი!“ –
დაიძახებს ეზოში
გენოსი ტეტია
და მანვნები,
მშვიდობის მტრედებით,
ფანჯრებზე შემოსხდებიან.

იქ, ზევით,
ქვეყნის დაქცევას
კიდევ ერთხელ გადასდებენ.

გიორგობისთვე

ნოემბერი გიორგობაში
ექებს თავისგამართლებას,
საკუთარ ზიზილპიპილოებს
ასე თუ გადათლავს.
ნოემბერში ღრუბლები
იქცევიან ჩანჩურებად,
მაგრამ ვერ დასცინებ,
თოვლჭყაპით გაჩუმებენ.
ერთი დღესასწაულის ამარა
გაცივდება ნოემბერი,
წმინდა გიორგის ერთი მახვილი
რამდენ გველემაპს მოერევა.
ისედაც, რთველის შემდეგ
სამშობლო დამბარბაცებია,
ხეები, ტაშს რომ გვიკრავდნენ,
გაძარცული და ნაცემია.

პუშკინის ზღაპარი

ზამთრის სკვერში დათოვლილი
პუშკინის წინ
მერიის ემბლემიანი ხის სკამი დგას
და ფრთებგაშლილი,
შავბზინავი, მკვდარი ყვავი
ყვითელი ნისკარტით დაკიდულა
სკამის კიდეზე.
პუშკინის ქანდაკება
დრო-ჟამს არ ითვლის.
მადლობა ვუთხარი მწერალს
მისი ახალი ზღაპრისთვის.

ლელა კოდალაშვილი

ბაღალი ახავის საღვთაი რუსუდან კაიშაურის ლექსებში

არსებობენ პოეტები, რომელთა შემოქმედების ანალიზისას სულ უფრო ვშორდებით ავტორს, როგორც ადამიანს, ხელის ცეცებით გადავდივართ ბუნდოვან შიდა საზღვრებს, ვეძებთ გზებს, რომელიც გაგვააზრებინებს მის ინტროვერტულ აღსარებებს, მის პოეტურ „რელიგიას“ და ა.შ...

მაგრამ ხდება პირიქითაც – როცა ლექსები სულ უფრო მეტ ინფორმაციას გვანვდიან ავტორზე, მის რეალურ ცხოვრებაზე, თვისებრიობაზე, რომელიც არანაკლებ დახუნძლულია პოეტური სათქმელებით, ვიდრე რომელიმე რიტორის ღრმა სულიერი ლაბირინთები ან მითოსური წიაღსვლები.

სწორედ იმით ხასიათდება რუსუდან კაიშაურის პოეზია, რომ იქ მოვლენების ცენტრში, როგორც მთავარი მოთამაშე, დაპირისპირებულ ან შეხმატკბილებულ სამყაროებთან, თავად ავტორი დგას. მან უცნაური როლი იკისრა – მიიღოს ყველა მთავარი დარტყმა, რომელიც ხშირად საკუთარი ლექსებიდან, როგორც ცხოვრებიდან, მომდინარეობს, რა უცნაურიც არ უნდა იყოს, სწორედ მისივე მიმართულებით.

ჩვენ თვალწინვა კონფლიქტი რეალურსა და არარეალურს, კომიკურსა და ტრაგიკულ ქვეტექსტს, უტოპიასა და ნატურალიზმს შორის. ის უარყოფს ე. წ. საგანგებო პოეტური სტილის იდეას, შორს დგება ყოველგვარი შინაგანი ექსპოზიციონიზმისგან. ამ პროცესისთვის ის უფრო მარტივ მოძრაობებს იყენებს.

როგორც წესი, ხომ მიჩვეულნი ვართ გულაჩუყებას, პოეტის მიერ ამა თუ იმ შეგრძნების გამო მისი ტრაგიკული განცდების თანაზიარობას. ამ ლექსების მორალურ აპოთეოზად კი მათ მიერვე იუმორის შეგრძნების იშვიათი უნარი შეიძლება მივიჩნიოთ. რაც არ უნდა დიდ გულისტკივილს იტევდეს თითოეული სტრიქონი, რაც არ უნდა ღიად ჰყვებოდეს ადამიანურ ტრაგიზმზე, მის ძარღვებში, როგორც ელექტროსადენებში, მსუბუქი თვითირონიის, ან უბრალოდ გულისმიერი ღიმილის დიდი ძაბვა გადის, რომელიც მთელ ტექსტს ერთი შეხედვით გაურკვეველი შუქით ანათებს. შეიძლება, ვინმემ ჩათვალოს, რომ ეს თვისება სულაც არ არის არსებითი პოეზიისთვის და ლექსის ფასეულობას სულ სხვა კრიტერიუმთა შკალა განაპირობებს, მაგრამ მათ იფიქრონ, როგორც მოესურვებათ, იმ ფაქტს ხომ ვერსად ნაუვლენ, რომ იშვიათია და დასაფასებელი, თუკი პოეტი ამას ახერხებს.

კაიშაური არ არის ე. წ. პერმეტული პოეტი, მოხიბლული საკუთარი მიუწვდომლობით. ის არასოდეს კოკეტობს საკუთარი ინტელექტითა და ღირსშესანიშნავი არქეტეიპებით. მისი თემა უმეტესად სოციალური ნარატივია. თუმცა, ხანდახან ერთი შეხედვით მარტივი ცხოვრებისეული რეალიზმიდან მოულოდნელად სიურეალისტურ პოეტურ სახეებშიც აბიჯებს. მის მიერ შემოთავაზებული ნაღვლიანი ღიმილის კადენცია კი მუდამ ფარული სტრესია. თუმცა კი პოეტი არჩევანს გიტოვებთ – შეგიძლიათ მხოლოდ დეკორაციებით დაკმაყოფილდეთ და არ პროეცირდეთ ქვეტექსტებზე.

რუსუდან კაიშაურის ლექსების სხეული „თვალის შევლებისთანავე“ ნათელ სურათს გვაძლევს თავისი თავის შესახებ და არ საჭიროებს ლიტერატურული „ტომოგრაფიით“ დიაგნოსტიკებას. მის მიმართ ინტერესს სწორედ სისადავე წარმოშობს. ავტორი არსად, არც ერთ სტრიქონში არ ემალება მკითხველს, არ ინიღბება და არ ცდილობს, ამოცნობა გაურთულოს. შეიძლება ითქვას, რომ პირიქითაცაა – ამ ლექსების აღქმისას რწმუნდები, რომ პოეზია ჩვენს ტანზე, ჩვენს თვალებში, ჩვენი საყოფაცხოვრებო ნივთების ზედაპირზეა, უბრალოდ, შეძელი და დაინახე.

თაა თოფურია

თ.თ.-ს ცნობიერების ნაკადი



„სამი წლის ვიყავი, ქართულის მაგივრად რუსულ საბავშვო ბაღში რომ მიმიყვანეს: ნარისუიტე დერევეო – დაგვავალა იმ დღეს მასწავლებელმა. მე ვერ გავიგე, რას ითხოვდნენ და თავში რაც მომივიდა, ის დავხატე. მასწავლებელმა შეიცხადა – რაზე ეტო დერევეო? ეტა დევოჩკა ნე უმეეტ რისოვატ. არადა, ხატვა ვიცოდი, მიყვარდა კიდეც, მაგრამ მანამდე ყოველთვის ქართულად ვხატავდი.“

„ხალხმრავლობა არასოდეს მიყვარდა, ყოველთვის ჩემთვის ვიყავი. არ მიყვარდა ახალი ნაცნობებიც. კლასში ახალი ბავშვის გადმოსვლა ჩემთვის ტრაგედია იყო. ესეც ნაწილობრივ იმის ბრალია, რომ ჩემს სამყაროში ყველაფერი ჩემს ჭკუაზე ტრიალებდა, როგორც მინდოდა ისე, ცოცხალი ადამიანი კი ხასიათის და ურთიერთობის გარეშე წარმოუდგენელია. აი, ამ ურთიერთობას, დათმობას, შეგუებას, თუნდაც კონფლიქტს ჩემი გაზულუქებული ტვინი უკვე ვეღარ იტანდა.“

მერე და მერე უფრო შევეჩვიე ადამიანებს, მივხვდი, რომ მაგათთანაც შეიძლება რალაც საერთო გქონდეს. ადამიანის შეყვარება რთული არ არის. ის ძალიან შენიათა, რაც უნდა ცუდი და კარგი გააკეთოს, ისეთს მაინც ვერაფერს იზამს, რისი გაკეთებაც შენ თავად არ შეგიძლია“.

„ლექსების წერის ყოველთვის მცხვენოდა, რადგან ჩემს გარშემო მსგავსს არავინ არაფერს „სწადიოდა“. წიგნები მიყვარდა, ჩემი სათამაშოები ეგ იყო. ჩქარა ვკითხულობდი და მერე რომ აღარაფერი მქონდა წასაკითხი, იმავე პერსონაჟებზე ჩემით ვიგონებდი ამბებს. ზოგს ვაცოცხლებდი, ზოგს ხელახლა ვკლავდი. სხვათაშორის არცთუ უსაფრთხო საქმიანობაა. ამგვარი ფანტაზიორობა ადამიანზე ნარკოტიკივით მოქმედებს. ბავშვობაში იმდენად ჩემი სამყარო მქონდა შექმნილი, რომ რეალური ცხოვრება საერთოდ აღარ მენაღვლებოდა. მე ცალკე ვიყავი, ის ცალკე იყო, რალაცნაირად არ ვენდობოდი, მეგონა, რომ ცხოვრება პიროვნებას ანადგურებს. მერე მოვიდა ის განცდა, რომ მთლად ასეც არ არის. პიროვნულად მხოლოდ მაშინ იზრდები, როდესაც შენს გარშემო არსებულს პირდაპირ შეხედავ, აჯობებ თუ ვერ აჯობებ, ამას უკვე დიდი მნიშვნელობა აღარა აქვს. მთავარია, მიხვდე, რომ საკუთარი სამყარო დასამალი ადგილი არ არის, ანუ, არ ვიცი, რამდენად ზუსტად ვცტირებ, მაგრამ „ვინც საკუთარ სულს უფრთხილდება, დაკარგავს მას“.

„ახლა მე რომ ჩემს ბავშვობაში გადავრეკო, ყურმილს პიონერი ან მომიტინგე კი არა, ერთი უბრალოდ ბავშვი აიღებს და მეტყვის, წიგნის ბოლო თავში დარტანიანი მომიკლესო. მაგრამ იმ ბავშვმა რომ გადმორეკოს აქეთ და მკითხოს, იპოვე ის თავისუფლება, მერვე კლასიდან რომ ეძებდიო – მარტო ერთი პასუხი მაქვს: ვერ ვიპოვე, მაგრამ ვეძებ და ვიცი, მოვძებნი“.

„მაგ მხრივ გამიმართლა. ახლა აფხაზეთში ერთი დღითაც ვერ ჩადიან, მე კი იქ დავიბადე და გავიზარდე. სხვათაშორის, ადგილობრივების წესის მიხედვით, ზღვაზე არ დავდიოდით და დღემდე ამაზე მწყდება გული. იქ ხალხს ეგონა, რომ ეს ზღვა სულ ექნებოდათ, ისევე როგორც მაგალითად ხელი ან ფეხი. აფხაზეთი კარგი გაკვეთილი იყო, მაგალითი იმისა, რომ ყველაფერი მოჩვენებითია, სტაბილურობაც, ქონებაც, სიცოცხლაც... არაფრის არც შეგროვებას აქვს აზრი, არც კარიერას, არც დარდს. ყველაფერი ერთ დღეში შეიძლება დაიქცეს, შენი წარსული კი ის იქნება, რომ ზღვაზე ერთხელაც ვერ გაისიერნე ნორმალურად“.

„სიყვარული ისევე, როგორც ყველა სხვა გრძნობა, მუდმივი არ არის. ამ შემთხვევაში უფრო უპირატესია, ადამიანს ჩამოყალიბებული პრინციპები ჰქონდეს. შეიძლება გიყვარდეს, მერე აღარ, მერე ისევ... ეს ბუნებრივია. ყოველთვის ერთ ხასიათზე ვერ იქნები. პირობით, უმეტესად ადამიანი სულ იმის ცდამბია, როგორმე თავი ჭაობიდან ამოი-თრიოს, დეპრესიაში არ ჩავარდეს, რამე სისულელე არ ქნას და ასე შემდეგ. როცა რალაცის მიმართ გრძნობა გაქვს, რა თქმა უნდა, კარგია და ადვილია, მაგრამ აუცილებლად დადგება მობეზრების, უიმედობის დროც, როცა მოგეჩვენება, რომ რაც შენ გჭირს, სხვას არავის სჭირვებია. ეს განწყობაც წარმავალია და უბრალოდ მოთმინებას საჭიროებს. საერთოდ, ადამიანი თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ბედნიერი ვერასოდეს იქნება, მაგრამ ის მაინც შეუძლია, სული ჰქონდეს მშვიდად“

ადრე უფრო შეშინებული ვიყავი. ერთხელ მახსოვს, კვირკვეს მიმკითხავეს, დიდხანს იცოცხლებო და გულზე შემომეყარა, ამდენი ხანი რა უნდა ვაკეთო-მეთქი“.

„2008-ში, აგვისტოს ომის დროს ბორჯომის ტყეები რამდენიმე დღე ინვოდა და ეს არაფრით არ იყო დალუპულ ადამიანებზე ან დაკარგულ ტერიტორიებზე ნაკლებად მტკივნეული. მერე ამ თემაზე საკმაოდ ვიმუშავე, როგორც ჟურნალისტი და პარალელური აქედან წამოვიდა. როგორ ხდება ეკოციდი? რა ხდება ეკოციდის შემდეგ? იგივე ემართება ადამიანსაც. რეალურად ბორჯომის ტყეები ჩვენი გაუფრთხილებლობით და სხვისი აგრესიის შედეგად დაინვა. ბოლომდე ვერც სხვას დააბრალებ, ვერც საკუთარ თავს. ასევე ადამიანის ცხოვრებაშიც, ბევრ რამეს, რაც შენი და სხვისი ბრალია, ისეთივე მძიმე შედეგები მოაქვს, როგორც ამ ხანძარმა ტყისთვის მოიტანა. როგორ მოდის განსაცდელი – ჯერ პატარა ცეცხლია, მერე ეს ცეცხლი ძლიერდება, რალაც დროის შემდეგ უკონტროლო ხდება. მერე იწყება გადარჩენის, ჩაქრობის პროცესი – ტყის შემთხვევაში ამ დროს მიწას თხრიან, რომ ცეცხლი არ გავრცელდეს. ვერტმფრენებით წყალს ასხამენ. დიდი ხანძრები მალე არ ქრება, რამდენიმე დღე მაინც უნდა. ქრება მხოლოდ მაშინ, როცა უბრალოდ აღარაფერია დასანავავი. მერე იწვის ნიადაგი, ანუ ფერფლის და მიწის მასა. ამ დროს ალაგ-ალაგ მცირე ხანძრები ჩნდება ხოლმე. შემდეგ ხანძარი აღარ არის და იწყება უძრაობის ეტაპი. როგორც წესი, ასეთი ნიადაგი უკვე გამოუსადეგარია და ტყის აღმოსაცენად არ გამოდგება. ასეთ დროს მიწა სხვა ტყეებიდან უნდა მოიტანო, ხელოვნურად დარგო, ხელოვნურად გაამრავლო ნადირი, ფრინველი, დახარჯო მილიონები იმისთვის, რომ სადღაც 20 წლის მერე იმის მეოთხედი მაინც მიიღო, რაც მანამდე ბუნებრივად გქონდა. მახსოვს, ომის მერე პირველი კვლევა რომ დაინერა ბორჯომის ტყეებზე, სათითაოდ იყო აღწერილი, სად რა ჯიშის ნერგი აღმოცენდა და სად რა სახის მატლი ნახეს. განსაკუთრებით იყო აღნიშნული, ერთგან კურდღლის კვალიც ვიპოვეთო. ასე დაწვრილებით იმიტომ ვყვები, რომ ადამიანშიც ზუსტად ასე ხდება. ერთხელაც აღმოაჩენ, რომ ფერფლით დაფარული მთა ხარ და იმისათვის რომ ასეთად არ დარჩე, განვითარებას სულ უმცირესიდან იწყებ, თითქმის ატომიდან, ოღონდ რამე ცოცხალი იპოვო შენში და აღარ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა იქნება, მატლი, თავი, რომელიღაც სარეველა მცენარე თუ შხამიანი სოკო“.

„თუ მარტო ის ნერე, რაც გინახავს, ბევრს ვერაფერს დაწერ. საამისოდ ასაკიც არ მიწყობს ხელს. უამრავ რალაცას ვიგონებ. ან სინამდვილეს აიღებ და ცოტას მიუმატებ, ცოტას გამოაკლებ. სხვათა შორის, ყოფილა შემთხვევები, მართლა რე-

„სამწუხაროდ, არ ვარ ისეთი ძლიერი, რომ მიყვარდეს და სანაცვლოდ არაფერს მოვიტხოვდე. რამდენსაც გავცემ, იმდენივე უნდა მივიღო. ნათქვამია, რომ სიყვარული ისწავლება. მე, ჩემი მხრივ, ხშირად ვამბობ, რომ არსებობს ასეთი ცოდვა, დაუნახაობის ცოდვა, განსაკუთრებით თუ ეს სიყვარულის არდნახავას ეხება. ნამდვილი სიყვარული თავზე არავის ეცემა, ამ გრძნობამდე თანდათან მიდიხარ, რალაცის დათმობით, რალაცის გამეტებით. თუ გიყვარს ადამიანი, მისთვის არაფერი გენანება, არც სიტყვა, არც დრო, არც ფული... თუმცა შეიძლება სიყვარული არც მოვიდეს, არ მოვიდეს თუნდაც იმის გამო, რომ არ ელოდები, არ გჭირდება, ან იქ ეძებ, სადაც ის არ არის და არც არასოდეს ყოფილა, ან რამდენიმეჯერ მოვიდა და ვერ დაინახე... ყველაფერი შეიძლება, მოხდეს“.

„სიყვარული ნიშნავს, რომ უარს ამბობ კომფორტზე – იყო შენთვის. სიყვარული ადამიანში ახალი განზომილების აღმოჩენაა. ადამიანი საკუთარ თავს თავად ვერ აღმოაჩენს, ის სხვამ უნდა იპოვოს. ეს სხვა ან ღმერთი შეიძლება იყოს, ან მეორე ადამიანი. შეიძლება მთელი ცხოვრება უყურო ხალხს და ვერასდროს შეგიყვარდეს, შესაბამისად, ვერც ის გაიგო, რატომ მაინცდამაინც ადამიანია ღვთის ხატი და არა, მაგალითად, მარტორქა. იმიტომ, რომ კომპიუტერზე მუშაობა იცის? არა, იმიტომ, რომ მას აქვს ის მთავარი თვისება, რომელიც ღვთის მთავარი მახასიათებელიცაა – სიყვარულის გაცემის და მიღების უნარი.“

„სიყვარული ძალიან ჰგავს მათემატიკურ აღმოჩენას. მაგალითად, კაცობრიობის განვითარების პირველ ეტაპებზე ადამიანები მარტო კვადრატებს ხაზავდნენ, მერე ვილაცამ, უფრო პროგრესულმა, შეხედა და მიხვდა, რომ თუ კვადრატს სივრცეში წარმოვიდგენთ, ის კუბია. ასეთი აღმოჩენები ყოველთვის ძლიერი პიროვნებების მიერ კეთდება. სიყვარულიც დაახლოებით ასეთი რამ არის, მას პიროვნება სჭირდება – რომელსაც ეყოფა გამბედაობა, ადამიანს სივრცე დაამატოს, სხვა განზომილებაში წარმოიდგინოს. რეალურად, ამას მხოლოდ დანახვა უნდა, ეს სივრცე ადამიანს ისედაც დაბადებულიდან აქვს.“

„ყველა ამბავი გულგრილობით მთავრდება და მარტო ჩემ შემთხვევაში არა. სიყვარული და სიძულვილი ორივე მწველი გრძნობაა, გულგრილობა კი ისაა, რის იქითაც უკვე ვეღარ ნახვალ. ვილაცა უკვე ჩემთვის არ არსებობს, რალაცა უკვე მე არ მეხება. ეს ძალიან კომფორტული და უღმერთო დამოკიდებულებაა, სატანურიც კი. ამ გრძნობით ადამიანი საკუთარ თავს სხვისგან იზოლირებულს ხდის. ჩემი თავი ჩემი ოთახია, მე შიგ შევიკეტები, კარს მოვიხურავ და ვერავინ ველარაფერს ვეღარ მატკენს. ზოგადად ეს თანამედროვე ადამიანის ყველაზე დიდი პრობლემაა, ჩვენი თაობის პრობლემა. ყველანაირად ვცდილობ ხოლმე, ამბები გულგრილობით არ დამთავრდეს, მაგრამ ხშირად მაინც ასე ხდება“.

„წყენა დიდხანს მახსოვს, შეიძლება საერთოდ არც დამავინწყდეს. და კიდევ ხალხს ხომ სიკვდილის შიში აქვს, მე პირიქით – სიცოცხლის მეშინია, მომავლის. ახლა კიდევ შევეჩვიე,

ალური ამბავი დამინერია და სწორედ ის არ დაუ-
ჯერებიათ“.

„ამ ბოლო დროს, რალაც სულ სოფელზე და
მოხუც ქალებზე მეწერიდება. მაგრამ ამგვარი აჩე-
მებები დროებითია, ალბათ. ხანდახან ვცდილობ,
რაზეც მეწერიდება, იმაზე არ ვწერო, რათა ერთსა
და იმავეზე არ ვიყო ჩაცვიკლული. პროზაში უფრო
ადვილია საკუთარი თავის კონტროლი, ლექსებთ-
ან ამგვარი არაფერი გამომდის. მაგრამ ნამდვილ
პროზასაც უფრო მშვიდი ხასიათი, მეტი დრო და
ალბათ, ასაკიც უნდა, მე, მაგალითად, გრძელი
ხანარმოებების დასაწერად ნერვები არ მყოფნის.
თითო გვერდში ხუთი კაცის ამბავს ვყვები, რომ
მაღე დავამთავრო“.

„მაშინ მივხვდი, სიტყვის მიმართ შიში ღვთის
შუშს რატომ უტოლდება. ეს ლექსები არ იქნებო-
და, მე რომ ადამიანურად დალაპარაკების საშუ-
ალება მქონოდა. ლექსები მაშინ იწერება, როცა
გაჩუმებენ, როცა შენს ნათქვამს მძაფრი პროტეს-
ტი მოსდევს. ამ კრებულში ძალიან ბევრი ლექსია,
მეტაფორებით და სახეებით სავსე, მაგრამ ყველა
მათგანის საფუძველი ის ბანალური ფრაზებია,
რომლის თქმაც გინდოდა და ვერ თქვი: „მე შენ
მიყვარხარ“, „შენთან მინდა“, „მომავლის მეშინ-
ია“, „მენატრები“, „გიხდება“, „ცუდად მოიქეცი“,
„ასე არ უნდა გაგეკეთებინა“, „რამე მითხარი“,
„გამიხარდება, თუ მოკვდები“.

„ალარ მინდოდა წერა, არც იმაზე ფიქრი,
რაზეც ვწერდი. ლექსების წერა ადამიანს ასუს-
ტებს, ჭლეტიანეობით ხდება, მითუმეტეს თუ კარგი
არაფერი გეწერიდება. ზოგადად ყველა ადამიანი
ეგოისტია და ამ ეგოისტმა ერთ დღეს ჩემშიც გაილ-
ვიდა, ძალიან დროული მოთხოვნით, გადამერჩინა
საკუთარი ფსიქიკა. დღეს ლექსების წერას ისევე
ვერიდები, როგორც რალაც ისეთს, რისი გასწე-
ნაც არ გინდა. ვწერ პროზას, ზღაპრებს, რაც დიდ
სიამოვნებას მანიჭებს, მით უფრო, რომ ბავშვებს
მოსწონთ. ზღაპრების წერის ნიჭი უფრო იშვიათია,
ვიდრე ლექსების, ამიტომ ვცდილობ, ამჯერად
საკუთარ თავში ეს მიმართულება განვაფართოო.
ვიგონებ ამბებს, რომელზეც ყველა ხალისობს,
დიდიც და პატარაც. მეც მიჩვევნი, ადამიანები
გავაცინო, ატირებას სხვებიც მოახერხებენ.“

„ზღაპარი დადებითი სამყაროა, ლექსები-
სგან განსხვავებით. ლექსების წერისგან ადამიანი,
შესაძლოა, სერიოზულად დაიტანჯოს კიდეც. იმი-
ტომ კი არა, რომ ვერ წერ, არამედ იმიტომ, რომ
ხშირად ლექსს ცუდი ემოციის გამო წერ. ზღაპარს
კი, პირიქით, დადებითი ემოციით წერ და ასეთივე
შეგრძნებას გიტოვებს, როცა წერას ასრულებ.
შენ შეგიძლია ისეთი სამყარო შექმნა, როგორიც
გინდა, როგორსაც ვერც ლექსში შექმნი და ვერც
მოთხრობაში.“

„ადრე ზღაპრებში ასე იყო, რომ რალაც კონკრეტუ-
ლით სრულდებოდა და აღარსად ჩანდა გაგრძელება. ჩემს
ზღაპრებში არ არის კონკრეტული დასასრული – კეთილი
ან ბოროტი. ვასრულებ ხოლმე რაიმე ცხოვრებისეული მო-
მენტით, რის მერეც ეს ცხოვრება ისევ გრძელდება. დღევან-
დელი ზღაპრების გმირებიც უფრო რეალურები არიან – არც
ისე კეთილი და არც ისე ბოროტი, ისეთი, როგორიც ცხოვრე-
ბაა – არც ძალიან ცუდი და არც ძალიან კარგი. მე მგონია,
რომ არ შეიძლება ბავშვი 12 თუ 15 წლამდე ზარდო სხვა
სამყაროში და მერე გაუშვა სულ სხვა, რეალურ სამყაროში,
რომ თავი იმტვიროს, როგორ იცხოვროს შემდეგ. ყველა ზღა-
პარი იმისთვისაა, რომ რეალობაში იცხოვრო და რეალობაში
გამოიყენო.“

„ცუდი ის არის, რომ როცა ადამიანი ერთი და იგივეს
ბევრჯერ კითხულობს, ეჩვევა და მის ნაკლოვანებებს ვეღარ
ხედავს. მე ყოველ შემთხვევაში ასე მემართება. ბევრი ჩემი
ტექსტი მიყვარს. იგივე „სამეფო თხუნელა“, „ნასვლაზე ბევრი
დავწერე...“, „პირაქეთა საიქიო“. რაც არ მიყვარს, იმას არც
ვაჩერებ“.

„საბავშვო ლექსების წერა ძნელი სულაც არ არის, უბრალო-
დ ბევრს ამ მიმართულებით არაფერი უცდია. არ მიაჩნიათ
სერიოზულ საქმედ. საქართველოში საბავშვო ვერაფერი ვი-
თარდება იმის გამო, რომ ჩვენთან არა ბავშვის, არამედ მემ-
კვიდრის კულტია. უნდათ, ერთი შვილი ჰყავდეთ, რომელსაც
საუკეთესოს ჩააცმევინ, ოქსფორდს დაამთავრებინებენ, ანუ
ყველაფერ იმას მისცემენ, რაც თვითონ არ ჰქონდათ. სინამდ-
ვილეში, რაც უნდა თავზე დააკვდენ, ნებისმიერ ბავშვს მომა-
ვალში ისეთივე ადამიანური ცხოვრება ექნება, როგორც ყველა
სხვას, რალაც გაუხარდება, რალაც – ეწყინება“.

„არა მგონია, რამე განსაკუთრებული მოხდეს. თუ უფრო
უკეთესად წერას ვისწავლი, ძალიან კარგი იქნება. სხვა მხრივ,
რა ვიცი, რასაც ცხოვრება მოიტანს ყველაფერს დავხვდები,
მიუხედავად იმისა, ვიქნები ამისთვის მზად თუ არა“.

„რატომღაც მგონია, რომ გაივლის ბევრი, ძალიან ბევრი
წელი და ვილაც აუცილებლად აღმოაჩენს, რომ დედამიწა კი
არ იზიდავს სხეულებს, არამედ ცა. ასე რომ არ იყოს, მაშინ
რა ამოზნიქავდა ამ სიმაღლეზე ამხელა მთებს და მერე რა
აიძულებდა ადამიანებს, აელოთ თოკები, კარვები, წერაქვები,
და ნასულიყვენენ ცაში მთების გავლით. მაშინ, როცა ზუსტად
არ იცი, მიხვალ თუ არა და სანამ არ მიხვალ, არც ის იცი,
რისთვის მიდიოდი“.

მომზადა ეკა ქევანიშვილმა

**(ტექსტის მოსამზადებლად გამოყენებულია სხვადასხვა
სტატიები და ინტერვიუები თუა თოფურიასთან)**

თეა და თოფურია

„ადამიანს რომ შეეძლოს, ორი დაიბადებოდა,
ერთი ცხოვრებისთვის და ერთი თავის თავისთვის.“

ადამიანის უძველესი შიში – დაყოფის/გაყოფის/გამოყოფის/ მარტოყოფნის შიში მგონია. ანდროგინების მითიც სწორედ ამ შიშის პროექციაა, სადაც ქალი და კაცი ერთმანეთისგან გამოთავისუფლდნენ. მაგრამ რაკი ბუნება სიცარიელეს ვერ იტანს, ხოლო ლიტერატურა ბუნებას „ბაძავს“, გამოთავისუფლებული სივრცე სუბლიმაციური და ხშირად, სახიფათო თეორიებით შეივსო. შიზოფრენია, ანუ პიროვნების გახლეჩა ამ მითის კულმინაციური წერტილია.

ადამიანი დესტრუქციული ვინმეა. მიუხედავად იმისა, რომ მას დაყოფის ეშინია, სწორედ აქეთკენ მიდის ყველაზე მეტი ვნებით, შეიძლება ამიტომაც დაარქვა ლიტერატურას ერთმა ჭკვიანმა ადამიანმა „შიზოფრენის სოციალურად დაშვებული ფორმა“. თეა თოფურიას ერთ ლექსშიც ეს მომენტი დავიჭირე, შიში იმისა, რომ მარტო დარჩები და სურვილი იმისა, რომ მარტო დარჩე, გამოეყო საკუთარ თავს, იდენტობას, პოეზიას... ადამიანს რომ შეეძლოს, მართლა და მართლა, ორი დაიბადებოდა, თეა ლექსებს დაწერდა, თოფურია ნაიკითხავდა და იტყოდა, რომ ძალიან მოხერხებულად თქვა თეამ ის, რაც თოფურიას არც კი დაესიზმრებოდა: „ადამიანს რომ შეეძლოს, ორი დაიბადებოდაო“, მერე როგორ იყო? – „ერთი ცხოვრებისთვის და ერთი თავის თავისთვისო.“

თითქოს რეზინობანას თამაშობენ,
ღრუბლები თვითმფრინავის ზოლს ახტებიან.
როგორც ქარში სანთლის დანთება, ისეთია ეს სიყვარული,
არც თავლს, არც ცვილს არ ეკიდება.
მთვარე უნდა ჩამოგანოდო, თავისი ყველა კრატერით
თუ მაგნიტური ველით,
საათობით გაგრძელებული მიწისძვრებით,
რამდენიმე ზღვით, რომლებშიც წყალი არ არის,
რომლებსაც უცნაური სახელები ჰქვიათ:
ზღვა ხიფათის, ზღვა სიმშვიდის, ზღვა ოცნების...
ყვითელი და მრგვალი,
მშიერ კაცს რომ ყველს მოაგონებს
და მტვრიანი, როგორც უქალოდ დარჩენილი სახლი...
დავალაგებდით, ზღვებში წყალს ჩაუუსხამდით,
პურს მივატანდით...
სადილი, მთვარის შიგთავსით ისეთი გემრიელია,
ესავივით პირმშობებს დაგათმობინებს.
დანაყრებული ველ-მინდვრებში იხეტიალებ,
სანამ ყველა შენი ფეხსაცმელი, რომელიც კი როდისმე გცმია
აქ არ მოგიყვანს,
ჯერ კიდევ კაცს ან მთვარის შუქზე მგლად გადაქცეულს.
ზღვაო ხიფათის და სიმშვიდის თუ ოცნების,
თქვენ იცით ჩემი ლამის გზები –
ზღვა ხიფათის, ზღვა სიმშვიდის, ზღვა ოცნების.

ჯერ სახლიდან გასვლა რაა
ათასი ეჭვი გამოგყვება,
ან უთო ჩართული,
ან წყალი მოშვებული ხომ არ დაგრჩა.
სხვა ქალაქში წასვლა რაა,
რაც არ უნდა დიდი ჩემოდანი ჩაალაგო,
რალაც მაინც დაგავიწყდება...

და სიცოცხლეს რომ კარს გამოუხურავ,
იქ რომელი ერთი უნდა იდარდო,
წასაღები და დატოვებული.

ადამიანს რომ შეეძლოს, ორი დაიბადებოდა,
ერთი ცხოვრებისთვის და ერთი თავის თავისთვის.
მდულარეში შეღებილი ძაფით არ განყდებოდა,
ხის კოვზით არ გაცვდებოდა,
ძველი შარვალივით დაჯდომა-ადგომაში
არ გადაიხეხებოდა უადგილო ადგილას.
ორიდან ერთი მაინც დაფარავდა ჩვენს სიშიშველეს,
ორიდან ერთი მაინც მომყვებოდა ჭირში შავი პურით,
ლხინში – მინდორში საცეკვაოდ.
ერთს მეორესთან ვულალატებდი და არცერთს არ ეწყინებოდა.
უფრო ნოყიერი იქნებოდა სიზმარში ნანახი მინაც,
არა ასეთი ხრიოკი,
ზედ რომ ეტყობა – ძილის წინ არავიზე ვოცნებობდი.

ეს ყველაფერი უბრალოდ მიდებ-მოდებაა,
ლობე-ყორე, აბდა-უბდა.
მთელი ქალაქის მალაზიებს
ერთი შარვლის საყიდლად რომ მოივლი
და სალამოს გაგეცინება,
იქნებ ეს შენი ბოლო დღე იყო,
რაში დახარჯე.
როგორ გიყვარვარ, უფალო,
როგორ მიჭირს შენი სიყვარულის გადატანა.
ყველა ძონძი, ყველა კრემიანი ნამცხვარი შენს თავს მირჩენია.
შვილი არ მყავს, თორემ ვილას გაახსენდებოდი.

როგორ დაგემდუროთ, ვინც თავიდან მიშორებდით,
ვინც თქვენს ძონძს და თქვენ წილ ლუკმას ჩააჩერდით,
ვინც ღმერთს ისე გადამაბარეთ,
ჩემთვის ერთხელ არ გილოციათ.
მეც თქვენსავით ვარ.
როცა ღმერთს კლავდნენ,
არც გოლგოთაზე ვტიროდი
და არც ბრბოდან მიყვირია, ჯვარს აცვით-მეთქი.
სახლში ვიყავი, ან ბაზარში, ან ზეთისხილის ხეებს ვუვლიდი.
როცა ღმერთს კლავდნენ, მე ეს სულაც არ გიმიგია.

ამ მთიდან მთამდე გზა არის,
ორ გათენებას გამოლევს.
მესამე დალამებამდე,
მთამდე ვერა და კალომდე
მიხვალ... იქიდან გრძელი გზა
უფსკრულებს მიღმა ეშვება.
მოკლეზე – საიქიოა
გამოსავლელი... ეშვებით
ეშმაკების და ქაჯების,
ჯოჯოხეთმა რომ ჩასჩარა.
ისეთი უსაშველოა,
თითქოს გიყვარს და მას არა.



ხელეგაშლილი სადაც დადგები,
შენი ჯვარიც იქ იქნება,
შენი ჰორიზონტი და ვერტიკალი.
ცხვარივით ვარ – ხორციც, მატყლიც,
ჩემი ყველაფერი ვარგა –
გეყოფი და კიდევ მოგრჩები.

ახლოს დამმარხე,
როცა გაგიჭირდება, იქვე ჩამომძახებ,
ჩემი ძვლები რამეს მოიფიქრებენ...

ეს აბაპი ჩვენზეა!

რა შემიძლია გავაკეთო მე,
საკუთარ გათხრილ სამარეზე ჩამომჯდარს,
საფლავეში ფეხებჩაკიდებულს,
მშვიდს, რადგან რაც არ უნდა ვიდარდო,
ბოლო მაინც სამოთხე ან ჯოჯოხეთია,
იქ კი მაინც ყველაფერი დაგაგინწყდება,
ერთგან სიხარულის, მეორეგან უფრო მეტი
სიმწრის მიზეზით.

ჩვენი უცნაური მშობლები კი როგორ გვავალებდნენ,
წარმატებულები და ბედნიერები ვყოფილიყავით.
მიამიტად ეგონათ, თვითონ თუ ასე არ გამოუვიდათ,
ან მათი ბრალი იყო,
ან არასწორ დროს, არასწორ ადგილას დაიბადნენ
და არა იმის, რომ ცხოვრებაა ზოგადად ასეთი –
გაქუცული, ბებერი ძაღლის ხერხემალივით,
რაც არა აქვს, რას გინილადებს.

და თანაც
ყველაფერი საჭირო ადამიანში ისეც ბლომად დევს
თუკი ერთხელ მაინც საკუთარ თავს სახლად გაიხდის,
შუქს აანთებს და მიალაგებს,
ყველა სანოლის და მაგდის ქვეშ შეიხედავს,
ხომ არ დარჩა სადმე რამე, სამ ლურსმანზე მეტი,
ჯვარზე გასაკრავად ესეც გეყოფა,
ყველაფერი დანარჩენი კი საცყურაა,
ამ ცხოვრებისკენ მოსახედად, მისანდობად,
სამათხოვროდ: სიხარულის, ბედნიერების...
გასანზილებლად!

მყავდა მინა, სანამ ცოცხალი ხარ,
შენი ხორცი არ ეჭმევა,
დრო მოვა – გაიხსნილებს.

როგორც ბევრჯერ გარეცხილი პერანგი –
თან თეთრი როა და თან აღარც,
რომ უყურებ და ფიქრობ,
დააკერო თუ უფრო გახიო და გადაადგო,
ისეა ეს სულიც,
ცხოვრებისთვის აღარ გამოდგება,
სიკვდილისთვის კი ვერ იმეტებ –
ოდესლაც კარგი იყო, გიყვარდა, იხდენდი...

თან ხანდახან,
ისე ადვილად იშლები მხრებში,
ველარც კი იგებ, გადაიარა ყველა წირმა,
თუ პირიქით, მართლა მკვდარი ხარ
და სამარემ კუზი წაშალა.

ეს დღე აქ არა, ორთავ სოფელს იქით გათენდა.
საკუთარ ჩონჩხში ძვლებს ადგილს ვუცვლი,
სხვა კაცი რომ გამოვიყვანო.
მაინც მე ვარ,
ჩემს თავს ამით ვცნობ –
შეყვარებულია,
ცოცხლებს რომ ბაძავს, სულ ასე მოსდის ხოლმე.

აი, ასეთია სიყვარული –
ვირის წინ ჩამოკიდებული თივა.
მისი ხათრით მიდიხარ გზაზე,
მისი ხათრით ზიდავ ცხოვრებას,
ერთი ასფურცელა ადამიანისკენ,
საკუთარ თავში უამრავჯერ რომ გამობვეულა...

აი, ასეთია სიყვარული,
მაგრამ, ჩვენ ჯერ კიდევ მაშინ გაგვაბრიყვეს,
როცა ცაში ავიხედეთ,
სინათლის სხივის წყალობით
დავინახეთ ის ვარსკვლავები, რომლებიც აღარ არიან
და შევეგუეთ ამ დიდ ტყუილს ჩვენს თავს ზემოთ,
რადგანაც ლამაზი იყო.

სასაცილოა

ჩემი ბორბლებზე შეყენებული საფლავი
ყველგან რომ დამაქვს, ვაითუ
ბეტონზე მოვკვდე, ვერ გათხარონ,
სასაცილოა.
ერთხელ სადმე მიმეგდო და მეცხოვრა.
იქნებ, როგორ გამომივიდეს,
იქნებ, ისე გავტუტუცდე, აღარც ვკვდებოდე...

შაბათს გინახავ.
სხვა დღეები საფლავწამოკიდებული სიარულია,
სამსახურს და მეგობრებს მოდებული
სიკვდილის გარდა მაინც ყველაფერს ვასწრებ.

ეს შენახული შაბათები რომ ამოალაგო,
ხელუხლებელი და დაკეცილი შაბათები,
წელიწადები გამოგივა,
ერთმანეთს გადააბამ და ჩემს მერეც იცოცხლებ.

თეა თოფურია და წუთისოფლის სტუმრები

ათოდე წლის წინ, როცა თეა თოფურიას ლექსების სადებიუტო პუბლიკაციაზე პირველი რეცენზია დავენერე „ალტერნატივასთვის“, ძნელად წარმოვიდგენდი, როგორ მრავალმხრივ განვითარდებოდა მისი შემოქმედება. მაშინდელი ლექსები ქართული ხალხური პოეზიის იმპულსების საავტორო მოდიფიკაციად შევაფასე, სადაც კარგად ჩანდა დამწყები პოეტის შემოქმედებითი ურთიერთობა ქართულ მითოლოგიასთან, ზღაპრებთან, ხალხურ პოეზიასთან.

შემდგომ ათ წელიწადში ისე მოხდა, რომ თეამ თვითონვე დაიწყო ზღაპრების წერა, რომელთა ერთი ნაწილი ქართულ ხალხურ ზღაპრებს ენათესავება, ხოლო მეორე ნაწილი, ასე ვთქვათ, სრულიად ინტერნაციონალურია და ევროპული საბავშვო მწერლობის საუკეთესო ტრადიციებს აგრძელებს.

გასულ წელს თეა თოფურია საქართველოდან ასტრიდ ლინდგრენის საერთაშორისო პრემიაზე წარადგინეს. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პრემია საბავშვო მწერლობის დარგში და მე თუ მკითხავთ, თეას ორი წიგნი – „პარადიის არდადეგები“ და „გასაღვიძებელი ზღაპრები“ ამ პრემიას იმსახურებს. ასეთი საბავშვო ნაწარმოებების ენა ყველა ხალხის ბავშვებისთვის გასაგებია. ქართულმა გამომცემლობებმა მათ თარგმნაზე და ექსპორტზე რომ სერიოზულად იფიქრონ, მოგებას თვითონაც ნახავდნენ და ჩვენებურ მწერლებსაც არ აწყენდათ ევროპული ტირაჟების გაყიდვიდან მიღებული ჰონორარი. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ თეა თოფურია 2012 წლის პრემია „გალას“ ლაურეატია არაჩვეულებრივი და მეტად ორიგინალური საბავშვო წიგნისთვის „გასაღვიძებელი ზღაპრები“.

კიდევ ერთი რამ, რაც გასული ათი წლის განმავლობაში გამოიკვეთა, ამ ავტორის შემოქმედების ფართო ამპლიტუდაა, რომელიც სხვადასხვა დროს რადიკალურად იხრება ხალასი იუმორით დანერილი საბავშვო ლექსებიდან თუ ზღაპრებიდან სერიოზულ, ტკივილებით აღსავსე პოეზიამდე და პროზამდე. განსაკუთრებით ურუნტელისმომგვრელია მისი მოთხრობა „სახლი“, რომელიც აფხაზეთიდან

დევნილი ადამიანების სულების თავიანთ სახლში დაბრუნებაზე მოგვითხრობს და იმთავითვე გენუსხავს საშინელებათა ფილმის მსგავსი ფანტასტიკური სიუჟეტით. შეიძლება ითქვას, ეს ნაწარმოები თეა თოფურიამ თავის მშობლიურ სოხუმს მიუძღვნა, საიდანაც მან, სხვა დევნილებთან ერთად, საერთო ტკივილი და ნოსტალგია წამოიყოლა. მას შემდეგ, აგერ, უკვე ოცი წელი გავიდა. დევნილთა ერთმა თაობამ საფლავში ჩაიტანა გაციებული კერიის ხელახლა გაღვივების ოცნება, რომელიც შესაძლოა, ბუნებაში არც კი გამქრალა...

დიდებისთვის განკუთვნილ ლექსებსა და მოთხრობებში თეა თოფურია წუთისოფლის სტუმრებზე წერს, იმქვეყნად გასამგზავრებლად რომ ემზადებიან ან უკვე იქ არიან. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ავტორი ორივე სამყაროზე ერთდროულად გვიამბობს – საქაოზეც და საიქიოზეც, თანაც ისე, რომ მკვდრები ხანდახან ცოცხლებივით გველაპარაკებიან, თითქოსდა არსადაც არ წასულან და ჩვენს გვერდით არიან:

„ეს დღე აქ არა, ორთავ სოფელს იქით გათენდა.
საკუთარ ჩონჩხში ძვლებს ადგილს ვუცვლი,
სხვა კაცი რომ გამოვიყვანო.
მაინც მე ვარ,
ჩემს თავს ამით ვცნობ –
შეყვარებულია,
ცოცხლებს რომ ბაძავს, სულ ასე მოსდის ხოლმე“.

ეს ლირიკული გმირები თეას ლექსებში სიკვდილზე ხსოვნას დაატარებენ, ზოგჯერ – თავიანთ საფლავსაც („ჩემი ბორბლებზე შეყენებული საფლავი ყველგან რომ დამაქვს, ვაითუ ბეტონზე მოკვდეთ, ვერ გათხარონ...“). პერსონაჟები – პატივცემული და ძვირფასი მკვდრები თუ იმქვეყნად მიმავალი თვითონვე მსჯელობენ სიკვდილ-სიცოცხლის ეგზისტენციალურ საკითხებზე, ანდერძად სასარგებლო რჩევებს იბარებენ („ახლოს დამმარხე, როცა გაგიჭირდება, იქვე ჩამომძახებ, ჩემი ძვლები რამეს მოიფიქრებენ...“). ამ პასაჟებში ყოფნა-არყოფნის მარადიულ და რთულ პრობლემაზე ფიქრი იუმორში ისეა გაზავებული, რომ მას მკითხველი შედარებით მსუბუქად აღიქვამს, არ ითრგუნება („თან ხანდახან ისე ადვილად იშლები მხრებში, ვეღარც კი იგებ, გადაიარა ყველა ჭირმა, თუ პირიქით, მართლა მკვდარი ხარ და სამარემ კუზი ნაშალა“).

თეა თოფურიას შემოქმედების სხვა საინტერესო ნიუანსებზე აღარ შევჩერდები, თორემ ამ პროცესმა შორს გატყუება იცის.

თანაც, ამაზე მეტი რა შემიძლია გავაკეთო მე, საკუთარ გათხრილ სამარეზე ჩამომჯდარმა, საფლავში ფეხებჩაკიდებულმა, მშვიდმა?!

თეა თოფურიას ადვილი სიკვდილი

პოეზიაში ყველაზე მეტად პათეტიკა მძულს. ამიტომაცაა, რომ ჩემთვის, ლექსების შეფასებისას, ეს ერთ-ერთი მთავარი საზომია. პათეტიკის დოზებს, ალბათ, ყველა ინდივიდუალურად ზომავს. მე ჩემს ინდიკატორს დავიჭერ ხოლმე ხელში და ზუსტად ისე, როგორც ელექტროენერგიას ჩამრთველში, ისე ვამონებ – მოდის თუ არა ჩემამდე ესა თუ ის ავტორი, მისი სიტყვა. მე მიყვარს, როცა პირდაპირ მიყვებიან – მიკიბვ-მოკიბვის გარეშე. მიყვარს, როცა ნივთებს ჰქვია თავისი სახელი და როცა ადამიანები ლექსებში არ არიან უფრო ლამაზები, ვიდრე სინამდვილეში. მიყვარს, როცა არც სიცოცხლეზე მიყვებიან გადაჭარბებული სიამტკებლობით, არც სიკვდილით მაშინებენ. მიყვარს, როცა ლექსს ძალა მოაქვს და შიგნიდან გაზანზარებს.

ასეთია ჩემთვის თეა თოფურიას პოეზია.


მაგრამ ის, რაზეც დღეს მინდა დავწერო, ეს – მის ლექსებში სიკვდილის თემაა. ბოლო დროის ლექსები მაინც გატენილია სიკვდილით. რას აგიკიდებია და დაათრევ მაგ მკვდარს-მეთქი, ერთხელ ვუთხარი და აბა, მკვდარი? გაიკვირვა. მერე ამ ლექსებს თავიდან ჩაზეხდე, იქნებ ეს ის სიკვდილი არ არის, მე რომ მგონია-მეთქი. ერთხელ იყო ასე, ყველას ეგონა აფხაზეთზე წერდა, თავის ქალაქს, სოხუმს სწერდა გრძელ-გრძელ წერილებს, ეს კი უბრალოდ, სიყვარულზე წერდა.

სიკვდილი თეა თოფურიასთან არ არის საშიში. თანაც იმდენად, რომ შეგიძლია მის გვერდით ჩამოჯდე, „საკუთარ სამარეზე ჩამომჯდარს, საფლავში ფეხებჩაკიდებულს“ მოუჯდე და მოუსმინო, რომ თურმე არ უნდა იდარდო, რადგან ბოლოს მაინც სამოთხე ან ჯოჯოხეთია. იქ კი მაინც ყველაფერი გაიწყდება“. თითქოს ხომ ასეთი მშვიდი და მომზადებულია, მაგრამ მაინც რალაც ენანება. ერთ ლექსში თავის სულს დახეულ პერანგს ადარებს და ვერ გადაუწყვეტია, დაკემსოს და გადაიცვას თუ შორს მოისროლოს, რადგან ცხოვრებისთვის აღარ გამოდგება. ხან თავს მარტივად მოიმკვდარუნებს ხოლმე, თითქოს მართლა სატარებელი საფლავი ჰქონდეს, ბორბლებზე შემდგარი, შიგ ჩანვება და დადის.

მის ლექსებში სიკვდილი ადვილია. იქნებ იმიტომ, რომ მისი არ სჯერა:

„ზოგადად სიკვდილი მაინტერესებს, ცოცხალი სადღაც 80 წელი ხარ და მკვდარი – ათასობით წელი, ეგ უფრო ბუნებრივი მდგომარეობაა. ბევრი ამბობს, რომ სიკვდილზე ვწერ. ეს ზუსტად ასე არ არის, მე ვწერ იმ ქვეყანაზე, რომელიც ჩვენს მიღმაა, რომელშიც ჩვენც წავალთ და იქ გაცილებით მეტხანს მოგვინევს ყოფნა, ვიდრე აქ ვიყავით და იქ ყველაფერი უფრო რეალური იქნება. იქაური ყველაფერი მაინტერესებს, როგორია, როგორები არიან ჩვენს გარდა, კიდევ ვინ იქნება და ასე შემდეგ. ცხოვრება, ქალაქი, ადამიანები, ეს თვალწინაა და მეტ-ნაკლებად გასაგები. რასაც ვერ ხედავ, უფრო საინტერესოა. ჩემთვის საიქიო ისევეა, როგორც ბრაზილია, რომელიც არასდროს მინახავს, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ არსებობს. არასოდეს მიგრძენია თავი მარტო ამ ცხოვრების ნაწილად, ბავშვობიდან მაქვს გრძნობა, რომ ეს სამყარო, როგორც 3D, ისეა. სიკვდილზე არ ვწერ, უფრო მეტიც, სიკვდილის საერთოდ არ მჯერა.“

და მიუხედავად იმისა, რომ არც საშიშია და თანაც ადვილი, სიკვდილს თეა თოფურიასთან მაინც ახლავს რალაცნაირი აუტანელი მოწყენილობა და შფოთი, არაფერი დარჩეს აქ, მინაზე ისეთი, რაც იქ ძალიან, ძალიან დაენანება.



ჯიბრან ხალილ ჯიბრანი



გიორგი ლობჯანიძე

1961 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ ინაუგურაციის ცერემონიაზე წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა: „ნუ იკითხავთ, სამშობლომ თქვენთვის რა გააკეთა; იკითხეთ: თვითონ რა გააკეთეთ თქვენი სამშობლოსათვის.“ ეს ფრაზა დღემდე ბევრ ამერიკელს სამუშაო ოთახში გაუკრავს, თუმცა მათგან ალბათ ცოტამ თუ იცის, რომ კენედი ამ სიტყვებს ლიბანში გამომავალი არაბული გაზეთის ორმოცდაათი წლის წინანდელ ერთ პუბლიკაციას დაესესხა, რომლის იმ დროისათვის ახალგაზრდა, ყველასათვის უცნობი ავტორი ჯიბრან ხალილ ჯიბრანი შემდგომში სახელმწიფოებრივი და საქვეყნოდ აღიარებული მწერალი გახდა.

ამ სიტყვებით, ფრთიან გამოთქმად რომ პრეზიდენტ კენედის ბაგეთა მეშვეობით გადაიქცნენ, ხალილ ჯიბრანი არაბული ქვეყნების ახალგაზრდობას მიმართავდა; ქვეყნებისა, რომლებიც იმხანად ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ და გამეტებით იბრძოდნენ ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ცხადია, ახალგაზრდა ჯიბრანიც ამ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული პუბლიკაციიდან და ავტორის სხვა სტატიებიდანაც შესანიშნავად ჩანს, რომ ჯიბრანის საგაზეთო სტატიების სტილი იმ დროისთვისაც კი პოლიტიკურ-პუბლიცისტური არ ყოფილა; ეს უფრო მისტიკოსი პოეტის მწერლური სტილია, რომელიც გარემოებათა გამო, იძულებული გამხდარიყო, პოლიტიკური მიმომხილველის მისია ეკისრა. ჩვენი ნათქვამის ნათელსაყოფად, შეგვიძლია, ჯიბრანის ადრეული სტატიებიდან რამდენიმე ფრაგმენტი გავიხსენოთ. მაგალითად, იგი თავისი ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ასე ახასიათებდა:

„ახლო აღმოსავლეთში მღელვარება ძრწოლის ზარს ჰგვრის ძილქუშს. ეს მღელვარება გაიმარჯვებს, რადგან მისი სარდალი მზეა, ლაშქარი კი – განთიადის რიჟრაჟი.“

ანდა:
„გაზაფხული რომ თავის ნალარას ჩაჰბერავს, ზამთრის მკვდრები საფლავებიდან დგებიან, სუდარებს შორს მოისვრიან და წინ მოიწევენ.“

ეს სტრიქონები შეგვეძლო თამამად ჩაგვესვა ჯიბრანის შემდგომდროინდელ თხზულებებში, ისე რომ ამით ტექსტის

მთლიანობა არ დარღვეულიყო და სტილური შეუსაბამობის განცდა არ გვექონოდა.

საქვეყნო აღიარება კი ხალილ ჯიბრანმა სწორედ ინგლისურად დანერილი რამდენიმე პოეტურ-მისტიკური თხზულებით მოიპოვა, რომელთა მხატვრული ესთეტიკა დიდად არის დავალებული აღმოსავლური პოეზიისა და მისტიციზმისაგან. დღეს ჯიბრანი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული არაბი ავტორია, ვის შემოქმედებასაც ინტერესით თარგმნიან და კითხულობენ მთელს მსოფლიოში. თუმცა, მწერალმა, ვიდრე ასეთ პოპულარობას მიაღწევდა და ძველი დროიდანვე პოეტთა მიერ განდიდებულ მათა მწვერვალებთან თუ ქვეყნის ღერბზე გამოსახულ ნეკერჩხალთან ერთად, თავისი სამშობლოს – ლიბანის – მესამე სიმბოლოდ იქცეოდა, ცხოვრების რთული და ტრაგიკული გზა გაიარა.

იგი 1883 წლის 6 იანვარს დაიბადა ლიბანის ჩრდილოეთით მდებარე პატარა მთიან სოფელ ბიშარიში, ლარიბი მარონიტი ქრისტიანის ოჯახში. მარონიტები იმ ერთ-ერთი კათოლიკური სექტის მიმდევრები არიან, რომელიც V საუკუნეში ბიზანტიის ეკლესიაში ჩამოვარდნილი განხეთქილების შემდგომ წმინდა მარონის მიერ დაარსდა და ფართოდ გავრცელდა მთელს მახლობელ აღმოსავლეთში. აღსანიშნავია, რომ დღეს ქრისტიანი არაბების უმრავლესობას სწორედ ამ სექტის მიმდევრები შეადგენენ. ჩვენ შემთხვევაში საინტერესოა ისიც, რომ მარონიტ სასულიერო პირებს, კათოლიკეთაგან განსხვავებით, იმთავითვე ჰქონდათ ქორწინების უფლება და ხალილ ჯიბრანის დედა სწორედ ერთი ლარიბი მარონიტი მღვდლის წერა-კითხვის უცოდინარი ქალი იყო. მწერლის მამა, რომელსაც ასევე ხალილ ჯიბრანი ერქვა, უპასუხისმგებლო კაცი გამოდგა და ოჯახი უსახსროდ, ლუკმაპურის გარეშე მიატოვა.

ჯიბრანის პირველდანწყებითი განათლება მეტად მწირი გახლდათ და სოფლელი მღვდლის

დახმარებით, საღვთო წერილის არაბული თარგმანისა და სირიულ ენაზე ქრისტიანობის საფუძვლების შესწავლით თუ შემოიფარგლებოდა. მწერალმა შედარებით რიგიანი, თუმცა მაინც არასრული განათლება შემდგომ ამერიკაში და რაც მთავარია, ლიბანში თავისი ოთხწლიანი ცხოვრებისას მიიღო.

იმხანად ლიბანი, დღევანდელ სირიასა და პალესტინასთან ერთად, ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთი პროვინციის, ეგრეთ წოდებული „დიდი სირიის“ შემადგენლობაში შედიოდა, რომლის მცხოვრებლებმაც XIX საუკუნის შუა ხანებიდან ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად სერიოზული ბრძოლა წამოიწყეს. თუმცა ეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მუსლიმ და ქრისტიან არაბებს შორის სარწმუნოებრივ ნიადაგზე წარმოქმნილ გაუგებრობათა გამო (რაც განსაკუთრებით მწვავედ სწორედ ლიბანში იგრძნობოდა) თავიდანვე არაერთგვაროვნად და ტრაგიკულად წარიმართა.

ქვეყანაში შექმნილმა რთულმა ვითარებამ ჯიბრანების ღარიბი ოჯახი, სხვა მრავალ თანამემამულესთან ერთად, ლუკმაპურისა და უკეთესი ცხოვრების მოძიების მიზნით, ამერიკის შეერთებული შტატების გზას გაუყენა. ხალილ ჯიბრანის დედა ამერიკაში ემიგრირებულ ლიბანელთა პირველივე ტალღას შეუერთდა და 1895 წლის ზაფხულში მარჩენალის გარეშე დარჩენილი მათი ოჯახი ჯერ ნიუ-იორკს ჩავიდა, საიდანაც მალევე ქალაქ ბოსტონის სამხრეთით მდებარე ჩინურ კვარტალში გადაინაცვლა.

მწერლის დედა დღიურ სარჩოს თავიდან მწვრილმანებობით შოულობდა, მერე კი პატარა დუქანიც გახსნა და უფრო მყარი შემოსავალი გაიჩინა. ჯიბრანების ოჯახიდან ხალილი ერთადერთი ბავშვი იყო, რომელსაც სკოლაში სიარული და სწავლა-განათლების მიღება შეეძლო. მისი ორი და კი წერაკითხვის უცოდინარი და არაბული ტრადიციული საზოგადოების წარმოდგენათა ტყვეობაში დარჩა. უეჭველია, შემდგომში ამ გარემოებამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ის, რომ ხალილ ჯიბრანი ქალთა უფლებებისა და თავისუფლებების აქტიურ დამცველად და მებრძოლად მოგვევლინა.

1898 წელს, იმის მიუხედავად, რომ ჯიბრანი ინგლისურსაც კი რიგიანად ჯერ არ დაუფლებოდა, არაბული და ფრანგული ენებისა და ლიტერატურის შესასწავლად ლიბანში დაბრუნდა, სადაც 1902 წლამდე დაჰყო. სწორედ ამ წლებში გამოჩნდა პირველად მისი მწერლური და მხატვრული ტალანტი. ლიბანში ცხოვრების უკანასკნელ წელს თავის მეგობარ იუსუფ ალ-ჰუვაიქთან ერთად დააარსა ჟურნალი „ალ-მინარა“ და სწორედ ამ ჟურნალში გამოაქვეყნა პირველი არაბული ნაწერები თუ გრაფიკული ესკიზები.

1902 წელს ჯიბრანი ბოსტონში მცხოვრებ ოჯახს დაუბრუნდა. თუმცა ამერიკაში მის დაბრუნებამდე ერთი თვით ადრე, მისი 14 წლის და სალტანა, რომელიც მწერალს განსაკუთრებულად უყვარდა, ტუბერკულოზით გარდაიცვალა. ამ მოვლენამ, თან რომ სიკვდილთა მთელი ჯაჭვი მოიყოლა, პოეტის ანენილი სულიერი მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა; თუმცა, მეორეს მხრივ, მისი მწერლური და შემოქმედებითი ნიჭი მეტად გაღრმავდა და მალე ბოსტონის ლიტერატორთა და მხატვართა წრეებში, ეს ახალგაზრდა ფერმკრთალი ჭაბუკი, ყოველმხრივ დაფასებულ და საყვარელ ხელოვანად იქცა.

ამ დროისათვის ხალილ ჯიბრანზე რამდენიმე წლით უფროსი მწერალი ქალი ჟოზეფინ ბიპედი მომეტებულად დაინტერესდა ჯიბრანის პიროვნებით და ბიშარიში ხალილ ჯიბრანის ცხოვრების შესახებ – რასაკვირველია, საკუთარი წარმოდგენების მიხედვით – ვრცელი პოემაც კი დაწერა, რომელსაც სათაურად „მოციქული“ უწოდა. აღსანიშნავია, რომ ჟოზეფინ ბიპედი ხალილ ჯიბრანს მუდამ „ჩემს მოციქულად“ მოიხსენიებდა. უეჭველია, რომ ეს კავშირი და ბიპედის ეს პოემა გახდა ბიპედის მიმცემი ჯიბრანის ერთ-ერთი შესანიშნავი წიგნის, „მოციქულის“ შესაქმნელად, რომელზედაც პოეტი რამდენიმე წელი მუშაობდა. სწორედ 1923 წელს, „მოციქულის“ გამოქვეყნების შემდეგ მოიპოვა ჯიბრანმა მსოფლიო აღიარება და ამით მის ხანგრძლივ შიმშილობასა და უკიდურეს სიღატაკესაც წერტილი დაესვა.

მანამდე კი ჯიბრანის ცხოვრებაში უდიდესი როლი კიდევ ერთმა ქალმა ითამაშა. 1904 წლის ზაფხულში, ბოსტონში ჯიბრანის ესკიზებისა და გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა მოეწყო, რომელმაც ხელოვნების კრიტიკოსთა დიდი ყურადღება მიიქცია. თავად ჯიბრანისთვის კი ამ გამოფენას განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სწორედ ამ დროს გაიცნო ბოსტონის ქალთა გიმნაზიის დირექტორი მერი ჰასქელი. მან წააქეზა ჯიბრანი თავისი არაბული თხზულებების ინგლისურად თარგმნის სანაცვლოდ უშუალოდ ინგლისურ ენაზე ეწერა. ამ პირველი ინგლისურენოვანი თხზულებების რედაქტირება კი თავის თავზე აიღო. მერი ჰასქელი იმდენად იყო გატაცებული ჯიბრანის პიროვნებითა და შემოქმედებით, რომ ერთხანს არაბულის სწავლასაც შეეცადა, რათა ჯიბრანის აზროვნების სტილსა და თვითგამოხატვის ყაიდას უკეთ გასცნობოდა. აღსანიშნავია, რომ იგი ჯიბრანზე ათი წლით უფროსი გახლდათ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ შემდგომში სწორედ ასაკობრივი სხვაობის გამო მერი ჰასქელმა უარყო ჯიბრანის საქონწინო წინადადება, თუმცა, ამით მათ ურთიერთობაში არაფერი შეცვლილა; სიყვარული და პატივისცემა ძველებურად თავის ადგილას დარჩა ისე, რომ სხვა კაცზე გათხოვების შემდგომაც მერი ჰასქელს არაბ პოეტზე ზრუნვა, მისი ბედისწერის თანაგანცდა და მის ცხოვრებაში მონაწილეობა არ შეუწყვეტია. ჰასქელმა დღიურის წერაც კი წამოიწყო, სადაც ჯიბრანთან თავისი შეხვედრებისა და საუბრების უმნიშვნელო წვრილმანებსაც კი აღნიშნავდა. ეს დღიური 1931 წლამდე, ანუ ჯიბრანის სიკვდილამდე გრძელდებოდა და შემდგომში სწორედ მერი ჰასქელის ჩანაწერები დიდი არაბი მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის საუკეთესო წყაროდ იქნა აღიარებული.



ჯიბრანის გრაფიკა

სხვათაშორის, ხალილ ჯიბრანი მიიჩნევდა, რომ მისი ტალანტი, როგორც მხატვრისა, მწერლურ ნიჭიერებაზე უფერული და ნაკლებ მნიშვნელოვანი სულაც არ ყოფილა. თუმცა იგი თვითნასწავლი გახლდათ და მუდამ ოცნებობდა, როგორც გრაფიკოსს, სისტემური განათლება მიეღო. 1908 წელს მერი ჰასქელის ფინანსური თანადგომით, ჯიბრანმა შეძლო ბოსტონიდან პარიზს გამგზავრება. წინა საუკუნის დასაწყისის პარიზის ლიტერატურულმა და მხატვრულმა ბოჰემამ თავდაპირველად ჯიბრანსაც დაახვია თავბრუ. თუმცა, ხელოვნების მექად აღიარებულ საფრანგეთის დედაქალაქში მცირე ხნით ცხოვრებამ დიდი არაბი მწერალი მიახვედრა, რომ სისტემური განათლების მიღების ყავლი მისთვის კარგა ხანია გასულიყო და ყოველდღიური სალექციო-სასემინარო მეცადინეობა აღარაფერს შეჰძამატებდა. ყოველ შემთხვევაში, მან პარიზის ხელოვნების უმაღლეს სკოლას თავი მიანება და საფრანგეთში გაცნობილ არაბ მეგობრებთან ერთად ამ ქვეყნის მუზეუმებისა და გამოფენების დათვალიერებას მიჰყო ხელი. 1910 წელს ჯიბრანი ევროპიდან შვედეთში შტატებში დაბრუნდა და ისევ მერი ჰასქელის დახმარებით ბოსტონში ახალი ცხოვრება დაიწყო.

დღეს უკვე გარკვეულია, რომ ხალილ ჯიბრანი ერთადერთი ხელოვანი არ ყოფილა, ვისაც მერი ჰასქელი ეხმარებოდა; თუმცა ამ ქალბატონის სხვა პროტექტორთაგან ჯიბრანის დიდებისა და ოსტატობისათვის აღარავის მიუღწევია. თვითონ ხალილ ჯიბრანი, როგორც ჩანს, ხშირად თავილობდა ჰასქელის ასეთ თავგამოდებულ მეურვეობას და ეს გარემოება მათ შორის სერიოზული უთანხმოებებისა და უსიამოვნებების საბაბიც კი არაერთხელ გამხდარა. თუმცა, ამ უსიამოვნებებს ჯიბრანისთვის ხელი არ შეუშლია, რომ 1912 წელს ნიუ-იორკში გამგზავრებისა და ცხოვრების ხარჯები ისევ მერი ჰასქელისათვის ეთხოვნა. გარდა ფინანსური დახმარებისა, მერი ჰასქელმა გაუწია

ჯიბრანს წერილობითი რეკომენდაცია ნიუ-იორკის ლიტერატურულ და შემოქმედებით წრეებში წარსადგენად, რასაც ცხოვრების ხარჯებზე არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ყველა იმ ადამიანისათვის, ვინც ამ ქალაქში დაფუძნებას აპირებდა. სხვათაშორის, სწორედ ამ პერიოდში შექმნა ჯიბრანმა მისი თანამედროვე დიდი შემოქმედების ჩანახატები, რომელთაგან აღსანიშნავია იეიტსის, როდენის, სარა ბერნარის და კარლ გუსტავ იუნგის პორტრეტები.

ამ პერიოდსვე დაემთხვა ის ფაქტი, რომ იტალიამ ოსმალეთის იმპერიას ომი გამოუცხადა და ამ ომმა არაბ ემიგრანტებს საშუალება მისცა, კიდევ ერთხელ ეცადათ, თავიანთი სამშობლო ოსმალეთის იმპერიის ბატონობისაგან დაეხსნათ. ხალილ ჯიბრანი ამ მოძრაობაში აქტიურად ჩაერთო და აღნიშნული კუთხით მისი მოღვაწეობა 1914 წლამდე, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე გრძელდებოდა.

ომის ოთხწლიან მონაკვეთშიც ამერიკის შვედეთში შტატები და მისი მოკავშირეები, საკუთარი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, დიდ დახმარებას უწევდნენ არაბულ ქვეყნებს ოსმალური თურქეთის წინააღმდეგ. ჯიბრანი ჩართული იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის მოღვაწეობაში და არაბ ემიგრანტთა ევროპულ და ამერიკულ გამოცემებში სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს, სტატიებს, ლექსებს თუ მოთხრობებს. კრიტიკოსთა შენიშვნით, ხალილ ჯიბრანის ამ პერიოდის ტექსტებს სიფაქიზე, ლირიზმი და პოეტური დახვეწილობა გამოარჩევს. ზოგიერთი ეს ტექსტი შემდგომში ჯიბრანის საუკეთესო თხზულებებად იქნა აღიარებული. მაგალითად, პოეტურ-მისტიკური ჩანაწერები, რომლებიც მოგვიანებით მწერალმა მერი ჰასქელის დახმარებითა და რედაქტორობით ინგლისურად თარგმნა, ერთ წიგნად გამოსცა და სათაურად „შლეგი“ უწოდა. „შლეგი“ ჯიბრანის პირველი ინგლისური წიგნია. სპეციალისტთა შეფასებით, ამ დროისათვის მისი ინგლისური ჯერ კიდევ არ არის დაწმენდილ-დახვეწილი. თუმცა საღვთო წერილის არაბული თარგმანის ღრმა ცოდნამ და შემდგომში ბიბლიის ინგლისურ ენაზე გადაკითხვამ ჯიბრანის ინგლისურენოვან თხზულებებს ძველი ენისათვის დამახასიათებელი ფლერადობა მისცა და ამ სტილმა ის განსაკუთრებული ელვარება შეიძინა, რაც მკითხველს დღემდე ხიბლავს და იზიდავს „შლეგში“ და რაც ამ წიგნს ჩვენ დრომდე სიცოცხლესა და ცხოველმყოფელობას უნარჩუნებს.

ამ პერიოდისათვის ჯიბრანი სერიოზულად ინტერესდება ფრიდრიჰ ნიცშეს შემოქმედებით და ამ ინტერესის კვალი მის შემდგომდროინდელ ნაწერებსა და, განსაკუთრებით, ერთ-ერთ საუკეთესო რომან „მოციქულშიაც“ გარკვევით შეინიშნება. „მოციქული“, შეიძლება ითქვას, ნიცშეს „ასე იცყოდა ზარატუსტრას“ ნაბაძვითა და გავლენით არის დაწერილი. თუმცა, ჯიბრანი, იმის მიუხედავად, რომ თავს მორწმუნე ქრისტიანად არ მიიჩნევდა, ნიცშესაგან განსხვავებით, დიდ სიყვარულს ამჟღავნებს ქრისტეს მიმართ და მას სუსტ ადამიანად და მონური მორალის მქადაგებლად კი არა, ზეკაცად მიიჩნევს, რომელმაც საკუთარი თავი მომავალ თაობებს ადამიანური ზნეობისა და ძლევამოსილების გაუხუნარ მაგალითად დაუსახა.

შეიძლება ითქვას, რომ თვითონ ჯიბრანს მთელი ცხოვრება ეძვირფასებოდა იესოს სახება და მის სახელს თავის თითქმის ყველა არაბულ ნაწარმოებში ახსენებდა; მას მთელ თავებსა თუ სპეციალურ ესეებსაც კი უძღვნიდა. მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ „იესო – ბავშვი და ბავშვის სიყვარული“, „ტანჯვა და ღიმილი“, „ჯვარცმული იესო“, „დღესასწაულის საღამო“ ნიგინიდან „ქარიშხლები“ და ბოლოს, 1928 წელს გამოქვეყნებული მისი ინგლისური რომანი „იესო ძე კაცისა“, რომელიც კრიტიკოსთა და ლიტერატურისმცოდნეთა შეფასებით, ხალილ ჯიბრანის საუკეთესო ინგლისურენოვანი ტექსტია.

პირველ რიგში, რასაკვირველია, ყურადღებას იქცევს თვითონ რომანის არქიტექტონიკა. ეს არის ჯიბრანის ფანტაზიით „აღდგენილი“ იმ სამოცდაჩვიდმეტი ადამიანის მონათხრობი, რომელიც სიცოცხლეში იცნობდა იესოს. ამ სამოცდაჩვიდმეტი კაციდან უმეტესი სახარების ტექსტებშია მოხსენიებული, ანდა ისტორიული პიროვნებებია; მაგალითად: მარიამ მაგდალინელი, პილატე პონტოელი, სიმონ-პეტრე... ზოგიერთი კი თვითონ ჯიბრანის მიერ არის გამოგონილი: ასაფი – ტვიროსელი ორატორი, სპარსელი ფილოსოფოსი დამასკოში, ლიბანელი მწყემსი და სხვანი... „იესო ძე კაცისა“ ეჭვსა და რწმენას შორის მოცახცახე ნიგნია, რომლის გულწრფელობის ხარისხიც შეგვიძლია ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებათა“ შინაგან ტონალობას შევადაროთ. პრაქტიკულად, ეს ორი სხვადასხვა ნიგნი ორ განსხვავებულ ეპოქაში მცხოვრები ადამიანის გულწრფელი მიმართებებია წარმავალ და მარადიულ ღირებულებებთან; გულახდილად მოყოლილი სულიერი გამოცდილებაა და ამიტომაც ინარჩუნებენ ოდინდელ ბრწყინვალებასა და ცხოველმყოფელობას.

„იესო ძე კაცისა“ ერთ-ერთი არაბული თარგმანის, არქიმანდრიტ ანტონიუს ბაშირის ვარიანტზე დართული წინასიტყვაობის ავტორის, დოქტორ ნაზაქ საბა იარადის შენიშვნით, ჯიბრანამდე თითქმის ერთი საუკუნით ადრე, დიდი ინგლისელი პოეტი უილიამ ბლეიკი (1757-1827) ამტკიცებდა, რომ იესო კაცისაგან შორს მყოფი ღმერთი არ ყოფილა. შემდგომში ეს აზრი შემოქმედებითად განავითარა ხალილ ჯიბრანმა, რომელსაც ბოსტონის სალიტერატურო წრეებში XX საუკუნის ბლეიკს უწოდებდნენ. აღსანიშნავია, რომ ბლეიკის გარდა, კიდევ მრავალმა მწერალმა იქონია გავლენა ჯიბრანის მსოფლხედვისა და ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბებაზე. თვითონ მწერალი არასოდეს მალავდა თავის სიმპატიებს ძველი თუ თანამედროვე კოლეგების მიმართ და გახსნილად მიუთითებდა, რომ მას ღრმა კვალი დააჩნია რუსოს, ვაგნერის, იბსენის, სტრინდბერგის, ბერგსონის, კარლ-გუსტავ იუნგის, როდენის, უილიამ ჯეიმსის, დოტოევსკის, ტოლსტოისა და ლეონიდ ანდრეევის შემოქმედებამ.

საგულისხმოა, რომ ჯიბრანი მხოლოდ დასავლელ ავტორებს ჩამოთვლის. აღმოსავლელთაგან კი განსაკუთრებით უყვარდა იბნ სინა და იბნ ალ-ფარიდი. თუმცა, მისი არაბული პროზა ძველი ტრადიციულ-აკადემიური სისტემების რღვევისა და სრულიად ახლებური მწერლური ყაიდის ჩამოყალიბების მცდელობას წარმოადგენს. უნდა ითქვას, რომ ეს მცდელობა წარმატებული გამოდგა, რადგან დღევანდელი არაბული

ლიტერატურა, ერთის მხრივ, სწორედ არაბ რომანტიკოსთა და განსაკუთრებით, ამ სკოლის ორი მეთაურის, ამინ არ-რეიჰანისა (1876-1940) და ხალილ ჯიბრანის სტილურ ძიებათა ხაზით განვითარდა. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზემოთ ნახსენები მცდელობის წარმატება დიდწილად ალბათ ჯიბრანის ბილინგვიზმითა და საკუთარ თავში ორი კულტურის შერწყმითაც იყო განპირობებული.

სხვათა შორის, ჯიბრანი „იესო ძე კაცისა“ ერთ-ერთ თავში, საველ ტარსუსელის შესახებ რომ საუბრობს, დაუფარავი ირონიით შენიშნავს: „საველ თანამოდმე იუდეველებს დამტკრეული ბერძნულით ესაუბრებოდა და სიტყვებს მკაფიოდ და მარჯვედ ვერ გამოთქვამდაო.“ თუ ამ ირონიას თავად ხალილ ჯიბრანისაკენ მივმართავთ, იგი უთუოდ სარკაზმში გადაიზრდება, რადგან ბედისწერამ განუსაჯა ლიბანელ არაბს, თავისი უკეთესი ნაწარმოებები ინგლისურად შეექმნა; მაგრამ ჯიბრანის შემთხვევაში არც სარწმუნოებრივი ფაქტორი უნდა დაგვავიწყდეს. იგი ხომ ეთნიკურად არაბი, მაგრამ აღმსარებლობით მარონიტი ქრისტიანი და ამდენად, ბერძნულ-ბიზანტიური და ევროპული კულტურის ლეიძლი შვილი გახლდათ, მაშინ, როცა მუჰამადს თავის ერთ-ერთ ესეში „არაბთა წინასწარმეტყველს“ უწოდებდა. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ თავს, ტრადიციულ-ეკლესიური გაგებით, არც ქრისტიანად მიიჩნევდა და სასიკვდილო სარეცელზეც კი, როცა ჰკითხეს – იყო თუ არა ქრისტიანი – უარყოფითად უპასუხა. ძნელია იმის გაგება, რა მოტივებით ხელმძღვანელობდა იმ წუთას ჯიბრანი, მაშინ როცა, მისი ნაწერები სრულიად საპირისპირო რამეს გვიმტკიცებენ. როგორც ზემოთაც აღინიშნა, იგი მთელი ცხოვრება ფიქრობდა იესო ქრისტეზე და გარდა წინამდებარე რომანისა, რამდენიმე ესე თუ პოეტურ-მისტიკური ჩანაწერიც უძღვნა.



ჯიბრანის მიერ დასაბუთებული მერი ჰასქელი

ქვიშა და ქაფი

(ფრაგმენტები)

მე ყოველთვის ვისეირნებ ამ ნაპირებზე,
ქვიშასა და ქაფს შორის,
მოქცევა ნაშლის ჩემს ნაფეხურებს,
ქარი გაფანტავს ქაფს,
ზღვა და ნაპირი კი სამუდამოდ დარჩება.

ერთხელ, ხელი ნისლით ავივსე,
შემდეგ, გაეშალე ხელი და დახეთ, ნისლი სითბო იყო.
ხელი მუშტად შევკარი, ისევ გაეშალე და დახეთ, იქ ჩიტი იყო.
და ისევ, შევკარი და გაეშალე ხელი. ხელისგულზე კაცი დამხვდა მწუხარე სახით, თავდაყირა.
ისევ შევკარი ხელი და როცა გაეხსენი, აღარაფერი დამხვდა ნისლის გარდა.
მაგრამ საოცრად დამატკობელი სიმღერა გავიგონე.

მხოლოდ ერთხელ დავკარგე მეტყველების უნარი. ეს მაშინ მოხდა, როცა ვილაცამ მკითხა: „ვინ ხარ შენ?“

ღვთის პირველი ფიქრი ანგელოზი იყო.
ღვთის პირველი სიტყვა – ადამიანი.

სფინქსმა მხოლოდ ერთხელ დაილაპარაკა. თქვა: „ქვიშის მარცვალი უდაბნოა. უდაბნო ქვიშის მარცვალია; „ახლა
კი, ყველანი ისევ დავდუმდეთ.“
მე გავიგონე სფინქსის ნათქვამი, მაგრამ ვერ გავიგე.

წმინდა ქალაქისკენ მიმავალ გზაზე პილიგრიმი შემხვდა. ვკითხე: „ეს ნამდვილად წმინდა ქალაქისკენ მიმავალი
გზაა?“
თქვა: „მომყევი და წმინდა ქალაქში ერთ დღე-ღამეში ჩახვალ.“
მიყევი. მრავალმა დღემ და ღამემ განვლო. წმინდა ქალაქს მაინც ვერ მივაღწიეთ.
საკვირველია, მაგრამ ჩემზე გაბრაზდა, მცდარი გზით რომ წამიყვანა.

შეიძჯერ ავიგდე აბუჩად ჩემი სული:
პირველად, როცა მოკრძალება შევატყვე, წარმატების მიღწევა რომ შეძლო.
მეორედ, როცა ხეიბარს თავი კოჭლად მოაჩვენა.
მესამედ, როცა არჩევანი ჰქონდა რთულსა და მარტივს შორის და მარტივი აირჩია.
მეოთხედ, როცა შეცდა და თავი იმით დაიმშვიდა, რომ სხვებიც ცდებიან.
მეხუთედ, როცა სისუსტის გამო მოითმინა და ეს მოთმინება ძლიერებას მიაწერა.
მეექვსედ, როცა სახის სიმახინჯე შეიჯავრა და არ იცოდა, რომ ეს მისი ერთ-ერთი ნილაბი იყო.
და მეშვიდედ, როცა პირფერობა ღირსებად ჩათვალა.

შენ ღვინოს სვამ, რომელმაც შეიძლება მოგწამლოს, მე კი ვსვამ – იქნებ, სხვა ღვინისგან გამომაფხიზლოს.

როცა ჩემი ფინჯანი ცარიელია, ვეგუები მის სიცარიელეს, მაგრამ როცა ნახევრად სასვია, აღშფოთებული ვარ
ნახევრად სისავსით.

ნახევარი იმისა, რასაც ვამბობ, უაზრობა, მაგრამ ისე ვამბობ, რომ მეორე ნახევარმა შეძლოს შენთან მოღწევა.

იუმორის გრძნობა ზომიერების გრძნობაა.

თავი მარტოსულად მაშინ ვიგრძენი, როცა ადამიანებმა ჩემი ნაკლი – მრავლისმეტყველება შეაქეს და ჩემი ღირსება – დუმილი გაკიცხეს.

როცა ორი ქალი ლაპარაკობს, არაფერს ამბობენ; როცა ერთი ქალი ლაპარაკობს, მთელს თავის ცხოვრებას გიყვება.

კარგად რომ გაგეხილა თვალები და შეგეხედა, ყველა გამოსახულებაში საკუთარ ანარეკლს დაინახავდი. სმენა რომ გაგემახვილებინა და მოგესმინა, ყველა ხმაში საკუთარ ხმას გაიგონებდი.

ორი ადამიანი სჭირდება სიმართლის აღმოჩენას: ერთი, რომ თქვას სიმართლე, მეორე – რომ გაიგოს.

ხეები პოემებია, რომლებსაც დედამინა ცაზე წერს. ჩვენ ვჭრით მათ და ქალაქად ვაქცევთ, რომ ჩვენი სიცარიელის ჩანერა შევძლოთ.

თუ მშვენიერებას უმღერი, თუნდაც შუა უდაბნოში იყო, მსმენელი მაინც გამოგიჩნდება.

შთაგონება ყოველთვის იმღერებს; შთაგონება ახსნა-განმარტებებს არასოდეს მოგცემს.

როგორ შეძლებ საჭმელით გამოვსებული პირით სიმღერას?
როგორ აწევ ხელს სალოცავად, თუ ოქროთი გაქვს სავსე?

გიჟი არ არის არც შენზე, არც ჩემზე ნაკლები მუსიკოსი. უბრალოდ, ინსტრუმენტი, რომელზეც ის უკრავს, ცოტათი მოშლილია.

თუ მზეს ზურგს შეაქცევ, საკუთარი ჩრდილის გარდა ველარაფერს დაინახავ.

სტუმრებისთვის რომ არ ყოფილიყო, ყველა სახლი სამარეს დაემსგავსებოდა.

ჩემთანაც მოდიან ანგელოზები და დემონები, მაგრამ მე მათ თავიდან ვიცილებ.
როცა ანგელოზი მოდის, ძველ ლოცვას ვკითხულობ და მოიწყენს.
როცა დემონი მოდის, ძველ ცოდვას ჩავდივარ და მიდის.

თუ თევზს ითხოვ და გველს გაძლევენ, ალბათ გველის გარდა არაფერი აქვთ მოსაცემი. მათი მხრიდან ეს ხელ-გაშლილობაა.

ჭეშმარიტი მიმტვევებელი ხარ, როცა მიუტევებ მკვლელებს, რომლებსაც სისხლი არასოდეს დაუღვრიათ, ქურდებს, რომლებსაც არასოდეს მოუპარავთ და მატყუარებს, რომლებსაც არავითარი სიყალბე არ ჩაუდენიათ.

ხშირად შემძულდება თავდაცვის მიზნით. უფრო ძლიერი რომ ვყოფილიყავი, ასეთ იარაღს არ გამოვიყენებდი.

ყველანი პატიმრები ვართ, მაგრამ ზოგი ჩვენგანის საკანს სარკმელი აქვს, ზოგისას – არა.

უცნაურია, მაგრამ ყველანი ჩვენს შეცდომებს უფრო თავგამოდებით ვიცავთ, ვიდრე სიმართლეს.

ერთხელ, ერთი კაცი ჩემს სუფრას მიუჯდა, ჩემი პური ჭამა, ჩემი ღვინო დალია, დამცინა და ნავიდა. შემდეგ, ისევ მოვიდა პურისა და ღვინისთვის. მე გავაგდე. და ანგელოზებმა დამცინეს.

სიძულვილი მკვდარი რამ არის. რომელი თქვენგანი ისურვებდა მისი საფლავი ყოფილიყო?

მათ ჩვენს წინაშე სიმდიდრე გამოფინეს: ოქრო-ვერცხლი, სპილოს ძვალი და შავი ხე. ჩვენ მათ გული და სული გადავუშალეთ. მიუხედავად ამისა, საკუთარი თავი მასპინძლები ჰგონიათ, ჩვენ – სტუმრები.

აქაური უმაღლესი ღირსება შეიძლება უმდაბლესი იყოს სხვა სამყაროში.

სინამდვილეში ჩვენ მხოლოდ საკუთარ თავს ველაპარაკებით, მაგრამ ხანდახან ისე ხმამაღლა ვლაპარაკობთ, სხვებსაც ესმით.

ყბედისგან დუმილი ვისწავლე, სულსწრაფისგან – მოთმინება, ბოროტისგან – სიკეთე; და რა უცნაურია, – არც ერთ მასწავლებელს არ ვემადლიერები.

გათხარე ნებისმიერი ადგილი დედამიწაზე და განძს იპოვი, მაგრამ ამისთვის გლახის რწმენით უნდა თხარო.

თუ საიდუმლოს ქარს გაუმხელ, ნუ დაადანაშაულებ იმაში, რომ შენს საიდუმლოს ხეებს გაანდობს.

უცნაურია, რომ უხერხემლო არსებებს ყველაზე მაგარი ნაჭუჭი აქვთ.

შემოდგომაზე ყველა ჩემი დარდი მოვაგროვე და ბაღში დავმარხე. როცა აპრილი მოვიდა და გაზაფხულმა დედამიწა საქორწილოდ გამოაწყო, ჩემს ბაღში უბადლო სილამაზის ყვავილები ამოვიდა. მეზობლები მოვიდნენ მათ სანახავად. ყველამ მკითხა: “როცა შემოდგომა მოვა, მოგვცემ ამ ყვავილების თესლს, ჩვენს ბაღებშიც რომ იხაროს?”

ინგლისურიდან თარგმნა ირმა მახარაძემ

გუშინ, დღეს, ხვალ

- ვერ უყურებ, მისთვის მკლავი გაუყრია, გუშინ კი ჩემს მკლავზე იყო ჩამოკიდებული! - ვუთხარი ჩემს მეგობარს.
- ხვალ მე ჩამომეკიდება მკლავზე, - მიპასუხა.
- შეხედე, მას მისჯდომია გვერდზე, გუშინ კი ჩემს გვერდით იჯდა! - ვუთხარი მას.
- ხვალ მე მომიჯდება, - მიპასუხა.
- ვერ უყურებ, ღვინოს სვამს მისი ჭიქიდან, გუშინ კი ჩემი ჭიქიდან წრუპავდა! - ვუთხარი.
- ხვალ ჩემი ჭიქიდან მოსვამს, - მომიგო მან.
- შეხედე, როგორი სიყვარულით სავსე მზერით მისჩერებია! გუშინ კი მე მიცქერდა ასე, - ვუთხარი მეგობარს.
- ხვალ მე შემომაცქერდება, - მიპასუხა.
- უსმინე ერთი, სიყვარულის ჰანგებს როგორ ჩასჩურჩულებს ყურში! გუშინ კი მე მეჩურჩულებოდა. - ვუთხარი მას.
- ხვალ მე ჩამიჩურჩულებს ყურში, - მომიგო.
- შეხედე, მას ეხვევა! გუშინ კი მე მეხვეოდა! - ვუთხარი მეგობარს.
- ხვალ მე მომეხვევა, - მიპასუხა მან.
- რა უცნაური ქალია! - ვუთხარი.
- ის ცხოვრებას ჰგავს! ყველა კაცს ეკუთვნის. სიკვდილივითაა, ყველა კაცის მძლეველია და მარადისობის მსგავსად ყველას შთანთქავს. - მითხრა მეგობარმა.

არაბულიდან თარგმნა დარეჯან გარდავაძემ

الجبال تصلي وأشعة الغروب تودعها

والأودية تصلي وضباب المساء يغمرها

جبران خليل جبران



სკალპელი და სანანსთეზიო საშუალებები

- ის ექსტრემისტია თავისი თითქმის გიჟური პრინციპებით!
- ის ფანტაზიორია, ახალგაზრდა თაობის ზნეობის გასარყვნელად რომ წერს!
- დაქორწინებული და დაუქორწინებელი კაცები და ქალები ქორწინებაზე ჯიბრანის იდეებს რომ აპყვენენ, ოჯახის საფუძვლებს ძირი გამოეთხრება, საზოგადოების ინსტიტუტების ნაგებობები ჩამოიშლება, ეს ქვეყანა ჯოჯოხეთად იქცევა, მისი მკვიდრნი კი - ეშმაკებად.
- მის სამწერლობო სტილში სილამაზე ნაძალადევია, რადგან ის კაცობრიობის მტერია!
- ის ანარქისტია, ურწმუნო და ერეტიკოსი! ჩვენ ვურჩევთ ამ დალოცვილი, ღვთივკურთხეული მთის მცხოვრებთ, ზურგი აქციონ მის მოძღვრებას და დაწვან მისი წიგნები, რათა არაფერი დააჩნდეს იქიდან მათ სულებს!
- უკვე ნავიკითხეთ მისი „დამტვრეული ფრთები“ და ეს არის კუპრის წვეთი თაფლის კასრში.

* * *

ეს მხოლოდ ნაწილია იმისა, რასაც ხალხი ჩემზე ლაპარაკობს და ისინი მართლები არიან - მე სიგიჟემდე მისული ექსტრემისტი ვარ, დანგრევისკენ ისევე ვარ მიდრეკილი, როგორც შენებისკენ! ჩემს გულში სიძულვილია იმისა, რასაც ხალხი წმინდად მიიჩნევს და სიყვარული იმისა, რასაც ისინი მიუღებლად თვლიან. რომ შემეძლოს, ისე ამოვძირკვავდი მათ წეს-ჩვეულებებს, რწმენებსა და ტრადიციებს, წუთით არ შევყოყმანდებოდი! ზოგი რომ ამბობს, თითქოს ჩემი წიგნი კუპრის წვეთია თაფლის კასრში, ეს ნათქვამი სქელი ნიღბის მიღმა დამალულ ჭეშმარიტებას ააშკარავებს, შიშველი ჭეშმარიტება კი ასეთია - მე არ ვურევ ერთმანეთში კუპრს და თაფლს, არამედ უბრალოდ ჩამოვასხამ მათ... და ჩამოვასხამ სუფთა, გამჭვირვალე ჭიქებში.

ისინი კი, თავს რომ მარიდებენ ჩემგან სულების გადასარჩენად და ამბობენ, რომ ფანტაზიური ვარ და ღრუბ-
ლებში დაფორინავ, სწორედ ისინი არიან, ვინც თვალმოუცილებლად მისჩერებიან ამ გამჭვირვალე ჭიქათა ელვარე-
ბას, მაგრამ გაურბიან სასმელს, რაც მათშია და მას კუპრს ეძახიან, რადგან მათი უღონო კუჭები მას ვერ იწელებს.
ეს წინასიტყვაობა მოწმობს მოურიდებელ უსირცხვობას, მაგრამ განა უტიფრობა თავისი მოურიდებლობით არ
სჯობს ნატიფ მუხანათობას?! უტიფრობა ხომ თავის თავს ავლენს მაშინ, როცა მუხანათობა სხვის თარგზე მოჭრილ
სამოსშია გამოწყობილი.

* * *

აღმოსავლელები მწერლისგან ითხოვენ, ფუტკარივით იყოს, მინდორ-ველს რომ დასტრიალებს და ყვავილთა
ნექტარს აგროვებს თაფლის ფიჭის დასამზადებლად.

აღმოსავლელებს უყვართ თაფლი და მის გარდა სხვა საქმელს გემოს ვერ ატანენ, უზომოდ გეახლებიან მას იმ
დროით, რომ თავადაც თაფლად გადაიქცნენ, ცეცხლზე რომ დნება და მხოლოდ ყინულში ჩადებული მკვრივდება.

აღმოსავლელები პოეტისგან მოითხოვენ, საკუთარი თავი საკმევლად უკმიოს მათ სულთნებს, მმართველებს
და პატრიარქებს. აღმოსავლეთის ზეცა იმ საკმევლის კვამლითაა შებურული, სამარხებს, საკურთხევლებს და ტახტ-
საბრძანებლებს ყოველი მხრიდან რომ ასდის, მაგრამ აღმოსავლელები ამით როდი კმაყოფილდებიან! ჩვენს დღევან-
დელობაში პანეგირისტები ალ-მუთანაბბის ჰბაძავენ და ეჯიბრებიან, ნატირალის მთხზველნი ალ-ხანსას აჭარბებენ
და მჭევრმეტყველნი უფრო ენაწყლიანნი არიან, ვიდრე საფი ად-დინ ალ-ჰილლი.

აღმოსავლელები მეცნიერისგან მოითხოვენ, თავისი მამა-პაპის ისტორია იკვლიოს, მათი ნაკვალევი და მათი
დანატოვარი ძეგლები შეისწავლოს, მათი ადათ-ჩვეულებები! თავისი დღენი და ღამენი მათ ენებზე დანერილ
კასიდებს, მათი ლექსიკის ეტიმოლოგიას, მათი რიტორიკის კორპუსს შეაღიოს.

აღმოსავლელები მოაზროვნისგან მოითხოვენ, მათ ყურთა გასაგონად იმეოროს ბაიდაბას, იბნ რუშდის, ეფრემ
სირიელისა და იოანე დამასკელის ნაუბარი, საკუთარ წიგნში კი არ გასცდეს სულელური შეგონებისა და უსუსური
ჭკუის დარიგების ფარგლებს და იმ სიბრძნესა და სასწაულებს, ამ ორს შორის რომ იბადება, რომელსაც თუ მიჰყვა
კაცი, მისი ცხოვრება ჩრდილში ამოსულ დამჭქნარ ბალახს დაემსგავსება, მისი სული კი – ოპიუმნარეფ დუბელა
წყალს.

მოკლედ რომ ვთქვათ, აღმოსავლელები გარდასული წარსულის სცენებში ცხოვრობენ, პასიურ-ნეგატიურ
თავშესაქცევ-გასართობებისკენ აქვთ მისწრაფება, სძულთ პოზიტიური, განყენებული და აბსტრაქტული მოძღვრე-
ბები და პრინციპები, რომლებიც სუსხავს მათ და მშვიდი სიზმრებით მოცული ღრმა ძილისგან აფხიზლებს.

* * *

მართლაც, აღმოსავლეთი ავადაა. მისი ქრონიკული დაავადებები პერიოდულად მწვავდება და დროდადრო ეპი-
დემიები მოიცავს ხოლმე იქამდე, რომ ის უკვე შეგუებულია საკუთარ ავადმყოფურ მდგომარეობასა და ათასობით
ტკივილს, ბუნებრივ მდგომარეობად აღიქვამს თავის სწეულებებსა და ტკივილებს; უფრო მეტიც, ისე უყურებს მათ,
როგორც კეთილშობილ სულთა და ჯანმრთელ სხეულთა თანდაყოლილ კეთილ თვისებებს და ვისაც ეს არ აქვს, ის
ნაკლოვნად მიიჩნევა, ზეციურ ნიჭსა და სრულყოფილებას მოკლებულად.

აღმოსავლეთს ბევრი ექიმი მკურნალობს. ისინი მის საწოლს არ შორდებიან და კონსილიუმზე მის საკითხს
განიხილვენ, მაგრამ მხოლოდ დროებითი ეფექტის მქონე საანესთეზიო საშუალებებით წამლობენ, რაც ახანგრძ-
ლივებს ავადმყოფობის დროს და არ კი კურნავს მას!

ამ მორალურ და სულიერ საანესთეზიო საშუალებებს რაც შეეხება, მრავალსახოვანი და მრავალფეროვანია,
ისინი ერთიმეორის მიყოლებით ჩნდებიან და ისე ენაცვლებიან ერთმანეთს, როგორც სხვადასხვა სწეულებანი და
დაავადებები. როგორც კი ახალი ავადმყოფობა იჩენს თავს აღმოსავლეთში, აღმოსავლეთის ექიმები მისთვის მამ-
ინვე ახალ საანესთეზიო საშუალებას აღმოაჩენენ ხოლმე.

მიზეზები, რომლებსაც საანესთეზიო საშუალებების გამოყენებისკენ მივყავართ, მრავალია. მათგან ყველაზე
მთავარი ისაა, რომ ავადმყოფი მთლიანად ემორჩილება განგებისა და ბედისწერის წინასწარგანჩინებულობის ცნო-
ბილ ფილოსოფიას, ექიმები კი სიმბდალეს იჩენენ და შიშობენ, რომ ეფექტური წამლების გამოყენებას ტკივილის
გამწვავება მოჰყვება.

ახლა წარმოგიდგინთ იმ საანესთეზიო და დამანყნარებელი საშუალებების მაგალითებს, რომლებსაც აღმოსავ-
ლელი ექიმები მიმართავენ ოჯახური, ეროვნული და რელიგიური ავადმყოფობებისას:

კაცი ცოლს ვერ იტანს და ცოლი ქმარს ცხოვრებისეული პირობითობების მიზეზით. ერთმანეთში კინკლაობენ,
ჩხუბობენ და ერთმანეთს დასცილდებიან. მაგრამ დღე-ღამეც არ გაივლის და კაცის სანათესაო შეიყრება ქალის
სანათესაოსთან ერთად, ენამოქარგულ აზრებსა და შელამაზებულ იდეებს გაცვლიან ერთმანეთში და შეთანხმდე-
ბიან, მშვიდობა ჩამოაგდონ ცოლ-ქმარს შორის. მოიყვანენ ცოლს და მისი ემოციების და გრძნობების საცდუნე-
ბლად ისეთი ცრუ შეგონებებით აავსებენ, ქალს სირცხვილით რომ აწითლებს, მაგრამ ვერ არწმუნებს. შემდეგ ქმარს

მოინვევენ და თავს გამოუჭდავენ მოქარგული სიტყვებითა და მაგალითებით, რომლებიც მის აზრებს კი დაიცორებს და შეარბილებს, მაგრამ ვერ ცვლის. აი, ასე მიიღწევა შერიგება – დროებითი მშვიდობა – სულიერად ერთმანეთთან შეუთავსებელ ცოლ-ქმარს შორის, რომლებიც საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას უბრუნდებიან, სანამ შესაფერადებელი საშუალება არ გამოხუნდება და იმ საანესთეზიო საშუალების მოქმედება არ გაივლის, ნათესავ-ახლობლებმა რომ გამოიყენეს. ქმარი კვლავ გამოხატავს თავის ზიზღს და აუტანლობას ცოლის მიმართ, ცოლი კი კვლავ ფარდას ახდის თავის უბედურ მდგომარეობას! მაგრამ იმათ, ვინც შერიგების გზა მონახეს პირველ ჯერზე, მეორედაც პოულობენ მას. ვისაც საანესთეზიო საშუალებების ერთ ყლუპი მოუწრუპავს, მერე უკვე საცხე ჭიქის დაღვავზეც არ ამბობს უარს!

ხალხის ნაწილი აუჯანყდება უსამართლო მთავრობას ან მოძველებულ რეჟიმს, შექმნიან სარეფორმო ასოციაციას, რომელიც მიზნად ისახავს განვითარებასა და თავისუფლებას. მამაცურად გამოდიან სიტყვით, წერენ მგზნებარედ, აქვეყნებენ წესდებებსა და პროგრამებს, აგზავნიან დელეგაციებსა და წარმომადგენლებს, მაგრამ არ გაივლის ერთი-ორი თვე და ვიგებთ, რომ მთავრობამ დააპატიმრა ასოციაციის მეთაური ან თანამდებობა ჩააბარა მას. სარეფორმო ასოციაციის შესახებ კი უკვე აღარაფერი ისმის, რადგან მის წევრებს ცოტაოდენი ცნობილი საანესთეზიო საშუალებები გაუსინჯავთ და კვლავ სიმშვიდესა და მორჩილების მდგომარეობას დაბრუნებინან.

რელიგიური თემი თავის მეთაურს აუჯანყდება პრინციპული საკითხების გამო; აკრიტიკებს მის პიროვნებას და კიცხავს მის საქმეებს; შეშფოთებულია მისი კურსით; შემდეგ ემუქრება მას სხვა, უფრო გონივრული, ილუზიებისა და ცრურწმენებისგან უფრო თავისუფალი რელიგიური მიმდინარეობის მიღებით! მაგრამ მცირე დროც არ გაივლის და ვიგებთ, რომ ქვეყნის გონიერმა ხალხმა აღმოფხვრა დაპირისპირება სამწყსოსა და მის მოძღვარს შორის და ჯადოსნური საანესთეზიო საშუალებების წყალობით მრევლს მოწინება დაუბრუნა მისი მეთაურის პიროვნების მიმართ, ურჩ ქვეშევრდომთა სულს კი – ბრმა მორჩილება!

სუსტი ჩაგრული ძლიერი მჩაგვრელის ტირანისა უჩივის, მაგრამ მეზობელი ეუბნება: დადუმდი, ისარს თუ თვალს გაუსწორებ, გამოგთხრის!

სოფელს ეჭვი შეაქვს ბერების ღვთისმოსაობასა და გულწრფელობაში და სხვა გლეხი ეუბნება: იყურე, წმინდა წერილში ხომ ნათქვამია: ისმინეთ მათი სიტყვები და ნუ გაიმეორებთ მათ ქმედებებს!

მონაფე უარს ამბობს ბასრელი და ქუფელი გრამატიკოსების წესების დაზეპირებაზე, მასწავლებელი კი ეუბნება: ზარმაცები და მცონარები ცოცხალზე უფრო მახინჯ თავის გასამართლებელ მიზეზებს იგონებენ!

ახალგაზრდა გოგონა უარსაა, ძველთა ჩვეულებებს მისდიოს და დედა კი ეუბნება: ქალიშვილი დედაზე უკეთესი ვერ იქნება და რა გზასაც მე ვედექი, შენც იმ გზას დაადგები!

ახალგაზრდა კაცი რელიგიური დოგმების მნიშვნელობათა ახსნას ითხოვს, ღვთისმსახური კი ეუბნება: ის, ვინც რწმენის თვალთ არ იყურება, ამქვეყნად ყველაფერს მხოლოდ ნისლსა და ბურუსში ხედავს!

ასე გადის დღეები ღამეების კვალდაკვალ. აღმოსავლელი თავის რბილ სანოლზე ნებივრობს. ნუთით გამოიღვიძებს, როცა რწყილები დაკბენენ, შემდეგ ისევ ლეთარგიულ ძილს მისცემს თავს იმ საანესთეზიო საშუალებების ძალით, რომელიც მის სისხლს შერევია და ძარღვებში უვლის. თუკი მოვიდა კაცი ვინმე და შეუძახა მძინარეთ, მათი საცხოვრისები, ტაძრები და სასამართლოები ხმაურით აავსო, საუკუნო თვემამორეულ ქუთუთოებს გაახელენ და ნელ-ნელა გამოფხიზლებულნი იკითხავენ: რა უხეში ყმანვილია! არც თვითონ იძინებს და არც ხალხს აძლევს ძილის საშუალებას! შემდეგ თვალებს ისევ დახუჭავენ და გულში, საკუთარი თავის გასაგონად ნაიჩურჩულებენ: ეს უღმერთო ერტიკოსი ახალგაზრდა თაობის ზნეობას რყვნის, თაობათა ნაგებ ინსტიტუტებს ანგრევს და კაცობრიობას შხამიან ისრებს ესვრის!

არაერთგზის მიკითხავს ჩემი თავისთვის, ვარ კი მე იმ გამოფხიზლებულ აჯანყებულთა შორის, რომლებიც უარს არიან, დალიონ საანესთეზიო და დამანყნარებელი საშუალებები?! ჩემი გულისხმა მპასუხობს შეფარული, გაურკვეველი და ორაზროვანი სიტყვებით, მაგრამ როდესაც მოვისმინე, როგორ ლანძღავს ხალხი ჩემს სახელს და სძაგთ ჩემი პრინციპები, დავრწმუნდი ჩემს ჭეშმარიტ გამოღვიძებაში და შევიტყვე, რომ მე არ ვეკუთვნი სასიამოვნო ზმანებებსა და ტკბილ სიზმრებს მინდობილთა რიცხვს, პირიქით, იმ მცირერიცხოვან მარტოსულთა შორის ვარ, ვისაც ცხოვრება ეკლითა და ყვაილით მოფენილ, მტაცებელი მგლებითა და მგალობელი ბულბულებით გარემოცულ ვინრო გზაზე ატარებს.

გამოღვიძება ღირსება და კეთილი თვისება რომ ყოფილიყო, მოკრძალება და ზრდილობა ნებას არ მომცემდა, ასე დამეჩემებინა, მაგრამ ის მხოლოდ სათნოება კი არა, საკვირველი ჭეშმარიტებაა, მოულოდნელად რომ გამოეცხადება ხოლმე მარტოსულ ინდივიდებს, წინ ჩაუვლის და ისინიც თავისდაუნებურად გაედევნებიან მას, მისი უხილავი ძაფები იზიდავთ და მის დიდებულ არსს დაჟინებით, თვალმოუცილებლად მიშტერებინან.

ჩემი აზრით, მოკრძალებულობა სუბიექტური ჭეშმარიტებების გამოხატვაში წმინდა წყლის ფარისევლობაა, აღმოსავლელეთან აღზრდა-განათლებლად რომ იწოდება.

* * *

ხვალ მოაზროვნე ლიტერატორნი ნაიკითხავენ იმას, რაც კი გამოვა ასპარეზზე და გალიზიანებულნი იტყვიან: ის ექსტრემისტია, ცხოვრებას მხოლოდ ბნელი მხრიდან უყურებს და უკუნის მეტს ვერაფერს ხედავს! დიდი ხანია, რაც ჩამდგარა ჩვენში და მოსთქვამს და გოდებს, დაგვტირის, ოხრავს და კვენის ჩვენი მდგომარეობის გამო.

ამ მოაზროვნე ლიტერატორთ ვეტყოდი: მე დავტირი აღმოსავლეთს, რადგან მიცვალებულის კუბოსთან ცეკვა სრული სიგიჟეა!

მე ვტირი აღმოსავლელებს, რადგან ავადმყოფობის დაცინვა სრული უგუნურებაა!

მე ამ საყვარელი ქვეყნების გამო მოვთქვამ, რადგან უბედურების პირისპირ სიმღერა უჭკუობა და სიბრმავეა.

მე ექსტრემისტი ვარ, რადგან ის, ვინც ზომიერებას იჩენს ქვეშაირების გამომყლავნებაში, მხოლოდ ნახევარ სიმართლეს ამბობს, მეორე ნახევარს კი მალავს ხალხის აზრისა და ლაყბობის შიშით.

ვხედავ აყროლებულ გვამს და შინაგანად მძაგს, გულ-მუცელი მიტრიალებს და არ შემიძლია მის გვერდით ჯდომა მარჯვენა ხელში სასმელის ბოკალით და მარცხენაში – ტკბილეულის ნაჭერით.

თუ მოიძვევა ვინმე, ვისაც სურს ჩემი ტირილის სიცილადა გადაქცევა, ჩემი ზიზლისა – კეთილგანწყობად, ჩემი ექსტრემიზმისა კი – ზომიერებად, მან უნდა მიჩვენოს აღმოსავლელთა შორის სამართლიანი მმართველი, პატიოსანი კანონმდებელი, რელიგიური მეთაური, რომელიც მოძღვრების მიხედვით მოქმედებს და ქმარი, რომელიც ცოლს ისეთივე თვალით უყურებს, როგორითაც საკუთარ თავს.

თუ მოიძვევა ვინმე, ვისაც სურს, მნახოს მოცეკვავე და მომისმინოს, როგორ ვუკრავ დოლზე და სალამურზე, მან უნდა მიხმოს სასიძოს სახლში, სასაფლაოზე კი არ გამაჩეროს!

**არაბულიდან თარგმნა
დარეჯან გარდავაძემ**

არაბული ენის

მომაველი

პირველი – რა მომაველი აქვს არაბულ ენას?

ენა ყველა ერის შემოქმედების, ან მისი ზოგადი არსის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

თუკი შემოქმედების ძალა სუსტდება, მაშინ ენის განვითარებაც ჩერდება. შეჩერება რეგრესია, რეგრესია კი სიკვდილი და გაქრობა.

ამრიგად, არაბული ენის მომაველი დამოკიდებულია ამ ენაზე მოსაუბრე ყველა ერის არსებულ ან ჯერ არარსებულ შემოქმედებით აზროვნებაზე.

თუკი ეს აზროვნება იარსებებს, არაბული ენის მომაველი ისეთივე დიდებული იქნება, როგორიც მისი წარსული იყო, თუ არადა, მაშინ ის მოძმე სირიულ და ებრაულ ენათა ბედს გაიზიარებს.

რა არის ის ძალა, რომელსაც შემოქმედების ძალას ვუნოდებთ?

ეს ის ძალაა, რომელიც წინ უბიძგებს ერს, ის მისი გულის შიმშილი, ნყურვილი და უცნობისადმი ლტოლვაა, მის სულში ოცნებათა ჯაჭვია. ჯაჭვი, რომელიც დღედაღამ ისწრაფვის ამ ოცნებათა ახდენისკენ, მაგრამ როგორც კი ოცნებათა ერთ რიგს ხორცს შეასხამს, ცხოვრება მას მეორე მხრიდან ახალ ოცნებათა წრეს უმატებს. პიროვნებებში ეს ძალა ნიჭია, საზოგადოებაში – ენთუზიაზმი. და რა არის პიროვნებათა ტალანტი, თუ არა უნარი – მისცეს საზოგადოების ფარულ მისწრაფებებს ნათელი, ცხადი გამოვლინება! ისლამამდე პერიოდში პოეტი სამზადისში იყო, რადგან არაბები რალაც ახალს ელოდნენ. შემდეგ, ისლამამდელი პერიოდის დასასრულსა და ისლამური ეპოქის დასაწყისში, პოეტი ვითარდებოდა და მნიფდებოდა, რადგან არაბები გადიოდნენ განვითარების და მომნიფების ხანას. პოსტკლასიკურ ეპოქაში იგი განშტოვდა, რადგან ისლამური ერი დაიყო. პოეტი თანდათან განაგრძობდა წინსვლას, ამაღლებას, ნაირსახოვანი ხდებოდა, ხან ფილოსოფოსად გვევლინებოდა, ხან ექიმად და ხანაც ასტრონომად. ასე იყო მანამ, სანამ არაბული ენის შემოქმედების ძალამ არ ჩათვლიმა და მიიძინა. პოეტები გადაიქცნენ მოზაირეებად, ფილოსოფოსები – ღვთისმეტყველებად, ექიმები – შარლატანებად და ასტრონომები – ასტროლოგებად.

ამრიგად, არაბული ენის მომაველი დამოკიდებულია მასზე მოსაუბრე ყველა ერის შემოქმედებით ძალაზე. თუ ამ ერებს ექნებათ მთავარი არსი და სულიერი ერთობა, თუ შემოქმედების ძალა ხანგრძლივი ძილის შემდეგ გაიღვიძებს მათში, მაშინ არაბული ენის მომაველი ისეთივე დიდებული იქნება, როგორიც მისი წარსული იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მომაველი არა აქვს.

მეორე – როგორი შეიძლება იყოს ევროპული ცივილიზაციისა და დასავლური სულის გავლენა არაბულ ენაზე?

გავლენა ჰგავს რაღაც საკვებს, რომელსაც ენა იღებს, ლეჭავს, ყლაპავს და ითვისებს მხოლოდ სასარგებლოს, რაც აუცილებელია მისი არსებობისთვის ისევე, როგორც ხე ენაფება სინათლეს, წყალს და ნიადაგს, რათა შედეგად გამოისხას ტოტი, ფოთოლი, ყვავილი თუ ნაყოფი. მაგრამ თუ ენას არა აქვს კბილები, რითაც საკვებს დააქუცმაცებს და კუჭი, რითაც შეითვისებს მას, მაშინ რა ხეირია ამ საკვებში?! მეტიც, ის მომაკვდინებელ შხამად იქცევა. რამდენი ხე, ჩრდილში მიმალული, ჭკნება და ხმება მზის სინათლეზე. ნათქვამია, „რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს, და რომელსა არა აქუნდეს, და რომელსა იგი აქუს, მოველს მას.“

რაც შეეხება დასავლური სულის გავლენას, ის არის ერთ-ერთი ეტაპი, ერთგვარი ფაზა ადამიანის ცხოვრებაში. ცხოვრება კი უზარმაზარი სავალია, რომელიც მუდამ წინ მიიწევს და სწორედ ამ გზიდან მოზიდული ოქროს მტერისგან იქმნება ენა, ერი და ბერი. პროცესის თავში მდგომი ერები შემოქმედნი არიან და დანარჩენებზე ზემოქმედებენ, ხოლო ბოლოში მდგომნი სხვებს ბაძავენ და მათი გავლენის ქვეშ ექცევიან. როცა აღმოსავლეთი წინ მიიწევდა და დასავლეთის ერები უკან რჩებოდნენ, ჩვენს ცივილიზაციას უდიდესი გავლენა ჰქონდა მათ ენებზე, მაგრამ შემდეგ დასავლეთი გაიჭრა წინ და აღმოსავლეთი ჩამორჩა, ამიტომ მათმა ცივილიზაციამ, ბუნებრივია, დიდი გავლენა იქონია ჩვენს ენაზე, აზროვნებასა და ზნე-ჩვეულებებზე.

ადრე დასავლელები მიირთმევდნენ იმ საკვებს, რომელსაც ჩვენ ვამზადებდით, ლეჭავდნენ, ყლაპავდნენ და ითვისებდნენ მხოლოდ სასარგებლოს, რაც თავიანთი დასავლური არსებობისთვის სჭირდებოდათ. ახლა აღმოსავლელები მიირთმევენ და ყლაპავენ დასავლელების მიერ მომზადებულს, მაგრამ განა მხოლოდ მათთვის სასარგებლოს ითვისებენ, ყველაფერს იღებენ განურჩევლად და ამით დასავლეთის ხალხს ემსგავსებიან. აი, სწორედ ეს მაშინებს და მალეღვებს მე. აღმოსავლეთი ხან უკბილო დედაბრად მეჩვენება და ხანაც ჩვილად, რომელსაც კბილები ჯერ არ ამოჭრია.

ამრიგად, დასავლური სული ჩვენთვის მეგობარიცაა და მტერიც. მეგობარია, თუ მოგვალონიერებს და მტერია, თუ ჩვენით თვითონ მოლონიერდება; მეგობარია, თუ გულს გავუხსნით და მტერია, თუ გულს მივანდობთ; მეგობარია, თუ მისგან ჩვენთვის სასარგებლოს წამოვ-



ჯობრანის გრაფიკა

იღებთ და მტერია, თუკი თავს ისეთ მდგომარეობაში ჩავიგდებთ, მას რომ აწყობს.

მესამე – როგორი გავლენა ექნება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს არაბულ ქვეყნებზე?

მწერალნი თუ მოაზროვნენი აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც თანხმდებიან იმაზე, რომ არაბული ქვეყნები სულიერად, ადმინისტრაციულად და პოლიტიკურად სრულ უწესრიგობაში არიან. უმრავლესობა ამ უწესრიგობას ერთხმად აღიარებს ნგრევისა და დაცემის მიზეზად.

მე კი ვკითხვლობ: ეს უწესრიგობაა თუ დაღლილობა?

თუ დაღლილობაა, მაშინ იგი ყოველი ერის დასასრულია, ყოველი ხალხის ბოლო. დაღლილობა სიკვდილია. თუ მართლა უწესრიგობაა, მაშინ მე მნამს, რომ ის ყოველთვის სასარგებლოა. უწესრიგობა ავლენს ერის სულში დაფარულს, სიმთვრალეს სიფხიზლით ცვლის, უგონობას – მღვიძარებით. უწესრიგობა ქარიშხალს ჰგავს, რომელიც მთელი ძალით შეარხვევს ხეს, მაგრამ ფესვებიანად კი არ გლეჯს მას, არამედ გამხმარ ტოტებს მოსტეხს და ყვითელ ფოთლებს მოაშორებს. ყოველთვის, როცა ქაოსი მოიცავს ერს, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენია ბუნებრიობა, ეს ყველაზე ცხადი მაჩვენებელია ხოლმე მის ინდივიდებში შემოქმედებითი ძალის არსებობისა და საზოგადოების მზადყოფნისა. ბუნდოვანება პირველი, და არა უკანასკნელი სიტყვაა სიცოცხლის ნიგნში, ბუნდოვანება ხომ უწესრიგო ცხოვრებაა.

ამრიგად, პოლიტიკური პროცესების გავლენა ქაოსს არაბულ ქვეყნებში წესრიგად გადააქცევს, საშინაო უთანხმოებას – ერთსულოვნებად, მაგრამ ის ვერ შეცვლის დალილობას შემართებით, მოდუნებას – ერთუზიანობით. მეთუნეს ღვინის ან ძმრის ხელადის გაკეთება თიხისგან შეუძლია, მაგრამ ვერაფერს შექმნის ქვიშისა და კენჭებისგან.

მეთხე – საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში არაბულ ენაზე ისწავლება ყველა მეცნიერება?

არა! და თუ კი, მაშინ ასეთი სკოლები წმინდა ნაციონალური ხასიათისაა. არაბული ვერ გახდება ყველა მეცნიერების შესწავლის ენა მანამ, სანამ სკოლები საქველმოქმედო ორგანიზაციებიდან, კონფესიური კომიტეტებიდან და რელიგიური მისიებიდან არ გადაინაცვლებს ადგილობრივი მთავრობების ხელში.

მაგალითად, სირიაში განათლებას ვიღებდით, როგორც დასავლეთიდან მიღებულ მოწყალებას და ჯერ კიდევ ძალიან მშვიდრები, ამ მოწყალების პურით ვსაზრდობთ. ამ პურმა გვაცოცხლა და ამავე პურმა დაგვხოცა. გვაცოცხლა იმიტომ, რომ გააღვიძა ჩვენი სულიერი ძალები, ცოტათი გაანათა ჩვენი გონება და დაგვხოცა იმიტომ, რომ განაცალკევა ჩვენში სიტყვა, შესუსტა ერთობა, განყვიტა კავშირები, დააშორა საზოგადოებები, გადააქცია ჩვენი სამშობლო ერთმანეთისგან განსხვავებულ პატარა კოლონიებად. თითოეული მათგანი კუთვნილება გახდა დასავლეთის ერთ-ერთი ერისა, რომლის დროშის ქვეშაც მის სილამაზეს და დიდებას უმღერდა. ყმანვილი, რომელმაც ცოდნის ლუკმა ამერიკულ სკოლაში მიიღო, თავისთავად იქცა ამერიკის რწმუნებულად. ყმანვილი, რომელმაც იეზუიტურ სკოლაში მოსვა ცოდნის ერთი ყლუპი, საფრანგეთის ელჩი გახდა. ყმანვილი, რომელმაც ჩაიცვა რუსული სკოლის ფორმა, რუსეთის წარმომადგენლად მოგვევლინა და ა.შ. ყოველ წელიწადს სკოლები ასე უშვებდნენ თავიანთ დელეგატებს, რწმუნებულებსა და ელჩებს. ამის ნათელი დასტური აწმყოში სირიის პოლიტიკურ მომავალთან დაკავშირებული განსხვავებული მოსაზრებები და მისწრაფებებია. მათ, ვინც განათლება ინგლისურ ენაზე მიიღო, ამერიკა ან ინგლისი სურთ თავიანთი ქვეყნის გამგებლად, ფრანგულენოვნებს – საფრანგეთი, ხოლო სხვები, რომელთაც არც ფრანგული განათლება მიუღიათ და არც ინგლისური, უარყოფენ ამ სახელმწიფოებს და ირჩევენ ისეთ პოლიტიკას, რომელიც ახლოს დგას მათ ცოდნასა და გონებასთან.

იქნებ ჩვენი პოლიტიკური სიმპატია ერთი ერის მიმართ, რომლის ხარჯზეც განათლება მიგვიღია,

მაღლიერების გრძნობაა აღმოსავლელთა სულელები? მაგრამ რა გრძნობაა ეს, რომელიც ერთი მხრიდან ერთ ქვას დებს ასაშენებლად და მეორე მხრიდან კი მთელ კედელს ანგრევს?! ერთ ყვავილს ახარებს და მთელ ტყეს ჩებავს?! ერთი დღით გვაცოცხლებს და მთელი საუკუნით გვკლავს?!

ჭეშმარიტი ქველმოქმედნი და დიდსულოვანი ადამიანები დასავლეთში არ აყოლებდნენ ნემსებს და ეკლებს იმ პურს, რომელსაც ჩვენ გვიგზავნიდნენ. მათ ბუნებრივად სურდათ სარგებლის და არა ზიანის მოტანა ჩვენთვის, მაგრამ როგორ გაჩნდა მაშინ ეს ნემსები და საიდან მოვიდა ეს ეკლები? ეს სულ სხვა თემაა და ამ საკითხს ღიად ვტოვებ შემდეგისთვის.

ამრიგად, თუ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება არაბულ ენაზე წარიმართება და ყველა მეცნიერება ამ ენაზე შეისწავლება, მაშ ჩვენი პოლიტიკური სიმპატიებიც გაერთიანდება და ეროვნული ინტერესები ჩამოყალიბდება, რადგან სწორედ სკოლებში ხორციელდება ეს პროცესი. ეს არ მოხდება, თუ ჩვენ მოზარდი თაობისთვის განათლების მიცემას ერის ხარჯზე ვერ შევძლებთ; თუ თითოეული ჩვენთაგანი არ გახდება შვილი ერთი, და არა ორი სამშობლოსი, რომელთაგან ერთი სხეულის კუთვნილებაა და მეორე – სულის; თუ მოწყალების პურს საკუთარ სახლში გამომცხვარი პურით არ შევცვლით! მათხოვარი გაღებულ მოწყალებას უნდა დასჯერდეს, ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯებო, მას არ აქვს არჩევნის უფლება, აი მოწყალების გამცემი კი თავისუფალი ნების მატარებელია.

მეხუთე – კლასიკური არაბული ენა დასძლევს სხვადასხვა დიალექტს და გააერთიანებს მათ?

დიალექტი იცვლება, იხვეწება, რბილდება, მაგრამ დაძლეული არ არის და ვერ იქნება – არც უნდა იყოს – რადგან ის არის წყარო ლიტერატურული მჭევრმეტყველებისა.

ენებს, ისევე როგორც სხვა ყველა ცოცხალ ორგანიზმს, აქვს გარემოსთან შეგუების უნარი, რაც გადარჩენის წინაპირობაა. დიალექტებში ბევრი რამ არის ამ უნართი დაჯილდოვებული და ის გადარჩება კიდევ, რადგან ყველაზე ახლოს დგას ერის იდეასთან და მისი ზოგადი არსის მისწრაფებებთან. გადარჩება-მეთქი რომ ვამბობ, ვგულისხმობ მის შეზრდას ენის სხეულთან და ამ სხეულის განუყოფელ ნაწილად ქცევას.

დასავლეთის ყველა ენას აქვს დიალექტი, რომელსაც მხატვრული ლიტერატურისთვის დამახასიათებელი თვისებები გააჩნია – სასურველი სილამაზე და შემოქმე-

დებით სიახლე. მეტიც, ევროპასა და ამერიკაში მთელი რიგი ნიჭიერი პოეტებისა ერთნაირი ნარმატებით ქმნიან ხალხურ და ლიტერატურულ ენებზე მჭევრმეტყველო მღელვარე ლექსებსა და პოემებს. ჩემი აზრით, არაბული პოეზიის ხალხური ფორმები – მავალი, ზაჯალი, 'ათაბა, მუ'ანნა – შეიცავენ ნოვატორულ მეტონომიებს, მახვილ მეტაფორებს და გამჭრიახ, ლაზათიან გამოთქმებს; კლასიკურ ენაზე შექმნილი პოემების გვერდით, რომლითაც ასე სავსეა ჩვენი ჟურნალ-გაზეთები, ეს ხალხური ფორმები ისე მოგეჩვენებათ, როგორც სურნელოვანი ყვავილების თაიგული ერთი გროვა შეშის გვერდით, როგორც მომღერალი და მოცეკვავე გოგონების გუნდი მუმიების კოლექციასთან.

თანამედროვე იტალიური ენა შუა საუკუნეებში დიალექტი იყო და დიდგვაროვანნი მას ბარბაროსთა ენას უწოდებდნენ, მაგრამ როდესაც ამ ენაზე უკვდავი ლექსები და პოემები შექმნეს დანტემ, პეტრარკამ და ფრანჩესკო ასინელმა, იტალიური სალიტერატურო ენად იქცა, ლათინური კი – ჩონჩხად, რომელიც სამარისკენ მიდიოდა რეაქციონერთა მხრებით. ეგვიპტური, სირიული და ერაყული დიალექტი განა უფრო შორსაა აღ-მაარისა და მუთანაბისგან, ვიდრე ბარბაროსთა იტალიური დიალექტი ოვიდიუსისა და ვირგილიუსისგან! ახლო აღმოსავლეთშიც ვინმე ასეთი გენიოსი რომ გამოჩენილიყო და დიდებული ნიგნი დაენერა ერთ-ერთ დიალექტზე, ეს უკანასკნელი სალიტერატურო ენად იქცეოდა, მაგრამ არაბული ქვეყნებისთვის ეს შეუძლებლად მიმაჩნია, რადგან აღმოსავლელებს ნარსულისკენ უფრო აქვთ საოცარი მდირეკილება, ვიდრე ანწყოსა და მომავლისკენ. ისინი, უნდათ თუ არა, კონსერვატორები არიან. თუკი მათ შორის ვინმე დიდებული გამოჩნდება, მანაც თავისი ნიჭიერება იმავე გზით უნდა წარმართოს, როგორსაც ძველები მიჰყვებოდნენ. ეს გზა კი უმოკლესია იდეის აკვნიდან მის სამარემდე.

მეექვსე – რა არის საუკეთესო საშუალება არაბული ენის გამოსაცოცხლებლად?

საუკეთესო და ერთადერთი საშუალება არაბული ენის გასაცოცხლებლად პოეტის გულშია, მის ბაგეებსა და თითებზეა. პოეტი ხომ შუამავალია შემოქმედების ძალასა და კაცობრიობას შორის, სულისმიერ სამყაროში მიმდინარე მოვლენებს ის გადასცემს გონების სამყაროს, ფიქრის სამყაროს გადანყვებითილებებს აცნობს იმ სამყაროს, რომელიც ინახავს და იმასხორავს მათ.

პოეტი მამაცაა ენისთვის და დედაც. ენა მას მიჰყვება და მასთან ერთად ჩერდება. თუ პოეტი კვდე-

ბა, მაშინ ენა მის საფლავთან ჩამოჯდება მტირალი და ელის, როდის მოვა სხვა პოეტი და კვლავ ჩაჰკიდებს მას ხელს. თუ პოეტი დედ-მამაა ენისა, მაშინ მიმბაძველი – მესაფლავე და მქსოველია მისი სუდარისა.

პოეტში ვგულისხმობ ყველა შემოქმედს – დიდსა თუ პატარას, ყველა აღმომჩენს – ძლიერსა თუ სუსტს, ყველა გამომგონებელს – დიდებულს თუ უმნიშვნელოს, უბრალო ცხოვრების ყველა მოყვარულს – მეფესა თუ მათხოვარს, ყველას, ვინაც მონივნებით ეპყრობა დროს – ფილოსოფოსსა თუ ვენახის გუშაგს.

რაც შეეხება მიმბაძველს – ის არც აღმომჩენია და არც გამომგონებელი, არამედ სულიერ ცხოვრებას თავისი თანამედროვეებისგან იღებს და სულიერ ტანსაცმელს წინაპართაგან მორჩენილი ნაჭრებით კერავს.

პოეტში ვგულისხმობ იმ მინათმოქმედს, რომელიც თავის მინდორს ხნავს გუთნით და ეს გუთანი ცოტათი მაინც განსხვავდება მემკვიდრეობით დატოვებული მამის გუთნისგან, შემდეგ მოდის სხვა და ახალ გუთანს ახალ სახელს უწოდებს. პოეტში ვგულისხმობ იმ მეზღვეს, რომელსაც ყვითელ და წითელ ყვავილს შორის გამოჰყავს მესამე – ფორთოხლისფერი ყვავილი, შემდეგ მოდის სხვა და ამ ყვავილს ახალ სახელს უწოდებს, მქსოველს, რომელიც თავის დაზგაზე ქმნის ნახატებიან ქსოვილს და ეს ქსოვილი განსხვავდება მეზობელი ფეიქარების მიერ დამზადებული ნაჭრისგან, შემდეგ მოდის სხვა და მას ახალ სახელს უწოდებს, მეზღვაურს, რომელიც ორაფრიან გემზე მესამეს აუშვებს, მშენებელს, რომელიც ორკარიან და ორფანჯრიან სახლს აშენებს მაშინ, როცა გარშემო ყველას ერთიანი აქვს, მღებავს, რომელიც ისე შეურევს საღებავებს ერთმანეთში, აქამდე რომ არ შეურევიათ და იღებს ახალ ფერს. შემდეგ მოდის სხვა და მეზღვაურთა, მშენებელთა და მღებავთა შრომის ნაყოფს ახალ სახელს უწოდებს და ამით უმატებს კიდევ ერთ აფრას ენის ხომალდს, კიდევ ერთ ფანჯარას ენის სახლს და ახალ ფერს – ენის შესამოსელს.

რაც შეეხება მიმბაძველს, ის იმავე გზას გადის, რაც ათას ერთ ქარავანს გაუვლია და გზის დაბნევის შიშით არც გადაუხვევს. ის ცხოვრობს, რათა მოიპოვოს საკვები, სასმელი, სამოსი, პური არსობისა და ძიების დროს იმ გათელილ გზებს მიყვება, რომელიც ათას ერთ თაობას გაუვლია, მისი ცხოვრება ექოს ჰგავს, სუსტი ჩრდილია შორეული ჭეშმარიტებისა, რომლის შესახებ არაფერი იცის და არც უნდა რომ იცოდეს.

პოეტში ვგულისხმობ იმ ღვთისმოსავს, რომელიც შედის თავისი სულის ტაძარში, მუხლს იდრეკს მტირალი, ალტაცებული, მავედრებელი, ქედმოხრილი,

მლოცველი, შემდეგ გამოდის და მის ბაგეზე ახალი სახელები, ზმნები, ნაწილაკები და სიტყვები ხატების სათაყვანებლად, რომელიც ყოველდღე განახლდება აღტაცების გამოსატქმელად, რომელიც ყოველდღე იცვლება და თავისი ამ ქმედებით ენის ქნარს ვერცხლის სიმს ჰმატებს და მის კერას – სურნელოვან ტოტს. მიმბაძველი კი გრძნობისა და სურვილის გარეშე იმეორებს სხვების ლოცვა-ვედრებას და ტოვებს ენას ისეთს, როგორსაც პოულობს, ორატორულ ხელოვნებას უმეტყველოსა და უსახოს ხდის.

როცა პოეტი ქალს შეიყვარებს, მისი სული განმარტოვდება და ჩამოშორდება კაცობრიობის გზას, რათა ხორცი შეასხას თავის ოცნებებს დღის ბრწყინვალეობით, ღამის შიშით, ქარიშხლის ზუზუნით და ხეობის სიმყუდროვით, შემდეგ დაბრუნდება და ემოციებისგან გვირგვინს დანნავს და ენას დაადგამს თავზე, კმაყოფილებისგან ყელსაბამს ჩამოასხამს და ენას შემოაჭდობს ყელზე.

მიმბაძველი მიმბაძველადვე რჩება, როცა უყვარდება, როცა სასიყვარულო ლექსს წერს თუ როცა სატრფოს ადარებს რამეს. თუ მიჯნურის სახე და ყელი გაახსენდა, იტყვის: „საესე მთვარე და გაზელიო“, თუ – თმა, წელი და მზერა, მაშინ – „ღამე, ტირიფის ტოტი და ისრებიო“, ჩივილის დროს წარმოთქვამს: „უძილო ქუთუთოები, შორეული განთიადი და მკიცხველი ახლოს“, თუ ორატორული სასწაულის მოხდენა სურს, მაშინ აღმობდება: „მიჯნური ჩემი ცრემლ-მარგალიტს ღვრის ნარცის-თვალთაგან, რათა დანამოს ღანვთა ვარდები, კბილთა სიგრილე შეახოს ყურძნებს, რომლის მსგავსი არს თითისა წუერნი“. მღერის ეს ჩვენი მეგობარი თუთიყუში ამ ძველთაძველ სიმღერას და ვერც კი ხვდება, თავისი სიბრიყვით როგორ ურევს ერთ კოვზ კუპრს ენის ერთ კასრ თაფლში, თავისი უგუნურობითა და ბანალურობით როგორ აკნინებს ენის ღირსებას და კეთილშობილებას!

მე უკვე ვისაუბრე სარგებელზე, რომელიც გამოგონებულს მოაქვს და ზიანზე, რომელიც უნაყოფობიდან მოდის, მაგრამ ერთი სიტყვაც არ მითქვამს

მათზე, ვინც თავის ცხოვრებას ლექსიკონების, უმველებელი ცნობარების, ენის აკადემიების შექმნას უძღვნის. ჩემი ღრმა რწმენით, ისინი ნაპირს გვანან ენის მოქცევა-მიქცევას შორის, მათი ფუნქცია გაცრა, გაცხრილვაა. კარგია! მაგრამ იქნებ ამით გამცრელები დაკავდნენ, თუკი ერის შემოქმედების ძალა სარეველა და ხმელ ბალახს იმკის და კალოზე ეკლებსა და ავსულებს აგროვებს.

კიდევ ვამბობ, რომ ენის სიცოცხლე, მისი ერთობა, გავრცელება და ყველაფერი, რაც ენასთან კავშირშია, იყო და იქნება, პოეტის ფანტაზიაზე დამოკიდებული. და გვყავს კი ჩვენ პოეტები? დიახ, გვყავს. ყველა აღმოსავლელს შეუძლია პოეტი იყოს საკუთარ მინდორზე, ბაღში, საქსოვ დაზგასთან, ტაძარში, კათედრაზე თუ ბიბლიოთეკაში. ყველა აღმოსავლელს შეუძლია, გამოვიდეს მიმბაძველობისა და ტრადიციების ციხიდან მზის შუქზე და ცხოვრების პროცესიას შეუერთდეს. ყველა აღმოსავლელს შეუძლია, დაემორჩილოს თავის სულში მიმაღულ შემოქმედებით ძალას, იმ საუკუნოსა და სამარადისოს, რომელიც „შემძლებელ არს აღდგინებად ქვათა ამათგან შვილად აბრაჰამისა.“

მივმართავ ნიჭიერ პოეტებსა და პროზაიკოსებს: მოდით, ნუ გაჰყვებით თქვენს წინ მავალთა ნაკვალევს, თქვენთვის და არაბული ენისათვის უკეთესია, ააგოთ უბადრუკი ქოხი თქვენივე თანდაყოლილი, ბუნებრივი არსით, ვიდრე ნასესხებით ააშენოთ დიდებული სასახლე. მოდით, თქვენი სულის სიძლიერით უარი თქვით სახოტბო და სამგლოვიარო ლექსების წერაზე. თქვენთვის და არაბული ენისთვის უკეთესია, მოკვდეთ მიტოვებულნი, უპატივცემულნი, ვიდრე თქვენი გულებით გუნდრუკი უკმით კერპებს. მოდით და თქვენი ეროვნული სიამაცით ასახეთ აღმოსავლური ცხოვრება თავისი განსაცვიფრებელი ჭირ-ვარამითა და ლხინით. თქვენთვის და არაბული ენისთვის უკეთესია, თქვენი გარემოდან აიღოთ ყველაზე უბრალო ამბები და შემოსოთ ისინი თქვენი ფანტაზიით, ვიდრე დასავლელების დაწერილი ყველაზე ლამაზი და დიდებული რამ გადმოიღოთ.

არაბულიდან თარგმნა ნინო სურმაკამ

وعظمتي نفسي فعلمتني أن لا طرب لمصبح ولا اجر لمنمة وقبل ان
تعظني نفسي كنت اظل مرتابا في قيمة اعمالى وقدرها حتى تبعت
اليها الايام بمن يفرظها او يهجوها. اما الان فقد عرفت ان الاشجار
تزهو في الربيع وتثمر في الصيف ولا مطمع لها بالشتاء وتنتثر
اوراقها في الخريف وتتعى في الشتاء ولا تخشى الملامة
(جبران خليل جبران)

მუსიკა



ჯიბრან ხალილ ჯიბრანის პირველი ნაწარმოები „მუსიკა“ 1905 წელს გამოქვეყნდა არაბულ ენაზე. მაშინ მწერალი 22 წლისა იყო.

ჩემი სულის საყვარელთან ახლოს დავჯექი, მისი საუბარი რომ მომესმინა. ყურს ვუგდებდი და სიტყვაც არ მითქვამს. მის ხმაში ვიგრძენი ძალა, რომელმაც გული ამიჩქროლა, ამიფორიაქა, შინაგანად დამანანწევრა. სული უსაზღვრო, უკიდევანო სივრცეში სანავარდოდ გამიფრინდა, თითქოს მისთვის ხილული სამყარო – ოცნება, სხეული კი ვინრო, დახუთული ციხე ყოფილიყო.

უცნაური ხიბლი შეერია ჩემი შეყვარებულის ხმას და ამან ამაღლევა, გრძნობები წამომიშალა. ყურადღებას აღარ ვაქცევ მის საუბარს, რომელიც ზედმეტია თითქოს. მეც უტყვი გავხდი.

ეს მუსიკაა, ხალხო! სწორედ მას ვუსმენდი, როცა ჩემი შეყვარებული საუბრობდა – ზოგიერთი სიტყვის თქმისას ამოიოხრებდა, ზოგჯერ კი ილიმებოდა. მუსიკა მესმოდა, წყვეტილი ფრაზებით ლაპარაკობდა თუ გაბმული წინადადებებით, ზოგჯერ სიტყვების ნახევარი მის ტუჩებს შორის რჩებოდა.

სმენის თვალით აღვიქვამდი შეყვარებულის გულის შთაბეჭდილებებს. ეს ხელს მიშლიდა, ნათქვამის არსი გამეგო. ყურადღება გრძნობებზე გადამქონდა, განცდებზე, მუსიკაში ხორცშესხმულ სამშვინველის ხმაზე.

დიახ, ასეა, რადგან მუსიკა სამშვინველის ენაა, მელოდიები კი სასიამოვნო მობერვა, განცდების სიმებს რომ არხვეს. ის თითის წვერებით ფრთხილად უკაკუნებს გრძნობების კარს, აღვიძებს მოგონებებს და ამჟღავნებს იმას, რაც წარსულში ღამეებმა საიდუმლოდ შეინახეს.

ეს ის ნაზი ჰანგებია, რომელიც თუ ნაღვლიანია, წარმოსახვის ზედაპირზე მწუხარების მოგონებებს ამოატივტივებს, ხოლო თუ მხიარულია – სიხარულისა და ბედნიერების დროს.

ეს სევდიანი ბგერების ერთობლიობაა, რომელიც, როცა უსმენ, გაიძულებს შეჩერდე, ნეკნებს ტკივილით აგვისებს და ჩვენებების სახით წარმოგიდგენს მძიმე განსაცდელს.

ეს მხიარული ჰანგების ერთობლიობაცაა, გულს რომ გიპყრობს, ამაყად და მხიარულად ცეკვავს შენ ნეკნებს შორის.

ეს მარტოსული სიმის ხმაცაა, საცოდავი ბგერა, სმენამდე ეთერში გაჭრილ ტალღებს რომ მოაქვთ. თვალებიდან წამოვა მწველი ცრემლი, რომელიც სატრფოსთან განშორების ტანჯვამ გამოიწვია, ან საწუთროს ეშვით მოყენებული ჭრილობის ტკივილი. იქნებ ბაგეებს შორის გაჩენილი ღიმილით გამოიხატა ის, რასაც ეწოდებოდა ბედნიერება და სიხარული.

მუსიკა არის სუნთქვის სხეული, რომლის სულიც სამშვინველია, ხოლო გონება – გული.

ადამიანს მუსიკა ზემოდან, შთაგონებით მიეცა. ის ყველა სხვა ენისგან განსხვავებული ენაა, რომელიც ერთ გულს უყვება, თუ რას განიცდის მეორე. ის გულების საუბარია. სიყვარულივითაა, რომლის გავლენას ყველა განიცდის. მისით უდაბნოში ბერბერები აღილინდნენ, სასახლეებში მეფეებს გრძნობები წამოეშალათ. შვილმკვდარი დედაც მუსიკას ურევს თავის გლოვამი და ეს გლოვა დარდისგან გაქვავებულ გულს შვებას ანიჭებს. გახარებულმა მუსიკა თავის სიხარულთან ერთად მიმოაბნია და სიმღერად აქცია. სიმღერამ განსაცდელით დამარცხებული გაამხნევა, როგორც მზემ გამოაცოცხლა მინდორში ყველა ყვავილი.

მუსიკა ფარანივითაა – სამშენებლის სიბნელეს განაგდებს, გულს ანათებს, მის სიღრმეებს გამოაჩენს მელოდიები რეალური არსებების აჩრდილები ან ცხოვრებისეული განცდების წარმოსახვები მგონია, სამშენ-ველი კი – სარკე, რომელიც რეალობის პირისპირ დგას და ყველაფერს, რაც ხდება, აჩრდილების და წარ-მოსახვების სახით ირეკლავს.

სამშენებელი შეფასებებისა და ვარაუდების ქარიშხალში მოხვედრილი ნაზი ყვავილია. დილის ნიავი არხ-ევს მას, ხოლო ცვრის წვეთები – კისერს უგრეხს. ასე ჩიტის ჭიკჭიკი აფხიზლებს ხოლმე ადამიანს და ისიც უსმენს, გრძნობს. მისი სათუთი გრძნობები ჩიტის ტკბილ ხმასთან ერთად ადიდება შემოქმედის სიბრძნეს. ფრინველთ ჟღერტული ფიქრსაც აღუძრავს კაცს და ის საკუთარ თავს ეკითხება, თუ რითაა გარემოცული – რა უჩურჩულა, რა გაანდო ამ უმწეო ჩიტის სიმღერამ, ასე რომ აუთრთოლა გრძნობის სიმები? იქნებ გაუმხ-ილა, რას იფარავენ ის პირველი წიგნები, ადამიანს რომ მიეცა. ჩიტს ეკითხება, რას უყვებიან მას მინდვრის ყვავილები, ხის ტოტები, რაზე საუბრობს ნაკადულის რაკრაკი ან მისი თანამეინახე მთელი ბუნება, მაგრამ კაცს არ ძალუძს, გაიგოს ჩიტის პასუხი.

ადამიანმა არ იცის, რას ლაპარაკობს ფრინველი ხის ტოტებიდან, რაზე საუბრობენ კენჭებზე მორაკრაკე ნაკადული ან ნაპირთან მშვიდად, ნელა მოპარული ტალღები. ვერც იმას ხვდება, რას უყვება წვიმა, როცა ფოთლებზე ჩამოედინება, ან როცა ფანჯრის მინას უკაკუნებს თითების სათუთი შეხებით. არ ესმის, რას ეუბ-ნება ნიავი მინდვრის ყვავილებს, მაგრამ გრძნობს, რომ მისი გული ეთანხმება ამ ბგერათა ერთობლიობას. გულს ესმის მათი მნიშვნელობა – ხან აღფრთოვანდება, ხან ნალველი შეიპყრობს. ბგერები ჩურჩულებენ იდუმალ ენაზე, რომელიც ღმერთმა სამყაროს შექმნამდე შექმნა. ადამიანის სამშენებელს ბუნებასთან ხშირად უსაუბრია. თავად კი გდას ენანართმეული, უხერხულად დაბნეული. შესაძლოა, ცრემლი საუბრობს ფრაზების ნაცვლად. ცრემლი ხომ საუკეთესო, ყველაზე ენამჭევრი თარჯიმანია.

მოდით, მეგობარო, ხსოვნის თეატრში გამომყევი, რომ გავიგოთ, რა იყო მუსიკა იმ ხალხებისთვის, რომ-ლებიც უკვე აღარ არიან; რა მნიშვნელობა და გავლენა ჰქონდა მუსიკას სხვადასხვა ეპოქაში, კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

ქალდეელები და ეგვიპტელები აღმერთებდნენ მას, ეთაყვანებოდნენ როგორც დიდ ღმერთს.

სპარსელები და ინდოელები მიიჩნევდნენ, რომ ის ღვთის სულია ადამიანებს შორის. ერთ-ერთი სპარსელი პოეტი ამბობდა: „მუსიკა იყო ქალწული, რომელიც ცაში ღმერთებთან ცხოვრობდა. მან შეიყვარა ადამიანი და მიწაზე დაეშვა. ეს რომ ღმერთებმა გაიგეს, გაბრაზდნენ და ძლიერი ქარი დაადევნეს ჰურიას. ქარმა ქალწული ჰაერში, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტა. თუმცა მისი სული არ მომკვდარა. ადამიანთა ყურებში დასახლდა.“

ერთ ინდოელ ბრძენკაცს უთქვამს: მუსიკის მომხიბვლელია მიმყარებს იმედს, რომ მშვენიერი მარადი-სობა არსებობსო.

მუსიკა ძლიერ ღვთაებად ითვლებოდა ბერძნებსა და რომაელებს შორის. მის პატივსაცემად აგებდნენ დიდებულ ტაძრებს, რომელთა შესახებ დღესაც ვსაუბრობთ; მდიდრულ სამხსვერპლოებს, რომლებზეც საუკე-თესო მსხვერპლი შეინიერებოდა და ყველაზე სურნელოვანი საკმეველი იკმეოდა. ამ ღვთაებას აპოლონი ერქვა. მას აღმართავდნენ ხოლმე გამართულად მდგარს ისე, თითქოს ტოტი ყოფილიყოს გამდინარე წყალზე. მარ-ცხენა ხელში ეჭირა ქნარი, მარჯვენა კი ინსტრუმენტის სიმებზე ედო. მის დიდებულებაზე ზეანეული თავი და შორს მიმართული მზერა მეტყველებდა – თითქოს ყველაფრის არსს სწვდებაო.

ამბობდნენ, აპოლონის ქნარის სიმების ჟღერადობა ბუნების ხმის ექაოა. მას ნალვლიანი მელოდიები ჩიტების ჟღერტულისგან, ნიავის სუნთქვისგან და ხეების შრილისგან აელო.

რომაელთა და ბერძენთა ლეგენებში მოთხრობილია, რომ ორფეოსის ბარბითის ჟღერა ცხოველების გულსაც ათრთოლებდა და ისინი მიჰყვებოდნენ ამ ხმას. ყვავილები ყელს ინვდიდნენ მისკენ, ხეები კი ტოტებს ხრიდნენ. ქვები იძვროდნენ და იმსხვრეოდნენ.

ამბობენ, ორფეოსმა ცოლი დაკარგა და ისე მწარედ დასტიროდა, მისი მწუხარების მელოდიამ მიწა აავსოო. ბუნებაც ტიროდა მასთან ერთად. მოღბა ღმერთების გული და მათ მარადისობის კარიბჭე გააღეს, რათა ორფეოსი სულეთში საყვარელ მეუღლეს შეხვედროდა.

კიდევ ჰყვებიან, თითქოს ორფეოსი ბაკხი ქალების მსხვერპლი გამხდარა. მისი თავი და ბარბითი ზღვაში გადაუგდიათ. ასე იტივიტივეს წყალზე, სანამ არ მიადგნენ კუნძულს, რომელსაც ბერძნებმა სიმღერების კუნძული შეარქვესო.

ამბობენ ასევე, რომ ტალღებში, რომლებმაც ორფეოსის თავი და მისი ბარბითი წაიღეს, დღემდე ისმის ტირილისა და სევდიანი სიმღერის ხმა, ჰაერს მწუხარებით რომ ავსებენ. ეს ხმა მეზღვაურებსაც ესმითო.

მას შემდეგ, რაც ამ ხალხების დიდების მზე ჩაესვენა, მათ თქმულებებს ზღაპრები დავარქვით – ოცნებები, რომელთაც წარმოსახვა ასაზრდოებდა. თუმცა ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, თუ რა ღრმა გავლენა ჰქონდა მუსიკას ბერძნებსა და რომაელებში. არ შევცდებით, თუ ამ გადმოცემებს ვუნოდებთ პოეტურ ჰიპერბოლიზებას, რომლის წყარო გრძნობების სინატიფე და სილამაზის სიყვარულია. და განა ეს არ არის პოეზია პოეტებისთვის?

ასურელთა ჩვენამდე მოღწეულ გამოსახულებებში სამეფო მსვლელობებს წინ მუსიკოსები მიუძღვიან. ასურელი ისტორიკოსები კი გადმოგვცემენ, რომ მუსიკა დღესასწაულებზე დიდების სიმბოლო და ბედნიერების გამონახულება იყო. ბედნიერება და კეთილდღეობა მუსიკის გარეშე იმ ქალწულის თხრობას ჰგავს, ენა რომ ამოაჭრეს.

მუსიკა დედამიწის ყველა ხალხის საერთო ენაა, რომელიც სხვადასხვა ღვთაებებს ჰიმნებსა და სიმღერებში ასხამს ხოტბას. ჰიმნები საყდრებში აღვლენილ ლოცვას ჰგავს და ძღვევამოსილი ღმერთებისთვის შეწირულ ძღვენს. წმინდა მსხვერპლი სულის სიღრმიდან მოდის, ლოცვები გულში იხვეწება გრძნობების თრთოლვით. თავისუფალ სულებს არ სჭირდებათ რთული ფრაზებითა და ოხვრა-ხვნემით შემოსვა. მეფე დავითის ჰიმნებს კეთილხმოვანება მისმა სინანულმა შეჰმატა. დავითის ფსალმუნებმა მთელი პალესტინა მოიცვა. მისმა ურვანალველმა საოცარი მელოდიები შვა, რომლის სათავე სინანული და სულიერი ჭმუნვა იყო. დავითს სალამური აკავშირებდა ღმერთთან, რომელსაც ის ცოდვების მიტევებას სთხოვდა. მისი ქნარის ჟღერა მონანული გულიდან გამოდიოდა და თითებიდან ჩამოედინებოდა სისხლის წვეთებთან ერთად. ამ თითების შრომის დიდებული შედეგი აღიარა როგორც ხალხმა, ისე ღმერთმა. დავითი ამბობდა: „აქედით უფალსა, აქედით მას ხმითა ნესტვისათა, აქედით მას ფსალმუნითა და ებნითა, აქედით მას ბობლნითა და მწყობრითა, აქედით მას ძნობითა და ორღანითა, აქედით მას წინწილითა კეთილხმითა, აქედით მას წინწილითა ლალადებისათა, ყოველი სული აქედით უფალსა.“

წმინდა ნიგნებში ნათქვამია, რომ საშინელი განკითხვის ჟამს ანგელოზები ჩამოვლენ ზეციდან და მსოფლიოს ყველა კუთხეში ჩაჰბერავენ საყვირებს. ეს ხმა გამოაღვიძებს სულებს, ისინი შეიმოსავენ სხეულებს და წარსდგებიან უფლის სამსჯავროს წინაშე. თვით წმინდა წერილის დამწერმაც განადიდა მუსიკა, რაკი ის ადამიანის სულებთან მოციქულად დაადგინა. და რა არის უზენაესის ამონათქვამი, თუ არა მისივე განცდების გამონახულება – სიტყვები, რომელიც თანამედროვეთა დასარწმუნებლად აარჩია.

მონაფებმა ხოტბა შეასხეს იესოს, სანამ ის გეთსიმანის ბაღში შევიდოდა, ბაღში, სადაც შეიპყრეს მასწავლებელი. ახლაც ჩამესმის ამ ხოტბის მუსიკა, სევდიანი სულებიდან ამოხეთქილი. ვხედავ, რა ემართება მშვიდობის მოციქულს და მწუხარებას მგერის ნაღვლიანი მელოდია, გამოსამშვიდობებელი სიტყვები რომ შეცვალა.

მუსიკა წინ უძღვის ომში მიმავალ მეომრებს, ბრძოლის ჟინს უღვივებს და აძლიერებს მათ. ცალკეულ დაჯგუფებებს იზიდავს და აერთიანებს. პოეტები კი არ უდგანან სათავეში ბრძოლის ველზე, სიკვდილის სამშობლოში მიმავალ მებრძოლებს, – არა, არც მნიგნობრები მიუძღვიან ბუმბულებითა და ნიგნებით. მეომრებს სათავეში უდგას მუსიკა, რომელიც, როგორც დიდებული წინამძღოლი, უჩვეულო ძალას სძენს მათ დაუძღურებულ სხეულებს, გულებში კი გამარჯვების სურვილს უღვივებს. მებრძოლები ამარცხებენ შიმშილს, წყურვილს, დაღლილობას სიარულისგან, და რაც ძალი და ღონე აქვთ, თავს იცავენ. მუსიკას სიხარულით მისდევენ და საძაგელ მტერს ხოცავენ. ამგვარად ადამიანები ამქვეყნად ყველაზე წმინდას ზიანის მისაყენებლად იყენებენ.

მუსიკა მარტოობაში მწყემსის მეგობარია. როდესაც კლდეზე, ფარასთან ჩამომჯდარი მწყემსი სალამურზე ცხოველებისთვის ნაცნობ მელოდიებს უკრავს, ისინი უსაფრთხოდ გრძნობენ თავს და ბალახს ძოვენ. სალამური მწყემსისთვის ძვირფასი მეგობარია, სანუკვარი თანამოსაუბრეა, რომელიც სულ მასთანაა. ის სახეს უცვლის დაბლობზე გამეფებულ საშინელ სიჩუმეს, გაგრძელებული მელოდიებით არბილებს მის თავდაპირველ ველურობას, ჰაერს კი სიხარულითა და მხიარულებით ავსებს.

ქარავანებსაც წინ უძღვის მუსიკა. დაღლილობას ამცირებს, გაგრძელებულ გზას ამოკლებს. უდაბნოში აქლემები მაშინ განაგრძობენ გზას, როცა მარეკის ხმა ესმით. ვერ გრძნობენ სიმძიმეს, როცა მათ ყელზე ჩამოკიდებული ზარები უღარუნობენ. ყველამ იცის, რომ დღესაც კი ლამაზი მელოდიებითა და ბგერებით ათინიერებენ მხეცებს.

მუსიკა თან ახლავს ჩვენი სულის მოძრაობას. ჩვენთან ერთად გადის ცხოვრების გზას, არც სიხარულში გეგმორდება და არც მწუხარებაში, ჩვენთან ერთად იზიარებს სასიამოვნო და ნაღვლიან დღეებს. ის არის ჩვენი ბედნიერებისა თუ მწუხარების წუთების მონმე.

როდესაც იდუმალი სამყაროდან სააქაოში ბავშვი შემოდის, ბებიქალი და ნათესავები მას მხიარული სიმღერებით ეგებებიან. ბავშვი ყვირის, ტირის, გარშემო კი ყველა სადღესასწაულო ჰანგებითა და მხიარული შეძახილებით ესალმება. თითქოს ცდილობენ, მუსიკის საშუალებით დროზე ადრე შეასწავლონ ღვთიური სიბრძნე.

როდესაც ჩვილი ტირის, დედა უახლოვდება და ნაზი სიმღერით აწყნარებს. ბავშვი დედის თანაგრძნობით სავსე იავნანათი მშვიდდება და იძინებს. დედის სიმღერაში დიდი ძალაა დავანებული, რაც შვილს ძილს გვრის. ეს ჩუმი, ალერსით სავსე მუსიკა შიშს ფანტავს, დედის სუნთქვა კი მას განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებს. დედა უნანავებს შვილს, სანამ ბავშვი უძილობას არ მოერევა, სანამ არ დაიძინებს და ტკბილ სიზმრებში არ გადაეშვება. ეს ხომ არ მოხდება, თუ დედა ციციერონის ენით დაელაპარაკება მას ან იბნ ალ-ფარიდს ნაუკითხავს.

როცა მამაკაცი ცხოვრების თანამგზავრს ირჩევს და ორი სული უღელში ებმება, ალასრულებენ ანდერძს, რომელიც შემოქმედმა სამყაროს შექმნის დღიდან დაბეჭდა ადამიანთა გულებში. მაშინ იკრიბებიან ახლობლები, მეგობრები და მღერაიან სიმღერებს, ჰიმნებს. მუსიკა ქორწინების მონმე ხდება. ამ დღეს მუსიკა ალერსიანიცაა და მრისხანეც, სასიამოვნოც და სასტიკიც. ეს ხმა ღმერთს და მის ქმნილებებს ადიდებს. მისამღერი კი ჩათვლემილ სიცოცხლეს აფხიზლებს, რათა მან მიწაზე იაროს, დედამინის პირი აავსოს.

როდესაც ცხოვრებისეული დრამის ბოლო აქტი - სიკვდილი დგება, სამგლოვიარო მუსიკა გვესმის. ვხედავთ, როგორ ჰფენს ის სივრცეს მწუხარე აჩრდილებს. მაშინ, როცა სული ამქვეყნიური, მშვენიერი სამყაროს ნაპირს ემშვიდობება, მარადისობის ზღვაში ეშვება და ხრწნად სხეულს მგლოვიარეთა ხელებში ტოვებს, ჭირისუფალნი ნაღვლიანი მელოდიების ფონზე ოხრავენ. მიცვალებულს სიმღერის თანხლებით აბარებენ მიწას. ეს სიმღერა სავსეა ტკივილით, სევდითა და ბედისწერაზე ჩივილით. ნეტავ, მისი ექო, გამოძახილი ადამიანში მანამ რჩებოდეს, სანამ გულს ეხსომება ის, ვინც წავიდა.

ღვთის რჩეულთან ვიჯექი - ადამიანთან, ვინც უფალმა არაჩვეულებრივი ხმით, სიმღერის ნიჭითა და რიტმის შეგრძნებით დააჯილდოვა. მის მახლობლად მსმენელები დავინახე, სუნთქვაშეკრულნი მუსიკას ყურს რომ უგდებდნენ, სხვა ყველაფერი დავინყებოდათ და მუსიკოსს გულისყურით მისჩერებოდნენ, როგორც პოეტები, რომელთაც შემოქმედებითი ძალა საოცარ საიდუმლოებებს უმხელს ხოლმე. ვერც კი მოასწრო მომღერალმა სიმღერის დასრულება, რომ გაისმა გულის სიღრმიდან ამომავალი ალტაცებული შეძახილები: „აჰ!.. აჰ!.. აჰ!..“ ეს იმიტომ, რომ მუსიკამ მიძინებული გრძნობები გააღვიძა. ასეთი ალტაცება ხომ მოგონებებით გაცოცხლებულ გულს აღმოხდება. „აჰ“ პატარა სიტყვაა, მაგრამ თითქოს ვრცელ საუბარს იტევს. მას ამბობს არა ის, ვინც მომღერალს უსმენს ან უყურებს, არამედ ის, ვინც სხვადასხვა დანანვერებული სულებისგან ნაქსოვ სიმღერას აღიქვამს. ეს ცოცხალი სულები მსმენელს თვალწინ წარსულს გადაუშლიან - ნაწყვეტს გარდასული ცხოვრების რომანიდან, ან ამოუხსნიან მასშივე დაბუდებულ საიდუმლოს.

რამდენჯერ დავკვირვებივარ მსმენელის სახეს და შემომჩნევია, როგორ იცვლება - ხან გახარებულია, ხან დაღონებული, მიყვება რა მელოდიის ცვალებადობას. ამ რეაქციების მიხედვით, გარეგნული გამოვლინებებით მისი დაფარული არსი, ხასიათიც კი შემიცვნია.

მუსიკა პოეზიას, ფერწერას ჰგავს. ის ადამიანის სხვადასხვა მდგომარეობას ასახავს, გულის მოძრაობის სილუეტებს ხაზავს, სულიერ მიდრეკილებებს ააშკარავებს, ფორმას აძლევს აზრებს და სხეულის უმშვენიერეს სურვილებს აღწერს.

იყურე, გულო, რადგან სივრცეს არ ესმის შენი. იყურე, რადგან ვაი-ვიმით დამძიმებული ეთერი ველარ იტირთავს შენს სიმღერებსა და ჰიმნებს.

იყურე, რადგან ლამის აჩრდილები უყურადღებოდ დატოვებენ შენს საიდუმლოთა ჩურჩულს. არც ნყვდიადის ჩამონოლა შეჩერდება შენი ზმანებების წინ.

იყურე, გულო. იყურე დილამდე. ვინც მოთმინებით ელის განთიადს, ძლიერი ხვდება მას. ვინც ესწრაფვის სინათლეს, ის სინათლისთვისაც სასურველია.

იყურე, გულო და მისმინე:

შავი შაშვი მესიზმრა, მოგუგუნე ვულკანის თავზე რომ გალობდა.

შროშანი მესიზმრა, თოვლიდან რომ ამოეყო თავი.

შიშველი ჰურია მესიზმრა, საფლავებს შორის რომ ცეკვავდა.

ბავშვი მესიზმრა, თავის ქალებთან რომ თამაშობდა სიცილით.

ყოველივე ეს სიზმრად ვიხილე. როცა გავიღვიძე, მიმოვიხედე და მოგუგუნე ვულკანი დამხვდა, მაგრამ არც მგალობელი და არც მოფარფატე შავი შაშვი მინახავს.

ვნახე, როგორ გაეხვია თოვლს თეთრ სუდარაში მინდორ-ჭალები, შროშანების უძრავი სხეულები.

ვნახე საუკუნოვან სიჩუმეში ჩარიგებული საფლავები, მაგრამ არავინ ცეკვავდა მათ შორის და არც მუხლმოდრეკილი ლოცულობდა.

ვნახე ქალის თავების გროვა, მაგრამ მოცინარი არავინ დამხვედრია, ქარის გარდა.

ცხადში მხოლოდ დარდი და უბედურება მინახავს. სად წავიდა სიზმრისეული სიხარული და ბედნიერება? სად გადაიკარგნენ საუცხოო ზმანებები? როგორ მოხდა, რომ გაქრა მათი საოცარი ხატება? როგორ ითმინოს სულმა, ვიდრე იმედებისა და ოცნებების აჩრდილებს არ დაუბრუნებს ძილი?

მისმინე, გულო... მისმინე:

გუშინ ჩემი სული ბებერი ძლიერი ხე იყო მიწაში ღრმად გადგმული ფესვებითა და უკიდვგანო სივრცეში ატყორცნილი გაშლილი ტოტებით.

ჩემმა სულმა გაზაფხულზე იყვავილა. ზაფხულში ნაყოფი გამოიღო.. შემოდგომაზე მონეული მოსავალი ვერცხლის ლანგრებზე დავანყვე და შუა გზაზე დავდგი. გამვლელები გემოს უსინჯავდნენ და გზას აგრძელებდნენ.

შემოდგომა რომ მიიღია, მოწონების ყიჟინა მოთქმა-გოდებით შეიცვალა. თვალი შევავლე ლანგრებს. ერთი ნაყოფი-ლა დარჩენილიყო, ხალხმა რომ

დამიტოვა. ავიღე და შევჭამე. კოლოქვინითი მწარე და ისრიმივით მჟავე იყო. ჩემთვის ვთქვი:

ვაი ჩემს თავს...ხალხის პირში ნყველა-კრულვა ჩამიდევს და მათ სტომაქში კი – სიძულვილი. სულო ჩემო, საკითხავია, რა უქენი იმ სიტკბობას, შენმა ფესვებმა რომ შეისრუტა მინის წიალიდან და სურნელს, რითაც მზის სხივმა შენი ტოტები გააჯერა?

ამის შემდეგ ჩემი სულის ძლიერი ბებერი ხე ამოვძირკვე.

ფესვებიანად ამოვძირკვე მიწიდან, რომელშიც იზრდებოდა და ხარობდა. ამოვძირკვე თავისი წარსულიდან და დავავინყე ათასი გაზაფხული და ათასი შემოდგომა.

სხვა ადგილას გადავრგე ჩემი სულის ხე.

დროის გზებისაგან მოშორებულ მინდორში ჩავრგე. ღამეს ვუთევედი, რადგან სიფხიზლე ვარსკვლავებთან გვაახლოვებს. ჩემი სისხლითა და ცრემლებით ვრწყავდი და ვამბობდი: სისხლი სურნელს აძლევს, ცრემლები სიტკბობას.

როდესაც ისევ დადგა გაზაფხული, ისევ აყვავდა ჩემი სულიც.

ზაფხულში ნაყოფი გამოიღო ჩემმა სულმა. შემოდგომაზე მონეული მწიფე ნაყოფი ოქროს ლანგრებზე დავანყვე და გზაჯვარედინზე დავდგი. ვინ არ ჩაუარა, მაგრამ არავის გაუნვდია ხელი, რომ ეგემა.

მამინ თვითონ ავიღე ერთი ნაყოფი და შევჭამე. თაფლივით ტკბილი იყო.

ალ-ქავსარასავით გემრიელი. ბაბილონის ღვინოსავით საამო და ჟასმინის სუნთქვასავით სურნელოვანი. წამოვიძახე: «ნამდვილად ხალხს არ სურს, რომ მათ პირს ლოცვა-კურთხევა ვაგემო, ხოლო სხეულს ჭეშმარიტება. იმიტომ, რომ ლოცვა-კურთხევა ცრემლების ასულია, ჭეშმარიტება კი – სისხლის ძეა.

შემდეგ დავბრუნდი და ჩემი სულის ხის ჩრდილქვეშ ჩამოვჯექი, მარტოდმარტო რომ იდგა მინდორში, დროის გზაჯვარედინისაგან შორს.

იყურე, გულო... იყურე დილამდე.

იყურე, რადგან სამყარო ათასგვარი სურნელით გაჯერებულია და შენს ვაი-ვიშს ველარ შეისრუტავს.

იყურე, გულო და მისმინე.

გუშინ ჩემი ფიქრი ხომალდი იყო, რომელიც ზღვათა ტალღებში ირწეოდა და ქარები ნაპირიდან ნაპირს ახეთქებდნენ.

ჩემი ფიქრის ხომალდზე არაფერი იყო, გარდა ცისარტყელას ნათელი ფერების მსგავსი საღებავებით სავსე შვიდი თასისა.

დადგა დრო, როცა მომწყინდა ზღვებში რწე-
ვა და ვთქვი: დავბრუნდები ჩემი ფიქრის ცარიე-
ლი ხომალდით იმ ქვეყნის ნავსაყუდელში, სადაც
დავიბადე.

მერე ვინყე ჩემი ხომალდის გვერდების ლებ-
ვა: ყვითლად – ჩამავალი მზესავით, მწვანედ –
შუა გაზაფხულივით, ლურჯად – ლაყვარდოვანი
ცასავით, წითლად – დაისივით. იალქანსა და საჭეზე
საოცარ სურათებს ვხატავ – თვალს რომ წარიტა-
ცებს და გულს გაახარებს. როცა საქმეს მოვრჩი,
ჩემი ფიქრის ხომალდი, წინასწარმეტყველის ხილ-
ვასავით, ორ უკიდევანო სივრცეში – ზღვასა და ცას
შორის სამოგზაუროდ გაემართა. და აი, ჩემი ქვეყნის
ნავსაყუდელში შევიდა. ქაბა-დიდების შეძახილებით
გამოვიდა ხალხი ჩემ შესახვედრად. დაფდაფების ცე-
მითა და სალამურების კვნესით შემიყვანეს ქალაქში.

ეს იმიტომ გააკეთეს, რომ ჩემი ფიქრის ხომალ-
დი გარედან მოხატულ-გაფერადებული იყო. არავინ
შემოსულა შიგნით.

არავის უკითხავს რა ჩამოვიტანე შორეთიდან.
არავინ იცოდა, რომ ცარიელი ხომალდით დავ-
ბრუნდი ნავმისადგომში.

მამინ ვთქვი ჩემთვის: მოვატყუე ხალხი საღე-
ბავების შვიდი თასით. თვალი აუზხვიე მათ და გონება
აუურიე.

ერთი წლის შემდეგ დავჯექი ჩემი ფიქრის
ხომალდზე და ისევ გავემგზავრე ზღვით.

აღმოსავლეთის კუნძულებისაკენ გავემართე და
შევეკრიბე მური, საკმეველი, სანდალოზი და ყოვე-
ლივე ამით დავტვირთე ჩემი ხომალდი.

დასავლეთის კუნძულებისაკენ გავემართე და
წამოვიღე ოქროს მადანი, სპილოს ძვალი, იაგუნდი,
ზურმუხტი და ყველანაირი ძვირფასი ქვა.

ჩრდილოეთის კუნძულებისაკენ გავემართე და
წამოვიღე აბრეშუმის, მაქმანი და ძონეული.

სამხრეთის კუნძულებისაკენ გავემართე და წამ-
ოვიღე ჯავშან-მუზარადები, ფოლადის ხმლები, შუბ-
ები და სხვადასხვა იარაღი.

ჩავავსე ჩემი ფიქრის ხომალდი დედამინის ძვირ-
ფასეულობებითა და საოცრებებით და დავბრუნდი
ჩემი ქვეყნის ნავსაყუდელში. ვთქვი ჩემთვის:

ჩემი ხალხი ხოტბას შემასხამს და დამსახურე-
ბულადაც. შემიყვანენ ქალაქში მომღერლებითა და
მუსიკოსებით.

მაგრამ როდესაც მივალწიე ნავმისადგომს, არა-
ვინ გამოსულა ჩემ შესახვედრად. ჩემი ქვეყნის ქუჩებ-
ში რომ ფეხი დავდგი, ზედ არავის შემოუხედავს.

მის მოედნებზე ვიდექი და ვყვებოდი, რა ძვირ-
ფასეულობაც ჩამოვუტანე მათ, მაგრამ დაცინვით

მიყურებდნენ და აბუჩად მიგდებდნენ. მერე კი გამე-
ცალნენ.

ნალვლიანი და გაკვირვებული დავბრუნდი ნავ-
საყუდელში. როგორც კი შევხედე ჩემს ხომალდს,
მამინვე მივხვდი ყველაფერს. ჩემს მოგზაურობებს
გადავყვი და ველარ მოვიცალე მისთვის. წამოვიძახე:

ზღვის ტალღებმა საღებავი ჩამორეცხეს ჩემი
ხომალდის გვერდებს და ჩონჩხს დაემსგავსა. ქარებ-
მა, წვიმებმა და მცხუნვარე მზემ იალქნებზე ნახა-
ტები წაშალეს და ისინი გახუნებულ და დაძინდილ
ჩვრებად იქცნენ.

დედამინაზე არსებული ძვირფასეულობა და იმ-
ვიათი ნივთები ხის ყუთში ჩავანყვე წყალს გავატანე.
დავბრუნდი ჩემს ხალხთან, მომელმაც არ მიმილო,
რადგან მათი თვალები მხოლოდ გარეგან მოვლენებს
ხედავენ.

მამინვე დავტოვე ჩემი ფიქრის ხომალდი და
მკვდრების ქალაქს მივაშურე. კირქვად ქცეულ საფ-
ლავეებს შორის ჩამოვჯექი მათ საიდუმლოებებზე
მოფიქრალი.

იყურე, გულო, დილამდე. ძლიერი ქარიშხალი
შენი სულის სიღრმეებს დასცინის, ხოლო ხეობათა
ქვაბულები შენი სიმების ჟღერას ექოდ არ გამო-
სცემენ.

იყურე, გულო... იყურე დილამდე. ვინც მოთმინე-
ბით ხვდება დილას, მონატრებით ჩაიხუტებს მას.

აი, დგება განთიადი, ჩემო გულო და ილაპარაკე
თუ შეგნევს ძალა.

აი, ესეც განთიადის დადგომა, ჩემო გულო. და-
ტოვა კი ღამის სიჩუმემ

შენს სიღრმეებში სიმღერა, რომლითაც დილას
შეხვდები?

აი, მტრედებისა და შავი შაშვების გუნდი კიდით-
კიდემდე ედება ხეობას. ღამის საშინელებამ დაუტოვა
შენს ფრთებს ძალა, რომ მათთან ერთად იფრინო ?

აი, მწყემსები თავიანთ ნახირს ბაკებიდან ერეკე-
ბიან. ღამის აჩრდილებმა დაგიტოვეს ძალა, რომ
გაჰყვე მათ ამწვანებულ იალალებზე?

აი, ახალგაზრდა გოგონები და ვაჟები ნელი ნა-
ბიჯით ვენახებისაკენ მიდიან. ჩანა არ ადგები და არ
ნახვალ მათთან ერთად?

წამოდექი, ჩემო გულო. წამოდექი და იარე გან-
თიადთან ერთად! ჩგანვლო ღამემ და ღამეული ში-
შიც გაჰქრა მის შავ ზმანებებთან ერთად.

წამოდექი, ჩემო გულო და იმღერე ხმამალლა,
რადგან ვისაც დილასთან ერთად არ უმღერია –
წყვდიადის შვილია.

არაბულიდან თარგმნა იზოლდა გრძელიძემ

ციხური ცეცხლის ალი

(ჯიბრან ხალილ ჯიბრანისა და მეი ზიადას მიმოწერიდან)

სხვა ადამიანის, თუნდაც მწერლის პირადი და მითუმეტეს, სასიყვარულო წერილები არასდროს მითარგმნია. მართალი გითხრათ, როგორც სამუშაო, ერთ-ერთი ყველაზე ძნელად შესასრულებელი აღმოჩნდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ერთი ენიდან მეორე ენაზე გადატანისას ყოველთვის ჩნდება უხერხულობა იმის გამო, რომ რაც ერთი ენისა და შესაბამისად სულიერი წყობის ადამიანთათვის სავსებით ბუნებრივი და მისაღებია, მეორე ენისა და განსხვავებული მენტალობისათვის ზოგჯერ სრულიად მიუღებელია ან კომიკური ელფერი ეძლევა. ენობრივ-კონოტაციური გასხვავებების გარდა არის კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა: ეს წერილები, რომელთაც დღეს ვთავაზობთ, წინა საუკუნის დასაწყისში დაიწერა, თითქმის ასი წლის წინათ, იმ დროს კი ადამიანები სხვა ენაზე საუბრობდნენ, როგორც ჩანს, სხვაგვარი იყო ქალისა და მამაკაცის მიერ ერთმანეთის აღქმა, შესაბამისად, მათი სამიჯნურო ლექსიკაცა და რაც მთავარია, ამ ლექსიკის ტონალობა. ამიტომ, არ ვიცი, რამდენად სწორია მთარგმნელის არჩევანი, რამდენიმე წერილი ეთარგმნა და შემოეთავაზებინა იმ მიმოწერიდან, რაც 1921 წლიდან 1925 წლამდე ჯიბრან ხალილ ჯიბრანსა და ცნობილ არაბ ლიტერატორ ქალს მეი (მარიამ) ზიადას შორის არსებობდა. მაი ზიადა (1886-1941) თანამედროვე არაბული ლიტერატურისათვის საკმაოდ ცნობილი სახელია. ის ბევრს თარგმნიდა არაბულად ფრანგული, ინგლისური და გერმანული ენებიდან, ლექსებს კი ფრანგულად წერდა და იყო რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორი. მეი ზიადას გემოვნებას ენდობოდა თავისი დროის არაბული სამწერლობო ელიტა. ის მეგობრობდა ბევრ ლიტერატორთან და პოეტთან. ჯიბრან ხალილ ჯიბრანი კი, როგორც ამ წერილებიდან ჩანს, შეყვარებული იყო ამ ქალზე. 1886 წლის 11 თებერვალს, ლიბანის სოფელ ან-ნასირიაში დაბადებული ზიადა, ჯიბრანთან რომანისა და მიმოწერის დროს 45 წლის იყო, მასზე ასაკით ბევრად უმცროს ჯიბრანს კი იგი თავდავიწყებით უყვარდა.

ჯიბრანისა და ზიადას მიმოწერა შესწავლილი და გამოცემულია სალმა ჰაფარ ალ-ქაზბარისა და დოქტორ სუჰაილ ბიშრავის მიერ. წინამდებარე წერილების თარგმანსაც სწორედ ამ გამოცემიდან ვთავაზობთ.

მთარგმნელისაგან



1921 წლის 15 ივლისი, ორშაბათი

მეი, მერი, ჩემო მეგობარო! ცოტა ხნის წინ პირდაპირ ერთი უცნაური სიზმრიდან გამეღვიძა. სიზმარში გავიგონე, მეუბნებოდი რაღაც ტკბილ სიტყვებს, მაგრამ შენუხებული ტონით. ხოლო საქმე, რამაც მე თვითონ შემანუხა ამ სიზმარში და ძალიანაც შემანუხა, არის ის, რომ დავინახე, შუბლზე პატარა ჭრილობა გქონდა, საიდანაც სისხლი მოგწვეთავდა. ჩვენს ცხოვრებაში არ არის სიზმრებზე უფრო დაფიქრებისა და განსჯისაკენ მხმობელი რამ და მეც ერთი იმათგანი ვარ, ბევრ სიზმრებს რომ ხედავენ. ოღონდ სიზმრები მავინყდება, თუ ისინი იმ ხალხთან არ არიან დაკავშირებულნი, ვინც მიყვარს. არ მახსოვს ადრე ამაზე უფრო ცხადი სიზმარი მენახოს, ამიტომაც ამ დილით აფორიაქებული ვარ, შენუხებული და გუნებაამღვრეული. რას ნიშნავდა ტკივილიანი ტონი შენს ლამაზ სიტყვებში

ანდა რას უნდა ნიშნავდეს ქრილობა შენს შუბლზე? ძებორციელთაგან ვის შუძლია მითხრას ჩემი ჭმუნვისა და ნაღველის მიზეზი?

სადილობისას გულში ვილოცებ, ვილოცებ შენთვის გულის სიღრმეში, ვილოცებ ჩვენთვის, ღმერთმა გაკურთხოს და გაგაძლიეროს მერი.

ჯიბრანი

**ნიუ-იორკი,
1923 წლის 1-დან 3 დეკემბრამდე**

რა საამოა შენი წერილი ჩემს გულში და რა ტკბილია ის ჩემს გულში მე!

ხუთი დღე წასული ვიყავი მინდვრად და ეს ხუთი დღე ჩემს საყვარელ შემოდგომასთან დამშვიდობებაში გა-
ვატარე. აქ კი, ამ ხეობაში, სულ ორიოდე საათის წინ დაბრუნდი. დავბრუნდი გათოშილი, გალიგვული და ეს იმი-
ტომ, რომ თავლია მანქანით უფრო შორი გზა გავიარე, ვიდრე ან-ნასირიასა* (მაი ზიადას მშობლიური სოფელი) და
ბიშარის* (ჯიბრანის მშობლიური სოფელი) შორის მანძილია. მაგრამ... მაგრამ დავბრუნდი და ვნახე შენი წერილი!
წერილების დასტის თავზე იდო, მაგრამ ხომ იცი, ყველა წერილი ხუნდება ჩემთვის, როცა ჩემი პატარა მიჯნურის
ბარათს ვიღებ! დავჯექი, წავიკითხე და მისით ვთბებოდი! მერე ტანსაცმელი გამოვიცვალე, მეორედ წავიკითხე,
მესამედ, ვიკითხე და ვიკითხე და ამის მეტი არაფერი წამიკითხავს: მარიამ, მე ზედაშემი სხვა სასმელს არასოდეს
შევეურე!

შენ ამ წუთას ჩემთანა ხარ, ჩემთანა ხარ, მე! შენ აქ ხარ და მე გესაუბრები, მაგრამ გესაუბრები უფრო მეტით,
ვიდრე ეს სიტყვებია, ვესაუბრები შენს დიდ გულს უფრო დიდ ენაზე, ვიდრე ეს ენაა და ვიცი, რომ შენ მისმენ,
ვიცი, რომ ჩვენ ერთმანეთისა ბრწყინვალედ და მკაფიოდ გვესმის! ისიც ვიცი, რომ უფლის ტახტთან ჩვენ ამაღამ
ყველაზე უფრო ახლოს ვართ, ვიდრე აქამდე ოდესმე ვყოფილვართ!

ვადიდებ უფალს და ვმადლობ მას, ვადიდებ და ვმადლობ! უცხო უკვე დაბრუნდა სამშობლოში და მოგზაური
მშობლიურ კერას დაუბრუნდა!

ამ წუთას თავში ერთმა ბრწყინვალე, ძალზე ბრწყინვალე აზრმა გამიელვა და მომისმინე, ჩემო ტკბილო პატარა!

თუ ერთმანეთს წავეჩხუბებით მომავალში (და ეს მაშინ, თუკი ჩხუბი გარდუვალი იქნება!) უნდა ისე დავმორ-
დეთ, როგორც ამას წარსულში ყოველი ბრძოლის შემდეგ ვაკეთებდით: საჭიროა დავრჩეთ ერთ ჭერქვეშ, ვიდრე
ჩხუბს მხარს არ ავუქცევთ ანდა ჩხუბი არ აგვიქცევს მხარს და თავის კანტურით არ გაგვეცლება.

რას იტყვი ამაზე?

ვიჩხუბოთ რამდენიც გვინდა და რამდენიც ჩხუბს უნდა. შენ იჰდანიდან ხარ, მე ბიშარიდან და მგონია, რომ
ეს მანძილი მემკვიდრეობითია, მაგრამ რაც არ უნდა დაგვემართოს მომავალში, გვევალება, დავრჩეთ ერთმანეთის
სახეში შემყურენი მანამ, სანამ ღრუბელი გადაივლის! და თუ მოგვადგება შენი საიდუმლოს შემნახავი ქალი და ჩემი
საიდუმლოს დამფარავი კაცი (და მუდმივად ხომ ეს ორია ჩვენი ჩხუბის მიზეზი!) უნდა გავაძევოთ ისინი შინიდან,
სრული თავაზიანობით, მაგრამ ყველაზე სწრაფი საშუალებით!

შენ ჩემი სულის უახლოესი ადამიანი ხარ, ყველაზე ახლობელი ხარ ჩემი გულისა და ჩვენც აქამდე სულით ან
გულით არასდროს გვიჩხუბია. მხოლოდ ფიქრის გამო თუ გვიჩხუბია და ფიქრი კი შექმნილია, ისეთი რამაა, რასაც
გარემოდან ვითვისებთ, ნანახისა და დღეთა ბრუნვის მოტანილია, სული და გული კი ყოველთვის იყო ჩვენი ორი
დიდი საძირკველი, ვიდრე ფიქრს დავინწყებდით.

ფიქრის დანიშნულება სისტემატიზაციაა და ეს მშვენიერი და აუცილებელი ფუნქციაა ჩვენი საზოგადოებრივი
ყოფისათვის, მაგრამ სრულიად უადგილოა ჩვენს სულიერ ყოფასა თუ გულის ცხოვრებაში. „ბრწყინვალე“ ფიქრს
შეუძლია გვითხრას, თუ მომავალში ერთმანეთს წავეკიდებით, არ უნდა დავმორდეთო. შეუძლია ფიქრს ერთი
სიტყვა გვითხრას სიყვარულზე, მაგრამ შეუძლებელია სული გაიზომოს მისი სიტყვის საზომებით და არც გულის
ანონვა შეიძლება მისი ლოგიკის სასწორზე.

მიყვარს ჩემი პატარა ქალი; ოღონდ გონებით არც კი ვიცი, რატომ მიყვარს და არც მინდა ეს გონებით ვიცოდე.
ჩემთვის ისიც კმარა, რომ მიყვარს იგი. საკმარისია, რომ ის მე მიყვარს სულითა და გულით, საკმარისია ის, მის
მხრებში რომ ვრგავ თავს მწუხარე, გაუცხოებული, მარტოსული, გახარებული ან გაოგნებული თუ გატაცებული.
საკმარისია, მასთან ერთად წავიდე მთათა მწვერვალზე და დროდადრო ვუთხრა ხოლმე: „შენ ხარ ჩემი თანამგზა-
ვრი, ჩემი თანამგზავრი!“

მეუბნებიან, მე, რომ მე კაცთმოყვარე ვარ და ზოგი კიდევ მკიცავს იმისათვის, რომ მიყვარს ისინი განურჩე-
ლად, საცერში გაუტარებლად, მიყვარს ისინი, როგორც ერთი არსი და მიყვარს იმიტომ, რომ ღვთის სულისაგან
არინან. მაგრამ ყოველ გულს თავისი განსაკუთრებული კიბლა* (მექის მხარე, საითკენაც ლოცვისას მიბრუნდებიან
მუსლიმები) აქვს, ყოველ გულს აქვს ერთი არსებითი მხარე, რომლისკენაც თავის თავთან მარტო დარჩენის წუთებ-

ში მიბრუნდება. ყოველ გულს აქვს თავისი მონასტერი, სადაც შეუძლია თავი გაითავისწინოს, რათა იქ შპოვოს სიმშვიდე და საოხი გულისა! ყოველ გულს ჰყავს გული, რომელთან შეერთებაც ენატრება, რათა დატკბეს იმ ბარაქითა და მშვიდობით, რაც არის ცხოვრებაში ანდა დაივინყოს, ცხოვრებაში თუ რა ტკივილია!

წლების წინათ ვიგრძენი, რომ ვიპოვე ჩემი გულის ეს ერთადერთი მხარე, მაგრამ ჩემი აღქმა მარტივი, ლამაზი, ცხადი ჭეშმარიტებაა. ამიტომაც ავუმხედრდი წმინდა თომას, როდესაც ის დაეჭვებული და განმჩხრეკი მოვიდა და მომავალშიც ავუმხედრდები წმინდა თომასა და მის შეწევნას, სანამ ჩვენს ზეციურ სიმარტოვეში, ზეციურ რწმენაში მონანავეთ თავს არ დაგვანებებს.

აჰა, ლამის გვიანი საათებიც წამომესწრო და არაფერი მიტყვამს გარდა მცირედისა, მცირედისა იმისგან, რისი თქმაც მენადა.

უმჯობესია, დილაზე მდუმარეობა ვისაუბროთ, დილით კი ჩემი პატარა მიჯნური გვერდში დამიდგება ჩვენი უამრავი საქმის წინაშე. ამის შემდეგ კი, დღისა და მისი სიძნელების დასრულების შემდეგ კი, დავბრუნდებით, ამ ბუხრის წინ დავსხდებით და ვისაუბრებთ.

ახლა კი მომიახლოვე შუბლი – აი, ასე და ღმერთმა გაკურთხოს და უფალმა დაგიცვას!

ჯიბრანი

**ნიუ-იორკი,
1924 წლის 9 დეკემბერი**

რა საამოა, რომ ჩემი პატარა მიჯნური ყოველ დღე მიხსენიებს ლოცვებში!
რა საამოა იგი, რა დიდი გული აქვს და რა მშვენიერი სული!
მაგრამ რა უცნაურია ჩემი პატარა მიჯნურის დუმილი და რა უცნაურია მისი დუმილი!
ეს დუმილი მარადისობასავით ხანგრძლივია და ღრმაა, როგორც ქალღმერთის ძილი.
ეს დუმილი არ ითარგმნება არცერთ ენაზე.

ნუთუ არ გახსოვს, რომ როცა შენი წერის ჯერი მოვიდა, შენ არაფერი მოგიწერია. არ გახსოვს განა, რომ ჩვენ მშვიდობისა და დაზავების აღთქმა მივეცი ერთმანეთს, ვიდრე ღამე დედამიწას იხუტებს გულში.

შენ მეკითხები ჩემს მდგომარეობაზე, ჩემს საფიქრალსა და იმ საქმეებზე, რითაც ამჟამად ვარ დაკავებული.
ჩემი მდგომარეობა ზუსტად შენივე მდგომარეობაა მერი, ჩემი საფიქრალი კი ჯერაც ნისლშია გახვეული იმის შემდეგ, რაც მე და შენ ათასი წლის წინათ შევერთდით. საქმეებს რაც ეხება, რითაც ამჟამად ვარ დაკავებული, ამანრიალებელი, რუტინული საქმეებია, რომელთა დაძლევაც – უნდა თუ არ უნდა – გარდაუვალია ჩემისთანა ადამიანისათვის.

სიცოცხლე, მარიამ, ლამაზი სიმღერაა, ზოგი ჩვენგანი ამ სიტყვების ძირთად მოტივს მღერის, ზოგიც უბრალოდ ხმას აყოლებს. მეჩვენება, რომ მე არც ძირითად მოტივს ვმღერის და არც მოძახილს ვეუბნები. მეჩვენება, რომ ჯერაც ნისლში ვარ, იმ ნისლში, რომელმაც ჩვენ ათასი წლის წინათ შეგვავერთა.

თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, უმეტეს დღეებში ესკიზებისა და ჩანახატების კეთებით ვერთობი. ზოგჯერ მინდორში გავრბივარ, შორს, ჯიბეში პატარა რვეული მიღვეს და როდესმე რაღაცას ამ რვეულიდან შენც გამოგიგზავნი.

ეს არის ყველაფერი, რაც ამჟამად ვიცი ჩემი „მეს“ შესახებ. ახლა კი თუ გინდა, დავუბრუნდეთ ჩვენს მთავარ თემას – დავუბრუნდეთ ჩემს ტკბილ შეყვარებულს. როგორა ხარ? თვალები როგორა გაქვს და განა შენც ისეთივე ბედნიერი ხარ კაიროში, როგორც მე ნიუ-იორკში? განა შენც ბოლთასა სცემ შენს ოთახში შუალამისას, განა შენც დგები დროდადრო ფანჯარასთან და ვარსკვლავებს გასცქერი? განა შენც ლოგინს მიაშურებ ამის შემდეგ და სახნის პირით იმშრალეხს შენს თვალეებში ჩამომდნარ ღიმილს? განა შენც ისეთივე ბედნიერი ხარ კაიროში, როგორც მე ნიუ-იორკში?

მერი, შენზე ვფიქრობ ყოველდღე და ყოველდღე, შენზე ვფიქრობ მუდამ და ყოველ ფიქრში არის რაღაც სიამე და რაღაცა ტკივილი. უცნაური კი ის გახლავს, მარიამ, რომ არასოდეს მიფიქრია შენზე, რომ შენთვის არ მეტყვას საიდუმლოდ: მოდი და აქ ჩამოიხსენი მთელი შენი ნაღველი, აქ, ჩემს გულმკერდზე! ხანდახან კი გიხმობ იმ სახელეებით, რომლებიც არავინ უწყის შეყვარებულ მამაკაცთა და ნაღველიან ქალთა გარდა!

და აჰა, მე ჯერ მარჯვენა ხელისგულში გიდებ ერთ კოცნას, მერე მარცხენაში და ვთხოვ უფალს, დაგიცვას და გაკურთხოს, აგვისოს გული თავისი სხივებით და დაგტოვოს შენ ჩემთვის ყველაზე საყვარელ ადამიანად!

ჯიბრანი

არაბულიდან თარგმნა გიორგი ლობჯანიძემ

პირობა

სანამ ვითომ მიცურავს
 დობიდან მშობლებს მოვყევით. მ
 მხოლოდ მოზრდილები წაგვიყვანეს.
 ატი დადგება და მშობლებს წყალი მოსწყურ
 ბინკნით რამდენიმე ბარისპირ მინას. დიდი საქმ
 გამოიყოლებს გზისპირიბიდან ნაჭრის ჩანთებით
 მიდვრების ჩითილო... ბინკნით ხარდანსაც
 ნებს წვრილი კლ... ბრევთ, მერე ეს
 ბება, როგორც... მუზეუმქალა-
 რთ სიღრმეს. ...ოლოდ ნაფებს
 ვლავებით... ამ პატარებს
 ან ქუთ... შაიმე, კოკო-
 ელი ღრუბლის... ბირიან როგორ,
 ე, დიმნას ციხის... ებზე ანაგროვე?
 ი, თავმობრტყელ...
 ბზე რომ გვამაგრ

ად იქცევინ, ჩ'

2

საცურაო აუზი



ცირა ყურაშვილი

მიცურავს ვითომ.
მხარულით.

ჯერ ერთ მკლავს მოუსვამს ატალახებულ წყალს, მერე მეორეს. ფეხის თითებით აუზის ფსკერს ებლაუჭება და წყალ-ტალახში იზიზნება, უფრო იმღერევა აუზის წყალი, მაინც მიდის, მკერდით მიარღვევს ამ წყალ-ტალახს. მკლავებს კი უსვამს, მივცურავო. აუზი, ასე, ლამაზად რომ წარმოვთქვათ იმისია, თორემ განიერი და გრძელი წყლიანი ორმოა უფრო. წყალზემოთ მხოლოდ თავი უჩანს, მიდის, მიარღვევს შეჯიბრებისთვის ამ სახელდახელოდ მოწყობილ აუზის ტალახიან ტალღებს. გვიანი გაზაფხულია, სპორტული და კულტურულ-შემოქმედებითი დათვალეირებების სეზონი იხსნება ჩვენს დაბაში. სხვა სოფლებიდანაც ჩამოსულან აქ შეჯიბრის მონაწილენი, თავზე ვადგავართ ყველანი აუზს, სხვა უკეთესი შესაქცევარი რა უნდა იყოს გვიან გაზაფხულს, ცივ დღეს, ცივ დღეს, რაღაცნაირ ცივს. და ცურავენ შეჯიბრების მონაწილენი, აიძვრა, ატალახდა აუზის წყალი, ის ხომ სახელდახელოდ გათხრილ-მოუპირკეთებელია, პირდაპირ მიწა-ტალახზე დაასხეს წყალი. ამ ტალახში უნდა იცურონ, იქვე მდინარე კი სუფთა არის.

და მიდის კაცი, ღრმა ორმოში მიაპობს ტალღებს, მიცურავს ვითომ... და სანამ ვითომ მიცურავს კაცი...

აი, ყანიდან დავბრუნებულვართ შინ, გრძელი გზიდან, ლაფიანი ორლობიდან მშობლებს მოვყევით. შინ ჩვენზე უფრო პატარებია – პაატა და ვარაზი, სახლში დატოვეს, ამ ლაფიანში მხოლოდ მოზრდილები ნაგვიყვანეს. იქ რა შეგვეძლო? ძროხას მოვქაჩავთ, წკებლას მოვცხებთ, როცა ყანაში ხვატი დადგება და მშობლებს წყალი მოსწყურდებათ, წყაროდან წყალს მოვარბენინებთ, ყავისფერ ნებოვანს ჩამოვნიწენით რამდენიმე ბარისპირ მიწას. დიდი საქმის შემამსუბუქებელია რამდენიმე პატარა ხელი, ეკალას დუყებს გამოიყოლებს გზისპირებიდან ნაჭრის ჩანთებით, ჯიჯლაცას და ქათანაცერასაც დედის ხელით დაკრეფილს, პომიდვრების ჩითილებისთვის რამდენიმე ხარდანსაც წამოვავოროთხებთ, პატარა ილიებით დავიჭერთ, აკაციის ხარდნებს წვრილი კუდები ლაფოში დასთრევთ, მერე ეს ლაფოც შრება ნელ-ნელა, აკაციის ყვავილებით მოიფინება და რჩება, როგორც ნაფეხურთა მუზეუმი, მუზეუმქალაქი, დიდ-პატარა ნაფეხურთა, ნაჩლიქარების. მზე აქვავებს ნაფეხურთ სიღრმეს. და ხსოვნაში რჩება მხოლოდ ნაფეხურთა მუზეუმქალაქი, თიხის ქალაქი. მერე ორლობე ძაღლების შეღავდავებით და სახლში ვართ უკვე. ამ პატარებს კი ეს რა გული ამოუსკვნიათ? აჰაჰაჰაჰა და ამოისვრიან ჰაერს მუცლიდან ქუთუთოებჩანითლებულნი. ჰაიმი, კოკორინები დაუკლავს ვირთხას. ან ვირთხას, ან სინდიოფალას! კვატის ჭუჭულით, კოკორინებით, ყვითელი ღრუბლის ფთილებით, ყელგამოჭრილ ღრუბლის ფთილებით მოფენილია, დათოვლილია მიწა სახლსუკან, ტირიან როგორ, გულს იგლეჯენ ჭუჭულებისთვის და ეს გულებია მერე – ერთი დაკლული კომანში და ერთიც აქვე, დიშნას ციხის ფერდობქვემ ფეთქავს. თუმც უფროს ქალებს ხელად გვავიწყდება პატარათ ცრემლი, ტყემლის ხეებზე ანაგროვებ თაფლისფერი ნებოს ბურთებით უძაფო კოჭებს მივინებებთ ტიტველ ქუსლებზე, ამ ხის კოჭებით, თავმოზრტყელებულ, თავბოლოერთნაირადგამოყვანილ ხის კოჭებით გავივლიდით სულ პრანკა-პრუნკით, ქუსლებზე რომ გვამაგრდებოდეს, ჩვენ ხომ ერთი სული გვაქვს თუნდ რამდენიმე სანტიმეტრით ავცილდეთ მიწას.

და მიდის კაცი, ღრმა ორმოში მიაპობს ტალღებს, მიცურავს ვითომ...

აბრეშუმის მური გვყავს სახლში, წვრილი, წვრილი, როგორც ქვირითი, მალე ჭიებად იქცევიან, ჩელტებზე გავლენ და მალე თეთრად დააბარდნის, გვიმრის ჩელტებზე, ბჟოლის ფოთლებს დავეძებთ ყველგან მეზობლებში, ყანებში, თუ ჭალისპირებზე, სულ მალეა, რამდენიმე კვირა სჭირდება და გადავსხამთ ოთახებიდან, თეთრად მიბარდნილ პარკს გამოვართმევთ გამხმარ გვიმრებს, ტომრებს გავავსებთ ამ საშუალი, თეთრი პარკებით, დომფალებიც აქვს გამორეული, მათაც შევკრებთ სხვა ტომსიკაში, ამ შენითლებულ გვიმრებს კი დავწვავთ, დედის სურათი – უამრავი თეთრი პარკი, წინ გორად უდგას, პარკის ჩაბარების პუნქტში მამა თუ უღებს. დედას თმა აქვს მოკლედ, გადაპარსულზე წამოსული, ეკლებივით წამოწვეტილი. შინ კი ბებიას უჭირს დგომა, იატაკზე მორებივით ჩაცურებს ფეხს და ჩაჯდება, ღია კარიდან ეზოს გასცქერს. „ერფუთი“ არის თურმე ერთი, მასში წერია, ოცი წლის მერე ეს ქვეყანა გადაბრუნდება, სუ, ჭიშკრიდან ვილაც იძახის, ვებლაუჭებით, ვეპანკურებით ბებიას მკლავებს, ვიქაჩებით, ვიძარღვებით, ჭიებივით ვინელებით, რომ წამოვმართოთ, მუხასავით წამოვაცენოთ. პენსიის დამტარებელია, მაღალი და გამხდარი კაცი და ბებია გაზეთებში მოხუც კაცის ვება და ლოყებგაფუყუნებული სურათი როა, მასზე ეტყვის ამ პენსიის დამტარებელს: „ეს ლეონიდე კაი კაცია“ და ყავისფერი თითებით, მეზობლების ყანაბოსტანში ირემასათვის ბალახ-კალამას თხრით გადასერილ თითებით უწყისების უხემ, მოყავისფრო ფურცელზე,

სადაც ნაქცეული, უფრო კი გვერდზე გადაყანთრული მარგილებივით მიწყობილია ასობგერები: – მარიამ სალამ-ბერიძე – 18 მანეთი – მას ბოლოში ჯვარს დაუსვამს გაუბედავად.

სალამოა და დედა მოსულა. მერე ირემას მიაბამენ ბოსლის კოჭებზე, ასე წველიან ის და დედა გაჭირვებულად, აინწყეტს მერე ირემა და უიმე, დედაია, რძეს დააქცევს ნიხლისკვრით და გაგიუბული აქეთიქით ეხეთქება. რა უცნაური ძროხები გვყავს ჩვენს ბავშვობაში, რა ერთმანეთზე უარესები?!

და მიდის კაცი, ღრმა ორმოში მიაპობს ტალღებს, მიცურავს ვითომ...

ტაძარი არა, ეკლესია კარმიგდულია, კლუბია, კლუბი და ის ღვთაებრივ ნაგებობად წარმოგვიდგება. მონანილენი ანგელოზურ იერს იძენენ. არამინიერ სახეებით როცა დასჭექენ:

„პარტიააა,
პარტია...
დი-დე-ბა პარტიაას!“

და ეს სცენა, დარბაზი მალღდება, როგორც ეკლესია, როგორც ტაძარი. მერე ყოველი წარდგენილი გუნდი გვერდითა კარიდან თავის ნაკადს გამოშლის ეზოში. მე მამიდაშვილს ვეძებ, ის სოფლის გუნდის ხელმძღვანელია, უკვე წარმოადგინა კონფერანსიუმ მყლერი, არტისტული ხმით: „ნითელიხევის ქალთა გუნდი“, ხელმძღვანელი ნარგიზა ხეცურიანი, ეს ჩემი მამიდაშვილია, იგი გუნდის ხელმძღვანელიც არის, სოლისტიც, ფანდურზეც უკრავს, პიანინოზეც. და დათვლიერების ამ დღეებში ეს პატარა, მკელობელი ტანის ქალუკა სხვაგვარი შარავანდით იმოსება ჩემს თვალში, ეკლესია ამ დროს როგორც ვთქვი კარმიგდულია, მერე მოგვიანებით დავინათლებით ყველანი, პაატა მიგვიძვება მამა დავითთან, ბურჯანაძესთან. მოგვანათლავს მამა დავითი წყნარ და თვინიერ მლოცველებისა არსებულ ტაძარში და დავეშვებით ბონდის ხიდზე... განათლულები. ზესთა სოფელთან მოკავშირე ჩვენს ბონდის ხიდზე, ხანისწყლისა და საკრაულას შერთვის ადგილას, ნაცრისფერი ლიპების თავზე.

ჯერ კი, მირონი არა გვცხია, რა ერქვა იმ მღვდელს? კირილე, ჯერ კირილეს განათლულნი ვართ მირონუცხებლად. თვითონ კირილევ ხელდაუსხმელი მღვდელი არის ჯერ. ჯერ პური გვაქვს და მჭადი, კონცერტები გვაქვს, აბანო გვაქვს, სპორტული ჭიდილები იმართება ჩვენს სტადიონზე, სხვა რაღა უნდა გვინდოდეს, აბა.

მიცურავს კაცი, ვითომ. ფეხით მიდის და მიარღვევს ტალახიან წყალს, ნიკაპამდე რომ შემოსწვდენია.

გადაღმით კი გოგონების ფეხბურთია სტადიონზე, ჩემი დაც თამაშობს, ასდევს სტადიონის მაყურებლები: მიდი, მიდი! ჩქარია, ბურთს ფეხით ათამაშებს, კენკავს. თუმც ეს მერეა მერე, მანამდე პაატა და ვარაზი ჭიდაობენ კლასიკურ ჭიდაობაში, პაატა იგებს, ის სულ იგებს, ეს მდინარეც გამოგვზრდის და გამოგვწვრთნის ყველას, პაატას უფრო, ვარაზის და იმედას უფრო. უმარტივეს საბაგიროსაც ამ მდინარეზე გამართავს იგი, ბაგირზე ოთხკუთხედ რკინის მავთულს ჩამოჰკიდებს, ფეხებით ზედ დაადგება, ხელებითაც ჩაეჭიდება და ჰერი – მდინარის შუაწელზე – მეორე ნაპირას, მავთულბადის საამქროში, აქედან იქით, იქიდან აქეთ.

კაცი კი მიდის, მიალნია აუზის ბოლოს, აჰა, ბრუნდება, მოალაჯებს ჭუჭყიან წყალში, თავს გადახრის და მკლავს მოუსვამს, მოცურავს ვითომ, ყველაფერი ვითომ და ვითომ...

ბებია საკურთხის სუფრას ამზადებს, ჯერ ცომს მოზელს, გუნდებს მოხელავს ხაჭაპურისთვის, ყველიანი კოკრებისთვისაც, კეცში ამყოფებს დახვეულებს, ხილფაფიანებს, პატარა, მრუდე ნაჭრებად დაჭრილთ, და აჰა, სანამ სადმე წავა და დიდხნობით დაიკარგება, ჩაგვიყლაპავს, დაგვიკარგავს მისი ძმისშვილი, სანათესაო, როგორც დედას ეკარგებოდა მთელი ბავშვობა, დამახსოვდება ასე მზრუნველი, კეცზე გამოცხვარ ხვეულ ნამცხვრებით, საკურთხის მაგიდის ქვეშ დაჩოქილი მძიმე ფეხებით, კეცის ნატეხზე მიმოზნეულ ნაკვერჩხლებზე აბოლებულ ფიჭვის საკმეველის სუნში.

შინმოუსვლელ, ომში დაკარგულ ბაბუის ბარობაზე დარჩენილი ერთი ცრიანტელა გოგოს – დედაჩემის დედობის ვერ შემგრძნობი – ჩემი ბებია. სტალინის ქვეყნის შვილი ბებია, ომის წლებში სტალინისვე კმაყოფაზე მყოფი ბებია, ომის წლების სიმძიმის ვერ შემცნობი ბებია, რადგან, დახვრეტილ-გასახლებულთა წილ სტალინი მოდიოდა შინმოუსვლელთა ოჯახებში თეთრი კიტელით, მოდიოდა „დაჭირთული“, მოჰქონდა დომი, ყოველთვეში და ყოველ წელში, სულუგუნი და ფქვილი და ტკბილი, ორცხობილები, შოკოლადის დიდი ფილები. მოუკლებელი საჭმელ-სასმელი და დედა მაინც მშიერი იყო მთელი ბავშვობა, სხვის სახლში, სხვისი მაგიდისქვეშ იშლიდა საგებს. მანიჯარის მჭადი არჩენდა, მანიჯარის მჭადის ნატეხი, მის სახლის ბოძებს ამძიმებდნენ ფქვილით სავსე ტომრები თურმე, პური კი მაინც არ ცხვებოდა დედაჩემისთვის. გასახლებაც ხომ უნდოდათ ისევ „ახლობლებს“, რომ მერე მიწა იმათ დარჩენოდათ, ისიც პატარა, ჩაებლაუჭა ბალდათის მიწას, რომ ჩვენ ვეშვით ამ მიწა-წყალზე.

ალბათ იმიტომ შეიკვივლა ზარდაცემულმა პატარა გულმაც: „უიიი, მოკვდა, სტალინი მოკვდა!“ შეიკვივლა, შეიტერა პატარა გულმა. არ იცოდა, რა იცოდა, ვინ გაუშხელდა... ჩვენც ვინ გვიმხელდა, ზეციური პურით, ლავაშით უკანა ტანი გამოწმინდეს როცა პატარებს, დღესაც ასეა, პატარების ღვთიურ პურით ტანის ჩაბანვა, ზეცამაც მიტომ დაიხვულა, წავიდა ზევით და კიდევ უფრო დაშორდა მიწას.

კაცი კი მოდის თავგამეტებით გამოარღვევს ტალახიან წყალს... მოზიდა ტანი, ამოიმართა ოცი წლის ან ოცდაათის იქნება ალბათ. ვიცინით. ბავშვები ვართ, კაცებია, ქალებია, დიდებია, პატარებია. რა უცნაური კაცი არის, ფეხზემდგომელას რა უცნაური ცურვა სცოდნია?

დაგვხვდა სიბერემოვლილი მამიდა. გადაპრიალებული სახის კანით. ცისფრად მოყუყუნე თვალებით, სუფთა და კრიალა ხელფეხის ფრჩხილებით. ეგ იყო მხოლოდ, თითქმის ყველაფერი დაეინყნოდა თავის ცხოვრებიდან. რომ მეკითხა, იქნებ გახსენებოდა კიდეც – უბელო ცხენს რომ აჭენებდა სიყმანვილისას და ეს ამბავი უანგმოკიდებულ საკეტებსაც გაუღებდა ბავშვობის სხვა მოგონებებსაც. აი, ზეკრის გოგირდის აბანოები, კვერცხისგულისსუნინანი აბაზანებით, გოგორდოვანი წყლების ჩქაფუნით, აბაზანაში ნეტარ გალალღლებით, უცები ელდით – ორთქლიანი ნაკადის ნჩქრევა აბაზანაში შემოგლინავს უხსენებელთა. მიგრეხ-მოგრეხა მათი, კლაკენა, ანდა ლივლივი თან გადაჰყვება ნაკადს ქალთა ნაბან-მნიკულში. აბანოს თავზედ წამოდგმული ხის სასტუმრო, ხის იატაკით, ხის კედლებით, სახურავი-კეცის ლორფინის, აყალო მიწისფრად გახუნებულ, მიჯრით მიწყობილ კრამიტებისა. გადასაველი იქვე ბოგირზე, ლაშურას თავზე, მერე საცალფეხო გზა, თუ ბილიკი, შეღმართი, ფიჭვის კორომი სისვისფერი ბუმბულით მოსილი. კრიალა ცა, ფიჭვების სუნთქვა, ნაბლი და ძელქვა, განთიადის იალკიალი, მაჩქათელეებით მფეთქავი და ტოტიდან ტოტზე მხტომილა თრითინების ფუმფულაკუდით ატაცებული. ფერდზე ქოხოლა, მათი ქოხოლა, თუ ქოხირა, ქოხზე უფრო ღარიბული რაღა იქნება. ქვემოთ, დაბლობში კაკლის ხეები, ღლეე ლაშურა, შქერის ხეებით ჩაკარგული, გადაფარული. ამ ღლეეში თავს იხრჩობდა ბებიაჩემი. აქვე, ლაშურას მერე მხარეს წყარო ბაბუაჩემ მალაქიასი, ასეც იყო ამოკვეთილი, სანამ ლაშურა გადაშლიდა მკლავთა გადასმით. – „მალაქიას წყარო“, „წყარო მალაქიასი“. შემორჩებოდა გარეშემოს „მალაქიას ნაყანები“, „მალაქიას ნიგვზები“, „მალაქიას ხეხილი“, პიტუნი, თუ პიტუნი, პიტო ხე და ახალნერგი, აპიტონიკებდა, რგავდა, გადარგავდა, უფრო სწორად, სხვისაში რგავდა სხვისთვის, რგავდა, ტოვებდა, იძენდა-ფანტავდა, პოულობდა-კარგავდა, საკუთარი საზოგადო ეგონა, ბაბუაჩემ მალაქიას, ნიადგ ბახუსს შეთამაშებულს – საზოგადო კი ისეც საზოგადო იყო.

აი, ბებიაჩემი ლაბანია – აქეთ, ოჯინჯარზე დაკიდებულ ქვაბთან მოტრიალე, იქით მაგრობალი დედლებით გარსმობეული ჯიჯლაყას და ქათანაცერას მხალს კეპავს ხის მოზრდილ გობზე. თუ ოჯახისთვის, თუ დამსვენებელთა პირის გემოსთვის გახურებულ კეცებზე დაყრილ მუგუზლებზე თვალუბამომწვარი. ახლაც თავს გადასდებს და დამსვენებელთა მჭადების ცხოვით ფულს შეამატებს თავის ზანდუქს, წითლებს, თუმნიანებს, ახალი სახლი უნდა ბებოს, აღარ უნდა ძველი ქოხირა. ამის მერეა, ლაშურას რომ მიაშურებს, მიექანება. რა ერქვა იმ კაცს? ვისზეც ეჭვობს მერე ბებია, დირექტორი და დიდკაცი იქაურობის, ვთქვით თვითონ ის არ შეპარულა იმ ქოხირაში ბებოს ფულისთვის, ცოტაა განა, ვინც მონუსხა დიდკაცის სიტყვამ და სხვისი ცოდვით სული დაუნვა?

თავს იხრჩობდა ლაშურაში, რას დაიხრჩობდა, ზაფხულში კოჭზე თუ შემოგწვდება. გაზაფხული თუ იყო მაშინ, აბომბორებულს, აბორგებულს გამოსტაცეს ბებიაჩემი. და მერე უსამართლო სასამართლო, მეთაკილე მოსამართლით, თანამშრომლებით, რას იპოვიდა იქ სამართალს მართალი ქალი? მხოლოდ ზეცაა, ჩვენი კოშკი სადაც იდგმება.

და აი, მამა, პატარა, სახემოთხუპნული, შავთვალა ბიჭი, აბანოს სარკმელს აბლოტებული, მოჭვრიტინე ცხელი წყლის ორთქლში გახვეული დედაკაცების. აი, მამიდაც, მალალი და ჭრელთვალა გოგო, მკერდზე ნაწნავით, მუქარანარე დაძახილით: ძირს ჩამოდი, ბიჭო, გუჯია! და მერე მისი მონაყოლი: „ვერ ჩამოვსხი, აბანოს კარნიზს ვერ ჩამოვფხიკე გუჯიეი!“ და იქნებ დედას ეძებდა ბავშვი, ბებიაჩემი ლაბანიაც მოიცილიდა, თბილ აბაზანას მიაკითხავდა, არც მას აწყენდა გოგორდოვან წყალში ქანება, დამსვენებელთა მჭადების ცხოვას სიცოცხლეს ხომ არ ანაცვალებდა?

ზეკრის ცხოვრება, აბანოების კვერცხისგულისსუნინანი წყლების ჩქაფუნში, ნიფლიხეების, ფიჭვების და ნიგვზების სუნში. ხმელ შამბკაჭაჭში, თუ კაჭახუნში. თბილად ჩაცმულ, ნებიერად მოსიერნე დამსვენებლებთან, ფიჭვის ხეებქვე „ჩაკარტიკების“ მსურველთათვის ერთი „აბრამკა ფოტოგრაფი“ ხომ აქაცა ჰყავთ, გრძელფეხებიან, ბორდოსფერ პლუმით მოფუთვნილ ყუთში თავშერგული, რომ თითო ჩიტი გამოუფრინოს. და პარჭუკებით მოფუთვითე დამსვენებლებთან, ცეცხლზე შეხუნხვულ ხორცის სუნში, ირგვლივ გაფანტულ, კეცზე დამწვარ ნაბლისა და ნიგვზის ნემოში, ვინ და საიდან არ იყრიდა თავს გოგორდის აბანოებზე და ინტერესსაც რა გამოლევდა მათდამი მკვიდრი გოგონას მიერ.

დაბადებული აბანოებთან; გათხოვილი იქვე, მალალმთან სოფელში, როცა ჩვენსას ჩამოვიდოდა, მთის მკაცრ ცხოვრებას დაგვიხატავდა, კლდის ტინებიდან როგორ ცვიოდა, იჩხებოდა ხეობაში მათი ხარ-ძროხა. აქედან მახსოვს სიტყვა – ზარალი და მერე ჩვენს წარმოსახვებში, დაღრღნილ კლდეებზე, კლდებანარაზე, თუ კოლოფებზე (ამ მხარეში ხომ კლდოვან მთას კოლოფიასაც უწოდებენ) დაბაკუნობდნენ მისი თხები კუნტრუმ-იბეკნით და სასანაულთ მანც კოლოფებზე რჩებოდნენ, მსხვილფეხა, კი ღრეში ცვიოდა.

მიკითხე-მოკითხვის, ბარგის ამოლაგების შემდეგ მამიდას ყველანი აბანოში მივყავდით. უგოგირდო აბანოში, და ეს „აბანო“ ბავშვის ისეთ მონინებულ გრძნობას აღძრავდა, როგორც „კანტორა“, ანდა სიტყვა „კოპერატივი“. იქ, ვინრო, მალალ, ორთქლით დანამულ კარადებქვე ქოშები ეწყო, სააბანოვე ხის ქოშები, აქაიქ ზონარანყვეტილიც, უნდა გეპოვნა სალი ქოში, სიხარულით აღმოგეჩინა, რომ საზოგადო აბანოს ნამდვილ წევრად გეგულვა თავი და

დამტკბარიყავ იმ სურნელით, აქაფებულ მარწყვის საპონს რომ სდიოდა მამიდის ხელში და წლების მერე აღმოგეჩინა, მეზობელი ქალიშვილის ხელში დანახულ პანია ბალიშს (ის არ ისვამდა მარწყვის საპონს, ბალიშს ხვრეტდა და გამონურულ სურნელოვან, აქაფებულ სითხეს თავზე ისხამდა?) ერქვა საუცხოო სიტყვა „მამპუნი“. დაგხსომებოდა იმ თაღებში საუბრის ექო, ცხელი წყლის ორთქლში მკრთალად მჩანი თეთრი ქალები.


რომ ვბრუნდებოდით აბანოდან წითელ ლოყებით და მის შავნითელმწვანე თავშალს ქარი არხევდა, ვხვდებოდი, აბანო იყო ბევრად მეტი მამიდასათვის, ვიდრე უბრალოდ ტანის დაბანა. ასე იყო მთელი ბავშვობა. კიდეც გაშლიდა თავის რვეულებს, დედას მისცემდა – ეს ცოცხორეის ნაკითხეო და ვკითხულობდი მამიდის ნაჯაფ თითებით შექმნილ მამიციტობას. მას ხომ უფრო მეტი უნდოდა, ვიდრე ხვნა, თესვა, მთის სოფელში ძროხების მწყემსვა.

სულ ცოტა ხნის წინ, სამსახურიდან რომ დამითხოვა შავწყალა ხალხმა და შემოსავლის გარეშე დავრჩი, ერთ საქველმოქმედო ფონდს მივმართე დასახმარებლად, მაგრამ იგივე შავწყალა ხალხმა ეს ფონდიც დააყადაღა, რათა არ დაგვხმარებოდნენ სიმართლის მთქმელ ადამიანებს და ასე გაესწორებინათ ანგარიში ჩვენთან. თითქმის უიმედო მდგომარეობაში ჩემგან განვდილ ხელისგულზე მ ი ს ი ნათლით შემოსილი ხელიდან განუზომლად მეტი მივიღე, ვიდრე ერთ ფონდს შეეძლო დამხმარებოდა, ამან დამაფიქრა სიკეთის მარადიულობაზე, კვლავ გამახსენა მამიდის ზრუნვა და გადაწყვიტე, როგორც კი ფანქარს ხელს მოვკიდებდი, ეს ამბავი მომეყოლა შენთვის მკითხველო და გავაგრძელებ: თბილი წინდები, სვიტრი ვუყიდოთ, მოვინახულოთ, აჰა, ფული, კიდეც რა უყვარს მამიდას, თუ გაიხსენებ? – მითხრა ჩემმა ძმამ.

ღამდებოდა, როცა „ცივები“ ავიარეთ. დათოვლილი იყო გზა, ხოლო ის ადგილი, რომლისთვისაც „ცივები“ შეერქმია მთის სოფლის მოსახლეობას, მოყინული, ხეობაში მდინარე ხანისწყალი მოსჩქეფდა. ძველ მანქანაში ბენზინის მძაფრი სუნი იდგა, მთის სოფლის გზებზე საჯაყჯაყოდ მართლაც გამძლე ავტომობილი გვექირავა.

საბარგულში ტომარა ფქვილი, ზეთიანი ბიდონები, მაკარონები და ვერმიშელი, შაქარი და ტკბილეული, თბილი ჩასაცმელები გველაგა, მამიდის მოსანახულებლად ხელდამშვენებული მივიდიოდით. ვფიქრობდით, ასე ერთჯერადად გადაგვებადა სიკეთე ჩვენი ბავშვობის იმ უთვალავი დღეებისათვის, როცა მამიდა მტვრიან შარაზე ჯაყჯაყა ავტობუსიდან ჩვენთვის ბარგს ჩამოდგამდა, ამ ბარგს ჭიშკრიდან სახლამდე ნელ-ნელა აკლდებოდა სიმძიმე: ტყის შავ, თუ მაზუთნასმით საგანგებოდ გაშავებულ გოჭს სალორეში უთავისუფლდებოდა ადგილი, აკრიახებულ, ფეხებგაკრულ ქათმებს საქათმეში, კვახებიანი ტომარა სარდაფში რჩებოდა, დანარჩენ ბარგს: პარკი ლობიოს, ხმელ ლობიოს, თაფლიან ქილებს, სულუგუნს, მჭადის ფქვილს ჩემი და ჩემი დედამამიშვილების მრავლობითი მზერა ზვერა ავდა. მამიდის სიკეთემ ხომ მთელი ბავშვობა სული ჩავვითქვა, ავდრიანი დღეები მოგვიმზიანა.

მაგრამ მას უკვე დავინწყნოდა ეს ყველაფერი, მხოლოდ მცირეოდენი რამ ახსოვდა ჩვენი და მისი ბავშვობიდან. იჯდა სანოლზე ვარდისფრად აღუებული, ლამის უნაოჭო ღანვებით, და მაინც ისე, როგორც პატარა, მოხუცი ჩიტი, სუფთა, კრიალა ხელფეხფრჩხილებით, სიბერისმომვლელ შვილრძალნაგრამდახვეული. მეხსიერების ძველ ზანდუკიდან გაუჩხრეკლად ამოჰქონდა ჩვენი სახელნართაულები, მამის მიერ შერქმეული და მამიდისვე მომგვანებული: ჩემთვის – ცოცხორეი და პაატასთვის -პაატატული, მას უკვე აღარ ადარდებდა, არც ფქვილი, ზეთი და შაქარი, არც რამ ქვეყნის სიდუხჭირე, გულში იხუტებდა ჩვენგან მიძღვნილ უჯრულა თავშალს, გვიყურებდა და მღეროდა.



საფრთხოებას სეზონი



დimitრი ნიკლაური

სკოლაში მშობლიური ლიტერატურის გაკვეთილი ყველაზე მეტად მიტაცებდა. გეოგრაფიაც მომწონდა, მაგრამ რუკებზე მდინარეების მიმართულება არასწორად მქონდა წარმოდგენილი. მეგონა რომ მდინარეები ზღვიდან იღვრებოდნენ მატერიკის წიაღში. ზოოლოგიაში ნამდვილი აღმოჩენა გავაკეთე – იმიტომ მიცურავდნენ თევზები მდინარის აღმა, სათავეებისთვის რომ ეამბოთ შთამომავლების მოლალატეობის შესახებ. რომ ისინი მდინარეებს კი არ ინარჩუნებდნენ, არამედ უსახურ ზღვას უერთდებოდნენ – წყლის უზარმაზარ მლაშე მასივს – მსგავსად მცირე ხალხებისა, დიდი ერების წიაღში რომ იკარგებიან. თუმცა მდინარე თავის ქაველებს განა ეკითხება ან უთანხმებს რამეს? რაც შეეხება ფიზიკის გაკვეთილს – მას ხშირად ვაცდენდი. სამყაროს კანონზომიერებათა მატერიალური ახსნა როგორღაც გულს ვერ მიფონებდა. პირქუში მსოფლმეგრძნება სევდას მგვრიდა. სკოლის რუხ შენობას კი ყოველი მხრიდან მწვანე ნალკოტი ემიჯნებოდა. ყოველი კარი ბაღში გამავალ ზღურბლს წარმოადგენდა და ბევრი დასამალი ადგილი იქმნებოდა. მეც ხის ტოტებში მოვყურდებოდი ხოლმე, რომელსაც კენწერო ისე მოეხარა, თითქოს ჭერს იყო შებჯენილი, და დასახლებას გავყურებდი, ოდესღაც ჩემი წინაპრები რომ მოდგომოდნენ. იქ, მთებში, ამ სიფართის მდინარე ნანახი არც ექნებოდათ. თუმცა მდორე და დაჭაობებული წყალი ძირითადად ბაყაყების და თავკომბალების საბუდრად ქცეულიყო – თევზებს კი სხვაგან გადაენაცვლათ. საუკეთესო ადგილები დანაწილებული დახვდათ და ხელი თავად უნდა გამოეღოთ. ჩემი წინაპრები ალბათ იმ მანანალეებს ჰგავდნენ, მონყალეების სათხოვნელად გაკოტრებულ სახლს რომ მიდგომოდნენ. ადგილიც ისეთი ჩანდა, ჩამავალი მზეც რომ მცხუნვარეა. ხეტილისგან ქანცი განყვეტოდათ და აქედან ნასვლა აღარც უცდიათ. ერთმანეთს მხოლოდ მხნე შეძახილებით ამხნევედნენ. დაჟინებით უთითებდნენ უცხო ლანდშაფტებზე და დანარჩენებიც ძალდატანებით უბამდნენ მხარს – მართლაც მშვენიერი! თორემ აბა რა უნდა ყოფილიყო მთვარით მოვარაყებულ მთებთან შედარებით?! როგორ შეედრებოდა ეს გადახრუკული მინდვრები თვალუნვდენელ, ლალ იალალებს?! თითქოს ოქროს ზოდები მიეტოვებინოთ და ოქროს მარცვლებს გამოდევენებოდნენ, რადგან ეს მართლაც ნამცეცები იყო იმ დიდებული საბადოსი, ოდესღაც რისი მფლობელნიც იყვნენ. ბევრი იმათთაგანი კეთროვნის წყლულებში აღესრულა მთების სასტიკი მონატრებით, მაგრამ უკიდურესი ტკივილების მიუხედავად ბედზე სამდურავი არ დაცდენიათ. მე კი, უღირსი შთამომავალი, მორიგ გაკვეთილს ვაცდენდი და სკოლის შენობას

შევეყრებდი, ერთგან სახურავი რომ ჩალუნოდა. ზედ ყორნები ისხდნენ და ყოყმანობდნენ, ეჩხავლათ თუ არა, თორემ აბა ვინ დაუშლიდა?! ეზოში მოსწავლეები ირეოდნენ, რომელთა შორის ჩემ ძმას მოგკარი თვალი, თავჩალუნული რომ მიაბიჯებდა.

– თომა! – ვუხმე შორიდან და ხიდან ჩამოვეცოცდი.

– ქართულის მასწავლებელს ვუთხარი, თემა სახლში დამრჩა მეთქი! – ბუზლუნით იმართლა თავი. – გაკვეთილის ბოლომდე თუ ვერ მოვუსწარი, საშემოდგომოს გამომაყოლებს!

– რა თემაა?

– მოახალშენები! – დამიმარცვლა მან.

ჩვენ სამკითხველო დარბაზისკენ გავსივით. ამის ჩაჭრა იქნებოდა, სადაცაა არდადეგები უნდა დაწყებულიყო. წინაპრების შესახებ ვიფიქრე მოგვეთხრო, ცოტა ხნის წინ რომ ვიხსენებდი. თან თაროზე ჯეკ ლონდონის მოთხრობების კრებული შევნიშნე და გადავწყვიტე ამით შესარგებლა. დრო ისედაც ცოტა რჩებოდა. მე გატაცებით შევუდექი კარნახს, ჩემი ძმა კი ასოების ფხაჩნას მოჰყვა. სადაც ოქროს ნავენყი, ბაჯალლოთი შევამკე, ხოლო სადაც ქალაღი ვახსენე, იქვე ფარატინა მივაყოლე. მოკლედ მაღალფარდოვანი სიტყვები ფერადი მოზაიკის ნაწილებით შევუთავსე. თანხმობებს შორის ჰაეროვანი ხმოვნები ისე გამოიყურებოდნენ, როგორც კლდოვან მღვიმეებს შეფარებული მშვენიერი ასულები, მზით გარუჯულ სატრფოებს რომ დამალვოდნენ. დიდებული ტექსტის თვალუნვდენელი სტეპებიდან გამომობილი გამონათქვამები ყალყზე შემდგარ ცხენებს დამსგავსებოდა, გახედვინა რომ ვერ მოვასწარი და არენაზე პირდაპირ ველური რემა შემოვრეკე. ზოგი სტრიქონი ისე იკითხებოდა, თითქოს ბალახი გაგვეთიბოს. წარსულს ვიკვლევდით, რადგან მიგვაჩნდა, რომ კენწეროს საიდუმლო მის ფესვებშია. მომავალი მხოლოდ ერთი გაელვებით უსწრებს. ეს კი უმნიშვნელო უპირატესობაა. იგი მდინარესავით მოდის შემხვედრი მიმართულებით, რომ მისალმებისთანავე გაგვშორდეს. მოკლედ ისეთი მონოლითური თემა შედგა, რომელიმე წინადადება რომ განგეხილათ, მას მთელი ნაწარმოები ამოჰყვებოდა, ამნით

რომ ამოაქვთ ხოლმე ჩაძირული გემის გაჟღერებული კორპუსი ერთმანეთზე ახორხლილი ნაწილებით და წყალი წურწურით სდით. მაგრამ ჩემი ძმა კიდევ უფრო მოიღუშა. მუდამ ასე იყო. მე რომ მდინარისკენ მენადა გასეირნება, მას მთებისკენ მიუწევდა გული.

- ვაითუ ჯეკ ლონდონის სული თავის ნაწარმოებებს მფარველობს,

ჩვენ კი მის შეხედულებებს უდიერად ვეპყრობითო, - ამიხსნა მიზეზი.

- ჯეკ ლონდონის სული უთუოდ თავის მშობლიურ ინგლისურ ენაზე გამოცემულ წიგნებს დასტრიალებს. არა მგონია თარგმანებზეც მოცდეს, - ჩამოვუყალიბე მე.

თუმცა მეორე დღეს (ამჯერად უკვე ქიმიის გაკვეთილს ვაცდენდი, რადგან მალიზიანებდა დედამინის შიგნეულობას გამჭვირვალე კოლბებით და საზიზღარი რეაქტივებით რომ იკვლევდნენ და ჩემი აზრით მინისძვრებიც იმიტომ ხდებოდა, რომ კურთხეული მინა ადამიანთა მეტიჩრობას მწყობრიდან გამოჰყავდა) ჩემი ძმა ისევ უხასიათოდ მეჩვენა.

- ჩაგჭრა?

- შენ დაწერილს არ ჰგავსო, მისაყვედურა, მაგრამ ნიშანი მაინც დამინერა.

- ბიბლიოთეკარი დაგაბეზლებდა. ჯეკ ლონდონის სული არაფერ შუაში იქნება! - დავამშვიდე მე.

ძალიანაც კარგი, ფრიადი რომ არ მიიღო. სინდისის ქენჯენა აღარ გატანჯავდა. იმ დღეს დიდხანს დავყავი გარეთ. ცაში იმდენი ღრუბელი შეყრილიყო, თითქოს ურიცხვი თეთრეული შრებო. შორს ელავდა და ზეცაც ტამტივით დაპირქვევდა. ქუჩები ისე ატალახდა, ნარეცხი წყალი გადმოაღვარესო ზედ. მე სკოლის შენობას შევეფარე. დარაჯმა დამცინა, აქ შემოსული ძლივს არ განახეო. მერე ენად გაიკრიფა. მთისა და ბარისა თქვა. შებინდებულზე გადაიღო და შინისკენ გაგწვი. სახლი გზის პირას გვედგა და ქუჩის ხმაური ოჯახის წევრებით იყო. იქვე მდგარ სატვირთო ავტომობილსაც უბნის შემადგენელ ნაწილად აღვიქვამდი. მის პატრონს ყოველ სეზონზე ჩამოჰქონდა ნესვები გასაყიდად. ჩვენ ფანჯარას ღიას ვტოვებდით და ნათურის კაშკაშა შუქი სველ და ხასხასა ბალახს ეფინებოდა. ისე გამოიდარა, თითქოს არც კი ეწვიმოს. ასე რამდენჯერმე განმეორდა. როცა გადაიღებდა, ცა ისე იყო მოოჭვილი, მიზიდულობის საყოველთაო კანონი რომ არა, ოქროს მტვრისა და ვარსკვლავების კოკისპირულ თავსხმაში მოვყვებოდით. მოხეტიალე პლანეტებიც ვარსკვლავებზევით ბრწყინავდა. მერე ისევ მოიქუფრებოდა. ისმოდა ერთი გრუხუნი და იყო ერთი გაელვებანი. კვლავ გადაიღო და მსუბუქმა ნიავმა დაჰქროლა. მოტორტმანე ჭადარი, ნამტირალევი და მოცახცახე მხრებით და მძიმე და ფერფლისფერი ფოთლებით, თითქოს ეპოლეტები უთრთისო, მგზნებარედ და მოუქნელად ელოლიავებოდა ანთებულ ლამპიონს, აშოლტილ ბანოვანს რომ ჰგავდა. ტოტებს უხეშად ხვევდა, ოქროს კოშკებს პირდებოდა და მისი უსწორმასწორო ჩრდილიც უხეიროდ განაგრძობდა კეკლუცს. ღია ფანჯრიდან დედაჩემის ხმა შემომესმა. ისევ ვალის შესახებ მოთქვამდა. აშკარად გამამნესებდნენ ზაფხულის სამუშაოზე. შარშანაც გამამნესეს. მაშინ ბენწე გავდავრჩი. რომელიღაც დაბის სასადილოში ჭურჭლის მრეცხავად ვიყავი. ხანდახან მიმტანის მოვალეობასაც ვასრულებდი. მეპატრონე სალამობით თუ შემოივლიდა ხოლ-

მე. ძირითადად მე მიხდებოდა საქმის გაძღობა. ერთხელაც სახენაიარევი და ნაყვავილარი კაცი გვესტუმრა. პური და კატლეტი შესასწლა და ზედ ღვინო დააყოლა. როცა ანგარიშის გადახდის დრომ მოაწია, ქუჩისკენ გამახედა - ხედავ იმ სახლს? პატრონს უთხარი, ჩოფურამ ისაუბმა და ანგარიში გაასწორეო. თქვა და წავიდა. მართლაც მივაკითხე და ასეთი და ასეთი ამბავია მეთქი, განვუცხადე. ჭალარა და მოკრძალებული კაცი ჩანდა. ეტყობოდა, არც უსახსრობა აწუხებდა. ფული გადამითვალა და მეც სალარო შევავსე. ერთხელაც იყო, ვიღაც ორმა ტიპმა გამაშლევინა სუფრა, ანგარიშის გადახდაზე კი უარი განაცხადეს. ზონიდან ახალი გამოსულები ვართ, ეგლა გვაკლია ფულები ვიხადოთო. მადლობა თქვი, აქაურობა რომ არ მივლენ-მოვლენეთო, დამემუქრნენ. სხვა რა გზა მქონდა. ისევ იმ ჭალარას მივაკითხე, ამჯერადაც ჩოფურამ ისადილა, მაგრამ თუ გინდა ფულის გადახდაზე უარს განვუცხადებ-მეთქი. არ არის საჭიროო, თქვა. ისევ ადვილად მოგვარდა საქმე. ამის შესახებ მეპატრონისთვის არაფერი მითქვამს. სალარო წესრიგში მქონდა და რა საჭირო იყო. სწორედ წამოსვლის წინა დღეს ერთი აზრი ამეკვიატა. ცოტაოდენი ფულის შოვნა არც მე მანყენს-მეთქი, ეშმაკი შემიჯდა. ისევ იმ სახლს მივაღექი. ჭალარამ გამიღო და რას ვხედავ, ჩოფურაც იქ არ უზის, გაშლილ სუფრასთან. არადა იმის თქმას ვაპირებდი, ჩოფურამ ჩვენთან ივახშმა მეთქი. ამჯერად რაშიაო საქმე, მკითხა ჭალარამ. სახეზე კეთილი ღიმილი დასთამაშებდა. ჩემდა სასიკეთოდ ორიოდ სიტყვა ამოვლერლე - ხვალ ჩვენი სასადილოს დაარსების ამდენი და ამდენი წლისთავია და სალამოს მეპატრონე გეპატიუებათ, როგორც საპატიო სტუმრებს-მეთქი. სიამოვნებით გენვევითო, თქვა ჩოფურამ. ღვინო ხომ ისევ ის გაქვთო? თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. არადა სწორედ ახლახან მჟავე ღვინო შემოგვასალეს. მეპატრონე სულ ცოფებს ჰყრიდა, თუმცა მისივე ბრალი იყო. იმ ღამესვე ავორთქლდი. თავს ძლიან ცუდად ვგრძნობ, მეშინია არ ჩავწვე-მეთქი, განვუცხადე მეპატრონეს. სიცხე ალბათ მართლაც მიწვედა ნერვიულობისგან. საანგარიშოს ქვები ჩამოჰყარა. რალაც ხარჯები გადათვალა და დედაშენი მართლაც უკეთ მოგხედავსო, განმიცხადა. მეც ეს მინდოდა. სადგურამდე გამაცილა, გვარიანი გასამრჯელოც მიწყალობა და მხრებზე შალის მოსასხამიც შემომაცვა, ფეშქაშ იყოსო. გაისადაც მზად ვარ ხელშეკრულების გასაფორმებლადო, მახარა. მაგრამ იქ მივბრუნდებოდი?! ღამის ისედაც ჩამშხამდა ყველაფერი. ერთიხანობა შიშოც დამჩემდა, სახლში არ დამადგნენ მეთქი. თუმცა ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. ჭალარა არაფერს იტყოდა დანახარჯის შესახებ. ჩოფურას ამის თქმას ვერც გაუბედავდა. ჩოფურას სახე დიდხანს მედგე-ბა თვალწინ. ეგეთ სამიმ ტიპს არსად გადავყრი-

ვარ. დანამდვილებით დღემდე არ ვიცი, სასადი-
ლოს ამბები რით გასრულდა. ვფიქრობ, მეპატრონე
იხტიბარს არ გაიტყებდა და რალაცას გაახერხებდა.
მოკლედ ასე ვცხოვრობდით. ღარიბები ვიყავით,
არაფერი გაგვაჩნდა და ანგელოზიც რომ გვწვეო-
და, მხოლოდ პურით და კარტოფილით თუ ვუ-
მასპინძლებდით. თუმცა ზაფხულის სამუშაოებმა
საკმაოდ გამძეკა.

კარებთან მეზობლის ფაშფაშა ქალს გა-
დავეყარე. სახეზე ბლომად ფერუმარილი წაესვა
და საფლავიდან ამოღებულს ჰგავდა. დედამინის
უკიდევანობას მისი სიმრგვალე განაპირობებს
მეთქი, გავიფიქრე რატომღაც. დედაჩემს ასთმა
ტანჯავდა, ეს არისტოკრატიული სნეულება, და შა-
ლის მოსასხამში გახვეულს ისეთი გამომეტყველება
ჰქონდა, თითქოს ქირის გადახდის მერე დარჩენილი
ფული ახლახან გადაეთვალოს. მე ტახტზე მივეს-
ვენე, დაღლილი რომ ვგონებოდი. სინამდვილეში
საუბრის დაწყებას ვუცდიდი. დედაჩემი სხვა დროს
დამიტევდა, ფეხსაცმელი შემოსასვლელებზე გაგეხ-
ადაო. ახლა ხმა არ გაუღია. როგორც აღმოჩნდა,
სეზონურ სამუშაოზე ყოფილა ლაპარაკი. ვიღაც
ფერმერი მქირაობდა. მინდორში უნდა მერბინა და
ჩიტები დამეფრთხო. ეგ იყო და ეგ. საქმე იმ ფაშ-
ფაშა ქალს გაეჩარხა, კარებთან რომ შემეფეთა.
ფერმერისგან რალაც-რალაცებს იძენდა და იქიდან
იცნობდა. ზაფხულის სეზონი რომელიღაც შორეულ
ნაკვეთში უნდა გამეტარებინა. ქარებს კი ცაზე
დაძინილი ღრუბლები გადაჰქონდათ, თითქოს
ყვავილების გვირგვინებს სტაცებენო. წვრილი ვარ-
სკვლავების გულცივი ჭიატი ისედაც მრეშ მიდამოს
უსიცოცხლო იერს უმძაფრებდა. ფოთლებზე დაგ-
როვილი ნვეთები ტყაპატყუპით ეცემოდა რკინის
ორთვალას. ისეთ ხმებს გამოსცემდა, იფიქრებდი,
წყალს ნაყავენო და ჟანგიც სისხლისფრად ღებავდა
მღვრიე სითხეს. ხეებში მდგარი სახლი საფარველში
აგებულს ჰგავდა. გუბებში მახუთის ცისარტყელე-
ბი ბრჭყვიანობდა და ყველაფერს მიტოვებულობის
შეგრძნება სდევდა. დღევანდელ დღესაც ასე ეწერა
- ჩვეული უნიათობით მიწურვა.

- მე რომ გავიზრდები, ფულს სხვა გზით ვიმო-
ვი! - თქვა ჩემმა ძმამ.
- როგორ? - ჩავეძიე მე.
- ვითომ არ იცი?
- მაინც?
- ნესვებით ვივაჭრებ! - სახე მანქანის ძარის-
კენ გაიშვირა.
- თავიდანვე როგორ ვერ მივხვდი! - აღვნიშნე
ოხვრით.

გათენებისას ქუჩაში მანანნალები გამოჩნდ-
ნენ. განთიადი უშველებელი მშენებარე კორპუ-
სივით იზრდებოდა და მობეტონებულ ეზოებში
ქვიშის და ცემენტის გროვას წარმოაჩენდა. ერთ-
სართულიან ბელეტაჟებს აგურის ფასადები ჰქონ-



დათ. შორიახლო თუთის ხე იდგა. მის ირგვლივ ასფალტი ნე-
ბოვანი იყო და გამვლელები ტროტუარიდან გადადიოდნენ.
ეზოში შეზარხოშებული მამაკაცები ისხდნენ და დომინოს
უჭახუნებდნენ. წასვლის საათმა ჩამოკრა. ჩემმა ძმამ დაიჩემა,
მეც უნდა გაგაცილოო. საქმე ტირილამდე მივიდა და იძულებ-
ული გავხდით, წაგვეყვანა. დედაჩემმა მოფლემილი ქოლგა
გახსნა და ჩვენ ვაგზლისკენ გავწიეთ. დამქირავებელი იქ უნდა
დაგვხვედროდა. ასე ყოფილა შეთანხმებული. გამცილებლები
სხვებიც გვყავდა - შემპარავი კრუტუნით გამჭორავი კატები
და მრისხანე ყეფით მლანძღველი ძაღლები. ამგვარი ამალით
ჩავუარეთ გამოფენა-გაყიდვის დარბაზს, ერთსართულიან ყვი-
თელ შენობას, სადაც მხატვრები სახელდახელოდ ხატავდნენ,
თავიანთი შემოქმედება იქვე რომ გამოემზეურებინათ და გა-
დაზიდვა აღარ დასჭირვებოდათ, ჩარჩოები მაინც არ დაუზიან-
დებათო. ადრე მე და ჩემი ძმაც ვყავდით აქ. მახსოვს, დიდახანს
გვაცემევდნენ, გაჩერებასთან ჩავლილმა მანქანამ კი საზეიმოდ
გავგწუნა. ჩვენც რალა გუბის წინ დავდექით. მერე ნახატებსაც
მოლუშული შევცქეროდით, თითქოს ზედ წვიმის შხეფები ყო-
ფილიყოს გამოსახული.

- მივდივარ. ცოტა ხნით გარემოს შევიცვლი. ნახატებსაც
ხომ უცვლიან ჩარჩოებს! - თვალი ჩაუკარი ჩემ ძმას. თუმცა
რა შუაში იყო?!

სადგურზე მისვლისას დედაჩემი დარიგებებს მოჰყვა,
ქარის დროს ქუდი ჩამოიფხატეთო. თვითონ რასაც შეწვდები,
სხვას არ მოაკრეფინო და ჭამის წინ ლოცვა არ დაგავინწყდესო.

თუ ილოცებ, საკვები თაფლად შეგერგება, თუ მხოლოდ ჯვარს გადასახავ, პურადო. წინდები ყოველ საღამოს გარეცხე, თბილ ამინდებში უცებ გაშრებაო (თუმცა იქაც წვიმები დამემთხვა.) მატარებელს სხვებიც ელოდნენ. ბებრუხანები მოფარებულში ისხდნენ და კვერცხებით სავსე კალათებს დაჭოფინებდნენ. მთელი ქვეყნიერების სიმდიდრე შიგ ეგულებოდათ. ისე ჩიფჩიფებდნენ, თითქოს ქათმები კრიახებენო. ვილას აღარ გადასწვდნენ. ჩემი ძმა კი ვიტრინაში პლასტმასის ჯარისკაცს ათვალიერებდა.

- მოგნონს? - ნეტავ არ მეკითხა.
- მთელი ცხოვრების მანძილზე გამომადგებოდა, - ამიხსნა დინჯად და ბორდიურზე ჩამოჯდა - ამ სათამაშოს ჩემ ბედნიერებას მოვახმარდი!
- გიყიდი, როცა ჩამოვალ! - დავაიმედე.

შორეულმა პერსპექტივამ სევდა მოჰგვარა. მე სასტვენს ვაგუზნოდე, ქურთუკის ჯიბეში რომ ჩამრჩენოდა. ჩემ მოსაგონრად გქონდეს მეთქი (თუმცა აღმოჩნდა, რომ იქ, რა საქმეზეც მივიდიოდი, დიდად გამომადგებოდა.) ამასობაში ფერმერიც მოგვადგა - კუჭტი და პირქუში კაცი. დედაჩემს ფული გადაუთვალა და შეპირდა, ხელშეკრულების ვადა როცა გასრულდება, შენ ბიჭსაც გამოვატან ცოტაოდენსო. შემდეგ საჩვენებელი თითი ქამარში გაიყარა და დადუმდა. საქმიანი და სიტყვაძუნწი ჩანდა. იმედი, რომ იოლად გავიდოდი ფონს, გადამწუნრა. იმედი სურნელოვან სუნამოს ჰგავდა, მომცრო ფართობში არომატს რომ ინარჩუნებდა, ხოლო დიდ სივრცეში უკვალოდ იფანტებოდა. თუმცა სწორედ სივრცე იყო მარადიულობის მაუნყებელი, თავის გამჭვირვალე უკიდვანობაში შეზღუდვებს რომ არ დაუშვებდა. ფერმერი კი კრინტსაც არ ძრავდა და მხოლოდ მაშინ ატყდა ერთი გნიასი და მიმოსვლა, ელმავლის ხმა როცა გავიგონეთ. ჩემებს სასწრაფოდ გამოვემშვიდობე, რადგან გავვაფრთხილეს, მატარებელი დიდი ხნით არ ჩერდებაო. აქაურობა სულ მემახსოვრებოდა, როგორც ალბათ მღვრიე მდინარეს ახსოვს ანკარა წყაროს შესართავი. ჩემებმა კი სახლისკენ გასწიეს. ვიცოდი, საითაც ისინი თვალს მიეფარებოდნენ, ცისარტყელა აციაგდებოდა. მაგრამ არ გამიხედავს, გული რომ არ დამწყვეტოდა.

მატარებელი დაიძრა თუ არა, ყველანი გვარიანად შეგვაჯანჯლარა და აყალმაცალიც მიწყდა. ყველა თავის ადგილას დასკუბდა და ამრეხით მოჰყენენ ბლვერას. ფანჯარაში უცხო ლანდშაფტებმა გაიღვეს. მშობლიური სახლი უფრო და უფრო შორს რჩებოდა და მე სევდა მიჰპრობდა. თუმცა ვისთან რა უნდა მეთქვა. არადა ვინ აღარ იყო ვაგონში - ენაბრგვილი და პირფერი ბაქია, საკვოიყთო ხელში. შარლატანი, კარტის ქალაღებს რომ ათამაშებდა და მგზავრებს გამომცდელად აკვირდებოდა. ფოსტის მოხელე, რომელიც დალაქული სათვალის მიღმა ისე მოხერხებულად თვლემდა, ხალხს მღვიძარე ჰგონებოდა. უპრეტენზიო მეშჩანები და წრეგადასული, უმაქნისი ქმნილებანი, უცერემონიოდ რომ იქცეოდნენ. განსაკუთრებით კი ერთი ათქვირებული ბანჯონი, ფერფლისფერი თვალეტი და დედამინის ზურგზე ყველაზე გამომწვევი გამოსხედავ რომ ჰქონდა. ეს უტიფრობა უხდებოდა კიდევ, თითქოს მეფის უკანონო ქალიშვილი ყოფილიყოს, ბოშათა შორის რომ აღიზარდა, ახლა

კი ბედის ანაბარად მიტოვებულს, დატუქსვამე მეტად ზრუნვა სჭირდებოდა. მაცდუნებელი მზე-რით თითქოს შემოგხაროდა - აი, ჯიბეში ფული რომ გიღვეს, შენ კი შაქარყინულს დასტრიალებ და გამყიდველი გოგონა სათნოდ გილიმის, მაგრამ ეს ღიმილი შენ კი არ გეძღვნება, არამედ შაქარყინულის გაყიდვას. თან ისეთი ეშხიანი იყო, მის თაყვანისმცემელს ერთადერთი რამ დაევალებოდა - მისი კაპრიზების შემსრულებლად ქცეულიყო. იქ კიდევ ერთი მეზღვაური იჯდა, ნამდაუნუმ საათს რომ დაჰყურებდა. ნერვები გემის ანძებოვით დაღეწოდა. მის გვერდით გრუზათმიანი აზიელები ისხდნენ, არომატულ სითხეს რომ ხვრებდნენ და ისეთი შავგვერემანები იყვნენ, მაშინვე მიხვდებოდი, რომ მათი სამშობლო ნავთობით გამდიდრდა. მათ უკან მყოფი მდუმარე და კოპებმეკრული კაცი იმ პოეტს ნაგავდა, ჰიმნის ყალბი ტექსტი ნაკუნებად რომ ექცია მაღალი იდეალების გამო და დიდ ჰონორარზეც უარი თქვა. თუმცა ჩაცმულობაზე ეტყობოდა, ლომბარდების ხშირი სტუმარი რომ იყო. ლექსებს კი ალბათ ისე წერდა, თითქოს მუგუზლებს იშორებსო. მათი შინაარსიც სიკვდილის მაუნყებელი იქნებოდა და თავისი თავით აღტაცებულს პუბლიკა აღარც სჭირდებოდა. გზის ყველაზე ძნელი სავალი - აღმართები - უკვე განვლილი ჰქონდა და შეეძლო მიღწეულით ტკობას მისცემოდა. კატეგორიას კი საზოგადოება განუსაზღვრავდა, როცა უმაღლეს შეფასებებს მისცემდნენ. იგი მგზავრებს შორისაც ყანჩასავით გამოირჩეოდა და გარდაცვლილიც ასეთივე იქნებოდა ალბათ - განსხვავებული. წინასწარ ნეტარებდა იმ ატალახებული გზის წარმოდგენით, მისი სახლიდან პანთეონამდე რომ გადაჭიმულიყო. როცა გარდაცვალების საზეიმო დრო მოაწვედა, დაკრძალვის სრულყოფილებისათვის წვიმაც აუცილებელ ატრიბუტად წარმოედგინა. დიდი ხანი იყო, რაც აღარ აინტერესებდა წარმავალ ღირებულებათა მწუხარე ბედი. გამჭვირვალე სამყაროს მომცრო აკვარიუმის თევზით აღიქვამდა, თვით ოკეანეც მხოლოდ და მხოლოდ უზარმაზარ აკვარიუმად რომ წარმოედგინა და მის თავზე ცასაც მენამული გადაჰკრავდა. დროდადრო გვერდით გაიხედავდა, სადაც ბუკინისტი ეგულებოდა, კისერზე სასტიკი სვირინგით, საიდუმლო ნიგნები რომ გადაჰქონდა უცხო ქალაქში, რომლის ქუჩებში ბუკინისტები უკვე ძრწოდნენ, რადგანაც გრძნობდნენ, რომ მათ უზადრუე ეტრატებს დიადი კონკურენცია უახლოვდებოდა. ფერმერის გვერდით ორნი ისხდნენ, ერთი - ანჩხლი და ყველაფრით უკმაყოფილო მოხუცი, ჯოჯოხეთის მგზავრივით საგზლად ბოლმა რომ ჰქონდა, მეორე კი მშვიდი და მიზანმიმართული ახალგაზრდა, მამამისი ლომების მომთვინიერებლად რომ ზრდიდა, მან კი კურდღლების ეყრმა ააგო. ამ წუთებშიც ფერმერს თავისი მეურნეობის შესახებ ყოველ წვრილმანს გატაცებით უზიარებდა.

- კაკალი უნდა მოვჭრა! - ასკვნიდა მრავალ-მნიშვნელოვნად.
- რატომ?
- არ ისხამს!
- ჩრდილი ხომ აქვს.
- შარშან ტოტები დავაჭერი, აღარც ჩრდილი აქვს. უნდა მოვჭრა და ცაცხვი დავრგო!
- ცაცხვი რა, ისხამს?
- ჩრდილი ხომ აქვს...

ერთი ხანობა მათ ვუსმენდი. მერე ჯარისკაცი შევნიშნე, ცივი და ცისფერი თვალები რომ ჰქონდა და შვებულებიდან ბრძოლის ველზე ბრუნდებოდა, სადაც სიკვდილ-სიცოცხლე მონეტის ორი მხარე იყო და ყოველი დილა ამ მონეტის ჰაერში აგდებით იწყებოდა, მაგრამ მხოლოდ დღის ბოლოს ირკვეოდა, რომელ მხარეზე დაეცა მონეტა. ისე, რა მნიშვნელობა აქვს შვებულებას, თუკი ის შვებას არ გგვრის?! მატარებლის გასწვრივ ჩიტები დაფრინავდნენ, სულ სხვა ფიქრით და საზრუნავით. მე ყოველ მათგანს მოვწყვიტე მზერა და საკუთარ ფიქრებში ჩავრღმავდი. სარკმლებში ხრიკოები და მწვანე ზეგნები ელვის სისწრაფით ცვლიდნენ ერთმანეთს. მათ მხოლოდ ერთადერთი დანიშნულება ჰქონდათ - ფონი შეექმნათ. ყველაზე დიდი მნიშვნელობა ზედ მოსიარულე ადამიანს ენიჭებოდა, როგორც ძილში - სიზმარს. ნეტავ იქ, სადმე, ქვებში, ფული ეყაროს მეთქი, გავიფიქრე. წარმოვიდგინე, როგორ დაცოცავდნენ ჭიანჭველები მინის ბელტებში ჩაპნულ განძეულზე, შორს კი, მდინარის ტალღებმა, ნაპირთან კარეტას გარიყეს დამხრჩვალნი ცხენებით. რა სიამოვნებით ჩავხტებოდი ვაგონიდან, თუნდაც ფეხი მელრძო. მაგრამ სინამდვილეში საქმეს ისეთი პირი უჩანდა, კარგა ხანს არ მელირსებოდა შვებით ამოსუნთქვა. აი, ცხოვრების სინამდვილე როგორი ყოფილა - შორეული და მრავალფეროვანი, უფრო სწორედ მრავალნახნაგოვანი. მატარებელი კი მიდიოდა, სანამ ერთ დაფხავებულ ბაქანთან არ მიჩაქჩაქდა. შორიასლო ბათქაშამოცლილი შენობა და ნამჯით დატივრთული ორიოდ ფურგონი იდგა. ვაგონიდან მხოლოდ ჩვენ გადმოვედით და ფერმერის კარმიდამოსკენ გავნიეთ, ხოლო ადამიანთა ეს უცნაური ნაკრები, დიადი მიზნით შეკრებილი ერთსულოვანი რაზმი, შორს ნაჩაქჩაქდა. ხომ ამბობენ, ყველაფერი განმეორდებაო, მაგრამ ამდენ ხალხს ერთად თავს რალა მოუყრიდა? მე მხოლოდ მათ ზეიმს ვესწრებოდი. მისი ნაწილი რომ გავმხდარიყავი, ზეიმი უთუოდ ჩაიშლებოდა, რადგანაც ისეთი სრულყოფილება იყო, ყოველი ახალი დეტალი ზედმეტობას წარმოადგენდა. მე თავისუფლების უკანასკნელ ნუთებს განვიცდდი, ორსართულიან სახლს რომ მივადექით. იქ მოსამსახურე გოგონა დაგვიხვდა, ქურაზე რძეს რომ ადულებდა. პარმალთან მოხუცებული იჯდა ინვალიდის ეტლში და მზერა

სივრცისთვის მიემტერებინა, გეგონებოდა, შორეული ხედებით ტკებო. სინამდვილეში ბრმა აღმოჩნდა. ფერმერის მამა ყოფილა. ჩვენ წინკარში შევედით. ოთახში ღუმლის თავზე ჭიქები ელაგა. მის თავზე აბგები ეკიდა. ნახშირი და შეშა კუთხეში მწკრივად ეწყო. დერეფნის სიღრმეში ზემო ოთახებისკენ ამაველი კიბე ჩანდა. პარკეტი ბზინავდა და სპეციფიკურ სურნელს გამოსცემდა. ჰაერშიც ნების და მასტიკის სურნელი იდგა. პლინტუსები ბრწყინავდა, ხოლო თუთიისზედაპირიან მაგიდაზე ლამფა იდო და უნიათოდ ციმციმებდა. ზედ ჰალოგენის ნათურა მიეხრახნათ, მაგრამ მტვრიანი იყო. პროპელერი ზუზუნებდა და გაბრუნებულ თავს აქეთ-იქით აბრუნებდა, თითქოს ჩვენ გვიყურებდა. კუთხეში აქვარიუმი იდგა. თევზები ისე ბრჭყვიანობდნენ, იფიქრებდი ოქროში ამოავლესო. ცოტაოდენი ნავიხემსეთ და ამჯერად საქმელს ჩვენ ნავილებთო, თქვა ფერმერმა. გოგონას აბგა ჩამოართვა და ნაკვეთისკენ გავნიეთ. ფერმერს მეორე ხელში ჯოხი ეჭირა, ბრეზენტის ნაჭერი რომ ჰქონდა გამობმული. ეს ჯოხი მე გამომიწოდა, თითქოს კვერთხი მომიძღვნა და სამეფოს დასათვალისწინებლად წამიყოლა. ნახევარი საათი მაინც მივდიოდით მომცრო ბორცვებს შორის. ჩვენ გასწვრივ, გორაკზე, თავდახრილი კაცი დაგვემგზავრა, ასე ფერმერის ხნისა. ფერმერი შორიდან მიესალმა. - ჩემს მეზობლად აქვს ნაკვეთი, ამისხნა. გორაკის თავზე შავი ფრინველები ირთოდნენ, ბოლოს კი საფლავეები გამოჩნდა. საფლავეები რომ არ გამოჩენილიყო, იფიქრებდი, ეს კაცი ყვავ-ყორნებთან მიდისო საბაასოდ.

ჯერ კიდევ დღის სინათლე იყო და მინდორს, რომელსაც მივადექით, ბოლო არ უჩანდა. ამას ეძახდა ნაკვეთს? ისე ხეირიანი-მინა კი იყო. ზედ იმდენი კვლები და ზოლები აჩნდა, თითქოს ზებრის ტყავები დაეფინოთ. მოშორებით ფიცრული ნაგებობა იდგა. ღამეს აქ გაათევო, მითხრა ფერმერმა. შიგნით არც კი შევსულვართ, კვლებს შორის გავაგრძელებთ გზა. ბინდებოდა და ჩამავალი მზის სხივებით შეღებილი ღრუბლები მთელ ცაზე იყო მიმოფანტული. გადახურულში გარდიგარდმო სკამებს და გრძელ მაგიდას მივადექით, რომელიც სახელდახველოდ შეეკრათ. შორს ჯირკი ეგდო. ღირსშესანიშნაობები ამით ამოიწურებოდა. ფერმერმა აბგა მაგიდაზე დადო და ლამფა აანთო.

- ჰეი, შენ, აბა აქეთ მოდი! - გასძახა სიბნელებაში. შორიდან ჯირკი რომ მეგონა, მუხლებზე მდგარი კაცი აღმოჩნდა. მინას ჩაჰკირკიტებდა. იგი მძიმედ წამოდგა და ლასლასით მოგვადგა. ხელები აეკაპინებინა, მაგრამ სახელოები მაინც დასვროდა. ნიშნისმოგებით გადმოხედა, ასე მომეჩვენა. თან ლამფა ტორტმანებდა და სიგრძე-სიგანით წარმოაჩენდა ჩემ სახეს. მე კი მისი სახის დანახვა არ შემეძლო, რადგანაც შუქი მაბრმავებდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ დაყინებულ მზერას არ მაშორებდა და დამცინავად ელიმებოდა. ეტყობა, უპირატესობის მოპოვების თავისებური მეთოდები გააჩნდა. შენუხებული ჩანდა, საქმელმა რომ დააგვიანა, თუმცა არ იმჩნევდა და ყურადღება ჩემზე გადმოჰქონდა. მთესველი აღმოჩნდა. სახელი კი მითხრა, მაგრამ არ დამამახსოვრდა.

- აქ იმუშავებს ჩიტების გადამრეკავად! - მიანიშნა ფერმერმა ჩემზე. მთესველს გაელიმა - ნუ გეშინია, მიეჩვევი! - მითხრა დამცინავად და ჭამას შეუდგა. მიჩვევა ხომ საწუგემო სიტყვაა დამარცხებულთათვის. მე მას მთესველს დავუძახებდი,

ისიც შემარქმევდა ალბათ ჩიტირეკიას, დარწმუნებული ვარ. თუმცა – საფრთხობელად მომნათლა, მაგრამ ეს გულთან არ მიმიტანია. აქ ხომ სხვა რამისთვის ვიყავი ჩამოსული. როგორმე სეზონის ბოლომდე უნდა გამექაჩა. მთესველი საზიზღარ ხასიათს ამჟღავნებდა. ვატყობდი, მისგან ბევრი უსიამოვნება მელოდა. თუმცა ფერმერი ამას არ იმჩნევდა. უკანა გზაზე ნა-მოსვლისას ფიცრულში შევედი. მან მიჩვენა ნარი – დასაძინებლად და ონკანი – ხელ-პირის დასაბანად და წავიდა. დღე ისე ჩათავდა, როგორც ჩანავლული ცეცხლი. დადგა ღამე და ნაცნობმა ბგერებმა იღვმალება შეიძინეს. ჩემ წინაშე იშლებოდა ვარსკვლავების რიბირაბო დაღამებისას და ჭყეტელა ფერები – გათენებისას. ჩიტები საწყალობლად ჭიკჭიკებდნენ, თითქოს ჩემი იქ გამოჩენა არ უხაროდათ. შორს თვალუნვდენელი მინდვრების დასალიერი ისახებოდა, ოდნავ შემალღებული ბორცვები რომ ცვლიდა. მოკლედ ყველაფერი საუკეთესო იყო, მაგრამ ჩემთვის უცხო და მიუღებელი, რადგან ვიცოდი, რომ აქ ცუდად მომექცეოდნენ. მთესველი ჩემ მტრად შეირაცხა. ჩემი საქმე კი, ჩიტების დევნა, მასთან ბევრჯერ შემახვედრებდა. თვალს როგორც კი მომკრავდა, მასხრად ამიგდებდა.

– საით გაგინევია, საფრთხობელავ, ორცხობილა ხომ არ მოიტანეს? – მომძახებდა ხოლმე და სიცოლით იგუდებოდა. ასე სჩვეოდა. ერთ შესაძლებლობასაც არ გაუშვებდა ხელიდან, რომ არ დავემცირებინე და წარამარა მამუნათებდა. ეს მამოროტებდა, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა, ვითმენდი. მთესველმა თავიდანვე გამაფრთხილა, ფერმერთან რაიმეზე თუ დაიჩვილებ, ცუდ დღეს დაგაყრიო. სიცოცხლე შიშის დაძლევა ყოფილა. როცა დავრბოდი, მუქარის სიტყვები ყურში ჩამესმოდა. გზა ერთი და იგივე იყო, მინდვრის ბოლოდან ტყისკენ, შემდეგ კი უკან – ტყიდან მინდვრის ბოლოსკენ. ჩიტები კი ფრთხებოდნენ და ჩემგან მოსვენება არა ჰქონდათ. ერთთავად მათი ფრთების ფათქუნი ჩამესმოდა. ზოგჯერ კი დაღლილი ღობეს ჩამოვეყრდნობოდი ხოლმე, ნაკვეთს ტყისგან რომ მიჯნავდა. აქედან ბილიკი ჩანდა, მგზავრის გარეშე სევდის მომგვრელი. საჭმელი ამ გზით მოჰქონდა ხოლმე შუაღლისას იმ გოგონას, პირველ დღეს რომ გავიცანი. მშვენიერი ამინდი იდგა და სამყურას ფოთლები მწვანე პეპლებს ჰგავდნენ. არც კი ვიცი, რა ითესებოდა, მაგრამ რალაც მნიშვნელოვანი კი იქნებოდა. მთესველი თესლს ზედაპირზე აპნევდა, დაფვლა არ დასჭირდება, განივი ფესვები აქვსო, ამბობდა. თესლიც რალაცნაირი ბრჭყვიალა იყო, ჩიტები ადვილად ამჩნევდნენ და კენკავდნენ. ღობის გარეთ კი ერთგან გადაყრილი საფრთხობელები ეყარა – დანწული ჩალის ქუდებით, სიმინდის ხერუმით და ბრჭყვიალა კონსერვებით შემკული. ფერმერმა ალბათ იმიტომ მიქირავა, რომ ძველი გამოგონებით სასურველ შედეგს ვერ აღწევდა. მე დიდხანს დავყურებდი სარეველას და მის დანიშნულებაზე ვფიქრობდი. ბალახებს შორის თეთრად და მგზნებარედ ელვარებდა გვირილა. თითქოს მკარანახობდა, ჭემშარიტება ჩემ სიახლოვეს ეძებო.

– რას დგახარ უსაქმოდ! – მომესმა უცებ უკმეხად. მთესველი იყო. – შენ გგონია ფერმერი არ გითვალთვალავს? მისი სახლის აივნიდან მთელი ეს მხარე ხელისგულივით ჩანს. დურბინდი უჭირავს და ყველაფერს მშვენივრად ხედავს! – ვითომ ჩემზე შესტკიოდა გული.

მომიჯნავე ნაკვეთის პატრონი, საფლავეებზე რომ დავინახე, ერთი საწყალი კაცი აღმოჩნდა. ხარჯის გაღება არ უნდო-

და. მორწყვით წვიმა მორწყავსო და ჩიტებიც იმედოვნებდნენ რას უნდა გამომრჩინო, – თავისი შეხედულება ჰქონდა. ისე კი მაინც მთხოვა, ჩიტებს ჩემს ნაკვეთში ნუ გადმორეკავო. ლუკმა აქ ეგულეობდათ და საით წავიდოდნენ? თუმცა მაინც დავთანხმდი. ვალში არ დაგრჩებო, დასძინა და ცოტაოდენი ჩირი გადმომანოდა. ფერმერი გაცილებით პრაქტიკული კაცი ჩანდა. ამ ხარჯებს მოსავლის აღების დროს ათმაგად ავიწაზლაურებო, იძახდა. ამიტომაც იყო, რომ თუ სიბრყვეზე იტყოდა რამეს, ხელს მომიჯნავე ნაკვეთისკენ გაიშვერდა ხოლმე თვალსაჩინოებისთვის. იქაურობა მართლაც უღიმღამოდ გამოიყურებოდა.

– რა მოგცა იმ ბრიყვმა? – მკითხა მთესველმა.

– ჩირი! – ვუპასუხე მე.

– აბა, მაჩვენე! – მან ჩირი ჩამომართვა და ჭამას შეუდგა.

– ეგ ხომ ჩემი ჩირია! – ავიჩეჩე მხრები.

– ჩირი იმისია, ვინც ივემებს! – მომიჭრა მკვახედ. მოკლედ ჩირი სამუდამოდ დავკარგე. სადმე ფული რომ იპოვო, განა მეორე დღესაც ეყრება იქ? სასადილოში მთესველმა განმიცხადა, დღეიდან სანოვაგე სამად უნდა გავყოთო.

– მესამე ვინ არის?

– მომკელი, რომელიც ჯერჯერობით სახნისს ლესავს!

ჭამას რომ მოვრჩით, განმიცხადა, შენ ნადი, მე კი მომკელს დაველოდებო. საღამოს, როდესაც ჩიტების დვენის დროს მთესველს გადავანყდი, ვკითხე:

– მოვიდა მომკელი?

– ჰო! ნახვედი თუ არა, მაშინვე!

მოკლედ კარგა ხანს გასტანა ასე. ერთხელაც, ის იყო სანოვაგე სამად გაყო, თავზე ფერმერი დაგვადგა. მთესველს უხმო და ნათესებისკენ გაიყოლა რალაც საკითხზე მოსათათბირებლად. საცთური დიდი იყო. დრო ვიხელთე და მომკელის წილს შევექეცი. როდესაც მთესველი დაბრუნდა, ყვირილით ამიკლო, მომკელის წილი რა იქნაო.

– მომკელი მოგვადგა! – ძლივს ამოვლერლე მე. – ნახვედი თუ არა მაშინვე! – ორიენი ვტყუოდით, მაგრამ ეს იყო ჩემი პირველი ამბოხება. თუმცა ძვირად კი დამიჯდა.

– მომკელი?! – დაიბუბუნა მთესველმა და სახეში ისეთი მითავაზა, რომ სკამი აყირავდა და კედელს მივენარცხე. სიფრიფანა კედლებმა ჭრიალი იწყეს.

– ბრიყვო! არავითარი მომკელი რომ არ არსებობს ბუნებაში, ეს ამბავი როგორ იქნება?! – მიყვირა მან და ფერდში წიხლი ჩამაზილა. მე დავრწმუნდი, რომ ფერმერსა და ჩემს შორის მეტატონის ახალი შუალედური რგოლი გაჩენილიყო, რაც ყველაზე მეტად მანუხებდა. მამ შენთვის არსებობს, ჩემთვის კი არა?! ასე არ გამოვა! – გავიფიქრე

მუქარით. მერე ჩემ ფიცრულში დავბრუნდი. ქარმა ნაგავი შემოყარა ღია სარკმელში, თუმცა მხოლოდ ლოგინი გადაფერთხე. დალაგების თავი სად მქონდა. არადა თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ვარსკვლავებიც ძველებურად ელავდნენ, ჩვეულებრივად.

მომდევნო დღეს შორიდან ძაღლების ღავლა-ვი გავიგონე. მთესველმა თავისთან მიხმო, თუმცა მის ხმას ისევ ყეფის მოსმენა მერჩივნა. ჭამის დრო დგებოდა. შორიდანვე შევნიშნეთ აბგით მომავალი გოგონა. მთესველი მომიბრუნდა, თესლი ტომარაში ჰყრიო, მიმანიშნა. ცოტაოდენი დათესე, ჩიტებმა არ გაკენკონ, თორემ შენ დაგბრალდებაო, თქვა და ფარდულისკენ გაემართა. მოგვიანებით მეც მივედი. არ ესიაშოვნა.

- რა სწრაფად მოხვედი? - მომიგლო ცალყუბად.
- ჰო, მშოიდა!
- „ჰო, მშოიდა!“ - გამომაჯავრა - ტომარას რალა უყავი?
- თავი მოვეუკარი!
- კარგად მოგიფიქრებია, მიირთვი!
მაგრამ იქ მხოლოდ პურის ნაგლეჯი იდო და ცოტაოდენი ნამცეცები ყყარა.

- მეტი არაფერი მოუტანიათ?
- აი, კიდევ ეს! - შესახა მან და უცებ ისეთი სილა მითავაზა, ნავიქეცი. შინ რომ დავბრუნდი, თითებით დიდხანს ვიმონმებდი შესიებულ ტუჩებს. ამის შემდეგ უსიამოვნო გრძნობამ შემიპყრო. შიში დამჩემდა. მამაცის როლი რომც მეთამაშა, ბოლომდე ვერ გავქაჩავდი. ჩემ ნამდვილ სახეს მაინც გამოვავლენდი. მთესველი თავს ისე მამეტებდა, თითქოს აქ ჩემი ნებით ვიყავი მოსული. ამიტომაც ავიყარე გული. გამოზომილი ცხოვრება თავის საზღვრებში მიქცევდა. ეტყობა, ჩემი ბედის ვარსკვლავი სულ სხვა ცაზე კიაფობდა და არა აქ, თავზე რომ დამყურებდა. თანაც საშინელი წვიმები დამემთხვა. მაგრამ თუ არ წვიმდა, პაპანაქება აჭერდა. ასეთი მონაცვლეობა იყო, უკიდურესობებით აღბეჭდილი. იმ დღეებში კი ნესტი ძვალ-რბილში ატანდა. საძაგელმა ამინდებმა დაიჭირა. სველი ძაღლები ღობის გასწვრივ სევდიანად დასუნსულეებდნენ. ფიცრულში ნესტი ჟონავდა და ეს ჩემ მწუხარე განწყობას ეხმიანებოდა. ამინდის გამო მთესველიც საშინელ ხასიათზე დგებოდა და უფრო და უფრო მიჯინდებოდა. მის უსაფუძვლო პრეტენზიებს თავს ვერაფრით ვალწევდი. თუმცა ერთხანობა ჩვენ შორის მოჩვენებითი მშვიდობა დამყარდა, მაგრამ ეს ქარიშხლის მოლოდინში გარინდებულ უამს ჰგავდა. დღის მანძილზე ვეება ჯოხს დავარბენინებდი და ბრეზენტის ნაჭერს ჰაერში ტკაცავა-ტკუცი გაჰქონდა. ჩიტები ფრთხებოდნენ, მე კი ერთი სული მქონდა ეს სეზონი ჩათავებულყოფი.

სალამოობით ჩემს ბუდრუგანაში ვბრუნდებოდი, საიდანაც მთესველის ქოხი მოჩანდა. იგი კარგ ამინდებში ძირითადად ღამეებს გარეთ ათევდა, ღია ცის ქვეშ, მოოჭვილი ცით გადახურულ მინდორში. ჩემი საძინებელი უფრო ტყის მხარეს იყო, მისი კი მინდვრის შუაგულში. ჰოდა ასე ვცხოვრობდით - მთესველი და ჩიტების გადამრეკავი. დღის ბოლოს ისე ვიყავით გასავათებულები, კრინტსაც არ ვძრავდით, და თუ მაინც რამეს ვიტყოდით, ნაძალადევადა. არც ამის უმიზეზობა იყო. როგორც არ უნდა მოვეცეულიყავი, სულერთია, მაინც დავისჯებოდი. სანოვანე ვერაფრით გაგვეყო. მთესველი მარტივი სქემით მოქმედებდა - მას უნდა ეჭამა, რამდენიც სურდა, ხოლო მე - რამდენიც დარჩებოდა. სხვანაირად ვერ შევთანხმდებოდით. როცა ვეკითხებოდი, ჩემი წილი რა იქნა მეთქი, შენ რომ დააფრთხე, იმ ჩიტებმა გაკენკესო, მპასუხობდა. გოგონას მკაცრად განსაზღვრული გრაფიკი არ ჰქონდა და სხვადასხვა დროს მოდიოდა. მაგიდას გაშლიდა და ზარს ჩამოკრავდა. თუ შევესწრებოდით, ნაღვლიან თვალებს მორცხვად დახრიდა და ხმის ამოუღებლად გვტოვებდა. ამას შეჩვეულები ვიყავით და შუადღის მერე გულისყური აქეთ გვქონდა. დედაჩემის დარიგებას სანახევროდ ვასრულებდი. საჭმელს მხოლოდ ჯვარს გადავსახხვევო ხოლმე, პურად მაინც შემერგოს მეთქი. მალე ურთიერთობა ძალიან დაგვეძაბა. მთესველის მადა განუზომელი შეიქმნა. ჩემ წილს თითქმის ანახევრებდა, შემდეგ ჭამას უფრო უმატა და სულაც მშოიერს მტოვებდა. შორს კი მთები და ტყეები მოჩანდა, ირმების გუნდთა სამოსახლო, და ხობებით სავსე ხეობები, თავისკენ მიმხმობი - რალას ელი, გეზი აქეთკენ აიღეო! ფერდობებზე კი ცხვრის ფარა შეფენილიყო. მათ მწყემსები კი არ მიერეკებოდნენ, არამედ მწყემსებს მიერეკებოდა თავიანთი ქონება. დრო გადიოდა და მთესველი კიდევ უფრო ბოროტდებოდა. ისეთი ჩაცვიებით იცოდა მოშტერება, ძარღვებში სისხლი გაგეყინებოდა. ტონიც უკმეხი ჰქონდა და გამოხედვაც კუშტი. როცა ვესალმებოდი, გაშავებული სახით მდუმარედ მიმზერდა. სახე მეც გამეცურჯა. უღიმღამო, გაბმული და მონოტონური დღეები ჩამარცვლულ კრიალოსანს დაემსგავსა, ღამეების შავი ძაფებით გადაბმულს. რახან ცხოვრების სასტიკი პერიოდი დგებოდა, ერთი ამოსუნთქვით ჯობდა გასრულება. ვარჩიე, არ მეფიქრა და სირბილს ვაყოლებდი გულს.

- ჩიტებო! დაესიეთ ბოროტ მთესველს, დაკორტნეთ თქვენი ბასრი ნისკარტებით! - ქოშინით გავკიოდი, თითქოს ბრძანებებს ვიძლეოდი. დამფრთხალი ფრთოსნები კი მარაოსავით გაიშლებოდნენ ხოლმე ცაზე, მაგრამ როდესაც მთესველის სიახლოვეს აღმოჩნდნენ, მის თავზემთი უღონო მწკრივად გაეფინენ. მან ხელი მოიჩრდილა, ეს რა ყურისსამღები ღრიანცელიაო. მაგრამ ჩიტების ხმა ნელ-ნელა უფრო სანყალობელი ხდებოდა, ბოლოს კი სულაც მიიღია. მე კი ხელეზამომშველები ვიდექი და მთესველს შევეყურებდი.

- საჭმელი ხომ არ მოუტანიათ? - გამომძახა მკვახედ.
- ჯერ არა! - ვუპასუხე მორჩილად და თავი გადავიქნიე. მერე დიდხანს დავდევი ბებერ ყვავს. არც კი ვიცო, რატომ ამოვიჩემე. ხეირიანად ვერც კი დამჯდარიყო მიწაზე. ნისკარტს მოიღერებდა თუ არა, იქვე მეც გაეჩნდებოდი ხოლმე. ჩხავილით ტოვებდა იქაურობას. ქოთქოთით აკრეფდა ბებერ სხეულს და ძლივს აჰქონდა ჰაერში. ჰოდა, ამ დევნაში ვიყავი გართული, უცაბედად მინას რომ დაენარცხა. მისი უსიცოცხლო

სხეული ხელში ავიღე და მინდვრის ბოლოსკენ გავიწიე. მერე უდიერად მოვისროლე ბალახებში და უსუსურობის შეგრძნება დამეუფლა. ნეტავ რას ვერჩოდი საბრალოს? მას ხომ ისევე მოვექეცი, როგორც მთესველი მეპყრობოდა. ჰოდა იქნებ მეც ასეთი ბოლო მელოდა. თვალდახელშეუა ვხდებოდი, ხელებში ღონეს ვკარგავდი, სახეზე – ფერს. და უკვე სირბილიც მიჭირდა ვრცელ მინდვრებში. ნელ-ნელა ფიტულს ვემსგავსებოდი, მთესველი კი ენამჭევრობდა. ბოლოს სულ გაცოფდა. ჭამას რომ მორჩებოდა, ერთი-ორს მითავაზებდა ხოლმე უმიზეზოდ. თან მშიერი ვრჩებოდი, თან მუშტებიც მხვდებოდა. ორმაგი უსამართლობა აღესრულებოდა. უსამართლობა იმ მინდვრებივით ვრცელი იყო, სადაც სირბილი მიწევდა. მას უამრავი შრე გააჩნდა, თითქოს ფრინველი ყოფილიყოს უთვალავი ფრთით. უსამართლობა ცხოვრების შემადგენელ ნაწილად იქცა და უამრავი საშუალებით გამოიხატებოდა, მთელი თავისი სიმახინჯით რომ წარმოჩენილიყო. იგი პირქუშ ციხე-დარბაზს ნააგავდა, მრავალი შესასვლელ-გამოსასვლელით. მთესველი ნელ-ნელა მანადგურებდა. ეს ხომ ცხოვრების წესი იყო. ცეცხლსაც კი მცირე ულუფები ურჩევნია. კიდეც ბევრჯერ გამკენწლავდა განზრახ. მალე ჩემ აღკაზმულობასაც მიადგა და ჩემი ძველი კაშხე და ქუდი დაისაკუთრა. აქაურობას თავს თუ დავაღწევდი, დევნილივით ვიცხოვრებდი შებღალული სამოსით და ხე-ვლის ცეცებით. ჩემი საუკეთესო საქმიანობა ქუჩებში ხეტება იქნებოდა და მინდვრებში ვარსკვლავების დევნა პეპელსაჭერი ბადებით. მე მხოლოდ ის გამიგებს, ვინც მძიმე ცხოვრება განვილო. როცა მარგალიტის ნატიფ ზედაპირს ხედავ, განა შეიგრძნობ ზღვის სიმძიმესა და ფსკერის სიმრუმეს, რამაც ეს ხიბლი მიანიჭა?

ერთხელაც იმ გოგონას მოვკარი თვალი, ჩვენთან საჭმელი რომ მოჰქონდა. თან კეკლუცობდა, თან კი თავს ისე მაჩვენებდა, თითქოს მძიმე ხვედრი რგებოდა. განა მეც ასე არ ვიყავი? ფარდულამდე მე მივიტან მეთქი, ვუთხარი. აბა გამოიმინოდა და უკანმოუხედავად წავიდა. იქნებ მადლობელიც დამჩნა. ჩემი ულუფა გზაშივე შევსასლე. წინასწარ ვტკებოდი, მთესველი მისი მოლუშულ სახეს რომ წარმოვიდგენდი, სიტყვაძუნობით თავის უპირატესობას ხაზს რომ უსვამდა. ახლა მაინც მოუნევდა ხმის ამოღება. თავისი ულუფა მაგიდაზე დავულაგე და ზარს მარჯვედ შემოვკარი. მკვეთრი ჟღერიანი ექოდ მიანყდა შემოგარენს. მთესველი მალევე მომადგა. ცოტა შემოფოთებული ჩანდა. ეტყობა, ზარის ესოდენ მძლავრი ხმა ეუცხოვა. მე რომ დამინახა, არ ესამოვნა. ეს რა გიქნიაო, შემომწყრა. ძალიან მშოიდა და ჩემი კუთვნილი შეეჭამე მეთქი. უკმაყოფილოდ მიუჯდა მაგიდას. ჭამას რომ მორჩა, ხელი მკრა და თავში წამითაქა. აინტერესებდა, ზარი როდის დავრეკე, ჭამის წინ თუ შემდეგ. არ მახსოვს მეთქი, ვუპასუხე. სხვა დროს ასე არ მოიქცეო, არ გსმენია – “მარტოკაცი ჭამამიაც ბრალიაო” დამმოძღრა, თითქოს ანდაზებზე ყოფილიყოს გაზრდილი. ასეა, როცა რაიმე ციტატა მოგყავს წინაპართა უღვევი სიბრძნიდან, მართალი რომც არ იყო, თავი მართალი გვეგონება. იმ დღეს ფერმერი გვეწვია, ჭრაჭუნა ფეხსაცმელებით. რალაც დიდხანს არ ჩანდა. თუმცა მიზეზს ხომ არ ვკითხავდი. რაიმეს ხომ არ უჩივითო, დაინტერესდა. მთესველი ცხვარივით მორჩილად

იდგა. ასეთი კაცი მეჯდა თავზე – მლიქვნელი და ფარისეველი. მარტო რომ დავრჩი, გული მომივიდა. ისევე უსამართლოდ მომექცა. დიდი მზიარულებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ერთი ნაბიჯით მაინც წინ იყო. ჩემი საქციელით უსამართლობის ხარისხი კი შემცირდა, მაგრამ შინაარსით იგივე დარჩა. ჰოდა იმ დღეს გენიალური აღმოჩენა გავაკეთე. ადრე თუ გვიან აქედან წასვლა მომინებდა. ჯობდა, გამარჯვებული წავსულიყავი. ყოველ შემთხვევაში სადაც თავისას დაიკვეხნიდა, იქ ჩემიც ეთქვა. მისი ბედოვლათი თავი სიმართლის შარავანდედით უნდა შემემკო. ვალდებული ვიყავი, ასე მოვექცეულიყავი. ის ჩემ ცემას მაინც არ შეწყვეტდა, მე კი მისი მომრევი არ ვიყავი. მოვარდნილ წყალდიდობას მრავალი კოცონითაც რომ დავხვედროდი, განა დავაკლებდი რამეს? სხვა გამოსავალი უნდა გამომენახა. სიმართლე – სცენის დეკორაციაა და რამპის დამაბრმავებელი შუქი, ხოლო სიცრუე – მძიმე ფარდა. ჰოდა სცენაზე გამირები თუ არ მოქმედებენ, ფარდა მუდამ ჩამოშვებული იქნება, რამპა კი – ჩამქრალი. ამიტომაც ვეცადე, შუადღისას მთესველთან ახლოს მეტრიალა, თვალთახედვაში რომ მყოლოდა. ერთხელაც ფეხი თხრილში ჩაუვარდა და როცა წამოდგა, გზა კოჭლობით განაგრძო. თანაც შემოკურთხა. რა შუაში ვიყავი? სწორედ ამ დროს გოგონა შევნიშნე და მისკენ გავქანდი. – ჰეი! – განწირული ხმით მომაცხა მთესველმა, ეტყობა გულმა რალაც უგრძნო, მაგრამ ამდენი ჭამისგან მთლად დადონდლოვებუ-ლიყო. თანაც კოჭლობდა. მე კი უკვე აღარაფერი მესმოდა. ჩემი ულუფისგან არაფერი დავტოვე, როცა თავზე წამომადგა, სულს ძლივსლა ითქვამდა და ჩლუნგი თუნგივით მიმზერდა, მაგრამ რატომ-ღაც ხელი არ უხლია. მდუმარედ მიუჯდა თავის ნილ ულუფას. იმ დღეს ქარი ამოვარდა, რომელიც თავად აფრთხობდა ფრინველებს და მე შემეძლო გულარხეინად ვყოფილიყავი. საქმე არაფერი მქონდა, გარდა ნარზე გორაობისა. მთესველი კი გულზე სკადებოდა. მომდევნო დღეებში სადაც მომიხელთებდა, უღმობლად მასილაქებდა, მაგრამ ეს უკვე იშვიათად ხდებოდა. ჩემმა საქციელმა ინტენსიური ხასიათი მიიღო და საკმარისად მოვლონიერ-დი. თანაც მართლა ვაშავებდი და მისი მოქმედება სამართლიანი იყო. როლები შეეცვალეთ და უკვე ის იკვებებოდა ჩემი ნარჩენებით. მე კი უფრო და უფრო ცოტას ვტოვებდი. ამიტომაც იყო გაუთავებელი ჩხუბი და აყალმაყალი. მშიერი მთესველი ფარდულში მოდიოდა, იქ კი მაძლარი ჩიტირეკია ხვდებოდა. ჩემი წილი რა იქნაო, დაიბუბუნებდა და ჩიტებმა გაკენკეს მეთქი, ვპასუხობდი. მაშინ ზიზლით ივსებოდა და მუშტებს მიმუნდა, მაგრამ მე უკვე ისე მოვსუქდი, რომ ამ ბრავუნს მტკივნეულად ვეღარც აღვიქვამდი. მას კი ძალ-ღონე ნელ-ნელა ეცლებოდა და უილაჯოდ ქოშინებდა. მისი ხმაც კარგავდა ბრძანებლურ ტონს, სიტყვები უფრო შემწყნარე-

ბლური ხდებოდა და ხელებიც საცოდავად ჰქონდა განვდილი. ბოლოს სულაც ხვეწნაზე გადავიდა. ერთხელ სუფრასთან მიმასწრო და სანიმუშოდ მოიქცა, მხოლოდ თავისი წილი იკმარა, მაგრამ მე უკვე გული გატეხილი მქონდა და ხელი ჩაქნეული. ვიცოდი, მომდევნო დღეს თამასას კიდევ უფრო მაღლა აგწევდი. მართლაც ისევ მშვიდი დავტოვე და გაცოფებულმა დიდხანს მდია. გზაზე ჩიტები უფრო ფრთხებოდნენ, რადგან უკვე ორნი ვიყავით. მთესველის შესაგულიანებლად მხნედ ვიძახოდი – მადლობელი ვარ, რომ მეხმარები-მეთქი!

სულ მალე ისე მოვსუქდი, ტერიტორიას გარს ძლივს ვურბენდი. მთესველმა მოლაპარაკება გად-ანწყვიტა. ხან რა წინადადებას მთავაზობდა, ხან რას. მინდვრის ბოლოში ფრინველებს მე თვითონ დავაფრთხოვ, მიჯნებზე სირბილი აღარ მოგიწევს, ამჯერად მაინც იქით ვთესავო. თანაც მხოლოდ იმ წილს ითხოვდა, რომელიც ეკუთვნოდა. ქუდი და კაშნეც დამიბრუნა. აუცილებლად რამეს მოვი-ფიქრებ მეთქი, ვანუგეშე. მაგრამ განა ასე ადვილი იყო ერთბაშად გადაჩვევა? პასუხის გასაცემად დროს ვწვლავდი. ეს დრო ხომ მაინც გადიოდა და წასვლის საათთან მახლოვებდა. მის შემოთავაზე-ბებს მერამდენედ ვწონიდი და მასთან ერთად ვმ-სჯელობდი, იქნებ ჭკუაში დამჯდომოდა. ამას სულ გამოჰყავდა წყობილებიდან, მაგრამ რა უნდა ექნა? ფერმერთან ვერ მიჩვილებდა, რადგან ეს საქციელი მის მიერვე დადგენილი წესის დარღვევა იქნებოდა. თანაც ფერმერი იშვიათად ჩნდებოდა, მაგრამ სიტყვის კაცი ნამდვილად იყო. ეს ღირსება მის მრავალ ჩრდილოვან მხარეს გადაფარავდა და დადებითად წარმოაჩენდა. ალბათ დიდად აფასებდა ჩემში იმ თვისებას, ჩალურჯებულ თვალზე როცა მკითხ-ებოდა და ჩიტების დევნის დროს ნაეიქეტი მეთქი, ვპასუხობდი. თუმცა ხვდებოდა, ამის მიზნი რა შეიძლებოდა ყოფილიყო. იქნებ აკვირდებოდა კიდევ მოვლენების განვითარებას. ერთ დილასაც მოვიდა და განმიცხადა, წასასვლელად მოგმზადე-ბულიყავი. ჩემზე მეტად მთესველს გაუსარდა. გუ-ლითადად გადამხვია და მის მიერ გამოხატულმა სიხარულმა ფერმერი ცოტა არ იყოს გააკვირვა. როცა მის სახლს მივუახლოვდით, ჭიშკარი გამო-აღო, მაგრამ მე არ შევყოლილვარ. მოხუცებული ისევ იქ იჯდა, ინვალიდის ეტლში. ისევ სივრცეს გაჰყურებდა, თითქოს დასასრულს უცდისო. ალ-ბათ თვლიდა, რომ დანარჩენებისთვის მხოლოდ ამ გზით შეეძლო შვების მოტანა. ცოტა ხანში ფერმერი გამოვიდა და ქალაღდის ფული გამომი-წონდა. – ჯეროვნად იმუშავე, კმაყოფილი ვარ! – მითხრა მან, მაგრამ რამდენიც არ უნდა შევექე, აქეთ მომავალ გზას აღარასოდეს დავადგებოდი. ეს ჩემი გზა არ იყო. მე სხვა გზის მგზავრი ვი-ყავი. აქაურობა მოსაწყენ მოსაცდელს ჰგავდა, მე კი გაჩახჩახებული დარბაზისკენ მიმინევდა გული.

ფერმერს გამოვემშვიდობე და სადგურისკენ გავწიე. მატარებ-ლის მოსვლამდე მიმოსვლის ცხრილს ვათვალიერებდი. მალე ელმავალმა მოაყვირა და ვაგონში ზღაზვნით ავედი, თუმცა მგ-ზავრებს სახეზე აღარ დავკვირვებია. ხანგრძლივი ჯაყჯაყის შემდეგ როგორც იქნა ჩემს ქალაქში დავბრუნდი და პირველ რიგში სათამაშოების ვიტრინას მივაშურე. აქ ბევრი რამ შეცვ-ლილიყო და პლასტმასის ჯარისკაცებიც უფრო აღჭურვილნი ჩანდნენ. მე დიდხანს და ამაოდ ვუხსნიდი გამყიდველს, რომელ ჯარისკაცს ვგულისხმობდი, ვიტრინაში რომ აღარ აღმოჩნდა.

– დრო იცვლება! – სევდიანად გამიღია მან – და სათა-მაშობესაც ეცვლებათ იერსახე. ასეთია ჩვენი ცხოვრება. არც ჩვენ ვართ მარადიულნი და მით უმეტეს ვერც სათამაშოები იქნებიან! – მოკლედ სიბრძნეს აფრქვევდა და თვითკმაყო-ფილებით აკანტურებდა თავს, მარტო სათამაშოების გამყიდ-ველი კი არა, ფილოსოფოსიც ვარო. მაშინ მეც გაუზიარე ჩემ მიერ დადგენილი ერთი ჭკმმარტება, იქ, ფერმერის ნაკვეთში ლობეზე დაყრდნობილს რომ მომივიდა აზრად – სარეველა მხ-ოლოდ ფონია ყვავილებისთვის. ლოტოსიც ულამაზეს ყვავილს აღმოაცენებს, მაგრამ ფესვები ჭაობში აქვს გადგმული – მერე პლასტმასის ჯარისკაცი შევიძინე. თან იმას ვფიქრობდი, დი-დად გამოვიდებო არაფერზე რომ არ ღირდა. ყველაფერს ყავლი გასდის, გარემო იცვლება და ნივთიც შექენისთანავე დაძველე-ბას იწყებს.

ქუჩაში გამვლელები ირეოდნენ. თვალწარმტაც გოგონებს ჯინსის შარვლები ეცვათ და კეკლუცად დააბიჯებდნენ თავიან-თი მშვენიერი ლურჯი ფეხებით. თითქოს ჰაერიც უფრო მყიფე გამხდარიყო და რძისფერი ნისლი ქუჩაბანდებს დასწოლოდა. ამ ნისლს სახლამდე გავყვებოდი, ნაცნობებისგან თავი რომ დამეფარა და პირველ რიგში ჩემები მენახა, მაგრამ გზაშივე მიიღია და ჟანგისფერი შენობები გამოჩნდა, ათასი წვრილ-მანით შეკონინებული, სადაც ყოველი დეტალი ჩემთვის ნაც-ნობი და ანგარიშგასანევი იყო. გლუვი მიწა ვერცხლისფრად აბრჭყვიალდა. ჩანავლული ხმები მჩქეფარე გახდა და ჩიტების გუნდი თავზე უღურტულით გადამეგლო. მე მათ აღარ ავდევნე-ბივარ და ისინიც მტრად აღარ მიმიჩნევდნენ. ანი ძველი ამ-ბები სიზმარივით მომაცონდებოდა. მოგონებები ხომ თბილი ქვეყნებიდან დაბრუნებულ ფრინველთა მწკრივს ჰგავს. მალე შინ ვიქნებოდი და ჩემ ძმას სათამაშო ჯარისკაცს გავუწვდიდი. ხოლო თუკი მკითხავდა, შენი ცხოვრების შესახებ მომიყვირო, ვუპასუხებდი – აბა, რა მოგიყვე? ცხოვრება არ ყოფილა! იქ ერთი მთესველი ცხოვრობდა და ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ დაჭერობანას ვთამაშობდით-მეთქი...





სოფო ნულავა

დიმიტრი ნიკლაურის „საფრთხოებას სეზონი“

„ან არ იცნობენ, ან მისით აღფრთოვანებულენ... ვერ მიაკვლევ ვერცერთ ლიტერატურულ პორტალზე, ვერც ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში“ – წერს მასზე მარიამ ნიკლაური, რაც თანამედროვე ქართული ლიტერატურული სივრცისთვის ცოტა უჩვეულო და უცნაურია და დასაწყისშივე გიჩენს ფარულ ინტერესს მსგავსი ტიპის შემოქმედისადმი – ასე იყო ჩემს შემთხვევაშიც.


პირველი მოთხრობა, რომლითაც დიმიტრი ნიკლაურის შემოქმედებას გავეცანი, „საფრთხოებას სეზონი“ იყო. უცნობი ავტორის ტექსტის კითხვა ერთგვარი რიტუალია და დაახლოებით წერის ისეთ პროცესს ჰგავს, ყოველგვარი წინასწარი განწყობისა და მომზადების გარეშე რომ ჯდება და მხოლოდ და მხოლოდ ის იცი, აუცილებლად რომ უნდა დაწერო – იმაზე კი, რა და როგორ გამოვა, წარმოდგენა არ გაქვს. ასეთ დროს თითქოს სამყარო გაკრანახობს საკუთარ თავს, სამყარო გადმოგაქვს სიტყვებით და სიტყვებში...

უცნობი ავტორის უცნობი ტექსტის კითხვის დროს, ალბათ, ყველაზე მთავარია, გაგიმართლოს და ისეთი ტექსტი შეგხვდეს, დასაწყისშივე არ დაგაბნოს და არ გაუცხოვდე. რაც არ უნდა მრავალრთულტექსტგამოვლილი იყოს მკითხველის გული, უცნობი ავტორის ტექსტის აღქმის პროცესის დასაწყისს ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

სათაური – „საფრთხოებას სეზონი“ – საკუთარი თავის შესახებ მაინცდამაინც ბევრ ინფორმაციას არ გვანვდის, ბოლომდე იმის გააზრებასაც ვერ ვახერხებთ და ვასწრებთ, რას შეიძლება გულისხმობდეს ან მალავდეს იგი საკუთარი თავის მიღმა თუ საკუთარ თავში. შეიძლება, სიტყვა „საფრთხოებას“ მიღმა მდგარი იკონური გამოხატულება – ჯოხზე წამოცმული ადამიანის სამოსი ჩიტების დასაფრთხოებად – არც კი გავგახსენდეს და „საფრთხოებასში“ სრულიად სხვა რამ მოვიპოვოთ, მაგალითად, ადამიანი, რომელიც გარშემომყოფებს აფრთხობს; სიმართლის გამოკვლევა არც ისე რთუ-

ლია – სულ რაღაც რამდენიმე გვერდის წაკითხვის შემდეგაა შესაძლებელი, ამიტომ, უმჯობესია თვალი მივადევნოთ სათაურის ქვემოთ ტექსტს: მოთხრობის თხრობის ტემპორიტმს ყოველგვარი გაუცხოების, გონების დროებითი გათიშვისა და ასოების მექანიკურად წაკითხვის გარეშე, პირველი აბზაცის პირველი წინადადებადანვე შევყავართ მოქმედების არეალში. ასე რომ, ტექსტის ბოლომდე ჩაკითხვის შემთხვევაში, პირველ აბზაცთან მიბრუნება და მისი ხელახალი გადაკითხვა აღარ მოგვინევს – ის ავტორმა უგულისყუროდ და მექანიკურად წაკითხვას იმთავითვე გადაარჩინა, განსაკუთრებით კი მათი მხრიდან, ვინც ჰუმანიტარია და საოცარ სულიერ სიახლოვეს იგრძნობს პირველივე წინადადებასთან, შემდეგნაირად რომ უღერს: „სკოლაში მშობლიური ლიტერატურის გაკვეთილი ყველაზე მეტად მიტაცებდა“. თანდათანობით, სრულიად ბუნებრივად, სადად და ორგანულად გადადის ერთმანეთში ძველი და შელახული სკოლის შენობის, მის წინ აღმართული მთების („ოქროს ზოდების“), ხრიოკის („ოქროს ნამცეცების“), დაჭაობებული, ბაყაყებითა და თავკომბალებით საესე მდინარისა და იმ წინაპართა აჩრდილები, მთების მონატრებას კეთრის წყლებში რომ აღუსრულებია, მაგრამ მაინც არცერთხელ არ დასცდენიათ ბედის სამდურავი და ხის ცოტზე შეყუყულა მათი „ულირსი შთამომავალი“, რომელიც ამ ყველაფერს სუბიექტურად აღიქვამს და შეიგრძნობს.

ის, რაც ტექსტის მომდევნო აბზაცებშია აღწერილი, ძალიან დაინტერესებს ლიტერატურის კრიტიკოსებსაც და ჩვეულებრივ მკითხველსაც: ჩვეულებრივ მკითხველს იმიტომ, რომ მიიზიდავს შინაარსი, რომელსაც ტექსტი მოგვითხრობს: როგორ უწერს უფროსი ძმა უმცროსს თემას ლიტერატურაში, რომელიც ხალასი იუმორითა და ბავშვური გულუბრყვილობითაა გაყლენთილი და ცხოვრების ადრეული წლების განწყობას აცოცხლებს – ეპიზოდს, რომელიც არაერთხელ ყოფილა ნებისმიერი ჩვენგანის ცხოვრე-



ბაში - როცა ან თვითონ უნერდა სხვას, ან სხვა უნერდა მას მასწავლებლის მიერ მოცემულ დავალებას; ლიტერატურის კრიტიკოსი კი აუცილებლად აღმოაჩენს მისთვის საინტერესო თეორიულ მასალას მხატვრული ტექსტის შექმნის პროცესზე. არ გაუჭირდება იმის დასკვნაც, რომ საქმე გვაქვს პოეტურ პროზასთან, სადაც მარგალიტებადაა ჩაყრილ-გაბნეული ტროპული მეტყველებისთვის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებანი: „სადაც ოქროს ნავანყდი, ბაჯალლოთი შევამკე, ხოლო სადაც ქალაღი ვახსენე, იქვე ფარატინა მივაყოლე (სიტყვების „გაბევრებისა“ და გახატონების მცდელობა. ს.წ.) მოკლედ, მაღალფარდოვანი სიტყვები ფერადი მოზაიკის ნაწილებივით შევეუთავსე. თანხმონებს შორის ჰაეროვანი ხმონები ისე გამოიყურებოდნენ, როგორც კლდოვან მღვიმეებს შეფარებული მშვენიერი ასულები, მზით გარუჯულ სატრფოებს რომ დამალვოდნენ. დიდებული ტექსტის თვალუწვდენელი სტეპებიდან გამომხობილი გამონათქვამები ყალყზე შემდგარ ცხენებს დამსგავსებოდა, გახედენა რომ ვერ მოვასწარი და არენაზე პირდაპირ ველური რემა შემოვრეკე. ზოგი სტრიქონი ისე იკითხებოდა, თითქოს ბალახი გაგვეთიბოს... მოკლედ ისეთი მონოლითური თემა შედგა, რომელიმე წინადადება რომ განგეხილათ, მას მთელი ნაწარმოები ამოჰყვებოდა, ამნით რომ ამოაქვთ ხოლმე ჩაძირული გემის

გაყლენთილი კორპუსი ერთმანეთზე ახორხლილი ნაწილებით და წყალი ნურწურით სდით“. ტექსტში გამოყენებული ტროპის სახეები - ძირითადად შედარება, შემოქმედებითი პროცესის (წერის) ერთგვარ გამოსატყულებას წარმოადგენს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გამონათქვამების ყალყზე შემდგარი ცხენებისთვის შედარება და არენაზე ველური რემის შემორეკვა, როგორც ერთგვარი სახე-სიმბოლო წერის დროს არაცნობიერის მიერ ნაკარნახევი მასალის ყოველგვარი ლიტერატურული გადამუშავების გარეშე გადმოტანისა სუფთა ფურცელზე. კონკრეტულ შემთხვევაში, ავტორისთვის ახალი ტექსტის შექმნის მაპროვოცირებელი ფაქტორი და ერთგვარი საფუძველი ჯეკ ლონდონის მოთხრობაა, ფრაზების გამრავალფეროვნებითა და გადამუშავებით სწორედ მის მიერ გასიტყვებული სამყაროს ხელახალი გასიტყვება ხდება, თუმცა, ეს წინა ამბებია, მხოლოდ რამდენიმე გვერდზე მოთხრობილი და ძირითად ამბავთან თითქმის არანაირ კავშირში არ არის. მთავარი ამბავი, და შესაბამისად, ტექსტის მთავარი სათქმელიც, მკითხველს ჯერ კიდევ წინ ელოდება. ეს კი, რაზეც ყურადღება გავამახვილეთ, მხოლოდ პატარა ეტიუდად შეიძლება აღვიქვათ, გონების გასავარჯიშებლად რომ შემოგვთავაზეს, რომელიც მხოლოდ იმიტომ გვჭირდება, რომ ტექსტის ძირითად მოქმედებაში შესაღწევად შეგვამზადოს. საზაფხულო სამუშაოს შესრულების დროს გადამხდარი პატარა თავგადასავალიც ჩოფურასახიან კაცზე მხოლოდ ერთ-ერთი საფეხურია, რომელსაც მთავარ ამბამდე მივყავართ, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ტექსტში ჩართული ყოველი პატარა ისტორია, რომელსაც საკუთარი დამოუკიდებელი კომპოზიცია აქვს, ძირითად ტექსტთან სუსტი კავშირის მიუხედავად, მთლიანობაში აღიქმება და ძალიან ჰგავს ერთი ადამიანის ცხოვრებას, რომელიც თითქოს ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ისტორიების ჯაჭვისგან შედგება, ერთმანეთთან თითქოს კავშირში რომ არ არის, მაგრამ საერთო ჯამში ერთ ბედისწერას, ერთი ცხოვრების ხაზს წარმოადგენს.

ტექსტის ძირითადი ნაწილი იმ ეპიზოდთან იწყება, როცა სკოლიდან დაბრუნებული ბიჭი აღმოაჩენს, რომ კიდევ ერთხელ უნდა წავიდეს მორიგი საზაფხულო სამუშაოს შესასრულებლად, რათა კვლავ დაეხმაროს საკუთარ ხელმომჭირნე ოჯახს სიღარიბის დროებით მაინც დამარცხებაში.

მატარებელში წარმოდგენილ ადამიანთა სიჭრელე, რომელიც მახვილი, ზუსტი თვალითაა დანახული, იმ ადამიანის შინაგანი განწყობისა და სულიერი მდგომარეობის გამომხატველია, სამყაროს შემეცნებას რომ იწყებს - პირველ დამოუკიდებელ ნაბი-

ჯებს დგამს ბავშვობიდან დიდობისკენ; როგორც წესი, დიდები მსგავსი საგნებისა და მოვლენებისადმი გულგრილები არიან და ეგომანიით შეპყრობილნი, გარე რეალობაზე დაკვირვებას შინაგანი სამყაროს კვლევას ამჯობინებენ. თანდათან კი ერთდროულად მისტიკურ-სიმბოლური და სრულიად რეალისტური ისტორიის თხრობა იწყება, პირდაპირაც რომ შეიძლება გავიგოთ და ალეგორიულადაც.

ის, რაც თხრობის ძირითადი ნაწილის დაწყებამდე, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, მხოლოდ ერთგვარი ფონი იყო (ჩიტები), მალე მოქმედების ეპიცენტრში ექცევა და მთავარი გმირის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდება – ის ჩიტების გადამრეკავად იწყებს მუშაობას. ამაზე შეუძლებელია, არ გაგვახსენდეს ქართული ეპითეტი თავისებური ადამიანის დასახასიათებლად, რომელიც ძირითადად უარყოფით კონტექსტში გამოიყენება – ჩიტირეკია, თუმცა, მოთხრობის ბოლომდე ჩაკითხვის შემდეგ ვრწმუნდებით, რომ სწორედ „ჩიტირეკიობა“ და უცნაურ მთესველთან თანაცხოვრება დაეხმარა გმირს ცხოვრების არსის შეცნობაში.


თვალუწვდენელი მინდვრებისა და ჩიტების ფონზე ორი ადამიანის ბრძოლა თვითდამკვიდრების, გადარჩენისა და არსებობისთვის ტექსტის ცენტრალურ ეპიზოდად იქცევა, რომელსაც ავტორი ნისლისფერი განწყობით ხატავს, სადაც შეგრძნებები, ემოციები, სუბიექტური ხედვა და ფიზიკური რეალობა ერთ სიბრტყეში თანაარსებობს. მთესველი შორეულ ალუზიზადაც კი აღიქმება ბიბლიის ტექსტთან, იგრძნობა ზღაპრისთვის დამახასიათებელი ფერთა სიმკვეთრე, ფანტაზიათა სიციხადე, წარმოდგენათა და წარმოსახვათა ხორცშესხმის მცდელობა, იხატება მჩაგვრელისა და ჩაგრულის მკვეთრად გამოხატული ტიპები, თანდათან კი ხდება როლთა მკვეთრი ურთიერთგაცვლა... შიგადაშიგ გაისმის აფორისტული გამონათქვამები, მაგალითად, „სიცოცხლე შიშის დაძლევა ყოფილა“, ან: „როცა რაიმე ციტატა მოგყავს წინაპართა უღვივი სიბრძნიდან, მართალი რომც არ იყო, თავი მართალი გეგონება“.

მკითხველი მომსწრე ხდება, როგორ დრამატულად ვითარდება პერსონაჟის ისტორია, როგორია მისი გზა საკუთარი უფლებების დაცვიდან მტაცებლობამდე და თანდათან როგორ ემსგავსება სწორედ იმ მთესველს, რომლის წინააღმდეგაც იბრძვის. მარტივი სქემა – ერთმა უნდა ჭამოს იმდენი, რამდენიც უნდა, მეორემ კი ის, რაც მას გადარჩება, ჯერ მთესველის, შემდეგ კი ჩიტების გადამრეკავის ცხოვრების ამოსავალი წერტილი ხდება. უსამართლობა იმ მინდორივით ვრცელი და უკიდევანოა, სადაც მოქმე-

დება ვითარდება. ძალაუფლების სიტკბოს რიგრიგობით გრძნობენ ჯერ მაძლარი მთესველი, შემდეგ კი მაძლარი ჩიტების გადამრეკავი. ძალაუფლების დაგემოვნებისა და საკუთარი შუბლის გამარჯვების გვირგვინით შემკობის შემდეგ კი ყველაფერი მთავრდება, იმიტომ, რომ მთავრდება საფრთხობელას სეზონი. სრულდება თამაშიც მთესველის მიერ დათესილი გაურკვეველი მცენარის ყანაში და ჩიტირეკიას საკუთარ სახლში დაბრუნების დრო დგება: იგივე გზა მატარებლით – ახლა უკვე სავეჯით, ამჯერად ყურადღების მიღმა დარჩენილი მგზავრები, შეიარაღებული სათამაშო ჯარისკაცები მალაზიაში, სათამაშოების გამყიდველისთვის გაზიარებული ფილოსოფიური დასკვნები და ძმისთვის ნაყიდი სასურველი სათამაშო ჯარისკაცი, მისთვის მოსაყოლი ისტორიის თანხლებით იმაზე, თუ როგორ გაატარა სეზონი: „იქ არაფერი ხდებოდა, მხოლოდ ერთი მთესველი იყო, რომელსაც შიგადაშიგ დამალობანას ვეთამაშებოდი“ – ასე აყალიბებს ის თავის თავგადასავალს. ძმისთვის მართლაც სხვა არაფერია მოსაყოლი, რადგან რეალურად ეს მხოლოდ მისი გამოცდილებაა, სხვების გამოცდილება კი ადამიანებისთვის ერთ ჩვეულებრივ ისტორიად აღიქმება, მაშინ როდესაც გმირისთვის მთელი სამყარო სწორედ ამ ისტორიის გარშემო იწყებს ბრუნვას.

ჩემთვის, როგორც მკითხველისთვის, რომელმაც პირველად წაიკითხა მისთვის უცნობი ავტორის ტექსტი, ეს მოთხრობა ერთ ჩვეულებრივ თავგადასავლად დარჩებოდა, სადაც გმირის სულიერი ტრანსფორმაცია ცხოვრების ერთი ეპიზოდის მაგალითზეა აღწერილი, მაგრამ ტექსტის ენა, რომელიც ავტორის ინდივიდუალიზმს, მის უჩვეულო, ფაქიზ დამოკიდებულებას უსვამს ხაზს საგნებისადმი, პეიზაჟებისადმი, შეგრძნებებისადმი... მაფიქრებინებს, რომ ამ საოცრად პოეტური ტექსტის მიღმა არამარტო ერთი პერსონაჟის მიერ კონკრეტული სამყაროს სუბიექტური აღქმა, არამედ, ზოგადად სამყაროს საიდუმლო კოდი იმალება – კოდი, რომელიც საკუთარ თავში არაერთ ბიბლიურ პარადიგმასა და სიმბოლოს აერთიანებს. ისევ მარიამ ნიკლაურს დავესესხები და ტექსტს მისი სიტყვებით დავასრულებ: „ცხოვრების წესით დიმიტრი ნიკლაური ერობაში მოღვაწე ბერადაც კი შეიძლება წარმოიდგინო... მე, პირადად, ნამდვილად მიმაჩნია თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების თვალსაჩინო და ღირსეულ ავტორად, სამაგალითო ადამიანად, ნამდვილ ქრისტიანად, რომლისთვისაც სიტყვიერებაში და ცხოვრებაში თანაბარი ძალითაა განფენილი ღვთაებრივისა და ადამიანურის, დაცემისა და ამაღლების მისტერია“.

პოეზია



მიმი გახდა მზის ამოს-

სტული, პო

ა!
მი გახდა (?)

როგო
ახდა:

ახის გას
გახდა!
როგორი ციფ
როგო

სტიფი გახო
ცხრა ი
ომ გახდა
ბოლოდღე
ახდა!
ომ

ზურაბ რთველიაშვილი

Invisible

ცხრა გახდა ჰაერში!
უჩინარი გახდა,
უსაფუძვლოდ საშიში გახდა მზის ამოსვლიდან
მზის ჩასვლამდე
უნყვეტი გახდა!
ურწმუნო, კორექტული, პოლიტიკური
გახდა,
ნახე, რა გახდა!
ხედავ, როგორი გახდა (?)
ისეთი გახდა, როგორც
ჰაერში თორმეტი გახდა!

საბნის გადახდა
გახდა!
როგორი ცივი
როგორი ზუსტი
როგორი
ნატიფი გახდა.
ცხრა გახდა ჰაერში!
უკომპრომისო გახდა,
ბოლომდე
გახდა!
ბოლო
გახდა,
მაჰათმა გახდა!

დათო ყანჩაშვილი

ღმერთი მართალია

ღმერთი მართალია
როცა ლიბიელი ბავშვის ყველა ნეკნი ასეთი აშკარა და გამოხატული
შურისძიების ფონზე

აი ამერიკა დემოკრატიულია და დემოკრატია ეპიდემიური
რომელმაც გაიარა ამდენი და ამდენი ათასი მილი და ჩავიდა ერაყში
მაგრამ არ გაჩერდა

გაიარა კიდევ უფრო ამდენი და ამდენი მილი და ჩავიდა ლიბიაში
და არ გაჩერდა

და აი უტრიალებს ამერიკული დემოკრატია ირანს
უტრიალებს და იჭვრიტება ჩადრებს მიღმა
ღმერთი მართალია

ჰუმანიტარული დახმარებები ხომ მომგებიანი ბიზნესია
როდესაც ვსაუბრობთ ავღანეთზე

და აი კომუნისტები დინოზავრებივით გადაშენდნენ
და მათსავით მუზეუმებსაც გამოკრეს ხელი

და ამხანაგი ბერია და ამხანაგი სტალინი და ამხანაგი შევარდნაძე
რა ადვილი სათქმელი გახდა

როგორც წელი 37

ღმერთი მართალია

როდესაც მოვიმარჯვებთ ჩვენს ფიქრებს, როგორც დურბინდს და ვიყურებით
უცხო ფანჯრებში

ხოლო გარყვნილება ისევ სახიფათო სიტყვაა და ეს არაფერი
ღმერთი მართალია

როცა ნავთობის ბარელის ფასი ასე მერყეობს

და თამაშობს როგორც 5-6 წლის გოგო ეზოს სილაში
ქალაქებს რომ აშენებს და მერე კი ანგრევს

ღმერთი მართალია

მე ვცხოვრობ და მივდივარ და გავრბივარ ქალაქიდან თუ არა
ქალაქში მაინც

სადაც ანათებენ წითელი ჯვრები 24 საათის განმავლობაში
რომლის ყოველ კუთხეში 24-საათიანი ალბ-მიცემობით იყიდება

სითბო ფეხების შემოხვევით კოცნის გარეშე
და შეგიძლია უჩუროჩულო ამ დროს ყურში –

შენ ხომ გაიზარდე

შენ ხომ დედა გყავს და მამა გყავს და თუ აღარ გყავს ხომ გყავდა მაინც
ხომ ხდებოდა ხანდახან ავად

რომელიმე შენგანი ხომ უსმენდა საკუთარი მუცლის ხმაურს შუალამისას

როდესაც მაცივარი მოგჩერებოდა უპატრონო ბავშვივით და გამოწვდილი ჰქონდა უჯრები

ჩვენ ხომ ასე უკომპრომისოდ შეგვიყვარდა ერთმანეთი
რომ ხელითაც უკვე მოვსინჯეთ
ჩვენ ხომ ცალ-ცალკე გავიზარდეთ
და სხვადასხვა სოროებზე ვამბობდით სახლი
ჩვენ ხომ გვატარეს ცივ დარბაზებში
სადაც მდგარან ჯვარისკაცი, მეძავი ბავშვი
და თითქოს სახე ჰქონდათ საერთო
და რიგრიგობით გვიყურებდნენ
ჩვენ სწორედ მაშინ ვისწავლეთ თვალის არიდება

ღმერთი მართალია
ტკივილები და ომები
ხომ გველემშაპის თავებზე იზრდებიან
რაც უფრო მეტს ჭრი
უფრო მეტი ამოიზრდება
და იქნება ამდენი ათასი სამუშაო ადგილი და
ამდენივე კომპიუტერი
ამდენივე მაიკროსოფტის პროგრამა და
ამდენივე ერთნაირი სახე და თავი
დაქოქილი მეხსიერებით
და გამშრალი თვალით

ღმერთი მართალია
როდესაც შემთხვევით ამოგვიგდებს გუგლი ფოტოებს
რომ ყოველდღე ამდენი და ამდენი რომ კვდება შიმშილით
ამდენივე თავის რიგს უცდის
და ამდენივე სადაცაა დაიბადება რომ ამ რიგმა იცოცხლოს დიდხანს

აკი ვამბობ
ღმერთი მართალია
როცა გვიჩვენებს და არ მალავს
და აი ჩვენ კი –
მეც, შენც, შენც და ისინიც
თვალეებს ვარიდებთ
თავს გადავაქნევთ
შეიძლება ცასაც ავხედოთ
და სინდისის დასამშვიდებლად
წავილულულოთ ორიოდ სიტყვა
„ღმერთო უშველე.“

სოფიკო კვანტალიანი

მოულოდნელი ელზგია რაბათის ცის ქვეშ

ო, ცაო
 როგორ დაბერდი –
 მოგეპრუნა ხელთუქმნელი შენი ნაჩვრეტი,
 საიდანაც ღვთაებრივი სხივი დიოდა...
 ვინ ელოდა ამ დროს სასწაულს,
 როცა გამოჩნდა მეთერთმეტე ქალწული,
 ვის მუცელშიც
 სინათლის კვარი ცურავდა?
 ერთმა შორიდან დაიძახა:
 „კაი ჩასაპროშტნია, ჩემმა მზემ“-ო!
 ამ მზეზე ოქრო ქონივით დადნა,
 ეს გუმბათიც – თიმთიმა ოქროს ძუძუ,
 მხოლოდ მარადიულის შეხებით რომ მაგრდება,
 დაიფუკა, ჩამოიწურა.
 ეს კაცი, გულარძნილი,
 მივიდა თავის ცოლთან,
 გაზქურასთან მდგარს ხელი მოუთათუნა
 და მერე ცოლმა თქვა:
 ღმერთო, ჩემს ბოსტანში
 ხახვის ფოჩი რომ გამოჩნდა
 იმის მაცნეა,
 რომ დავივინყო სიკვდილი
 უსისხლო, მაგრამ ისეთი ბასრი –
 თავ კომბოსტოს ფუძის ძვალი რომ წაატეხონ!

მოულოდნელი

ელზგია რაბათის

ირმა შიოლაშვილი

აკუპუნქტურა

კვირაზე მეტია, ნემსებით დასჯილი
ძველისძველი მწიფე ნერვიდან
ბობოქრობს ჩემი წარსული და
ასე, მდულარედ
იბურცებიან კანქვეშ ეჭვის მოლეკულები;
(ეჭვი ისეთი რამაა რომ გადაგიბრუნებს
ნახევრად დაცლილ ფიალებს და მერე სრულებით
აუღელვებლად აგისხნის რომ სისულელეა
ამ ჭრელა-ჭრულა სიცოცხლეზე დარდი და დავა).
მე მაინც ვწუხვარ-ვფიქრობ: „ნეტავ თუ გადარჩება
ნერვებზე მჭიდროდ დახვეული ყრმობის სიბერე,
ან, თუ უშველის და ჩააქრობს ამდენი ნემსი
ტანში წლების წინ შესახლებულ წარსულის ლავას“...

ექიმს მოსწონს, რომ როგორც იქნა, მიაგნო წამალს,
რაც მატკენს, მაგრამ არაფერსაც არ ამატკივებს...
როგორც რეალურ ცხოვრებაში ამბობდა მამა –
სიტყვებს – წლებისგან გამონვრთნილს და ბრძნულს და მარტივებს
(სისხლში თრთოლვით რომ შემდიოდა და მიბერებდა
ლამაზ ბავშვობას, მიკიდებდა ძველი ასანთით
ცეცხლის ენებს და ვერ ამჩნევდა ვერვინ გარედან
ვერც მაშინ, ვერც დღეს – სიტყვის ნემსი როგორ ანათებს
სხეულში, სადაც ყველა ნერვი ჰკიდია გამად).

ძალიან მყარად და მარტივად ამბობდა მამა:
„როდესაც გვჯერა, ყველა ტკივილს კარგად გავართმევთ
თავს და თითებშიც მოყვავილე სიტყვა გაჟონავს –
არა სისხლად და არა ცრემლად – სულის ბარათად.“

მამაც – ექიმი,
კეთილი და სხვებზე მზრუნველი,
აღბათ ამ ნემსებს გულისხმობდა,
რომ მაფრთხილებდა:
„დადგება დრო და ათასები გატკენენ, მაგრამ
ათიათასი მადლობებით აგავსებენ.“-ო

ერეკლე დეისაძე

ფართოდ გახეილილი თვალები

სისულელეა აქ იყო და გინდოდეს სხვაგან
აქ ბალახივით მართალია მათი თვალები
მათ შეისწავლეს ჩვენი სულის ინჟინერია
და წინათგრძნობის საფუძველით ხშირად ავლენენ.

საუბარია პარლამენტის გადატანაზე
თუ გადაიტანთ ამას ხალხი ვერ გადაიტანს,
გადატანითი მნიშვნელობით ვეძებდი სიტყვას
რომელიც ამ ლექსს გაამართლებს მერე საიტზე

აიტვირთება. უფლება გვაქვს რომ არ ვიდაოთ
იმის შესახებ რაც დღეს არის მთავარი თემა
რომ პოეზია ვერ გახდება მარადიული
თუ არ აიღო თავის თავზე სამშობლოს ნგრევა

დიდი ხანია დაანონსდა, ეკონომიკაც
ამ ლექსის მსგავსად უკვე არის ჩამოშლის პირას
და წერის სწავლას „დაველოდო მე 4 წელი
აღარ ვაპირებ.“ იმიტომ რომ შაბათს თუ კვირას

ერთმა ნაცნობმა დამარწმუნა იმის შესახებ
„26 წლამდე პოეტები ვერაფერს წერენ“
მე კი ჯერ ისევ „ახლადდამპალ მანდარინს ვგავარ
გლეხებმა რომ ვერ ჩააბარეს“. პრესაშიც წერენ

ამის შესახებ. ევროპაში ბევრს საუბრობენ
იქ ძირითადად შეშფოთებით გვანებივრებენ.
და შეშფოთებას ქვეყანაზე დიდი ძალა აქვს
აქ კი სამშობლოს ჯაშუშები ამინდს გვირევენ.

ჩემი ნაცნობიც ალბათ არის დიდი ჯაშუში
მე 22 წლისა ვარ და 26 წლამდე
4 წელი მაქვს დარჩენილი, არ ველოდები
რადგან მანამდე თუ დამენგრა ეს ლექსი, ცამდე

მართალი მინდა ვიყო, რადგანაც მჯერა
პოეზიას და სახელმწიფოს ბევრი საერთო
თვისებები აქვს და ამ ლექსით სამშობლოს ვგავარ
ფორმაც მკიდია, შინაარსიც, უნდა გავერთო...

დიანა ანფიმიადი

გმირი

ბოლოს მე მოვკალი შიმშილი
მაინც წავაცალე ის
თავი
(კერძი)
ამ თავკერძა გოლიათს,
მაინც მე მოვკალი და ყველა
ომი, ცხელიც, ცივიც,
რომელიც
ჩემს მოდგმას ოდესმე ჰქონია
(და ყველას გაძლოლა ვითავე),
ჩემი მოგებული მგონია.

ვუყურებ, ამ კისერს, ნათავარს
ამოსდის ასობით ახალი –
ავლესე ჩანგალი, დავთვალე –
სადილი,
საუზმე,
ვახშამი,
სამხარი.

მაინც მე მოვკალი შიმშილი
შიშით გავუხეტქე ის გული –
(ქადის, თუ ღვეზელის)
შევძელი.
და ისევ,
ახალი თავთავი,
ამოსდის ახალი თავთავი,
ამოსდის...
ბევრი მაქვს სამკალი –
სადილი,
საუზმე,
ვახშამი,
სამხარი.

ბოლოს მე მოვკალი შიმშილი
მაინც წავაცალე ის
თავი –
მშიერთა ტირილით გაღეშილს.

ნისლ-სარჩულ, მთვარე-ლილ ღამეში
მოვდივარ შიმშილთან
მებრძოლი რაინდი –

ახალი გილგამეში.

ნუგზარ ზაზანაშვილი

* * *

საათი ჩანს
საათი არ ჩანს
ვილაცას შეუბრუნებია
რამდენი დარჩა
ნეტავ
კიდევ
რამდენი
დარჩა

ეს კონფერენცია აუტანელია
ის ჭორფლიანი გოგო კი
მეტისმეტად სერიოზულია
იმდენად სერიოზულია
რომ საყვარელია
ძალიან საყვარელია
რატომ შეაბრუნეს საათი

ასეთია ალბათ ამათი
წესი და ადათი

ეს კონფერენცია აუტანელია
ის ჭორფლიანი გოგო საყვარელია

ციფერბლატი
მაჩვენებდა ციფერბლატი
და კიდევ რეგლამენტი
დაიცავით რეგლამენტი
რა ამბავია
ამდენი ლაი-ლაი
ამდენი ბლა-ბლა

წყლის ნაყვა ადვილი საქმე არ გეგონოთო
ბრძენს უთქვამს

(ენის გასატეხი:
ბებერი
ბრძენი
ბრძნულ
სიბრძნეს
ბრძანებს)
სიბრძნეს რატომღაც
სიბერესთან აკავშირებენ
თითქოს არავის შეხვედრია
სულელი ბებერი
ან გონიერი ახალგაზრდა

ბებერი რამე გადაფასდა
ბებერი რამე არ გადაფასდა
და არც გადაფასდება
არასოდეს
იმიტომ რომ
უსუნოა
უგემოა
უენერგოა
არ ჩანს
დროსავით

ეს კონფერენცია აუტანელია
ის ჭორფლიანი გოგო საყვარელია
რა სერიოზულად უსმენს
ლაი-ლაის
ბლა-ბლას

ნეტავ მაინც რამდენი დარჩა
ნეტავ მაინც რამდენი დარჩა
ნეტავ მაინც რამდენი დარჩა

ამათი
წესი და ადათი



ბადახტიონობა



გალაკტიონი – არტისტული მთარგმნელი

(შტრიხები რამდენიმე კონტექსტისათვის)



მანანა მათიაშვილი

1972 წელს გალაკტიონ ტაბიძის თორმეტკომეულის მე-7 ტომში პირველად გამოქვეყნდა მის მიერ შესრულებული თარგმანები. გასაკვირია, მაგრამ გალაკტიონის პოეზიის მიმართ არსებული საერთო-სახალხო ინტერესისა და ფილოლოგიური სიყვარულის მიუხედავად, დღემდე ჯერ კიდევ კომპლექსურად საკვლევია პოეტის მოღვაწეობის ეს სფერო. არ შემხვედრია არც გალაკტიონის რომელიმე კონკრეტული თარგმანისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სტატია, ლიტერატურული წერილი ან ჩანახატი მაინც, და არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ, მგონი, ასეთი რამ არც არსებობს.

წინამდებარე წერილს, ალბათ, გალაკტიონის, როგორც მთარგმნელის შესახებ კვლევის დაწყების მცდელობა უფრო ჰქვია, ან შესავალი მომავალი სერიოზული ნაშრომისათვის, ან თუნდაც პოეტის მიერ შესრულებულ თარგმანებთან დაკავშირებული ფაქტობრივი მასალის უბრალო თავმოყრა. რაც არ უნდა იყოს, მგონია, რომ გალაკტიონის მიმართ არსებული ინტერესის ფონზე უინტერესო არ იქნება თუნდაც ის მშრალი და ზედაპირული ინფორმაცია, რასაც ქვემოთ შეიტყობთ.

ვერლენის 12 ლექსის გარდა (რაც ყველაზე მეტად ატარებს სისტემური თარგმნის ხასიათს), გალაკტიონს უთარგმნია: „ბალადა ძველ ქალბატონებზე“ ფრანსუა ვიონის „დიდი ანდერძიდან“; ალექსანდრ ბლოკის „სახელწოდება პუშკინის სახლის...“, ვალერი ბრიუსოვის „ინტელიგენტი ამხანაგებისადმი“ (ლექსის ნახევარი საწყისი სტრიქონით: „...ჯერ კიდევ გუშინ შენ თავზე იდევე“); რუსი იმაჟისტების ლიდერის, ვადიმ შერშენევიჩის 2 სტრიქონი: „მე კი ვარჩევდი გზას უნაპიროს, ცოტა სიყვარულს და ღერ პაპიროსს“, რომლითაც შეავსო საკუთარი ერთსტროფიანი ლექსი (საერთოდ, ცალკე კვლევის თემაა ინტერპოლაცია გალაკტიონის ტექსტებში. ამ საკითხზე არსებობს ცალკეული წერილები, მაგრამ არა კომპლექსური ნაშრომი); მას უთარგმნია ასევე ბაირონის „სიბნელის“ დასაწყისი და „ნაპოლეონს“; 1915 წელს – ფრანგი პოეტის, სიული პრიუდომის (1839-1907) ლექსი „მე თავისთავს პოეტად ვთვლი“, გოეთეს „მგზავრის სიმღერა“ (ამ თარგმანის პროფესიონალური შეფასება ასეთია: „საზომის არასწორად შერჩევის გამო ლექსს დაუკარგავს მისთვის დამახასიათებელი სიმშვიდისა და სევდის განწყობილება. თარგმანი ნერვიულია და მთრთოლვარე; ლექსი ნათარგმნია თავისუფლების დასაშვებ საზღვრებში“. 2-51).

გალაკტიონს გადმოუქართულებია: ვ. ჰიუგოს უსათაურო („მე ვუმღეროდი ნოემბრის ფოთლებს“); გერმანელი რევოლუციონერი პოეტის, რობერტ იოანეს ბუხერის (1891-1958) „უდიდესი გეგმა“; ხოზე მარია დე ერედის სონეტი „Plus Ultra“; პუშკინის ერთსტროფიანი („გამქრალ სურვილთა და ოცნებათა...“); ასევე სვანური ფოლკლორიდან: „მესტიის ხიდი“ და „ო, საბრალო თავბეჩილა“; იგორ სევერიანინის ლექსი „ქნარიანდება ქარი“, რომლითაც უნდა იყოს შთაგონებული მისი საკუთარი ლექსი „ქარი ქანაობს ქნარად“. (3-119).

ოლია ოკუფავასადმი მიწერილი წერილებიდან ირკვევა, რომ პოეტს უცდია ედგარ პოს „ყორანისა“ და მოთხრობა „გული მამხილებელის“ თარგმნა, მაგრამ შუა გზაზე მიუტოვებია; ასევე მესამედის თარგმნის შემდეგ „ჯერჯერობით“ მიუტოვებია „ჰომერის ოდისეის თარგმნაც“.

წ. ტაბიძე გვამცნობს, რომ 1906 წელს გალაკტიონს უცდია ლერმონტოვის „დემონის“ თარგმნაც და უთარგმნია მხოლოდ 16 სტრიქონი (5-93).

ამ ჩამონათვლიდან ირკვევა ის საკითხიც, თუ რითაა მოტივირებული და როგორია გალაკტიონის დამოკიდებულება გადმოსაქართულებლად შერჩეულ მასალასთან. როგორც ჩანს, მშობლიურ ენაზე პოეტს ყველაფრის გადმოღება სურდა, რაც ნაუკითხავს და მოსწონებია და, ამგვარად, იკვეთება სუბიექტური მიმართება სათარგმნელ ნაწარმოებთან: ვ. ჯავახაძის ცნობით, „ფ. ნიცშეს „ვაგნერიანობის საკითხის“ გარდა სხვადასხვა დროს უთარგმნია რუდოლფ შტაინერის „ხელოვნებათა საფუძვლების“ პირველი 5 გვერდი, აგრეთვე 1 გვერდი ოსვალდ შპენგლერის „ფილოსოფია ლირიკისა“. ოციან წლებში ერთი ვრცელი ანკეტა შეუვსია შეკითხვაზე – ჩამოთვალეთ მწერლები, რომელთა ნაწარმოებებიც გითარგმნიათ, და იქ დასახელებული აქვს: ედგარ პო, ბოდლერი, ვერლენი, ტეოფილ გოტიე, ლაფორგი, ვერხარნი“ (1-502).

შემოქმედების გარკვეულ ეტაპზე გალაკტიონი სერიოზულად დაფიქრებულა თარგმანისა და მთარგმნელების თემაზე და 1951 წელს უთარგმნია არცთუ მაღალმხატვრული ღირებულებით გამორჩეული, გაზეთში ამოკითხული, ვინმე პაველ შადურის ლექსი „მამალი-მთარგმნელი“. ლოგიკურია დაუშვავთ, რომ ამ ლექსს გალაკტიონი არ თარგმნიდა, იქ გამოთქმული აზრები მისი შეხედულებების სანინააღმდეგო რომ ყოფილიყო, ხოლო ამ დაშვების საფუძველზე შეგვიძლია, აღნიშნული ლექსის შინაარსიდან გამოვიტანოთ დასკვნა იმის შესახებ, თუ რა მიაჩნდა გალაკტიონს მთარგმნელის დამახასიათებელ თვისებებად. ლექსის დედნისეული მორალი ასეთია: მთარგმნელი სა-თარგმნი ავტორის მსგავს მხატვრულ სიმალლეზე უნდა იდგეს, თუ ეს ვერ მოხერხდა, არასწორი ინფორმაცია მაინც არ უნდა მიეწოდოს მკითხველს; დაუშვებელია მთარგმნელის სუბიექტივიზმის თავსმოხვევა; მამალი, – ნათარგმნი აქვს გალაკტიონს, – „თარგმნის ბელურას, თარგმნის ინდაურს,/ ყოველგვარ ფრინველს თარგმნის და თარგმნის, /მაგრამ თარგმანში ყოველსა სტრიქონს /მაინც თავისას ურევს ყიყიყოს! /არ ვარგა ასე, მოვინამლებით, თუ ლექსთ თარგმანებს მისდგენ მამლები“-ო, – ასეთია დასკვნა.

როგორც მთარგმნელი, თვითონ გალაკტიონი ერთგულია იმ ტექსტისა, რომელსაც თარგმნის. აქ გასათვალისწინებელია მხოლოდ ის გარემოება, რომ, მაგალითად, რუსული თარგმანები, რომლითაც სარგებლობდა ვერლენის გადმოქართულებისას, თავისთავად ფრანგული დედნის არაადეკვატური რუსული ვერსიები იყო.

თავად გალაკტიონის, როგორც პოეტისა და მთარგმნელის ეთიკურობა ვლინდება იმ შემთხვევიდან, რომლის შესახებ ვ. ჯავახაძე მოგვითხრობს: „1956 წლის მარტში პოეტს დაუწერია ათმარცვლიანი სონეტი – „უბინაო პოეტის ხსოვნას“ და უკანა გვერდზე მიუწერია ივან ბუნინის ორსტროფიანი. ცხადია, ბუნინის ამ ლექსმა მისცა ბიძგი, მაგრამ იქვე რომ არ მიენერა, პირველი წყაროს მოკითხვისა და მიგნების არავითარი სურვილი არ გაუჩნდებოდა მკითხველს... პოეტის შთაგონებას ყველაფერი პოეზიის ხარისხში აპყავდა, თვით პოეზიაც კი!“ (1-503).

გალაკტიონის მთარგმნელისეული პოზიციის გამოსავლენად გავანალიზებ გალაკტიონის მიერ ნათარგმნი ბაირონის „ოდა ნაპოლეონისადმი“ (9-სტრიქონიანი 2 სტროფი) და აღმოჩნდა, რომ ეს მართლაც შესანიშნავი ნამუშევარი და ადეკვატური გადმოქართულებაა ვალერი ბრიუსოვის მიერ შესრულებული რუსული თარგმანისა. ინტონაცია, დედნის სული აბსოლუტურად ბაირონისეულია. ორიგინალის მხატვრული სახეები ადეკვატური ქართული ეკვივალენტებითაა გადმოტანილი: яркой диадемой – მწველ დიადემით, ты ослик несъямный – უსახელო ხარ სახეობა; всем платил единой платой/ За верность: тишиной могил – შენ კი ერთგულებს მწარედ უხდდი/ბნელი სამართაძლევედი შევბას; თარგმანში არ იძებნება არცერთი ზედმეტი აზრობრივი ერთეული. მთლიანობაში, ესაა ინტონაციურად, რითმისა და რიტმის მიხედვით დედნის შესატყვისი, აზრობრივად და ფორმალურად ადეკვატური მშვენიერი თარგმანი. ამიტომ, სამწუხაროა, რომ გალაკტიონს მხოლოდ 2 სტროფი უთარგმნია ორიგინალის 19 სტროფიდან.

როგორც გამოიკვეთა, გალაკტიონი თარგმნიდა და ინტერესდებოდა იმ მასალით, რაც მის სულიერ ინტერესებს, შემოქმედებით პრინციპებსა და მიზნებს პასუხობდა. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ ყველაზე სისტემურად, ყველაზე დიდი რაოდენობით მას ვერლენი აქვს გადმოქართულებული. ამიტომ ცალკე გამოსაკვლევი თემა – ვერლენი გალაკტიონთან.

გალაკტიონი ერთ-ერთ ლექსში გვაუწყებს, რომ: „ხშირად ვიგონებ ვერლენს, როგორც დაღუპულ მამას“. ცხადია, ამ ფრანგი პოეტის გარკვეული მექვიდრობის მატარებლად თვლიდა თავს და, ბუნებრივია, აინტერესებდა მისი პოეზიის ნიუანსები. პოეტური ნიუანსები კი ისე არსად მჟღავნდება, როგორც თარგმნის პროცესში.

თორმეტომეულში, სადაც ვერლენის თარგმანები კომენტარებითურთ პირველად დაიბეჭდა, რკალი იხსნება პოლ ვერლენის 12 ლექსის თარგმანით, რომელთაგან ყველა დასათაურებულია დედანში, მთარგმნელს კი უსათაუროდ დაუტოვებია. ავტოგრაფში 12 ლექსს სათაურად ჰქონია „პოლ ვერლენი“. სარედაქციო კოლეგიას ეს ლექსები შეუდარებია პოლ ვერლენის რუსული თარგმანებისათვის და დადასტურდა, რომ ისინი მართლაც ფრანგი პოეტის ლექსების ქართული ვარიანტები იყო. ამ ლექსებს ორიგინალში სხვადასხვა სათაურები აქვს, რაც მთარგმნელს არ აქვს გადმოტანილი თავის ხელნაწერში. ესენია ვერლენის: 1. „Nevermore“, 2. „A Une Femme“, 3. „Grotesques“, 4. „Chanson d'automne“, 5. „La chanson Des Ingenues“, 6. „Serenade“, 7. „Clair de Lune“, 8. „Sur L'Herbe“, 9. „Marine“, 10. „Spleen“, 11. „Dans les Bois“ 12. „dans la Grotte“.

საინტერესოა შემდეგი ფაქტი: 1916 წლით დათარიღებულ გალაკტიონის ლექსში „სიმების კვდომა“ გამოყენებულია მთლიანად გალაკტიონის მიერ ნათარგმნი ვერლენის „Chanson d'automne“ და 8-16 სტრიქონები მეორე ლექსიდან „La chanson Des Ingenues“. ამ უკანასკნელი ლექსიდან 29-37 სტრიქონებს გალაკტიონი იმეორებს თავის მეორე ლექსში: „სხვა გიყვებს სხვისი სისპეტაკე უფრო აგიყვებს“ (1927). ასევე კიდევ ერთ საკუთარ ლექსში „მეოცნებე მოსვენებაზე“ გალაკტიონს გამოუყენებია საკუთარი ნათარგმნი თითო-თითო სტროფი ვერლენის ორი ლექსიდან „Marina“ და „Spleen“.

ზემოთ ნახსენები გალაკტიონის საკუთარი ლექსების ჩათვლით, ვახტანგ ჯავახაძე ასახელებს სულ 15 ლექსს, რომელთაც „ვერლენის მოტივებზე დაწერილ ორიგინალურ ლექსებს“ უწოდებს და, სხვათა შორის, ამ თარგმანების

გამოქვეყნება უმართებულოდ მიაჩნია მას (ვახტანგ ჯავახიძეს) და წერს: „ჯერ ერთი, ესაა დაუსათაურებელი და დაუსრულებელი თარგმანები (ეს შენიშვნა არა მარტო ვერლენს ეხება). მთავარი კი ის გახლავთ, რომ ამ თარგმანების მოტივებზე გალაკტიონმა დაწერა სრულიად ორიგინალური, სრულყოფილი ლექსები და რაკი ისინი აღნიშნული ლირიკული ნაწარმოებების შთაგონების წყაროსა და პირვანდელ მონახაზებს წარმოადგენენ, შემდგენელებს შესაბამის ვარიანტებში უნდა გაეტანათ. ვალდებული ვარ, აღვნიშნო, რომ თორმეტტომეულის შენიშვნებში სამგზის მითითებულია კიდევ ამგვარ მსგავსებაზე, მაგრამ ეს ცოტაა. პოლ ვერლენის ამ ლექსების გამოდახილია არა მარტო „სიმების კვდომა“, „სხვას სხვისი სისპეტაკე უფრო აგიჟებს“ და „მეოცნებე მოსვენებაზე“, არამედ, აგრეთვე: „თბილისის ზეცა მონამეა“, „მთანმინდის იქით, უცნობი ქუჩის დასასრულთან“, „მეტეხი იდგა რუხი, პიტალო“, „როგორც კი დილა გათენდება“, „მღელვარება“, „გრძნობა, რომელიც დაკარგულია“, „ჰაერი“, „დაუმეგობრდა“, „ან კვილი-სისთვის ირევიან“, „ვით აფეთქება“ და „როგორც სიზმარი“ – თხუთმეტი ლექსი ვერლენის 10 ლექსის მოტივებზე“ (1-509).

გალაკტიონის მთარგმნელობითი მანერის გამოსავლენად ფრანგულ ორიგინალს შევადარე რამდენიმე თარგმანი ზემოაღნიშნული 12 ლექსიდან და გამოვლინდა შემდეგი: „Chanson d'automne“-ს თარგმანში (შესრულებულია რუსი მთარგმნელის თ. სოლოგუბის თარგმანიდან) არადედინისებულია ისეთი ფრაზები, როგორცაა: „ღამე ძნელი“, „დაღლილი სული“, „ნისლიანი სიზმრები“, „მესიის ხმა“, „პროცესია ღამით“, „ცრემლთა წყარო“, „ოცნებები მიგაქვს“. თორმეტტომეულის გამოცემისას აღნიშნული ლექსის გალაკტიონისეული თარგმანი (დანარჩენებთან ერთად) ფრანგული ორიგინალისთვის შეუდარებია პროფესორ ელენე ვირსალაძეს, რითაც დადგინდა, რომ: „გალაკტიონის მიერ თარგმნილი ტექსტი მიჰყვება თ. სოლოგუბის თარგმანს და დედანს საგრძნობლად შორდება. ვერლენის პოეტური სახეები თარგმანებში (თ. სოლოგუბისა და გალაკტიონის) დაკარგულია. დედანთან ახლოსაა ნ. მინსკის თარგმანი, რასაც ადასტურებს ე. ვირსალაძის მიერ გაკეთებული პნკარედი. გალაკტიონის ეს ლექსი რუსული თარგმანის (თ. სოლოგუბის) ადეკვატურია (4-335). ჩემი მხრიდან დავამატებ, რომ რიტმისა და რითმათა განლაგების მხრივ გალაკტიონის თარგმანი ფრანგული დედნის განწყობისა და ჟღერადობის მატარებელია.

რუსულიდან უთარგმნია გალაკტიონს ასევე ვერლენის ლექსი „Marine“ – „ზღვის სურათი“, სადაც ტიპურ გალაკტიონისეულ მხატვრულ სახეებს ვხვდებით: „მეხის ხარხარი“, „გრგვინვა ჩქარ-ჩქარი“, „ქუხს ოკეანე“, „ხმალი გადატეხილი“...

მინდა აღვნიშნო, რომ ავტოგრაფში ვერლენით დასათაურებული ლექსები არც სხვისი თემითაა შთაგონებული, არც გაუცნობიერებელი ფსიქოლოგიური გავლენის შედეგია და არც ფრანგი პოეტის მიბაძვა. ეს ნამდვილად თარგმანებია და მათ დაბეჭდვას გვერდს ვერ აუვლიდნენ თორმეტტომეულის გამომშვებნი. სხვა საკითხია, როგორია ეს თარგმანები და რა მიზნით თარგმნიდა მათ დიდი პოეტი. სხვათა შორის, თორმეტტომეულში პირველად გამოქვეყნებული თარგმანების კომენტარებში ტომის რედაქტორები – თეერ შარამენიძე და ლევან ჭრელაშვილი აღნიშნულ მოვლენას ფსიქოლოგიურ ახსნას უძებნიან, რაც, ჩვენი აზრით, ქართველი პოეტის ზრდილობიან, მაგრამ დაუსაბუთებელ გამართლებას უფრო გავს, და არა მისი შემოქმედებითი მანერის დახასიათებას. კომენტატორები წერენ: „ფაქტია, რომ ეს სტრიქონები ნათარგმნია და ისინი ორიგინალურად ვერ ჩაითვლება, მიუხედავად ამ სტრიქონების ჩინებულად ამღერებისა მშობლიურ ენაზე. ვერ ვიტყვით, რომ სხვისმა თემამ პოეტს შთაგონება მისცა, ეს უფრო სწორად გალაკტიონის მიერ პოლ ვერლენის მოტივებზე დაწერილი ლექსებია. გალაკტიონმა, გარდა იმისა, რომ ზეპირად იცოდა თავისი პოეზია, კარგად იცოდა რუსი და ევროპელი პოეტების ბევრი ლექსიც. ფსიქოლოგიურად ადვილი ასახსნელია ის გარემოება, რომ პოეტს მეხსიერებიდან არ ამოვარდნია მის მიერ ნათარგმნი სტრიქონები, ზოგიერთი მათგანი ორიგინალურად მიუჩნევია და დაუბეჭდავს კიდევ. ამ შემთხვევაში ფაქტია, რომ მეხსიერებაში ჩარჩენილი სტრიქონების თავისებურ განმეორებასთან გვაქვს საქმე. ანალოგიური შემთხვევები მრავალია დიდ ლირიკოსთა შემოქმედებაში. მაგალითად, გოეთე, პუშკინი და სხვები ხშირად იყენებენ თავიანთ ლირიკულ ნაწარმოებთა მხატვრული ქსოვილისათვის სხვა პოეტთა ლირიკულ მოტივებს და სახეებს, რაც მათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრულ ღირსებას სრულიად არ ამცირებს.“ (4-338).

ჩემი აზრით, ის გარემოება, რომ „პოეტს მეხსიერებიდან არ ამოვარდნია მის მიერ ნათარგმნი სტრიქონები“, გაცილებით სისტემურ და სტრუქტურულ ლიტერატურულ მოვლენაზე მიგვანიშნებს და „ფსიქოლოგიურად ადვილი ასახსნელი გარემოება“, შესაძლოა, საკმაოდ რთული ასახსნელი აღმოჩნდეს ლიტერატურის თეორიის კონტექსტში (თუმცა, შედეგიანიც და საინტერესოც, ამავე დროს).

წერილს დავასრულებ გალაკტიონის მიერ ნათარგმნი ვერლენის ერთი ლექსით, რომლის არა მარტო მოტივი, არამედ კონკრეტული ფრაგმენტები და მხატვრული სახეები უცვლელად მეორდება გალაკტიონისავე ორიგინალურ ლექსში – „სხვისი სისპეტაკე უფრო აგიჟებს“ (1927) – და ამ გზით კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკვლევ თემას მოვნიშნავ გალაკტიონოლოგიაში – ინტერპოლაციის საკითხს, რომელზეც დასაწყისში მივანიშნე და რომელიც გალაკტიონის თარგმანების შესწავლის გარეშე ვერ გამოიკვლევა.

ვერლენი – „Dans les Bois“

გულუბრყვილონი იისფერი ჩვენი თვალებით
ძველ ნელინადთა რომანებში თუ იმალება
და ყვაილები ჩვენი თეთრი თავსაფარავის
ისეა როგორ... აღარ ახსოვს ესლა არავის.
ერთმანეთისთვის კარგის მეტი ჩვენ არრა გვინდა,
დილის სხივებიც არ არიან იმგვარად წმინდა,
ვით ჩვენი ფიქრი სამუდამოდ გულს რომ დაყვება;
ცის ლაჟვარდით სპეტაკია ჩვენი ზრახვები.
როგორც კი დილა გათენდება ცისკრის ბურებით
ჩვენ მინდვრებისკენ სიხარულით მივეშურებით.
ვეძებთ ყვაილებს, ვიჭერთ პეპლებს, ისევ ის ისმის,
ჩვენი სიცილი, ჟრიაშული, ჩვენი კისკისი...
ამ სიცხისაგან ჩვენ გვიფარავს ქუდი ჭილოფის,
არ გვემინია არც ჭორფლისა, არც დაღლილობის.
ჩვენი სამოსი უბრალოა – მსუბუქი ჯვარი,
ო, უფრო თეთრი ამ სამოსზე ქვეყნად რა არი!
კავალერები, რიშელიე, თვით ლუი ბლაზი,
დე კოსადი, მათ იციან რა ჩვენი ფასი,
გვიგებენ ნაზი და ცბიერი სიტყვების მახეს
რა ეშმაკურად ინაზებენ თვალებს და სახეს?
მაგრამ ამაო არის მათი ზრუნვა და შრომა,
ჩვენი კაბების ირონიულ ნაოჭთა კრთომა –
აი, პასუხი ღირსეული ამ ვაჟბატონებს,
არ დაინდობენ ისინი ხომ თვითონ მადონებს;
ამ გიჟებს ჩვენი სისპეტაკე უფრო აგიჟებს,
მართლა რომ ხელში ჩაუვარდეთ, აღარ გაგიშვებს...
წმინდაა ჩვენი გულგრილობა და სხვისი ცნობა,
თუმცა ხანდისან ჩვენი გული და ჩვენი გრძნობა,
ამლელვარდება უცნაური რალაცა ფიქრით,
ვაი, თუ სადმე უფერულეზ ნისლში მივექრით,
ჩვენ შიში გვიპყრობს, ჩვენ ვფითრდებით და ლელავს მკერდი,
მართლა არავინ შეეცვარდეს, არ გასწყურეს ღმერთი!



გალაკტიონი – „სხვისი სისპეტაკე უფრო აგიჟებს“ (1927)

სხვა გიჟებს სხვისი სისპეტაკე უფრო აგიჟებს,
ვით გულგრილობა და არა ცნობა.
ეს უნდობარი ალტაცება შენ არ გაგიშვებს,
თუმცა ხანდახან ნებდება გრძნობა.
გული მლელვარებს უცნაური რალაცა ფიქრით,
გულს შიში იპყრობს და ლელავს მკერდი...
რაა ეს გრძნობა? სიყვარული? საითკენ მივექრით?
არ გადვიჩეხთ, არ განყრეს ღმერთი.
მას მოეჩვენა, რომ ეს ხმაა სამარის ლოდის,
თითქო დემონი უკრავს ჭიანურს,
რალაც აჩრდილი ქვეყანაზე მიდის და მოდის
და ახშობს ნყურეილს ადამიანურს.
არვინ ოცნებობს გამოსხედვის ცეცხლზე და ალზე,
მოგონებაა კუბოს და ცხედრის,
ფიქლო მკერდზე არ ოცნებობს, არც გულზე, ზღვაზე.
ის მხოლოდ ციურ ალერსზე გვედრის.

მითითებული ლიტერატურა:


1. ვ. ჯავახაძე, უცნობი; თბ., 1991.
2. დ. ფანჯიკიძე, ქართული თარგმანის ისტორიის კითხვები; თბ.; 1999.
3. მზიულა ხუციშვილი, ქართული პოეზიის რუქულ ენაზე თარგმნის პრობლემები; თბ., 1989.
4. გ. ტაბიძე, თორმეტტომეული, მე-7 ტ.; 1972.
5. ნოდარ ტაბიძე, გალაკტიონი, თბ. 1982.
6. ფრანგულ – ქართული ანთოლოგია (ბოდლერი, ვერლენი, მალარმე, რემბო), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; თბ., 2004.

P. S. ლექსებში დახრილი შრიფტით მონიშნულია გალაკტიონის ორიგინალური ლექსისა და მისივე თარგმანის მსგავსი მონაკვეთები.



საპარლამენტო
საკანონმდებლო
სამსახური

სახლი თაჩგმანი



5

დიალოგი ჯოჯოხეთში მაკიაველსა და მონტესკიეს შორის



მორის ჟოლი

საოცარი წიგნის საოცარი თავგადასავალი

მეოცე საუკუნის დასაწყისში, ჯერ გაზეთში, შემდეგ წიგნის სახით (1903 წელს სერგეი ნილიუსის, 1905 წელს კი გიორგი ბუტმის მიერ გამოცემული) რუსეთში გამოჩნდა უცნაური ტექსტი სათაურით “სიონელ უხუცესთა ოქმები” (*Протоколы сионских мудрецов* ანუ *Сионские протоколы*) რომელმაც გამოქვეყნებისთანავე დიდი ხმაური გამოიწვია, უამრავ (ორმოცამდე) ენაზე (რუსულიდან!) ითარგმნა და სამაგიდო წიგნად იქცა ყველა... ანტისემიტისთვის და მასონთა და ებრაელთა საიდუმლო შეთქმულების თეორიის მომხრესათვის. იმავე საუკუნის ოციან წლებში (1921 წელს) კონსტანტინეპოლში მომუშავე ინგლისელმა ჟურნალისტმა (M. Graves) თითქმის სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა ამ „ოქმების“ სიყალბე და ამის შესახებ საკუთარ ჟურნალ *Times*-ს შეატყობინა; ჟურნალის რედაქციას საკუთარი მკითხველის წინაშე ბოდიშის მოხდამ მოუწია მანამდე საკუთარ ფურცლებზე „ოქმების“, როგორც აუთენტური დოკუმენტის გამოქვეყნების გამო.

აღმოჩნდა რომ ეს გახმაურებული „ოქმები“ მორის ჟოლის, XIX საუკუნის ფრანგი ადვოკატის, ჟურნალისტისა და მწერლის დიდი ხნის მივიწყებული წიგნის „დიალოგი ჯოჯოხეთში მაკიაველსა და მონტესკიეს შორის“, ანუ თანამედროვე ადამიანის თვალით დანახული XIX საუკუნის მაკიაველიზმის გაყალბებული ვარიანტი და პლაგიატი იყო, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მისტიურ ებრაულ-მასონურ შეთქმულებასთან. იგი დემოკრატიის სახით შენიღბულ დესპოტიზმს, თანამედროვე მაკიაველიზმს ამხელს, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

ამ ნაწარმოების ფალსიფიკაცია კი სავარაუდოდ პარიზში მცხოვრები რუსი ჟურნალისტის, მატევი გოლოვინსკის მიერ მოხდა ცარის საიდუმლო პოლიციის დავალებით და ანტისემიტური პროპაგანდის მიზნით...

მორის ჟოლი (Maurice Joly) დაიბადა ლონ-ლე-სონიეში 1829 წლის 22 სექტემბერს. განათლებით იურისტი 1849 წლიდან ათი წლის განმავლობაში მუშაობს პარიზში, სახელმწიფო სამინისტროში და იღებს ადვოკატის დიპლომს. 1864 წელს საკუთარი ხარჯით ბრიუსელში ანონიმურად გამოქვეყნებული „დიალოგი ჯოჯოხეთში“ მას ორწლიანი სენტ-პელაგიას ციხე დაუჯდა. „ხელისუფლებისადმი სიძულვილის გაღვივების“ ბრალდებით წიგნი აკრძალული იქნა. ცნობილია მისივე სიცოცხლეში ამ ნაშრომის მეორე გამოცემაც (უკვე ავტორის სახელით).

1870 წელს გაზეთ „გოლუაში“ იწყება „დიალოგის“ ეპილოგის გამოქვეყნება, მაგრამ დამატებითი შვიდი დიალოგიდან მხოლოდ პირველი დიალოგი იბეჭდება. შემდეგ პუბლიკაცია წყდება. მორის ჟოლი სასამართლო პროცესს მართავს ამ გაზეთის და მისი დირექტორის წინააღმდეგ და პროცესს იგებს (პროცესზე ადვოკატი თვითონაა). ეპილოგის დანარჩენი ექვსი თავი ქვეყნდება გაზეთ „ლა კლოშ“-ში. დამატების შეტანა მორის ჟოლის განზრახული ჰქონდა „დიალოგის“ ახალ გამოცემაში, რომელიც აღარ შედგა მის სიცოცხლეში. „დიალოგის“ ეპილოგი პირველად იქნა შეტანილი 1987 წლის ფრანგულ გამოცემაში.

მორის ჟოლი გარდაცვლილი იპოვეს მის ბინაზე, პარიზში, 1878 წლის 14 ივლისს; სავარაუდოდ თავი მოიკლა.

მთარგმნელისაგან

„და დადგება ის შემზარავი სინყნარე, რომლის დროსაც ყველანი კანონის დამრღვევი ძალაუფლების წინააღმდეგ შეიკვრებიან.“

„სულამ როცა რომისთვის თავისუფლების დაბრუნება მოინდომა, რომმა თავისუფლების მიღება ველარ შესძლო.“

მონტესკიე, „კანონთა არსი“

მცირა შესახება

ეს წიგნი მისი ზოგიერთი ნიშნით შეიძლება ყველა ხელისუფლებას მიესადაგოს, თუმცაღა მას უფრო ზუსტი მიზანიც აქვს: იგი იმ პოლიტიკურ სისტემას აღწერს, რომელსაც მისი დაფუძნების ავადსახსენებელი და სამწუხაროდ ძალზე შორეული თარიღის შემდეგ არასოდეს შეუცვლია მოქმედების მეთოდები.

იგი არც სატირაა და არც პამფლეტი; თანამედროვე ხალხთა აზროვნება მეტისმეტად ცივილიზირებულია საიმისოდ რომ ამჟამინდელი პოლიტიკის შესახებ უხეში სიმართლე აღიქვას. ზოგიერთი ფენომენის ზებუნებრივი სიცოცხლისუნარიანობა ზოგჯერ სწორედ პატიოსნებაზე მისი გამხრნელი ქმედებით აიხსნება; თუმცაღა ხალხის სინდისი ჯერ კიდევ ცოცხალია და ღმერთიც ალბათ ბოლოს და ბოლოს ჩაერევა იმ თამაშში, რომელიც მის წინააღმდეგაა მიმართული.

არის ისეთი მოვლენები თუ ცხოვრების წესები, რომელთაც უკეთ მაშინ აღიქვამთ, როცა მათ ყოველდღიური, ჩვეული გარემოს ჩარჩოებს გარეთ ვხვდებით; ოპტიკური კუთხის უბრალო შეცვლაც კი ხანდახან შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე!

ამ წიგნში ყველაფერი ფიქციის სახითაა წარმოდგენილი. წინასწარ ახსნა-განმარტებებს საჭიროდ არ ვთვლი. თუკიღა ამ წიგნს რაიმე დანიშნულება, რაიმე აზრი აქვს, მკითხველმა ის თვითონ, კომენტარების გარეშეც უნდა გაიგოს. არცთუ უხალისო საკითხავია, მაგრამ მანაც ნელა და დაკვირვებით იკითხეთ, როგორც ეს სერიოზულ ნაშრომს შეფერის.

იმის კითხვასაც, ვის ხელს ეკუთვნის ეს ფურცლები, აზრი არა აქვს: ამნაირ ნაშრომს, შეიძლება ვთქვათ, პირადულობა არც გააჩნია. ის სინდისის ძახილს პასუხობს; ყველას ეკუთვნის მისი იდეა და, აჰა, მისი დაწერის შემდეგ ავტორი ქრება, რადგან იგი საყოველთაო საღი აზრის მხოლოდ რედაქტორი და სიკეთის კოალიციის მხოლოდ რიგითი, მეტ-ნაკლებად უცნობი წევრია.

ჟენევა, 15 ოქტომბერი, 1864 წელი

პირველი დიალოგი


მ ა კ ი ა ვ ე ლ ი – მე მითხრეს რომ ამ უკაცრიელ სანაპიროზე დიდი მონტესკიეს ლანდს შეიძლება გადავეყარო. ნუთუ ნამდვილად იგი დგას ჩემს წინ?

მ ო ნ ტ ე ს კ ი ე – ოჰ, მაკიაველ!.. მე ვარ იგი, ვისაც თქვენ ეძებთ, თუმცა დიდი აქ აღარავინაა.

მ ა კ ი ა ვ ე ლ ი – ამ წყვიდადის საუფლოში მობინადრე სახელოვანი პიროვნებების აჩრდილთა შორის ყველაზე მეტად მონტესკიესთან შეხვედრა მსურდა. მადლობელი ვარ შემთხვევითობის, რომელმაც აქ, სულების სავალ გზას მოშორებულ ამ წყნარ კუთხეში „კანონთა არსის“ ავტორს შემყარა.

მ ო ნ ტ ე ს კ ი ე – ფლორენციის რესპუბლიკის ყოფილ მდივანს ვხვდავ. ჯერაც არ დავინწყებია მაღალი საზოგადოების საუბრის ზრდილი მანერა. მაგრამ მათ, ვინც გადმოლახა ბნელი ნაპირი, რა დარჩენიათ სალაპარაკო, თუ არა მხოლოდ ნუხილი, შიში?

მ ა კ ი ა ვ ე ლ ი – ნუთუ ამას ფილოსოფოსი, სახელმწიფო მოღვაწე ბრძანებს? განა რაა სიკვდილი მათთვის, ვისი ცხოვრებაც მარტოოდენ აზროვნებაა და თვით აზრი კი არასდროს კვდება? პირადად მე რაც შემეხება, აზროვნებისთვის, საბოლოო განკითხვამდე ჩვენთვის მოჩენილ ამ ადგილზე უკეთესი სხვა ადგილი არ მეგულება. მატერიალური ცხოვრების საზრუნავისგან სად იქნები სხვაგან ასე თავისუფალი, თუ არა აქ, ამ სულების საუფლოში; სად შეხვდები სხვაგან ამდენ დიდ პიროვნებას, ვისი სახელიც მსოფლიოში ქუხს. ადევნე თვალი სახელმწიფოთა რევოლუციებს, იმპერიების დაცემას თუ ტრანსფორმაციას; გაიაზრე ახალი კონსტიტუციები და ცვლილებები ევროპის ხალხთა ცხოვრებისეულ ადათ-წესებში თუ იდეებში რომ იბადება; იფიქრე ცივილიზაციის, პოლიტიკის, ხელოვნების, ინდუსტრიის, ფილოსოფიური აზრის პროგრესზე! რა



სპექტაკლია აზროვნებისთვის! რანაირი სარცრებები! უამრავი ახალთახალი შეხედულება! სრულიად წარმოუდგენელი აღმოჩენები! იქიდან აქ ჩამოსულ აჩრდილებს თუ დავუჯერებთ, სულ უკეთესზე უკეთესები! სიკვდილი ჩვენთვის ერთგვარი გრძელი შვებულებაა, რომ განვავადოთ ისტორიის გაკვეთილების, კაცობრიობის მიღწევების სწავლა-განხილვა. არყოფნაც კი ვერ განწყვიტავს მინასთან მაკავშირებელ ჩვენს ძაფებს ბოლომდე, რადგან ახალი თაობებიც ხომ მათგან სწავლობენ, ვინც, თქვენს მსგავსად, კაცობრიობის აზროვნებაზე წარუშლელი კვალი დატოვა. სწორედ თქვენი პოლიტიკური პრინციპებია, დღესდღეობითაც ევროპის თითქმის ნახევარზე რომ ბატონობს; თუკი ვინმე არ უნდა თრთოდეს შიშისაგან ჯოჯოხეთისკენ ან ზეცისკენ მიმავალ ბნელ გადასასვლელზე, ვინ, თუ არა ის, ვინაც უფლის სამსჯავროზე თქვენნაირი წმინდა დიდებით შემკობილი მიემართება.

მონტესკიე – მაკიაველი, თქვენ თავზე რატომ არაფერს ამბობთ. იმისგან, ვინც „მთავრის“ ავტორის უზარმაზარ სახელს ტოვებს სიკვდილის შემდეგ, ეს ნამეტანი თავმდაბლობაა.

მაკიაველი – მეჩვენება რომ თქვენს სიტყვებში დაფარული ირონია ჟღერს. დიდი ფრანგი პუბლიცისტიც კი ნუთუ ჩემზე იმ ბრბოსავით ფიქრობს, ვისაც ჩემი მხოლოდ სახელი სმენია და ჩემზე მცდარი წარმოდგენა აქვს? ვიცი, ამ წიგნმა საბედისწერო დიდება რომ მომიტანა და მის გამო ყველა ტირანიაზე მე მაკისრებენ პასუხისმგებლობას; თავს დამატება იმ ხალხთა რისხვა, დესპოტიზმისადმი სიძულვილს ჩემი ზიზღით რომ გამოხატავენ; მომინამლა ჩემი სიცოცხლის ბოლო დღეებიც და მომავალი თაობების სიძულვილიც, მგონია, რომ აქამდე მომდევს. რა დავაშავე? თხუთმეტი წელი ვემსახურე ჩემს რესპუბლიკას; მისი დამოუკიდებლობისთვის შეთქმულებაშიც კი გავერიე; როგორც შემეძლო ვიცავდი ლუი XII-სგან, ესპანელებისაგან და იულიუს II-სგან... თვით ბორგიასგან*, რომელიც ალბათ, მე რომ არა, მოაშთობდა მას. ვიცავდი მას იმ სისხლიანი ინტრიგებისგან, მის გარშემო რომ ყოველი მხრიდან იხლართებოდა; დიპლომატიით ისე ვიბრძოდი, როგორც მახვილით: ვდებდი ხელშეკრულებებს; ვანარმოებდი მოლაპარაკებებს; ჩემი რესპუბლიკის ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც იმ დროის დიდ სახელმწიფოებს შორის იჭყლიტებოდა და ომებისგან იწყობდა ზღვაში მოქანავე კარჭაპივით, ვაბამდი ან ვწყვეტიდი კავშირებს. რა, განა ავტოკრატიულ და მოძალადე ხელისუფლებას ვუჭერდი მხარს? სახალხო ინსტიტუტები იყო ფლორენციაში. ან განა რომელიმე იმათგანი ვიყავი, ქარის ქროლვისდამიხედვით რომ იცვლიან მიმართულებას? მედიჩის ჯალათებმა სოდერინის დაცემის შემდეგ მომაგნეს. თავისუფლებაში გაზრდილი, თავისუფლებასთან ერთად გავნადგურდი; გადასახლებაში ჩემსკენ არცერთ პრინცს აღარ გამოუხედვს. სიღარიბეში, ყველასგან მივინწყებული მოვკვდი. აი ესაა ჩემი ცხოვრება, ესაა ჩემი დანაშაული, რაც სამშობლომ უმადურობით, შთამომავლობამ კი სიძულვილით გადამიხადა. ეგება ღმერთმა სამართლიანად განმსაჯოს უფრო.

მონტესკიე – მაკიაველი, მეც ვიცოდი ეგ ყველაფერი; ამის გამო არ მესმის სწორედ, ფლორენციელი პატრიოტი, რესპუბლიკის მსახური იმ საეჭვო სკოლის შემქმნელად როგორ მოგვევლინა, რომელმაც მართალია ყველა გვირგვინოსანი თავი თქვენს მოსწავლედ აქცია, მაგრამ ტირანიის ყოველნაირ საშინელებას კი ამართლებს.

* ზოგიერთი ისტორიულ პირის სახელის თუ ცნობილ ნაწარმოებთა ზოგიერთი სათაურის ჩემეული ტრანსკრიპცია, ან რომელიმე ციტატის ჩემეული თარგმანი შესაძლოა ზუსტად არ ემთხვეოდეს ქართულ ლიტერატურაში უკვე მოცემულ ვარიანტს (მთარგმნელი)

მ ა კ ი ა ვ ე ლ ი - რომ მეთქვა თქვენთვის, რომ ეს წიგნი მხოლოდ და მხოლოდ დიპლომატის ფანტაზიის ნაყოფია? რომ არ იყო განზრახული მისი დაბეჭდვა-გამოქვეყნება? რომ თვითონ მისი ავტორისათვის მიუღებელი გახლავთ მასზე გაკეთებული გამოხმაურებები და შეფასებები? ან რომ უბრალოდ იგი იმ დროის იტალიაში, ერთურთის ხარჯზე გაფართოების მოწადინე სამთავროებში, საყოველთაოდ მიღებული იმ იდეების და პოლიტიკის გავლენამ შექმნა, რის მიხედვითაც, რაც უფრო დაუნდობელი და ფლიდია ვინმე, მით უფრო ჭკვიანი და გონიერია?..

მ ო ნ ტ ე ს კ ი ე - ასეა მართლა? თქვენი ამგვარი გულახდილობის საპასუხოდ ჩემი მხრივ გეტყვით რომ მე თვითონაც ასე ვფიქრობდი; და რომ ამ კუთხით თქვენი ცხოვრების და თქვენ ნაშრომთა კარგად მცოდნე კიდევ ბევრი სხვის აზრს ვიზიარებ. დიახ, დიახ მაკიაველ, თქვენი აი ეს აღიარება ღირსებას გმატებთ; მაშასადამე, რაღაც მომენტში, გრძნობების ტყვეობაში მყოფმა, რომელთაც აგირიეს ძლიერი გონი, ის თქვით ალბათ, რაც არ გიფიქრიათ.

მ ა კ ი ა ვ ე ლ ი - თქვენც და ყველა სხვაც, ვინც თქვენსავით ფიქრობს, სწორედ მაგამი ცდებით. ერთადერთი დანაშაული ჩემი ის იყო, რომ ხალხსაც და მეფეებსაც სიმართლე ვუთხარ; მორალური სიმართლე კი არა, არამედ პოლიტიკური. ის კი არა, რა და როგორ უნდა იყოს, არამედ ის, რა როგორაა და როგორ იქნება მუდამ. იმ დოქტრინის ფუძემდებელი, რომლის მამობას მე მომანერენ, მე კი არა, თვით კაცის გულია. მაკიაველიზმი ბევრად ადრე იყო, ვიდრე თვითონ მაკიაველი. მოსე იყო თუ სესოტრისი, თუ სალომონი, თუ ლისანდრე, თუ ფილიპე და ალექსანდრე მაკედონლები, აგათოკლე, რომულუსი, ტარკუინი, იულიუს კეისარი, ავგუსტუსი და ნერონი, შარლემანი, თეოდორიკი, კლოვისი თუ ჰიუგ კაპეტი, ლუი XI, გონცალვე დე კორდუ, ცეზარ ბორგია... ჩემი დოქტრინის წინამორბედნი არიან ყველა. აღარაფერს ვამბობ მათზე, კიდევ უფრო უკეთესებზე, რომლებიც ჩემს შემდეგ მოვიდნენ, რადგან სია ვრცელი გამოვა. „მთავრის“ ტრაქტატს მათთვის არარა უსწავლელია იმაზე მეტი, ხელისუფლების პრაქტიკიდან რაც უკვე იცოდნენ. განა ვინ დამდო თქვენი დროის ფრიდრიხ II-ზე უფრო დიდი პატივი? საზოგადოებისაგან პატივისცემის მოსაპოვებლად კალმით ხელში კი უარმყოფდა, მაგრამ საქმეში, პოლიტიკაში ჩემს დოქტრინებს ზუსტად იცავდა. რა ნაღძობმა ტვინმა უნდა მისაყვედუროს ის, რასაც ვნერ მე ჩემს ნაშრომში? ასეთივე წარმატებით შეიძლება ვარდნის მიზეზის მაძიებელ მეცნიერსაც ვუსაყვედუროთ სხეულთა ვარდნა, დაცემისას რომ გვაზიანებენ; ავადმყოფობის სიმპტომთა აღმწერ ექიმს ასევე დავაბრალოთ ავადმყოფობა; შხამის შემადგენლობის აღმწერ ქიმიკოსს თვით შხამის შექმნა, მორალისტს - ცოდვებისა, ისტორიკოსს - ისტორიისა.

მ ო ნ ტ ე ს კ ი ე - ოჰ, მაკიაველ! სოკრატეა საჭირო, რომ შენს სიტყვებში შემალული სოფიზმები ცხადი გახადოს! და თუმცაღა მე ბუნებამ კამათის ნიჭი სულაც არ მომცა, მაინც შევეცდები რომ გიპასუხოთ: თქვენ ბატონობის, ძალადობის, მზაკვრობის სულისკვეთებისგან შობილ სიავით შხამსა და ავადმყოფობას ადრით; თუმცა თქვენ სწორედ ამ სიავთა გამოყენების ხერხებს ასწავლით თქვენი ნაწერით სახელმწიფოებს; ასწავლით ამ შხამის გამოხდას. მაშინ როცა მეცნიერი, ექიმი და მორალისტი ცუდს იმიტომ არ ეძიებს, რომ ეს ცუდი გაავრცელოს, არამედ რომ ის მოიცილოს. თქვენი წიგნი ამას არა იქმს. თუმცა რაკილა თქვენც დესპოტიზმს კი არ აღიდებთ, არამედ შხამადა და ბოროტებად თვლით, აღარ ვკამათობ. მიმაჩნია რომ მას ამით უკვე აძაგებთ და შეაჩვენებთ. ამ საკითხზე, ბოლო-ბოლო, ერთი აზრის ვართ.

მ ა კ ი ა ვ ე ლ ი - ერთი აზრის სულაც არა ვართ, მონტესკიე, ვერ გაიგეთ ჩემი სათქმელი. ჩემ შედარებას ჩაებლაუჭეთ და მშვენივრად გამოიყენეთ თქვენს სასარგებლოდ. სოკრატესეულ ირონიასაც არ მივაქცევ აქ ყურადღებას, რადგან თვითონაც ერთი სოფისტთაგანი იყო, ვინც ყალბ იარაღს, ლოგომახიას სხვებზე უფრო კარგად ხმარობდა. და საერთოდაც, ის არც თქვენი სკოლაა და არც ჩემი სკოლა: ჰოდა, შევეშვათ ამ სიტყვებსა და ამ შედარებებს, ჩვენს იდეებს დაფუძრუნდეთ კვლავ. მე თქვენ გეტყვით, როგორ ვქმნი ჩემს სისტემას და მეეჭვება რომ თქვენ მისი შერყევა შესძლოთ; იგი, მარადიული ჭეშმარიტებიდან გამომდინარე, პოლიტიკურ და მორალურ ფაქტებს ეყრდნობა: ადამიანში ცუდი ინსტინქტი კარგზე უფრო ძლიერი არის. ცუდისკენ უფრო მიდრეკილია ადამიანი, ვიდრე კარგისკენ; შიში და ძალა მეტად მოქმედებს მასზე, ვიდრე შეგონებანი. ამდაგვარ ჭეშმარიტებათა მაგალითების მოყვანას აქ არ შევეუდგები. მხოლოდ და მხოლოდ ბარონ დ'ოლბახის გამოტყინებული მომხრენი, მათი მოძღვარი რუსოთი და მათი მოციქული დიდროთი იყვნენ თქვენთან, ვინც ამ აზრს არ იზიარებდა. ადამიანი მბრძანებლობისკენ მიდრეკილია მისი ბუნებით; ყველა მჩაგვრელი იქნებოდა, ეს რომ შეეძლოს; ყველა, ანდა თითქმის ყველა ადამიანი მზადაა, რომ სხვისი უფლება ანაცვალოს თავის ინტერესს.

რა აკავებს ერთმანეთთან ამ ხარბ ცხოველებს, ადამიანები რომ ჰქვიათ? პირველად საზოგადოება შექმნა უხეშმა, მოუთოკავმა ძალამ; კანონი, ანუ იგივე ძალა, ოღონდ ფორმაში მოქცეული, უფრო მოგვიანებით იყო;

თქვენ ისტორიულ წყაროებს იცნობთ და იცით რომ უნინ-არეს უფლებებისა ყველგან ძალაა.

პოლიტიკური თავისუფლება ფარდობითი ცნებაა მხოლოდ; სახელმწიფოსთვის, ისევე როგორც თითოეული ინდივიდისთვის, არსებობა არის მთავარი. ევროპის ზოგიერთ განედზე არიან ხალხები, თავისუფლებით სარგებლობა ზომიერად რომ არ შეუძლიათ. თავისუფლება რომ გაგრძელდეს იქ, უნესრიგობაში გადავა; ამას სამოქალაქო ან სოციალური ომი მოჰყვება და სახელმწიფო განწირულია: ის ან მისივე კრუნჩხვებისგან დაიშლება და დანაწევრდება, ან შინაგანი შეხლა-შემოხლა გარეშე მტრის მსხვერპლად აქცევს. მსგავს პირობებში ხალხი ანარქიის ნაცვლად დესპოტიზმს ირჩევს; ცდებიან ვითომ? წარმოქმნისთანავე სახელმწიფოებს ორი მტერი ჰყავთ, შიდა და გარეშე. გარეშე მტრის წინააღმდეგ როგორი მეთოდებით იბრძვიან? განა მტერი გენერლები ერთურთს ბრძოლის თავიანთ გეგმებს უზიარებენ? უარს ამბობენ განა ან ღამის შეტევებზე, ან მტრის ალყაში შეტყუებაზე, ან ბლოკადაზე, ან რიცხოვრივ უპირატესობაზე? არა მგონია; მეთანხმებით ხომ? წინააღმდეგ შემთხვევაში ამნაირი მებრძოლები სასაცილონი გამოჩნდებოდნენ. თქვენ კი გინდათ რომ მსგავსი ტყუილი, მსგავსი ხაფანგი და ომისთვის საჭირო მთელი სტრატეგია შიდა მტრის, აჯანყებულ მემამბოხეთა წინააღმდეგ არ გამოვიყენოთ? მათთან ნაკლებად დაუნდობლები ვიქნებით ალბათ, მაგრამ მაინც ბოლო ჯამში იგივე წესებით ვისარგებლებთ. განა შესაძლებელია ჭკვიანური შეგონებებით აამოქმედო ჩლუნგი მასები, რომელთაც მხოლოდ გრძნობა, ვნება და ცრურწმენა მართავს? გინდა ავტოკრატს, გინდა ოლიგარქიას და გინდა თვითონ ხალხს ეპყრას მართვის სადავეები, ვერც ომი, ვერც მოლაპარაკება, და ვერც ვერანაირი შიდა რეფორმა წარმატებული ვერ იქნება იმ კომბინაციათა გარეშე, რომლებსაც თქვენ ვითომ იწუნებთ, მაგრამ თვითონაც იძულებული იქნებოდით რომ გესარგებლათ, საფრანგეთის მეფეს რომ თქვენთვის თუნდაც რაიმე უმნიშვნელო სახელმწიფო საქმე მოეცა მოსაგვარებლად! „პრინციის ტრაქტატის“ დაწუნება ბავშვური გულუბრყვილობაა! პოლიტიკასთან მორალს განა რა აქვს საერთო? სად გინახავთ, სახელმწიფო ინდივიდუალური მორალის პრინციპებით რომ მოქმედებდეს? მაშინ ნებისმიერი ომი, ყველაზე სამართლიანიც კი, დანაშაულად ჩაითვლებოდა; ყველა ლაშქრობა, რომლის მიზანიც მხოლოდ და მხოლოდ დიდებაა – დიდ ბოროტებად; თითოეული ხელშეკრულება, რომლის საშუალებითაც ესა თუ ის სახელმწიფო სასწორს მის მხარეს გადააქანებს, ჩაითვლება უღირს ტყუილად; მაშინ სიკვდილით დაისჯებოდა ხელისუფლების ნებისმიერი უზურპაცია. სამართალზე დაფუძნებული აქტების გარდა ლეგიტიმური აღარაფერი იქნებოდა! მაგრამ წელანაც გითხარით და, თვით დღევანდელი ისტორიის გადმოსახედიდანაც ამას გავიმეორებ: ყველა უმაღლესი ხელისუფლება სულ თავიდანვე ძალაზე, ანუ რაც იგივეა, უფლების უარყოფაზე დაფუძნებული. ნიშნავს ეს იმას, რომ მეც უარყოფ? არა; თუმცაღა მიმაჩნია რომ ქვეყნებს შორის, ისევე როგორც ქვეყნების შიგნით – მმართველთა და მართულთა შორის – მისი გამოყენება ფრიად შეზღუდულია. თვითონ ეს სიტყვა, უფლება, ნუთუ არ გეჩვენებათ რომ ძალიან ბუნდოვანია? სად იწყება, ან სად მთავრდება? როდის არსებობს და როდის არა? მოვიყვანოთ მაგალითები: ავიღოთ ერთი სახელმწიფო ცუდად ორგანიზებული მისი სახალხო ხელისუფლებით, მისი დემოკრატიული დაუდგრომლობით, მემამბოხეთა ასალაგმავი კანონების უძლურებით და უკვე ყველგან გამეფებული არეულობით, რასაც ქვეყანა ნგრევისკენ მიჰყავს. ამ დროს ვინმე გაბედული კაცი არისტოკრატის ან ხალხის წრიდან გამოჩნდება, ვინც კანონიერ ხელისუფლებას არად ჩააგდებს, შეცვლის კანონებს, ინსტიტუციებს და ოცნლიან მშვიდ ცხოვრებას მიანიჭებს თავის ქვეყანას. ჰქონდა იმის უფლება, რაც ქნა?



პისისტრატემ ციკადელი ძალით აიღო და პერიკლეს საუკუნეს მისცა საწყისი. ბრუტუსმა რომის მონარქიული წყობის შეღახვით, ტარკუინების გაძევებით და ხანჯლის დარტყმით ისეთი რესპუბლიკა შექმნა, რომლის ბადალი სიდიადით არავის არაფერი ახსოვს დედამინაზე. შემდეგ პატრიციატსა და პლებს შორის მტრობამ, რაც თავის დროზე გარკვეულ ჩარჩოებში მოქცეული, რესპუბლიკას სასიცოცხლო ძალას აძლევდა, მისი

პისისტრატემ ციკადელი ძალით აიღო და პერიკლეს საუკუნეს მისცა საწყისი. ბრუტუსმა რომის მონარქიული წყობის შეღახვით, ტარკუინების გაძევებით და ხანჯლის დარტყმით ისეთი რესპუბლიკა შექმნა, რომლის ბადალი სიდიადით არავის არაფერი ახსოვს დედამინაზე. შემდეგ პატრიციატსა და პლებს შორის მტრობამ, რაც თავის დროზე გარკვეულ ჩარჩოებში მოქცეული, რესპუბლიკას სასიცოცხლო ძალას აძლევდა, მისი

დანგრევა გამოიწვია და ყველაფერი წყალში ჩაყარა. გამოჩნდნენ კეისარი და ავგუსტუსი. ესენიც კანონდამრღვევები; თუმცაღა, სწორედ მათი წყალობით, რომის რესპუბლიკის შემცვლელმა რომის იმპერიამ იმდენივე ხანს იარსება და დანგრევისას კი საკუთარი ნანგრევებით გადაფარა მთელი მსოფლიო. ეხლა ვიკითხოთ, ამ ვაჟკაცებს ჰქონდათ განა ამის უფლება? თქვენი აზრით არა ჰქონიათ. თუმც მომავალმა თაობებმა განადიდეს ისინი, რადგან თავის ქვეყანას ემსახურნენ, გადაარჩინეს, საუკუნეების მანძილზე არსებობა გაუხანგრძლივეს. როგორც ხედავთ, სახელმწიფოში ინტერესის პრინციპი უფრო მაღლა არის, ვიდრე უფლების, აქედან კი გამოდის რომ ბოროტებიდან შეიძლება სიკეთე იშვას; სიკეთეს ვალწვეთ ბოროტების გზით, ისევე როგორც შეიძლება შხამით განვკურნოთ, ან სიცოცხლე ბასრი რკინით გადავარჩინოთ; იმის ძიება, თუ რაა მორალური და სათნო, ნაკლებად მაინტერესებდა, ვიდრე ის, თუ სასარგებლო და საჭირო რაა; ისეთი საზოგადოება ავიღე, როგორც იგი არის სინამდვილეში და კანონებიც დავწერე ამის შესაბამისი. აბსტრაქტულად რომ განვსაჯოთ, ძალადობა და გაიძვერობა ბოროტებაა? ბოროტებაა; მაგრამ ადამიანების სამართავად საჭიროა მინც ამის გამოყენება, ვიდრე თვით ადამიანები ანგელოზებად არა ქცეულან.

ყველაფერი იმის მიხედვით არის ცუდი ანდა კარგი, თუ რისთვის ვიყენებთ, რას ვალწვეთ მათი საშუალებით; მიზანი ამართლებს საშუალებებს: და ეხლა, თუკი შემეკითხებით, მე, თავად რესპუბლიკელი, რატომ ვანიჭებ მუდამ უპირატესობას აბსოლუტურ ხელისუფლებას, გეტყვით, რომ მე ვარ თვითმხილველი ჩემს სამშობლოში ხალხის ლაჩრობის, არამდგრადობის, მისი მორჩილებისადმი თანდაყოლილი მიდრეკილების, მისი უუნარობისა, შექმნას და შემდეგ დაიცვას თავისუფლება; ჩემი აზრით იგი მხოლოდ ბრმა ძალა არის და გაქრება, ადრე თუ გვიან, თუკი ერთი პიროვნების ხელში არაა; გეტყვით რომ ხალხი, თავის ნებაზე მიშვებული, განწირულია; ის ვერასოდეს ვერც მართვას შეძლებს, ვერც განსჯას, ვერც ომს. გეტყვით იმასაც, რომ საბერძნეთი თავისუფლების ნაკლებობის პერიოდებში ბრწყინავდა სწორედ; რომ რომაული არისტოკრატის დესპოტიზმი და, მოგვიანებით, რომაელი იმპერატორების დესპოტიზმი რომ არა, ბრწყინვალე ევროპული ცივილიზაცია ვერასოდეს შეიქმნებოდა.

უფრო ახალი სახელმწიფოებიდანაც მოვიყვანო მაგალითები? ისინი ისე ბევრია და შთამბეჭდავია, რომ დიდი ძებნა არ დამჭირდება.

როგორი წყობის ანდა ვისი ხელმძღვანელობის დროს ბრწყინავდნენ იტალიის რესპუბლიკები? ან რომელი მონარქების დროს მიაღწიეს ძლიერებას ესპანეთმა, საფრანგეთმა თუ გერმანიამ? ესენი იყვნენ ლეონ X-ები და იულიუს II-ები, ფილიპ II-ები და ბარბერუსები, ლუი XIV-ები და ნაპოლეონები... ყველანი რკინის ხელის მქონენი, იმ რკინის ხელის, რომელიც ხმალზე უფრო ხშირად ედოთ, ვიდრე სახელმწიფო ხელშეკრულებებზე.

მე თვითონ მიკვირს, ამდენი რომ ვილაპარაკე ჩემ სმენადქცეული დიდი მწერლის დასარწმუნებლად. ამ იდეების რალაც ნაწილს ხომ, როგორც ვიცი, მისი „კანონთა არსიც“ მოიცავს? იმედია, ჩემმა სიტყვამ არ გაანაწყენა მშვიდი, სერიოზული კაცი, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე ვისაც უფიქრია პოლიტიკაზე. ენციკლოპედისტები ხომ, როგორც ვიცი, კატონები სულაც არ იყვნენ და თვით „სპარსული წერილების“ ავტორიც, ვგონებ, მთლად წმინდანი, გინდაც დიდად ღვთისმოსავი არა ყოფილა. ჩვენი სკოლა, იმორალურს რომ ეძახიან, ჭეშმარიტ ღმერთთან შეიძლება ბევრად ახლოს დგას, ვიდრე თვითონ XVIII საუკუნის ფილოსოფოსნი.

მ ო ნ ტ ე ს კ ი ე – მაკიაველ, ბოლო სიტყვამდე ყურადღებით მოგისმინეთ და სულაც არ ვცხარობ; ჩემს მოსმენას თუ ისურვებთ ახლა და ნებას თუ მომცემთ ასევე გულწრფელი ვიყო?

მ ა კ ი ა ვ ე ლ ი – ვმუნჯდები და მოკრძალებული დუმილით ვუსმენ, მას ვისაც ერთა კანონმდებლად მოიხსენებენ.

ფრანგულიდან თარგმნა ომარ თურმანაულმა





მხატვრობა



სურვილის სურვილი ანუ ეთერ(ი) ჭკადუას ტერორისტული ნატურალიზმი



დავით ანდრიაძე

მოლაპარტი და LIBERTY

როლან ბარტმა ფრანგულ პუბლიკას იუღია კრისტევა ნარუდგინა. როგორც l'étrangere.

ეს იყო ვულგარული ბულგარელი ქალის ინტელექტუალური ნათლობის სახელი; ამბიციური ლტოლვილი ქალისა, თავისი ეპატაჟური ჟესტებით თავიდანვე მარგინალურად რომ ნარმოჩინდა ფრანგულ ფილოსოფიურ სცენაზე.

ეთერ ჭკადუაც თავისებური l'étrangere-ია; არტისტი, თავის მიგრანტულ რესურსს იმთავითვე პრაგმატული მიზანდასახულობით რომ იზოგავს.

ეს „მიგრანტულობა“ მან მისდაუნებლიედ, პოსტმოდერნული ნომადური სინგულარობის დისკურსში გადაზარდა; და ესეცაა მისი ეგზოტოპიური არტისტული იმიჯის ერთ-ერთი მიმზიდველი მაკიაჟი.

ერთი ნიუანსი: ჭკადუა თავის თავს უწოდებს არა ეთერს არამედ ეთერის; და ეტყობა: ეს ეთერ-ი – რაღაც ემფატიკური ხმოვანივით სჭირდება.

მე მაინც ეთერ-ს დავუძახებ!

ეთერ ჭკადუა ცხადია, ქალია; ქალს კი, მუდამ ეძნელებოდა, გამხდარიყო მხატვარი.

კონსენსუსი საკითხზე, მხატვრობა მამაკაცის საქმეა თუ ქალისა, დღემდე მიუღწეველია; სხვაგვარად: დღესაც რეზონულია კითხვა – სურათი ქალის დახატულია, თუ კაცის...

ანდა, ქალი მუდამ „ქალურ“ მხატვრობას ქმნის თუ არა; და თუკი „ლეკვი ლომისა სწორია“, რატომაა რომ ხელოვნების ისტორია მხატვარი ქალებით თავს მაინცდამაინც ვერ ინონებს?

ბარემ, ისიც გავიხსენოთ, რომ XIV საუკუნიდან მოკიდებული, მხატვართა და ოქრომჭედელთა გილდიების ნუსხებში კანტიკუნტად თუ შეხედვებით ქალთა სახელებს, ხოლო 1562 წელს ფლორენციაში დაფუძნებულ „Academia del Disegno“-ში – პირველ სამხატვრო აკადემიაში – 1616 წლამდე, როცა იქ არტემისია ჯენტილესკი მიიღეს, არც ერთ ქალს არ უსწავლია.

დღევანდელ ქალს ცივილიზებულ სამყაროში პრაქტიკულად აღარავინ უშლის ხელს, შეისწავლოს მხატვრობა, გამოფინოს ნამუშევრები და გახდეს „ფეისი“, თუმცა, საკითხი საკითხად რჩება – არის კი მხატვრობა ქალის საქმე?

რაც შეეხება ყველაზე უსიამოვნო კითხვას – რატომ არ არიან ხელოვნების ისტორიაში დიდი მხატვარი ქალები, ამ თემას 1971 წელს თავისებურად გამოეხმაურა ამერიკელი

ხელოვნებათმცოდნე (ქალი!) ლინდა ნოკლინი, რომელმაც მოიხმო ფაქტები, თუ საუკუნეთა მანძილზე რატომ არ ანებებდნენ ქალებს, შეესწავლათ მხატვრის ხელობა, კერძოდ, დაეხატათ შიშველი ფიგურა.

მამაკაცისას ვინ ჩივის, ქალის ნატურის ხატვაც კი საჩოთირო იყო დიაცთათვის.

ასე გვთავაზობდა არტისტული ისტებლიმენტი დაუნერეღ განანესს, რომლის თანახმადაც, მხატვარი ესაა ჩაცმული მამაკაცი, ტიპიური მოდელი კი, შიშველი ქალი.

ქალისთვის მართლაც ძნელი უნდა ყოფილიყო „ობიექტის“ როლიდან გამოსვლა და მოლბერტის წინ დადგომა.

XX საუკუნეშიც კი, ფრანგულ სიურეალიზმში, რომელიც ერთობ ლოიალური იყო „სუსტი სქესისადმი“, ამ მოძრაობის მონაწილე ქალები მხატვართა ცოლების, საყვარლების ანდა მოდელების სტატუსით თუ კმაყოფილდებოდნენ; მათ არ აძლევდნენ უფლებას, ხელი მოენერათ დეკლარაციებზე, მათ ვერ იხილავთ ჯგუფურ ფოტოებზე და თავიანთ ოპუბესაც ისინი, როგორც წესი, მას შემდეგ ქმნიდნენ, როდესაც თავიანთ კაცებს ტოვებდნენ (ანდა, პირიქით).

ასე რომ, ქალი, როგორც არაცნობიერის სიმბოლო, სიურეალისტური თეორიის ცენტრში იმყოფება.

მერე და მერე აღმოჩნდება, რომ სიურეალისტთა შორის მართლაც იყო დიდი სახელები, მაგალითად, ფოტოგრაფი კლოდ კაიუნი, რომელიც თავისი „უსქესო“ სახელის გამო, ათწლეულების განმავლობაში, სიურეალიზმის მკვლევრებს კაცი ეგონათ.

მთავარი ისაა, რომ არა მხოლოდ მხატვარი, არამედ თავად მხატვრობა იყო გაგებული არა როგორც უსქესო, არამედ საკუთრივ, მამრული ფენომენი და იერარქიულ გენდერულ წარმოდგენებს ეფუძნებოდა.

ასეა თუ ისე, ეთერ ჭკადუამ თავიდანვე უარყო ობიექტის როლი, თავისუფლად აირჩია „მამ-

აკაცური“ პროფესია და მოდელად – პოდიუმზე ანდა გლამურული ჟურნალების ფურცლებზე კი არა, არტ-კრიტიკისათვის იქცა.

და მაინც, ეთერი „ქალად რჩება“; და არა მხოლოდ ხელოვნების ალტერნატიული ქალური History-ს, არამედ თვით ქალური გემოვნების, როგორც ასეთის, საზღვრების გაფართოებასა და მეტიც, დეტერიტორიალიზაციასაც ლამობს. მოლბერტი მისთვის გენდერული Liberty-ს სიმბოლოცაა.

თვალის ცდუნება

ჭკადუას სურათებში „რეალობის“ სიჭარბეა, ისეთი სიჭარბე, ფანტაზმათა ბლოკირებას რომ მოასწავებს; და ამ გაგებით, შეიძლება მივანეროთ პორნოდისკურსი.

ეს უკანასკნელი – თავისებური ალგორითა ანუ ნიშანთა ფორსირება, ანდა მეტააღნიშვნის ბაროკალური ოპერაცია.

როგორც კულტურულად გაფორმებულ ბალებში ემატება რეალურ ლანდშაფტს ბუნებრივი ობიექტები, პორნოდისკურსსაც ასევე შეაქვს სექსუალურ წარმოსახვაში ანატომიურ დეტალთა მაცდუნებელი ხიზლი.

ეთერი ისეთ სურათშიც კი, როგორცაა იოგას პოზაში მყოფი მძინარე მზეთუნახავი, ქალურ გენიტალიებს „გადმოგვიშლის“, როგორც უნივერსალურ vagina-ს და ინდონეზიური ხის ყვავილებით შემოჯარულ მეტარეალობას.

ეს – უფრო პორნოსიზულაციაა, სადაც უხამსობა გამოდევნის თავის ობიექტებს, უკიდურესად ახლო დისტანციიდან წარმოგვიდგენს თავად მზერას და „მოგვართმევს“, როგორც წარმოსახვით პროდუქტებს.

ყველაფერი, რასაც ჭკადუა ესოდენ ნატურალისტურად და პრეციოზული მიმეტიზმით გვიხატავს, ზედმეტად „ნამდვილია“, თვალთან ზედმეტად მოახლოებულია, რათა იყოს მართალი და მით უფრო, ჭეშმარიტი.

ესაა სექსუალური ვუაიერიზმი; ვუაიერიზმი რეპრეზენტაციის ანუ სცენის დაკარგვისა და უხამსობის ექსპანსიისა...

რადიკალური მიმეტიზმი რეალობის ლიკვიდაციის მომასწავებელია; პერცეპტუალურ დისტანციას ანდა შორითი და ახლო ხატების ბალანსს ჩაენაცვლება ზესხეულბრივი გამოსახულება, სქესს მისი წმინდა იდენტობით რომ წარმოგვიდგენს და ესთეტიკურ ცდუნებასაც ელობება, რითაც გამოსახულების ვირტუალურობასაც ზღუდავს.

ესაა ერთგვარი „ბანდაჟი“, რომელიც იმდენად ავიწროებს სხეულს, რომ სუნთქვის საშუალებას აღარ აძლევს – სქესი იმდენად მოახლოებულია, რომ საკუთარ გამოსახულებას ერწყმის.

ეს – უკვე პერსპექტიული სივრცის დასასრულიცაა; წარმოსახვისა, და ფანტაზიის სივრცის დასასრული ანუ სცენის ფინალობა; აღსასრული ილუზიისა...

მხატვარი მაინც დაჟინებით ცდილობს უხამსობას, პორნოდისკურსსა და ეთნორომანტიკულ სიმულაციას შორის ლავირებას, რათა ტრანსგრესია, პროვოკაცია თუ პერვერსია ირონიულ-პაროდიულად შენიღბოს და უხამსობითვე გამოხშიროს ჯანსაღი ფანტაზია.

ეთერი ვერ ელევა „ტრადიციულ“ პერვერსიას, რომელიც გამეტებით იმარხავს სექსუალურ ემანსიპაციას. ამგვარი დის-

კურსი მართლაც, რალაციტ ჩამოჰგავს მარკუზზე სეულ „რეპრესიულ დესუბლიმაციას“.


ჩვენს წინაშეა რალაც „ახალი უხამსობა“, არქაული წეს-ჩვეულებების გვამებზე გადაბიჯებით რომ აღწევს ლეგიტიმაციას.

აგრესიული პერვერსიიდან და სქესის რეალური ქვეტექსტიდან აქცენტი ნეიტრალიზებული სქესის ძალადობაზე, უფრო ზუსტად ძალადობით თამაშზე გადადის და წარმოგვიდგება, როგორც მიჩქმალული სქესის (და სქესის) ხელოვნური სინთეზი, თუნდაც ხელოვნური ზეიმი.

ესაა თავისებური კვაზიკარნავალი, „ნეო“-სა თუ „რეტროს“ ჩარჩოებში გათამაშებული სანახაობა, გენმოდიფიცირებული ნატურმორტული იმიჯების პანოპტიკუმი, მკედარი ზონის სიმწვანესა თუ პლასტმასის ანდა იგივე, ხის ყვავილებით კონსტრუირებული ველი, ქლოროფილის ბუნებრივ სიმწვანეს რომ ჩაენაცვლება და ისეთივე გამომწვევი ეროტიზმით გვჭრის თვალს, როგორც პორნოგრაფია.

მხატვარი თავისებურ (ი)რეალობას გვთავაზობს, მოდელირებულ მეტარეალობას, ტრადიციული წარმოსახვის ჩარჩოებში რომ ველარ ეტევა და ჰიპერრეფერენციის, ჰიპერნამდვილობის, ჰიპერაუთენტობის, ჰიპერსიზუსტის რიგს განეკუთვნება.

ასეთია რეალობის აბსოლუტური სიამჟანავის, დაუფარაობის, ევიდენტურობის პათოსიც და ეთოსიც, რომელიც პირწმინდად შლის ჩვეული ესთეზისის კვალს, თანაც, მასში უკვე ფროიდიული Unheimlichkeit-ის ნატამალიც აღარაა.



აი, ჰიპერრეალისტური დისკურსის მთელი „ბრწყინვალეობა და სილატაკე“; ჰიპერრეალიზმისა, რომელიც პრინციპულად აღარაა სიურრეალიზმი.

ესაა პერცეპტუალური დისპოზიტივი, რომელსაც თითქოსდა, არაფერი რჩება შეუმჩნეველი; და მაინც, ვერაფერს ხედავს; და საბოლოოდ, მაინც კლონირებული ნატურალიზმის საზღვრებშია მომწყვდეული.

ისე, ამგვარი „ბრმა“ მხატვრობაც თავისებურად გვაცდუნებს და კვაზიმხატვრობით გვწამლავს.

ამ კონტექსტში მით უფრო თვითირონიულად უღერს ქრისტიანული მაქსიმა: „თუ თვალი შენი გაცდუნებდეს, აღმოიღე და...“ ა.შ.

ეთერი მუდამ ამ „თვალის ცდუნებაზე“ მუშაობს, ასეთი ცდუნებით მანიპულირებს და მთელი მისი პროვოკაციებიც ოკულარული ცდუნებების ტელეოლოგიურ სქემაზეა აგებული.

ჭკადუამ არ იცის ფერწერული გამოთქმის შუა ფრაზაზე განწყობა.

ყველაფერს ბოლომდე „ამბობს“.

მისი „ფერწერული“ ჰიტების ქრომატული პარტიტურა – კინოსა თუ ელექტრონული მედიის ფერია; და მისი კვაზიტილოებიც, თავიანთი ქრომატული ნყოფით, პროფანულ თვალს აწვდიან ზუსტად იმდენ ინფორმაციას, რომ მათ არაფრის დამატება აღარ სჭირდებათ; დამატება საიმისოდ, რათა გამოსახულება იქცეს ფერწერად.

სიმულაციურ დისკურსში განაფული მხატვარი ამითაც გამოგვიზოგავს „ზედმეტს“, „მეტისმეტს“... და ამასობაში, ყველა-ფერს გვართმევს.

ბრეხტს აქვს „სამგროშიან ოპერაში“ ასეთი ფრაზა: თუკი ძალიან სწრაფად გამოვედევნებთ ბედნიერებას, შეიძლება გადავუსწროთ და უკან შემოვიტოვოთ: თუკი მეტისმეტად ვიჩქარებთ ჩავენდეთ „არსს“, რათა ვაჩვენოთ, „ყველაფერი, როგორც არის“, – აუცილებლად დაკვარავთ იმას, რასაც ვესწრაფვოდით“.

დიახ, ამგვარ ინტენციათა ეფექტი მუდამ დამამძიმებელია და... უხამსი.

ამ მხრივ, პორნოდისკურსიც – აქილევსისა და კუს ძენონისეული აპორიის ერთი ვარიანტ-თაგანია, ლაკანისეულად რომ აღწერს მიმართებას სუბიექტსა და სურვილის ობიექტს შორის.

სუბიექტი – სწრაფად „ირბენს“ თუ ნელა, – ვერასოდეს დაენევა სურვილის ობიექტს; მიულნეველი/აკრძალული ობიექტი, რომელსაც ესწრაფვის, ოლონდ, ვერასოდეს აღწევს „ნორმალური“ ეროტიული ისტორია – სქესობრივი აქტია და არსებობს, როგორც მარტოოდენ ფარული, საგულისხმებელი სატყუარა.

საკმარისია „ვაჩვენოთ“ ეს აქტი და მთელი ჯადო ძალას დაკარგავს: აღმოჩნდება, რომ მეტისმეტად „ღრმად შეგვიტოპია“ და ამალეებული საგნის ნაცვლად ხელთ შეგვრჩება უხამსი პერვერსია.

ეთერ ჭკადუას საბოლოო „ესთეტიკური პროდუქტიც“ მიულნეველი/აკრძალული ობიექ-

ტია, რაღაც შემაშფოთებელი, გატანჯული, დახუთული „უხამსი“ მოგონება, როგორც იაპონური კვადროფონია – არა მხატვრული სივრცე, არამედ ფანტასტიკური დანადგარებით აღჭურვილი, იდეალურად კონდიცირებული „დარბაზი“, ოთხ-განზომილებიანი მექანიკური „მუსიკა“, რაღაც პრენატალური ქრონოტოპი, სადაც სინამდვილეში, არც დრო, როგორც ხანიერება მიედინება, და არც მომავალოებელი სივრცე იძვრის...

საილუმოს დასასრული

მხატვარი ჯერ საგულდაგულოდ ხატავს; ხატავს კომპოზიციას ტილოზე, მერე „აფერადებს“; პრეციოზული ტექნიკით ამონერს ყველაფერს (ყველა ფერს და არა ფერს); ოლონდ, არ წერს... ჰაერს, არ „წერს“ დისტანციას, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, „მოვისმინოთ“ საკუთრივ მუსიკა – მუსიკა თვალისათვის...

და რა რჩება – ერთი ტოტალური სიმულაცია; ემბიენტის იმ მიზერულ ესთეტიკურ-პერცეპტუალურ ინფორმაციასაც რომ გვართმევს, ურომლისოდაც ფერწერა, არათუ როგორც იმაგინაციური აბსოლუტი, არამედ იკონიკური მინიმუმიც კი, კარგავს თავის ხიბლს.

სამაგიეროდ, ეთერი „სხვა მხრივ“ გვთავაზობს პერსონალური ესთეზისის კომპენსაციას და კოლექტიური მგრძნობელობის სახელით მიმართავს ერთგვარ „ტრანსვერსალობას“, გვატარიანდელიოზისეულ „ნეოტრიაბალიზმს“ და მაფესოლისეულ „ახალ მოჯადოებას“.

ამ ნარატივის ტრანსვერსალობაც მარგინალურ-ტომობრივ მიკროჯგუფთა მიმართ სიმპათიაში გამოიხატება; იმ ჯგუფურ სოლიდარობაში, რომელიც ხშირად სისხლიანი ინციდენტებით მთავრდება; შემთხვევითი და ირონიული მკვლელობებით...

ესაა ინტენცია ბანალური ყოველდღიურობისადმი, რომლის მიღმაც რიტუალური მაგიები (თუ კვაზიმაგიები) იმალება.

ასე პოულობს ქართველი მხატვარი ჯამაიკასა თუ ინდონეზიაში იმ „სხვა“ სამყაროს, რომელშიც შემონახულია ტოტალური არქაული დუალიზმი, ამბივალენტობა, მოჩვენებებით თამაში, მდუმარე კარნავალური სტიქია, რაღაც დიონისური დისკურსი...

ჭკადუას ზედმიწევნით დაგეგმილ კომპოზიციებში მარგინალურ ჯგუფურ პორტრეტებს, დევიანტურ და აუტსაიდერულ მიკროსოციუმებს თავიანთი აურა ახლავთ, უფრო ზუსტად, ალკვეთილი აურის ნიშანი... და ყოველივე ეს ქმნის მათი „ესთეტიკის ეთიკას“ (მაფესოლი).

ესაა მათი ორგანული სოლიდარობა სიმბოლურ განზომილებაში, ერთგვარი „ნონლოგიკა“ (ვ. პარეტოსეული გაგებით), ინდივიდუალური ეთიკის, ემპათიკისა თუ პროქსენის დონეზე რომ ხორციელდება და ამგვარად განსაზღვრავს ადამიანთა შორის „ორგანულ კომპრომისს“.

ასე მუშაობს „ნეოტრიაბალიზმის“ მითოლოგია ქართველი მიგრანტის ოპუსებში, რომელიც ჯიუტად წარმოგვიდგენს „კულტურული ნომადიზმის“ აუტანელ სიმსუბუქეს და „ბოროტების გამჭვირვალობას“.

ეთერ ჭკადუას აქვს ერთი ასეთი ოპუსი – „ოიდიპოსი“. აქ იოკასტეც „გაუცხოებულია“ და ოიდიპოსიც...

„მოზრდილი ბავშვი“ **post factum** ამჟღავნებს სურვილს (და არა ვნებას), შეერწყას დედას – თავით შეძერვს საშობო, რაც თავის მხრივ, ავლენს ლტოლვას, იყოს ის, რაც სურს დედას.

ესაა იუნგიანური არქეტიპული წარმოდგენა (და არა თავისთავადი არქეტიპი), ლაკანი „სარკისებურ სტადიას“ რომ უწოდებს. ოღონდ, ეს სტადია (პირველი 6-18 თვე) ამ შემთხვევაში პერვერსიული ობერტონებითაა „გამდიდრებული“ და სენსაციური ლიბერტინაჟის სახითაა რეპრეზენტირებული.

ასე ხორციელდება წარმოსახვის ტრანსფერი სიმბოლურ განზომილებაში და შესაბამისად, ეს „სიმბოლური“, როგორც ასეთი, წარმოგვიდგენს „სხვის“ სტადიას.

სიმბოლურში უკვე აღარ არსებობს საგნებს შორის სწორხაზოვანი რელაციები – სიმბოლო ღია, ფინალობას მოკლებულ საზრისზე ახდენს აპელირებას და მხატვარიც, ამდენადვე წარმოგვიდგენს „ღია ტექსტს“ – ამ, ერთგვარ, უმბერტო ეკოსეულ „Opera aperta“-ს.

როგორც ჩანს, ამგვარ „ღია ტექსტებშიც“ გვეძლევა რეალობა, როგორც საკუთრივ აღმნიშვნელთა სამყარო, სადაც მხატვრის ინფანტალური ცნობიერების „წარმოსახვითი მე“ თუ „ფიქტიური ეგო“ ბოლომდე მასთან რჩება.

და მაინც, ღიად რჩება „რეალურის“ საკითხი; რეალურისა, რომელიც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება სიმბოლიზაციას და ენის მიღმა მო-რჩება.

მხატვარ ქალს არ ასვენებს ინდივიდუალური ფსიქიკური „დრამები“. მის ყველა სურათში იგრძნობა უქმარისობა, რომელიც რაღაცით უნდა შეივსოს.

ესაა არადიფერენცირებული „მოთხოვნილება“, დაჟინებით რომ ითხოვს დაკმაყოფილებას; ოღონდ, ისე რომ, არასოდეს ბოლომდე არ კმაყოფილება; და სწორედ ესაა რეალობა – იტყვის ლაკანი.

ეთერ ჭკადუაც „სწორედ ამგვარ რეალობას“ ებლაუჭება და თანდათან აღმოაჩენს, რომ „რეალობა – უბრალოდ, ისტორიაა“ (ჯეიმისონი); ისტორია კი, არც ტექსტია, არც თხრობაა. ეს – უფრო ნარატივია ანუ ხდომილობათა მოყოლაც და მათი ახსნაც; თანაც, ავტობიოგრაფიული ნარატივი, სადაც ავტორი (თუ კვაზიავტორი) თავად მოგვითხრობს თავის „გაუცხოებულ“ ანდა სულაც, ფიქტიურ ისტორიებს...

ამასობაში „ავტორი“ კარგავს პერსონალურ და სოციალურ იდენტობას; როგორც „ინდივიდი“ ქრება და „დივიდის“ სტატუსით წარმოგვიდგება.

მგონი, ამასაც უნდა განიცდიდეს ჩვენი l'étrangere და საკუთარ თავში კვლავაც აღმოაჩენს რესურსს, რათა მოიკრიბოს წარმოსახვის ძალა; ამ ძალისხმევით მომხრობილი წარმოსახული კი, ხატების ის თანმიმდევრობაა, რომელიც იქმნება სუბიექტის მიერ, რათა შეავსოს ის „ლაკუნა“, თავის ნილ, ამ არაცნობიერ-ონტოლოგიურ ნაპრაღში ანუ ანთროპოლოგიურ დისონანსში რომ შობს იმავე სუბიექტს.

წელან უქმარობაზე ჩამოვადე სიტყვა, მაგრამ ჩვენს l'étrangere-თან სიჭარბეც ხომ საგრძნობია – მომხიბვლელობის სიჭარბე, განხიბვლელობაში რომ გადაიზრდება და იმიტაციურ-ტექნიკური გადახარჯვების კვალობაზე, პურიტანულ ერთგულებას, სურვილის მაგიერ კი მონდომებას უფრო ამჟღავნებს...

ყველაფრის თავი და თავი (მერე კი, ტანი და ტანი) ისევ და ისევ, რეალობაა, რადგანაც კაცმა არ იცის, სად იწყება და

სად მთავრდება ეს „რეალობა“ და მისი პერფექციონისტული გარდასახვის სიშლევე.

ამიტომაცაა, რომ ტექნიკა თავად ითხრის სამარეს, რეალობა კი სიზუსტის გონებადამბინდველ ფანტაზმად გარდაიქმნება და უსასრულოდ მცირეში იკარგება.

ეს – უკვე, საიდუმლოს დასასრულია.

„ტანო-ტატანო“

ჭკადუას განურჩევლად ყველა ვიზუალურ ტექსტს, თითოეულ პლასტიკურ (თუ კვაზიპლასტიკურ) გამოთქმას მოეპოვება თავისი ამბივალენტური რეფერენტი, სადაც, კვლავაც ბოდრიარისეულ სემიოტიკურ პარადოქსს თუ მოვიხმობ, „სიმიშვლე-დიზაინი“ – შიპერსექსუალობის კოლექციის ეს უცნაურად საცნაური ნიშანი-ოქსიმორონი „მუშაობს“.

მერე, შესაბამის რეჟიმში გადადის სექსის „ნამდვილობის“ ფერითი დესკრიფციისადმი გამამაგებელი ლტოლვაც, თვით ფერწერის ესთეტიკური (ნაიკითხე: ეროტიკული) ფუნქციების დეგრადაციას რომ მოასწავებს, ოღონდ, ნიშანთა ფარული აკუმულაციის მორევში ჩათრეული, მით უფრო მყარად ერთვება უსასრულო ზეაღნიშვნის (თუნდაც, მეტააღნიშვნის) წრედში ანუ იმავე რეალობაში, რომელიც აღარ არსებობს; და იმ სხეულებრივ რეალობაშიც, რომელიც, თურმე არასოდეს ყოფილა. ხოლო, გალაკტიონისა არ იყოს, „არყოფილზე საყვედური არასოდეს ითქმის“.

მოკლედ, ჭკადუას „ფერწერის“ გადამკიდე, კიდევ ერთხელ ვაწყდებით სხეულის კულტურის მარადიულ კრიზისს ანუ ტანისეული ვნების, „ტატანი და თვალწარმტანი“ ტანის „სურვილის“ და მისი გამოხატვის დილემას, ტანისეული ზვაშიადის სტერეოფონიური რეპრეზენტაციის იმ უკიდურეს სირთულეს, ქართველი მხატვარი ქალის ეგზოტოპიურ ოპუსებში ერთგვარი მონსტრუოზულობის ნიშნითაც რომაა აღბეჭდილი; მონსტრუოზულობითაც და ნუმიროზურობითაც...

ეთერ-ისთან ტანი უკვე, პრინციპულად აღარაა ყბადაღებული „სულის ჭურჭელი“, ტანი – ტანია; ტატანი, თვალწარმტანიც და „უცხოდ მარებიც...“ – ბესიკმა ჯერ კიდევ როდის იგრძნობა?

ჭკადუას ჩაცმული (თუ გადაცმულ-კოსტუმირებული) ტანებიც – შიშველია; ოღონდ, „სუფთა“ სიმიშვლე ჭკადუას არტისტულ ინციდენტშიც არ არსებობს; უბრალოდ, არ შეიძლება არსებობდეს შიშველი ტანი, რომელიც იქნებოდა მხოლოდ შიშველი და მამასადამე, არ არსებობს და არ შეიძლება არსებობდეს უბრალოდ ტანი; ტანი, როგორც ასეთი...

ბოლოს და ბოლოს, პირი-სახეც – ტანია... თუგინდ ტიტველი ტანი...

თეთრკანიანი ეკითხება ინდიელს – შენ რაა, ტიტველი რომ დადიხარ? ინდიელი კი პასუხობს, მე თავიდან ბოლომდე – სახე ვარო...

ჩვენი ეთერ-ქალი ხატავს რა ფეტიშისტური კულტურების პროტაგონისტებს, მათ სახეებსაც ტანთა დერივატების ფუნქციით ვთავაზობს. ამდენად, მათი სიშიშველეც – თავისებური „ჭეშმარიტება“, განსხვავებით არაფეტიშისტური კულტურისაგან, სადაც ტანი (არა-ტატანი!) სულაც არ ენინააღმდეგება პირი-სახეს, მზერით რომაა აღბეჭდილი და გამოხატვის მთელ სპექტრსაც ამდენადვე მოიცავს.

ასეთი ტანი – თავადაა სახე და... გვიყურებს, დაჟინებით გვიყურებს; მთელი თავისი პიპნოზური ვენებით გვენუსხავს, გვზიბლავს (მაგრამ, გვეშინია!).

ეს – უკვე ტანის კლასიკური დისკურსის ისეთი დეგრადაციაა, ტანისავე ტერორისტულ ევიდენტობამდე რომ მიყვავართ და იმით მთავრდება, რომ მოჩვენებათა ილუზორულ საგანთა სამყაროს უკანასკნელ საიდუმლოსაც ეთხოვება და რეალობის ნაცვლად, რეალობის მექანიზმებამდე დაიყვანება, ფიქციიდან ისევ ფაქტობრიობას, კონკრეტულებს, მომხმარებლობასა და მომხმარებლური ღირებულების აბსოლუტურ უპირატესობას, საგანთა მატერიალურ ბაზისს უბრუნდება და ბოლოს და ბოლოს, სხეულამდე, როგორც სურვილის მატერიალურ ბაზისამდე რუდუცირდება.

ესაა ერთგანზომილებიანი კულტურისა და ამ კულტურის სუბიექტის – ერთგანზომილებიანი ადამიანის ინტენცია, რომლის კულმინაციაც, წარმოების ანდა კმაყოფილების კონკრეტულებს დაუსრულებელი შრომა და დამზადრავი გარჯა; უსასრულოდ მექანიკური თვითანაზღაურება...

ამ დისკურსის სხვა ქართულ-მიგრანტული ვარიანტია „თამარ კვესიტაძე“.

ორივე შემთხვევაში, საქმე გვაქვს მექანიკურ თოჯინაზაცისთან ანუ თოჯინების სამყაროსთან; თოჯინებისა – სექსობრივი ნიშნებით, რომელთაც შეუძლიათ დაიკნავლონ „პი-პი“, ილაპარაკონ და... ოდესმე, კოიტუსითაც დაკავდნენ.

ყოველივე ამის პაროდიაა ერთი პატარა გოგონას ანეკდოტური რეაქცია: „ეს ყველაფერი ჩემს დაიკოსაც შეუძლია – ვერ მაჩუქებთ რაიმე ნამდვილს“?

ასე მალავს ჭკადუასეული „ტურისტის ქალი“ ნამდვილ თოჯინას...



მისი სურვილია კიდევ უფრო გაგვიძლიეროს იმპოტენციისა თუ პერვერსიულ პრაქტიკათა ფობიები; გაგვიძლიეროს შიში საბედისწერო ქალების – მისივე Alter ego-თა სახით, მაცდურად რომ გვიმზერენ და გვამონებენ, რაოდენ მყარად დგას მამაკაცი თავის ადგილას.

მხატვარი ქალი წარმოგვიდგენს ქალს, როგორც მეტაფიზიკის ერთგვარ სუბსტიტუტს; წარმოგვიდგენს პოსტ-მოდერნის, როგორც ქალური პრაქტიკისა და პერვერსიის პოზიციიდან...

ჭკადუას არტისტული პრაქტიკა ანტიესენციალისტურია; იმდენად, რამდენადაც ესენციალიზმი დასავლური მეტაფიზიკის კუთვნილებაა. ბინარულ ოპოზიციაზე: ქალი/მამაკაცი პედალირება კი მეტაფიზიკის მძევლობას მოასწავებს; მეტაფიზიკისა – აქყოფნის, დასწრებულობის, სტაბილური მნიშვნელობებისა და იდენტობების ილუზიით... ამიტომაცაა, დერიდა ესენციალიზმს „ყალბი უნივერსალისმის ფორმას“ რომ უწოდებს.

ეთერიც, ხშირად „უნებლიე“ შესვლით გადმოგვიშლის დერიდასეული „ონტოთეოტელეოფალოლოგოცენტრიზმის“ მთელ მარაოს... პატერნალურ ლოგოსს, თავისი ფალოსური კონოტაციებით, ტრავესტირების საგნად აქცევს და გვეცხადება იმ დამოუკიდებელ „სნაიპერად“, რომელსაც მამაკაცი იარაღი მუდამ მომართული აქვს და ერთავად იძლევა მათ ძე დუნისეულ მესიჯს: „დამოუკიდებლობა მოდის თოფის ლულიდან“.

ეს „თოფი“ კი ფალოდიზანის სიმბოლოა, ისევე, როგორც მამაკაცი ყანნი, დაუფარავად კიჩიზირებულ სურათში – „ალავერდი“.

ახლა, ჩემის მხრივ, „ალავერდს“ მეც გადავალ, თანაც ქალთან, კერძოდ, ლაურა მალვისთან, რომელიც თავის ესსეში – „ვიზუალური კმაყოფილება და ნარატიული კინემატოგრაფი“ აგვისხნის, თუ ტრადიციული ჰოლივუდური კინემატოგრაფი როგორ აფუძნებს ვუაიერულ სკოპოფილდურ მზერას;

სქესურ დისბალანსზე აწყობილ სამყაროში, შეთვალერებისაგან მოგვრილი სიამოვნება მართლაცდა, აქტიურ/მამაკა-

ფალოდიზანი

ეთერ ჭკადუა ცდილობს სურათიდან სურათში დაგვიხატოს საბედისწერო ქალი – *femine fatale*; ქალი, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს მამაკაცის ანუ მამრად ყოფნის უპირატესობას. მამრად ყოფნა კი, მეტაფიზიკური ყოფნაა.

ცურ და პასიურ/ქალურს შორის იხლიჩება; კონსტიტუციონალური მშრალი მზერა კი თავისი ფანტაზიების პროექციონებას ქალის ფიგურაზე ახდენს და შესაბამისად იძენს თავის ფორმას.

ეთერ ჭკადუა თითქოსდა, სწორედ მამრული მზერის სიმულაციას ახდენს და ერთგვარ ექსპიზიციონისტურ როლსაც თამაშობს: ერთდროულადაა როგორც დე-მონსტრაციის (და დე-მენტრუაციის), ისევე ხარბი, მამაკაცური ჭკრეტის ობიექტი.

ამასობაში მისი გამომწვევი ჰაბიტუსი კიდევ უფრო იხაზება, ინტენსიური ვიზუალური და ეროტიული ზემოქმედების მისაღწევად კოდიფიცირდება და როგორც ქალი, ამდენადვე კონოტირდება როგორც „მზერ-ქვეშა-ყოფიერება“.

როგორც ნესი, კლასიკური ვიზუალური რეპრეზენტაციის „მაცურებელი“ მასკულიზირია; სიამოვნება კი, რომელსაც იგი იღებს, აძლევს საშუალებას, თავი სუბიექტად იგრძნოს.

ამრიგად, ქალი ფეტიშისტურად იდეალიზდება და „ვულგარულად ისჯება“.

ასეთია ფემინურობის რეპრესიული მანქანა.

ქალის რეპრეზენტაცია ერთი შეხედვით, ჭკადუასთანაც მამაკაცური სუბიექტობის კონსტიტუირების სტრატეგიაა, პატრიარქალურ არაცნობიერზე რომ აიგება. ოლონდ, მისი „მზერა“ პერსონაჟი-მამაკაცის მზერის ტრანსფორმაციას იმეორებს და გვაიძულებს, კიდევ ერთხელ დაფიქრდეთ მერი კელის მიერ დასმულ საკითხზე, რომ ნებისმიერი გამოსახულება მამაკაცურ მზერას კვებავს და ამიტომაც, აუცილებელია, შევვინააღმდეგოთ ვიზუალურ ტკობას და უარი ვთქვათ ანთროპომორფული გამოსახულებისაგან, თანაც, „სკრიპტოვიზუალურის“ სასარგებლოდ...

მაგრამ, არსებობს კონტრთეზისიცი; სახელდობრ: სურვილი ობიექტებით კი არაა გამონვეული, არამედ არაცნობიერშია ჩაკირული და ფანტაზიის სტრუქტურას შეესაბამება; სურვილი არაერთგზის მეორდება, ნორმალიზაციას არ ეშუება, ბიოლოგიის ინგორირებას ახდენს და სხეულზე განიბნევა.

ამ გაგებით, სურვილი სულაც არაა სასურველი ქალის სინონიმი და „ქალის ხატის“ ფემინისტურ უარყოფას მოასწავებს.

ესეც, დამატებითი არგუმენტი იმისა, რომ პლასტიკური ხატი (იმაგო) არ უნდა ავურიოთ მიმეტურ გამოსახულებასთან; და საერთოდ, იკონიკური ნიშნის კატეგორიასთან არ უნდა გავაიგივოთ.

აქედან გამომდინარე, სურათის სივრცეში აკუმულირებული ხატი ნიშანთა ჰეტეროგენულ სისტემაში, ინდექსალურში, სიმბოლურსა და იკონიკურში შეიძლება „გადავამისამართოთ“ და ასე შევძლოთ ავიზუალური, სენსიბელური, სომატური ასპექტის მოხელთება საკუთრივ ვიზუალურში.

აი, ნეგატიური ესთეტიკის უპირველესი მოთხოვნა, 70-იანი წლების მთელი ფემინისტური ესთეტიკის ლაიტთემად რომ გვევლინება.

აღლბათ, ჭკადუაც, სწორედ ნიშანთა ამგვარ ჰეტეროგენულ კლავიატურაზე ცდილობს ააგოს ქალის ახალი, ნეგატიური ხატება. თანაც, ესაა მცდელობა, „გადახედოს“ ქალის ხატს, როგორც ფალოცენტრიზმის გამტარს და მოიძიოს მარგინალურ-კინიზირებული ფორმები, ეპატაჟურად მოგვანოდოს ეფექტური იკონიკურ-ნარატიული მოდელები, ქალს „დეფექტური სხვის“ როლიდან რომ გამოიყვანს და ახალი რეპრეზენტატული ლოგიკით შემოგვთავაზებს...

ეს ლოგიკა (თუ მეტალოგიკა) კი, „ტერორისტული ნატურალიზმის“ რუბრიკითაა განსახილველი.

ფუნქციონალური დათმენა

ფემინიზმი ლოკალურ დისკურსთა საკმაო რაოდენობის სტრატეგიფიცირებით გამოირჩევა; და ამ გაგებითვე ლაპარაკობენ ფემინიზმის გეოგრაფიაზე.

ათვლის ნერტილებად ამერიკული და ბრიტანული (სხვა ვერსიით – ანგლო-ამერიკული და კონტინენტალური) სკოლები გვევლინებიან;

ღერძულ დისკურსებსაც სწორედ ეს სკოლები ქმნიან.

დღეს, როგორც არასდროს, თავს იჩენს გენერაციული კონფლიქტი, ფემინიზმის მეთოდოლოგიის, როგორც პოსტმოდერნული „ინვესტიციების“ გადასინჯვასთან რომაა დაკავშირებული.

ფემინიზმი ერთგვარი პოლიტიკური პროექტია. ფემინიზმის ფუნდამენტურ ოპერაციონალისტურ კატეგორიად მაინც სექსობრივი განსხვავების კონცეფცია რჩება; კონცეფცია, ფემინურ-აფირმატულ პრაქტიკებს რომ განსაზღვრავს.

ასეთია თეორიული ფონი, რომელზეც უნდა დაიხატოს ეთერ ჭკადუას პორტრეტი; ამ პორტრეტის იმპლიკაცია კი, ისევე და ისევე, ანტიესენციალიზმსა და სხეულებრიობის რეანიმაციაში ანუ იმ ენის ლეგიტიმაციაში უნდა ვეძიოთ, ამ სხეულებრიობას რომ აღწერს ანდა, ფიგურალურად – „წერს ამ სხეულს“; დაიხ, თავად სხეულს წერს და არა – „სხეულზე წერს...“

ასე აღმოვაჩინეთ ავტორის ვიზუალურ „დასწერებას“; ტექსტში დასწერებას...

და აქაა ჩამიფრული ქალური ავტორობის ძირეული სიმბოლიკა.

ეთერიც მუდამ „ეწნება“ – ვიზუალურად ესწრება თავის „ტექსტებს“, ოლონდ, ესაა იმგვარი *l'écriture-feminine*, საკუთრივ ფერ-წერით კი არა, ფერითი აღ-წერით, ფერითი დესკრიფციით რომ ხასიათდება და მის არტისტულ პრაქსისში დღითიღე სცილდება ფერწერის, როგორც სახვითი ხელოვნების აპრობირებული „ტეხნეს“ ჩარჩოებს.

l'écriture-feminine-ის თეორიები, პოსტლაკანურ ფსიქონალიზმი რომაა ჩასახული და ქალური ენისა და მისი რეპრეზენტაციის კარდინალურ კონცეპციას გულისხმობს, ჭკადუასთანაც ანტი-მასკულიზურადანაა მოდიფიცირებული.

კრისტევისაეულად, ფემინურობა თავისებურ „სემიოტიკას“ ეფუძნება; სემიოტიკას ანუ სხეულებრივ იმპულსთა პრალინგვისტურ სფეროს, რომელიც, ენასა და სხვა შესაძლებელ (მასკულიზურ) რეპრეზენტაციებში „შეტანილი“, პრინციპულად გამოიდევენება, ოლონდ, მით უფრო გვიბრუნდება ფემინურის დათრგუნული ფორმის



თვისებით, ანუ ენით, პატრიარქალურის „აფეთქებას“ რომ მოასწავებს.

ჭკადუას ოპუსებში ინტიმური განცდის კვალი თვით ფერწერაში არ ჩანს. სამაგიეროდ, იგრძნობა ქალის სხეულის რეპრეზენტაციის ახალი რეჟიმი – ტანის დისლოკაციის ტრანსფერი; ხედვის, როგორც დისტანციის ჩანაცვლება ტაქტილური განხორციელებით...

ეს ტილოსთან კი არა, თვით გენდერულ სხეულთან შეხებაა.

წმინდა ტექნიკურ დონეზე, ამგვარი „ფერწერა“, როგორც საღებავების ტილოზე და-ტანა სულაც არ ასოცირდება ტანის კანთან; და ესეც, სხეულებრივი სუბიექტობის ფემინური რაკურსია, როდესაც ტილოზე, როგორც სხეულზე კი არ იწერება, არამედ, თავად ტილო იწერება, როგორც სხეული.

მოკლედ, ჭკადუას „მხატვრობა“ – ესაა მისი სუბიექტური გამოცდილების აუთენტურობის მანიფესტაცია ანუ მდებარე სუბიექტის განსხეულების მცდელობა, სოციოლოგიაში „ფემინისტურ ემპირიზმს“ რომ უწოდებენ.

ქალის სხეულის ჭკადუასეული რეპრეზენტაცია თავისი საავტორო ინტენციით, შოკის-მომგვრელია (ოდნავ ღიმილის მომგვრელიც!). ტაბუირებულია და ტრავმატულობაც საგრძნობია, თუმცა, არტისტული ლეგიტიმურობა მაინც სათუთა.

ასეთია ფემინისტურად რეპრეზენტირებული ტანის ნენტური „დეფექტი“ – რაც უფრო ზუსტადაა ფოკუსირებული, მით უფრო მეტია „აბერაცია“, რაც უფრო მეტია გაშიშვლების ინტენცია, მით უფრო აშკარა სექსუალობის ანუ გატიტვლების „პათოსი“.

რაც შეხება „ეთოსს“, ტანის ამგვარ გატიტვლებაში იგულისხმება კიდევ ერთი ექსისტენციურ-ფენომენოლოგიური განწყობა, რომლის თანახმადაც, „სხეული მიგვიჩენს არსებობის ადგილს“; ოღონდ, ამ შემთხვევაში, ესაა ტაბუირებულ-ტრავმატული ყოფნის ადგილები ანუ ეროტიკული ზონები მიწუს-ნიშნით.

მდებარეული გამოცდილების აუთენტური მარკერები მხატვარ ქალთანაც, რეპრეზენტაციის ფორმალური აპარატის გადახედვას მოასწავებს და სივრცის კონსტიტუირებიდან დაწყებული, სურათის არტეფაქტურ(რუ)ლი მოდელირებით დამთავრებული, „საავტორო“ სუბიექტურობის ფორმად უფრო გვევლინება, ვიდრე მისი ზოგადარტისტული იმიჯის საკუთრივ რეპრეზენტაცია.

ექტინგერისა თუ სეივილის ლაკანისეული რეცეფციებისაგან განსხვავებით, ჭკადუა თითქმის არ რეფლექტირებს საკუთარი ფემინურ-აფორმატული პრაქტიკების გამო და არც ფუნჯის ინტუიტურ-სხეულებრივი მოძრაობის, როგორც არტისტული არტიკულაციის „მონიტორინგს“ ლამობს.

თუმცა, ეტყობა, „განიცდის“ რომ რალაც (გარდა)ხდება მის თავს (და ტანს); და ეს გარდა-ხდომა ანუ თავგადასავალია მისი ავტობიოგრაფიული ანტისურათების ფიქტიური ნარატიული სარჩული.

ჭკადუა წარმოგვიდგენს ალკვეთილი ექსისტენციური კომუნიკაციის გიგანტურ სიმულაციურ მოდელს; და ესაა ფუნქციონალური სიმულაცია...

ამ მოპირკეთებულ „ადამიანებს“ სოლიდარობის სასიცოცხლო მინიმუმი სწორედაც რაციონალური ტრენინგების ფასად უჯდებათ; მათი „მომზიბლავი“ ოპტიკური ილუზიებიც, „უცხოობისა“ და დისტანციურობის კამუფლაჟია.

ეს პერსონაჟები თავიანთი თამალობითა თუ ალავრდებით, სტუმართმოყვარეობითა და ხელგამლილობით მარტოოდენ ფუნქციონალურად გვთავაზობენ „სამსახურს“, ფუნქციონალურად გვიმასპინძლებიან...

ჩვენს წინაშეა სოციალურ ფიქციათა ველი, ფარული აგრესიის ზღვარზე მდგომი ადამიანების ანტისამყარო, სადაც ეს (ი)რეალური ადამიანები ურთიერთობათა ფუნქციონალურ „პერსონალიზაციას“ კიდევ ემხრობიან და კიდევ აპროტესტებენ.

არის ამგვარ ურთიერთობებში რალაც სადომაზოხისტურიც...

რეალურ-ემოციური ობერტონებისაგან თავისუფალ საქციელთა კონტექსტს კიჩური საგნები და გაჯეტები ქმნიან.

ყველაფერი ეს – ასა-ტანია; ასატანია, როგორც ბოდრიარი-სეული „ფუნქციონალური დათმენა“...

ამგვარი დათმენა კი, მორალურად ემატება ნიშან-ფუნქციათა, ნიშან-ობიექტთა, ნიშან-არსებათა, ნიშან-მიმართებათა, ნიშან-იდენტა ზოგად ფარდობითობას.

და ეს „ფუნქციონალური თოჯინებიც“, ამდენადვე იმყოფებიან ისეთი ბინარული ოპოზიციების მიღმა, როგორიცაა ფანატიზმი – მოთმინება ანდა ტყუილი – გულწრფელობა.

ჭკადუას კვაზიპროტაგონისტები ოპოზიციის – „ჭემმარიტი VS ცრუ“ გადაღმაც „დგანან“.

ესაა პოსტმოდერნული სარეკლამო დისკურსი, არა როგორც ცოცხალი იმპროვიზირებული გზავნილი, არამედ სიახლის ფაბრიკაცია; ნეომითოლოგიურად (გა)დამუშავებული სიახლე...

ამ გავებით, მხატვარიც, ერთგვარი მითოსური ოპერატორია; თუნდაც, წარმატებული სარეკლამო აგენტი, რომელიც ჩინებურად ფლობს რეკლამის ამ „სუბსტანციურ“ ვალენტობას, თუმცაღა, ბოლომდე არა აქვს მოხელთებული რეფერენციალური რეალობა და ვერიფიკაციის იმგვარ ტიპზეა მიჯაჭვული, ბოდრიარი selffulfilling prophecy-ს რომ უწოდებს.

საქმე ეხება ტავტოლოგიურ დისკურსს, სადაც რეალობა – ის მოდელია, თავისთვის რომ ლაპარაკობს; სადაც ყველაფერი „მეტაფორად“ გველინება; ერთი და იმავე საგნის: ნიშნის მეტაფორად...

ტავტოლოგიურ-სარეკლამო სინტაგმებითვე რეალიზდება ჭემმარიტების „ხელოვნურ სინთეზი“ და ეფექტური სიტყვების მსგავსად, ეფექტური იკონემებით იძლევა უმისამართო მესიჯებს; „ულაპარაკო“ ინდიკატივებით, რომლებიც არც გამოსახულების მხატვრულ რეალობას ამტკიცებენ და არც დოკუმენტურ-იმიტაციურს.

და განმეორებით იმპერატივებსაც ამდენადვე წარმოგვიდგენს.

ამგვარ დისკურსს თავისი მუშტარი ჰყავს; მუდმივი კლიენტი, რომელიც თავისი „შენაძენით“ კიდევ უფრო ამყარებს ნეომითოსურ ხდომილობას, როგორც სიმულაკრის Status quo-ს.

ჭკადუა არ ერიდება კიჩს, როგორც კულტურულ კატეგორიას. In specie მის სურათებში გათამაშებულია საგანი-კიჩები – განსჯისმიერ „კლიშეთა“ ეს ეკვივალენტები...

კვაზი მხატვარი მუდამ ინარჩუნებს ირონიულ-პაროდულ (თუნდაც, ცინიკურ) დისტანციას ამგვარი ფსევდობიექტე-

ბისადმი, „უცხო თვალითაც“ უმზერს მათ, როგორც სიმულაციებს, ასლებს, ხელოვნურ ობიექტებსა თუ სტერეოტიპებს და გაუცხოებულადაც...

ეთერი გამიზნულად თამაშობს კვაზისაგნებით, რომლებშიც კვლავაც, პარადოქსულად თანაარსებობს მთელი ჩვენი კონსიუმერული საზოგადოების „ბრწყინვალეობა და სილატაკე“; სილატაკე იმისა, რაც შეეხება მათ რეალურ მნიშვნელობას, ბრწყინვალეობა კი, იმისა, რითაც ალბეჭდილია მათი ნიშნების, ალგორითული რეფერენციების, კონოტაციების, დაყურსული დეტალების ეგზალტაცია...

ფსევდოსაგნებით (თუ საგნობრივი ფსევდორეალიებით) და მათი ვულგარიზებული ნიშნებით გაძეძგილ ჩვენს პათაფიზიკურ სამყაროში, პასეიზმი და ფუტურიზმი, „ფოლკი“ თუ ეთნოგრაფია, ეგზოტიკა თუ მეტაისტორია ხან ველური ყინით, ხან შიზოფრენიული როკით, ხანაც ინფერნალური სიშმაგით წარმოგვიდგება და ისევ და ისევ კიჩის „კულტურულ“ რეჟიმში გვევლინება თამაშად; თამაშად „მზა“ ნიშნებით...

რას იზამ, ასეთია სოციოლოგიური (და არა უბრალოდ, სოციალური) რეალობა; იქნებ, (ი)რეალობაც საეჭვოდ მოზილური საზოგადოებისა... და ამდენად, „ვულგარულობასა“ თუ „ცინიკურ“ ტაქტიკას ვერც დამხატველს ვეუსაყვედურებთ და ვერც მის უგემოვნო მუშტარს.

სიმულაციის ესთეტიკა, რომელსაც ჭკადუა გვთავაზობს, სოციეტატურად მართლაც განცდილია; და გამოცდილიც, იმ გავებით, რომ „ავტორს“ კიჩის სამყაროში არაკომფორტულად, მაგრამ, მაინც „ნამდვილად უცხოვრია“: იცის როგორც კიჩის, ისე გაჯეტის ტექნოპარადიული ანატომია; კიჩურ თუ გაჯეტურ ფსევდობიექტთა რეალური ფასი... უსარგებლო ანუ პრაქტიკულ რეფერენტს მოკლებული ფუნქციების უსასრულო სიმულაციების ოკეანეში მართლაც ჩაუყვინთავს და ამდენადვე, „მიეტყება“ აკულტურაციის ის საეჭვო ესთეტიკა, მის სურათებში საგნობრივ სუბკულტურად რომ გადმოედინება...

ასე წარმოგვიდგენს ქართველი მიგრანტი მხატვარი (თანაც, ქალი) პოსტინდუსტრიული საზოგადოების ერთგვარ ემბლემას გაჯეტის სახით და ჩვენს თვალწინ თამაშობს საყოველთაო მოხმარების ობიექტებით, როგორც ყალბი მარგალიტებით; ხოლო ამასობაში, ეს უკანასკნელი თავად გვევლინება ობიექტის ჭემმარიტებად.

აი, გაჯეტის კომბინატორული სათამაშო ღირებულება, მისივე პოტენციური უსარგებლობის ნიაღი რომ კონსტიტუირდება.

მგონი, ჭკადუაც ცდილობს, მიზანშეწონილობისა და სარგებლიანობის კრიზისის საკუთრივ, თამაშობრივი საქციელით გადალახოს, თუმცა, – გასაგებია – ვერა და ვერ აღწევს სათამაშოს სიმბოლურ თავისუფლებას; და იქნებ ამიტომაც მა-



ლავს რქიანი „ტურისტის ქალი“ თოჯინას, როგორც თავისუფალი თამაშის სიმბოლოს?

ასე ტრიალებს ჩვენი (თუ „სხვისი“?) მხატვარქალი მოჯადოებულ წრეში, სადაც ყოველივე სასარგებლო და სიმბოლური ერთგვარი კომბინატორული უსარგებლობიდან გამოინოვება და ისევ და ისევ, წარმოგვიდგება მაგიურ (თუ ფსევდომაგიურ)მეტასპექტაკლად, სოციალურ ფსევდოხდომილებად – თამაშად მოთამაშეების გარეშე.

ემმაკურად მოფიქრებულ წარატივებში, რომელსაც „ინფერნალური ნაივიც“ შეიძლება ვუწოდოთ, კიჩისა და ტრივიკობის კვალობაზე, გაჯეტის კიდევ ერთი სინდრომი ჩასაფრებული – ეგზალტირებული ინოვაცია!

ეთერის ტილოებიც ამგვარი სიახლით „გვზიბლავენ“ (და „გვაშინებენ“); და ესეც სიმბოლური დისკურსია. ლამისაა კოიტალურ პიკს – ორგაზმს რომ ინვევს ყოველ ასეთ „ახალთახალ“ საგანთან (თუ კვაზისაგანთან) მიახლებიას.

ბავშვიც ხომ, ასეთივე ინტენსიურობით აღიქვამს სათამაშოებს; მოზრდილობაში კი, იგივეს განიცდის ახალ ავტომობილთან, ტანისამოსთან თუ „გაჯეტის“ კლასის სხვა ამგვარ ნივთებთან შეხებისას და ისევ ბავშვობაში „ვარდება“...

ასევე თამაშობენ ჭკადუასეული პროტაგონისტი ქილერქალები მილიტარისტულ თამაშობებს – ავტომატებით, თანაც, გამოუსადეგარი ავტომატებით; თამაშობენ „ისე უინით... და იმგვარი გატაცებით“, როგორც მამაკაცები...

სწორედ ამგვარი თამაშებრივი „პათოსი“ ანიჭებს ჩვენს ყოველდღიურობას იმ გაბატონებულ ტონალობას, (თუ ატონალობას), საბოლოო ჯამში, გაჯეტად რომ ყალიბდება და მთელ ამ თამაშებრივ ველში, ინვესტირების განსაკუთრებულ პრინციპს მოასწავებს: ეს არც ეკონომიკური პრინციპია (ობიექტები ხომ, უსარგებლოა) და არც სიმბოლური – გაჯეტი უსულო საგანია.

ასე რომ, კომბინატორული მოდულაციები, ანუ „ინოვაციებით თამაშებთან“ თამაშობანი – გაჯეტური სპექტაკულარიზაციის „სული და გულია“, ჭკადუას „გმირებიც“, ვაგლახ! – „სერიოზულად“ რომ ეკიდებიან.

ქართული სამზარეულო ემიგრაციაში

დღეს ვილას შესძრავს პოსტინდუსტრიული, პოსტინტორიული და პოსტკატასტროფული თამაშები... თამაშები სიკვდილ-სიცოცხლესთან, როგორც რღვევის, წგრევისა და აფეთქების უზენაეს კომბინაციასთან?!

ასე ფეთქდება საზღვაო ხომალდი („მისტრალი“) ჭკადუასეულ „მყვინთავში“, ფეთქდება „ისე“, „უბრალოდ“, „სხვათა შორის“, „გულგრილად“, თუნდაც, „უხმაუროდ“... ყოველგვარი პათეტიკის გარეშე, როგორც კომბინირებული კინოკადრი...

ცნობისმოყვარეობასაც კი ვაივავლახით ინვევს ასეთი „სურათები“; რალაც ინდიფერენტულ განურჩევლობასა და მოჯადოებას შორის არიან...

ეს – უკვე ვნების საპირისპირო პოლუსია; თუნდაც, ვნების კონტრფორმა, რომელიც აბსოლუტურად გამორიცხავს ყოველგვარ სიმშაგეს, მანიას...

ასეთი გულგრილობა და აღუშფოთველობა (ანტიკური ათარაქსისის პოსტკატასტროფული ვარიანტი?), აწერია სახეზე ეთერისეულ „სალომეას“, შავკანიანი „იოანე ნათლისმცემლის“ მოკვეთილი თავით...

და ესეც მორიგი თამაშია; მომხმარებლური თამაში – კომბინატორიკაზე მიჯაჭვული; კომბინატორიკაზე, რომელიც გამორიცხავს ალეატორიკას... და ცხადია, ვნებას...

სავნებო ასეთ „ესთეტიკას“ აღარაფერი აქვს, სავნებელი – კი, ბატონო!

დამხატველის ხელში ყველაფერი კვდება; და მისეული ჰიპერრეალობაც, ერთი ტოტალური ნატურმორტია, რომელსაც ისეთი გაუცხოებული სტუმარმასპინძლობით გვთავაზობს, როგორ დაკლულ გოჭს, შემწვარ დედალს; გამომცხვარ შოთისპურს...

ეს – უკვე ჭკადუასეული სამზარეულოს პროდუქტები; პიოტრ ვაილს და ალექსანდრ გენისს აქვთ ასეთი კოლექტიური ნიგნი, სათაურით – «Русская кухня в изгнании»...

მთელი რუსული სამზარეულოს ემიგრანტულად მოდიფიცირებული რეცეპტები და პოსტმოდერნისტული რეცეპტები ამ ნიგნში თავმოყრილი.

რას არ გადააწყდებით მის მენიუში:

- Антисемитская лилея;
- грибная метафизика;
- родной язык;
- реабилитация котлеты
- Аристократы в банке
- борщ с эмансипацией
- ни рыба, ни мясо
- смысль сметаны
- და ა.შ. და ა.შ.

ჭკადუა-კულინარი თავის სამზარეულოს გვთავაზობს; ქართულ სამზარეულოს ემიგრაციაში... ოღონდ, მთავარი „პროდუქტი“ მის გამლილ არალურჯ სუფრაზე – ავტომატია; „პროდუქტიც“ და „იარალიც“...

ამ ავტომატით ჩვენი დიასახლისი კიდევ გვენუსხავს, კიდევ გვატერორებს და კიდევ გვაშანტაჟებს.

ესაა: „შანტაჟი „უსაფრთხოებით“ – სოციალური კონტროლის ეს უკვე ნაცადი ფორმა.

ბოდრიარი იხსენებს ტომ ვესელმანის – პოპ-არტის ცნობილი ადეპტის ნათქვამს ბანალური სამზარეულოს „სუპერრეალობის“ შესახებ...

ამ გაგებით, ჩვენი ლტოლვილი მხატვარქალის „სამზარეულოც“ ბანალურია და გარკვეულწილად, ჰიპერრეალურიც; თავად ეს პოპ-არტული ბანალურობა კი, მეტამეტაფიზიკურ კატეგორიად, ანდა „ამალღებულის“ თანამედროვე(თუ პოსტ-თანამედროვე?) ვერსიად გვესახება.

ეტყობა, მართლაცაა ეთერის „მეთოდში“ რალაც პოპ-არტული; და ამდენადვე, მსჭვალავს მის ოპუსებს „რადიკალური

უსაფრთხოების ღვედი

ემპირიზმიც“ „ინკომპრომიზული პოზიტივიზმიც“ და „ანტი-ტილეოლოგიზმიც“...

სიუზენ ზონტაგი პოპ-არტს თავისი ცნობილი ესსე ფინალში, კერძოდ 56-ე შენიშვნაში კემპს ადარებს, თუმცა, იმასაც მიანიშნებს, პოპ-არტი უფრო ბრტყელია და უფრო მშრალი, უფრო სერიოზულია, უფრო იზოლირებული და უკიდურესად ნიჰილისტური.

სულ უკანასკნელ შენიშვნაში კი, ვკითხულობთ: „კემპის უკიდურესი გამოხატულება: ეს კარგია, რადგანაც ეს საშინელია“.

ისე, ჭკადუას კემპური გემოვნებაც, – ნუ გაიკვირვებთ და, – სიყვარულის ნაირსახეობაა; სიყვარული ადამიანური (თუნდაც, „ადამიანური, ერთობ ადამიანური“) ბუნებისადმი.

და კიდევ: მისი გემოვნება (ნაწილობრივ მაინც!) კემპურია იმდენად, რადგანაც გაიგივებულია იმასთან, რასაც ახლავს საამოვნება.

თავის გამომწვევ კვაზისურათებში ეს „მშვენიერი ქართველი ქალიც“ იზიარებს ჰომოსექსუალურ სიამოვნებას და იმ „კემპურად“ სათუთ მგრძნობელობას, მისი „გეი-გმირები“ რომ გამოხატავენ ერთურთისადმი.

ჭკადუა ეპატაჟურად ტოლერანტული ნატურაა; თუმცა, იქნებ, ეს – ეპატაჟი კი არა, მისი „გადაგვარებული“ ლიბერტინაჟია; პერვერსიულობასთან წილნაყარი ლიბერტინაჟი?!

სხვათა შორის, – ახლა გადავფურცლე და (უკულმა მიყვები ტექსტს!) – 51-ე შენიშვნაში არ წერს სონტაგი, კემპურ გემოვნებასა და ჰომოსექსუალურ გემოვნებასთან კავშირი გასაგებიაო; თუმცა, უმალ ამატებს, ზოგადად, არასწორია, რომ კემპი ჰომოსექსუალური გემოვნებააო...

და არც ჭკადუას გემოვნება უნდა იყოს ჰომოსექსუალური, არადა, ის, რომ ჩვენი მხატვარი ქალიც „კემპურად“ ახდენს მორალური გულისწყრომის ნეიტრალიზებას, მგონი, ესეც აშკარა უნდა იყოს.

ძნელი სათქმელია, ჩვენი l'étrangere ნრფელი გულით იზიარებს თუ არა კემპურ მგრძნობელობას. თუმცა, როგორც არ უნდა იყოს მისი განზრახვა, ის მარტოოდენ ამგვარი მგრძნობელობის დემონსტრირებას ახდენს და დისტანციურად გვიზიარებს თავის ემპათიასა თუ ანტიპათიას, „ზიზლის მიერ გარდაქმნილსა და გადასხვაფერებულს“...

სონტაგისეულად, არსებობს ვიზუალური გემოვნება და გემოვნება, ადამიანებსა და მათ ემოციებს რომ ესება; მაგრამ, არსებობს გემოვნება ხელოვნების სფეროში და მორალის სფეროში...

ჭკადუასეული გემოვნება ამგვარი გემოვნების მიღმაა; რაც მთავარია, მისი მგრძნობელობაც – ეპოქის მგრძნობელობაა, ოღონდ, კემპისაგან განსხვავებით, ვერ ვიტყვოდი, რომ არაანგაჟირებული და დეპოლიტიზებულია.

თუკი საკუთრივ კემპის არაერთი ნიმუში „სერიოზული“ თვალთახედვით, ან ცუდი ხელოვნებაა ანდა კიჩია, ეთერი-სეული ნეოკემპი, ამ „ცუდ ხელოვნებასაც“ და „კიჩსაც“ პრინციპულად წარმოგვიდგენს, „ბრჭყალებში სვამს“ და მის ტრავერსიასაც ამდენადვე მოასწავებს.

ესაა პარახელოვნება, თავისი ექსტრავაგანტულობითაც და პაროდოქსულობითაც, ფრაგმენტულობითაც და ფრაქტალურობითაც პოსტმოდერნული პროდუქტის რეპრეზენტაციას რომ ახერხებს.

ამასწინათ, თბილისში დაბრუნებულ ეთერს შავ-შავ კაბრიოლეტში რომ ჩავუჯექი, წამსვე გამახსენდა, უსაფრთხოების ღვედი მეც რომ უნდა შემეკრა...

ჭკადუას ქალი ამგვარ ღვედს თავის „მხატვრობაშიც“ მექანიკურად იკრავს; და ესეც სიკვდილის კონვერტირებულობის, უბედური შემთხვევის, ჯანმრთელობის დაზღვევის და სხვა ამგვარი პრევენციებისმაგვარი თამაშია – „უსაფრთხოებით მანტაჟი“.

ასეა, დღეს ადამიანებს სიკვდილის ნებას მხოლოდ სისტემა რთავს ანუ სიკვდილს „მართავს“ სისტემა.

ყველაფერი მართულია; მართულია ნარცისიზმი; და მართულია ინცესტიც...

ჭკადუასეული „ოიდიპოსიც“ – ინცესტუოზური მანიპულაციაა; განთავისუფლებული, აღვირახსნილი სხეულის „აპოლოგიაა“, რომელიც სიმბოლური გაცვლის რეჟიმში წარმოგვიდგენს სიკვდილს ანუ ხელახლა ცდილობს შეაღწიოს პრენატალურ სივრცეში, რათა ჩააკვდეს დედის ვაგინა-ს და თავიდან დაიბადოს.

რა აღარ ხდება დღეს „სხეულის თავს“?! რა აღარ ემართება ტანს, როდესაც მამის კანონი და პურიტანული მორალი ლიბიდალური ეკონომიკის კანონითაა ჩანაცვლებული?! ეკონომიკისა, სიმბოლურის დესტრუქტურაციითა და ინცესტის აკრძალვის მოხსნის ნიშნით რომაა აღბეჭდილი.

სურვილის აღსრულების ამგვარი (მას-მედიატორული) მოდელი, ისტერიულად ფუნდირებული პურიტანული ნევროზისაგან განსხვავებით, შიშის ზარსა გვევრის. ოღონდ, ეს ობსესია და განგაში, უკვე ოიდიპოსისეულ აკრძალვასთან კი აღარაა დაკავშირებული, არამედ იმ შეგრძნებასთან, რომ „კაცობრიობა“, ჩვენი მომთმენი, ამტანი, პერმისიული საზოგადოების „წიაღმიც“ კი, დედისეული სურვილის აღმასრულებელ ცოცხალ თოჯინად რჩება; სათამაშო ტიკინად...

და ეს განგაშიც ამიტომაა უფრო რეზონანსული, ღრმა და საფუძვლიანი, ვიდრე გენიტალური ფრუსტრაცია; მიზეზი კი ყოველივე ამისა, სიმბოლურისა და გაცვლის გაუქმებაა ანუ სუბიექტის ინცესტუოზული მდგომარეობა, როდესაც საკუთარი არასრულყოფილებაც კი არ გვეოფნის.

ასე გვიხატავენ ობსესიურ ფობიას ანუ შეგრძნებას, რომ „შენით“ ანდა „შენი სახელით“ მანიპულირებენ;


რეპრესიებითა და გაუცხოებით, ლატენტურად მოდელირებული მანიპულაციების პირველადი წყარო – დედაა; როცა დედა სუბიექტით, როგორც საკუთარი ფალოსით, ისე მანიპულირებს.

ამიერიდან, ნებისმიერი რევოლუციის ფუნდამენტური პირობაც ესაა: ხელახლა მოვიძიოთ ადგილი მამის კანონსა და დედის სურვილს შორის; რეპრესია/ტრანსგრესიისა და რეპრესია/მანიპულაციის ციკლებს შორის და ამგვარად აღვასრულოთ სიმბოლურის ორგანიზაციის ფორმა.

ეთერიც ამ კონტექსტში უნდა გვიხატავდეს სხეულს, სადაც კანონი და აკრძალვა, ერთ დროს ცენზურირებული სქესი და ტანი საკუთრივ ნარცისული დისკურსით „განიცდიან“ ინტერიორიზებას და გარეგანი შეზღუდვებიც, ამდენადვე ჩაიხშობიან ნიშნურ მარკერებში და თავის თავში ჩაკეტილ სიმულაციად გვევლინებიან.

ეს – უკვე „დაოკებული რეპრესია“; რეპრესია, თავის გაცილებით „ესთეტიურ“ და რადიკალურ სტადიაში... რეპრესია, უკან რომ მოიტოვებს მეორად სქესობრივ ორგანიზაციას ანუ გენიტალურობასა და საზოგადოების ორსქესიან მოდელს და პირველად მოდელს ანუ ეროგენულ განსხვავებასა და ამბივალენტობას, სუბიექტისა და ობიექტის ნაკლულოვან მიმართებებს რომ უბრუნებს; ყველაფერ იმას, რასაც ეფუძნება ყოველგვარი სიმბოლური გაცვლის პოტენცია.

სიმბოლური გაცვლის რეჟიმშია რეპრეზენტირებული ზებრაზე უკულმა გადამგდარი ალტერ ეგო მხატვრისა, ამ უდრტივინველი, შინაურგარეული პირუტყვის შავი ზოლები ეროგენული ზონების მარკერებად რომ აქვს ამოხატული.



ედრები (ისევ Alter égo!) ათამაშებენ მამისეული ფალოდი-ზაინურ სიმბოლოს – ყანსს, ანდა აქვთ „მკერდს მიდებული“ სამაზითოო ხანჯალი...

ამგვარი „ხელოვნება“, თავისი ავანტიურული დისკურსით, თითქოსდა, გვახსენებს ხელოვნებას; ხელოვნებას დიდი ასოთი, მზარდა ილუზიებით რომ კვებავდა მაყურებელს, რეალობის სანაცვლოდ კი, გვთავაზობდა სცენას, რომელზეც საგნები თამაშის სულ „სხვა“ მეტალოგიკას ემორჩილებოდნენ.

ასე გამოიყურება ნოსტალგია „სრულყოფილ“ გამოსახულებაზე, ცდუნების მორეგში ჩათრევით, საკუთარი აღსასრული რომ დააჩქარა და ასე გაუიგივდა თავის „იდეალურ“ ფორმას, რომელიც სინამდვილეში, მისი თვითგანადგურების იარაღი უფრო იყო...

ამგვარმა ხელოვნებამ დრო მოჭამაო... და საერთოდ, ხელოვნება, როგორც სიმბოლური კონვენციის ფორმაც, წარსულს ჩაბარდა – რომ ნიშანთა უსასრულო ცირკულაცია თუ რეცირკულაციაც დამთავრებული „ამბავია“.

ესაა ვალუტა, გაცვლას რომ არ ექვემდებარება; და ამიერიდან, პერსონალური შეხედულებებისამებრ, ვერც მისი კურსი იმერყევებს...

ცხადია, ამ კონტექსტში, არც ჭკადუასეული არტიფაქტები ფლობენ თანაზიარობის იმ საიდუმლოს, „მაღალი კულტურის“ ფუნდამენტურ ვალენტობად რომ ითვლებოდა.

ასეთ „ნამუშევრებს“ ჩვენ კი აღარ ვათვლიერებთ, „ვკითხულობთ“ და „განვიცდით“, არამედ მის პრეპარირებას მივმართავთ და ახალი სიმბოლური გასაღებით (ს. ლანგერის სტრატეგია) ვხსნივთ.

რას იზამ, ასეთია ხელოვნებისა და შთაგონების ტოტალური სტაგნაციის სამყარო; ხელოვნების ცოცხალი ფორმის „უძრაობის“ ველი...

სადაც უძრაობაა, იქაა მეტასტაზებიც; და სადაც ცოცხალი ფორმა უკვე აღარ „განკარგავს“ საკუთარ თავს და გენე-

ხელოვნური ბადისწარა

ჭკადუასეული „ოიდიპოსი“ პერვერსიული ფეტიშისტია, ჯერაც რომ ვერ დაულწევია თავი დედის სურვილის სფეროსათვის – დედის ცოცხალი ფალოსია და მისი უსაქციელობაც იქამდე დადის, რათა გაიმყაროს აქ ყოფნა (sic) საკუთარი თავის მირაჟულ წარმოდგენაში, აღასრულოს არა მხოლოდ და არა იმდენად თავისი, რამდენადაც დედის სურვილი.

და ეს იმ დროს, როცა ტრადიციული გენიტალური რეპრესია მამისეული სიტყვის აღსრულებას გულისხმობს.

აი, რატომ ხდება ოიდიპოსისეული ინცესტი არა „სახელითა მამისათა“, არამედ „სახელითა დედისათა“...

ესეც, ინცესტის დისკურსი!

სუბიექტი აღარ ემიჯნება თავის ფალიურ იდენტობას და სიმბოლური გაცვლის რეჟიმშიც, ამდენადვე აღარ „კარგავს“ თავის არც ერთ ორგანოს – მითიანად განისაზღვრება დედის ფალოსთან თვითიდენტიფიკაციით და როგორც ჩვეულებისამებრ ზდება ინცესტისას: „ყველაფერი ოჯახში რჩება“.

სულ სხვა ნარატივია „ელექტრას კომპლექსი“, როდესაც ჭკადუასეული პროტაგონისტი მდ-

ტიკური თამაშის წესებიც, კიბოსი არ იყოს, მოქმედებას წყვეტენ, უჯრედებიც, უსისტემოდ იწყებენ გამრავლებას.

ასე იკარგება ესთეტიკის საიდუმლო კოდი და მას ჩაენაცვლება ტოტალური ესთეტიზაცია, თავისი არტისტული უტოპიებითა და პეტროტოპიებით.

ეთერ ჭკადუას ტან-ჯული „მხატვრობაც“ ამ ულტრა-თუ-ინფრანესთეტიკის პირმშოა, მშვენიერისა და უგვანოს (არ მინდა ვიხმარო – „მახინჯი“) მიღმა რომ ეძებს ფონს; თითქოსდა, ცდილობს, სილამაზე და სიმახინჯე, ერთმანეთს შეუზარდოს ანდა დაგვანახოს „უფრო ლამაზი“ რამ, ვიდრე სილამაზეა და „უფრო მახინჯი“, ვიდრე თავად სიმახინჯეა.

ამ გაგებით, მისი „ხელოვნებაც“, კულტივირებაა არა უბრალოდ, უგვანობისა (რაც ესთეტიკურ კატეგორიათა რეესტრში ჯდება!), არამედ საკუთრივ ტრანსესთეტიკურად მოდელირებული უგვანობისა, სუპერრეალიზმისა თუ ფოტოგრაფიული რეალიზმის სიმულაციურ რესურსებს ირონიისა და დემოგოგიური სერიოზულობის მიღმა თუ არა, მათ ტრანსგრესიულ ზღვარზე მაინც რომ „ამოხაპავს“.

„ტრანსის“ სიტუაციაშივე არიან ჭკადუასეული „ადამიანები“, უფრო ზუსტად, სხეულები, თავიანთ, „ხელოვნური ბედისწერით“ (ისევ – ბოდრიარი!) წარმოდგენილნი.

და ეს „ხელოვნური ბედისწერაა“ – ტრანსექსუალობა. ჭკადუასეულ პერსონაჟთა ტრანსექსუალობაც ერთგვარი მასკარადია, სექსობრივ ნიშანთა კომუტაციაზე აგებული მასკარადი; სექსუალურ პოლუსთა ინდიფერენტობასა და თავად სექსისადმი, როგორც სიამოვნების წყაროსადმი გულგრილობაზე დაფუძნებული მასკარადი...

ქართველი L'étranger-ის ტრანსვესტიტ მდებარეში რალაც მეტაგრძობადი ეკზოპლანაზე ფეთქავს; მისტიკური პროტეხით აღჭურვილი ამ პერსონაჟების მესიაც – „პერსონაჟია“. თავისი ტრანსექსუალური ესთეტიკით, რადიკალურ აგნოსტიციზმის სინდრომსაც რომ ავლენს – მას უკვე, ცალკე აღებული, არც ერთი ესთეტიკური და სექსუალური მრწამსი თუ წარმოდგენა აღარ ზღუდავს და... ყველანაირ „დოქსას“ გამოწკლისის გარეშე იზიარებს. თუმცა, პარა-ოქსადაც ძნელად აქცევს.

კავიტალისტური რეალიზმი

ორგია დამთავრდა და დადგა მასკარადის დრო; კიჩი – ეს ტრანსექსუალური განუკითხაობა სხეულებრივს, როგორც ასეთს სექსის სიმბოლოებით გამოდევნის...

ამასობაში, ისტორიაც „მოკლდება“; ჩვენ უკვე, დროც აღარ მოგვეპოვება, რათა ჩვენი იდენტობა ვეძიოთ არქივებში.

როგორც საჯარო რეესტრი გვთავაზობს ხსოვნის მყისიერ სერვისს, ასევე ტრანსექსუალური (ტრანს)ესთეტიკაც, ასევე, უცებ, „ხელათ“ და ეფექტურად გვემსახურება, რათა ვიპოვოთ ჩვენი (პოსტადამიანების) სარეკლამო იდენტობა და ყოველ წამს მზადაა, დაგვიდასტუროს ჩვენი იმიჯი, რომლის თავისებურ ვალორიზაციასაც ტრანსესთეტიკა „ენწევა“.

ასევე გვთავაზობს ჭკადუას „მხატვრობაც“ რალაც ეფემერული, ჰიგიენური, რეკლამური შარავანდელით მოსილ იმიჯებს...

ეთერქალი ყველაზე „დაუნდობლად“ მაინც საკუთარ თავს ეპყრობა; საკუთარ იმიჯს, რომელიც სურათიდან სუ-

რათში გადადის, როგორც ტრანსვესტიტი მდებარეობის „ხატება“.

ეს საკუთარი თავით ტკობა კი არა, სარეკლამო გულგრილობით რეპრეზენტირებული „ავტობიოგრაფია“; საკუთარი გარეგნობის იმპრესარიოდ ქცეული ადამიანის გაუცხოების დრამაცაა აქ და დაუძლეველი თვითირონიაც...

მხატვარი ჭკადუა ერთი შეხედვით „ზუსტად“ მუშაობს; ზედმინევენით ზუსტად... და ამით თვით სიზუსტის მნიშვნელობასაც ართმევს გამოსახულებას და ნებსით თუ უნებლიედ, მის საზრისსაც აფართოებს – ღია მნიშვნელობის მიღმა (გან)ათავსებს.

და ამ გზით, მით უფრო დისტანცირდება კონვენციური დისკურსისაგან და თავის პარაფერენტურას ვიზუალურ თეატრად წარმოგვიდგენს, „თეატრად“, სადაც ფიგურატიული ემფაზა თვით გამოსახულებას ათავისუფლებს ემფატიკური მოხმარების სფეროდან.

ამასობაში, იკონოგრაფიული ემფაზა, ქრომატული პარტიტურის ხელოვნურობის ჩართვით, მით უფრო ამკარავდება: ფერი, როგორც კოსმეტიკა საშუალებას იძლევა, გამოსახულება, საკუთრივ რეალისტური ენისათვის ნიშანდობლივი რეფერენციალური ვალდებულებებისაგან განთავისუფლდეს და იკონიკური რიტორიკის ღია სისტემად მოგვევლინოს.

ასეთია კავიტალისტური რეალიზმის დოქტრინა. ჭკადუა მაქსიმალურად ცდილობს, დაუსხლტდეს ჟანრულ კლასიფიკაციებს და ლეგიტიმაციას ფორმის ჰიპერრეალისტური მოდელირების სფეროში მიიღწიოს, თუმცა, ირონიზებულ ჟანრულ კონტრამინაციებსაც მოხერხებულად მიმართავს ხოლმე.

პოტენციურად ირონიულია მისეული ეროტიზმიც, რომლის ტემპერატურაც ნულამდე არასოდეს ეცემა, თუმცა, ზედმინევენით ამონერილი ემპირიული ფორმები მიმეზისური ეფექტურობის ნაცვლად, უსულგულოდ ეფემერულ ფანტაზმებად უფრო გვეცხადებიან.

ამგვარი შესტით რეალობის status quo-საც ცხადყოფსენ და გამონაგონის ლეგიტიმაციასაც გვიდასტურებენ.

საბოლოო ჯამში, ეთერი ხელოვნების ხელოვნურობის თემატიზირებასაც მიმართავს და შემოქმედებითი პროცესის ამბივალენტობის ნეიტრალიზაციასაც ახერხებს.

იდენტობა და სურვილი

თავის დროზე ავთო ვარაზს უთქვამს ერთ, შედარებით უმცროს ქართველ მხატვარზე, «ЭТО – какой-то чешский художник»-ო...

«чешский» – რალაც „სიმბიოზს“ ნიშნავდა: სოცბანაკურსაც და კვაზიდასავლურსაც...

მოკლედ, ეს იყო თავისებური „ღამურას კომპლექსი“.

ანალოგიური კონოტაცია ახლდა 50-60-იანი წლების ჩვენს „იმპრესიონიზმსაც“ და „პოსტიმპრესიონიზმსაც“, რომელიც ძალზე ჩამოჰგავდა «Советское шампанское»-ს.

«Не совсем советское; не совсем шампанское» – რუსულად უფრო კარგად უღერს!

გამოხდა ხანი... დეიდეოლოგიზაციის პროცესმა, რომლის კატალიზატორადაც იგივე „ჩეხოვლოვაკური მოდელიც“ უნდა ჩაითვალოს, თანდათან მოამწიფა ე.წ. „ნეგატიური უტოპიის“ ფაზა.

ამ უტოპიის აქსიოლოგიური პირობონტი თავის პოლიტიკურ სიგნალებთან ერთად, იკონიკური რიტორიკის ახლებურ ფორმებსაც გულისხმობდა: მეტი გასაქანი ეძლეოდა ახალი ობიექტურობის მესიჯებს, სოციალური ენით ოპერირების კვალობაზე, ვიზუალურ-კონვენციონალურ ნიშნების შესატყვის „მენიუსაც“ რომ სთავაზობდა არტისტებს.

თანდათან შემოდიოდა „მოდაში“ სტილური ეკლექტიკა და ციტატურობის კულტურული ნომადიზმი, როგორც „რეჟიმის ხელოვნების“ თავისებური რე-აქცია, „ხელოვნებისა“, მარტოოდენ ერთ გარკვეულ ჟანრში ოპერირების საშვს რომ აძლევდა მხატვარს, ხოლო მის კრეატიულ იდენტობას, მხოლოდ და მხოლოდ ბიუროკრატიულად განანილებულ „ესთეტიკურ შრომაში“ სცნობდა.

ეთერ ჭკადუას იმ დროს მოუხდა არტისტულ სცენაზე გამოსვლა, როდესაც მთელი ეს საბჭოურ-პოსტსაბჭოური კულტურული მითოლოგია სულს ლაფავდა; და რაც არანაკლებ საგულისხმოა, ამ „მითებს“ თანდათან ჩაენაცვლებოდა „სპექტაკლის საზოგადოების“ (გი დებორი) ახალი არტისტული „ზღაპრები“.

ამ „ზღაპრებს“ მხატვრობაში თავისი „ოპტიკა“ ახლდა – პოსტისტორიის ოპტიკა, რომელიც ახალი მილენიუმის გარიჟრაჟზე პოსტმოდერნული ტრაიბალიზაციის ნიშნითაა აღბეჭდილი და სტრაბიული დაძაბულობის შესაბამის ფაზას აღბეჭდავს.

ტრაიბალური იდენტობა გლობალიზაციის კონტრაფორმაა, რომელიც თავისი პერვერსიულობითაც გამოხატავს კონკრეტული Dasain-ური არსებობის, როგორც მუწყოფინის მიკროხდომილობის რეაქციას იმ ახალი ტოტალობისადმი, პოსტინდუსტრიული რევოლუციებითა და ტელეკრატით მონუსხული არტისტი რომ უპირისპირდება.

ეტყობა, ჭკადუა რეაგირებს გლობალიზაციის Pro et contra-ზე, ტანით გრძნობს მასში ჩასაფრებული იდენტობის საფრთხეს და ტრაიბალიზაციაში ხედავს ეთნონაციონალური და თუნდაც, ფუნდამენტალისტური განწყობების რეანიმაციის ინსტრუმენტს; თუმცა, ამ ტრაიბალისტურ ინტენციებსაც სიმბოლური „საქონლის“ სახით გვთავაზობს და ამგვარად მოიპოვებს უფლებას, იყოს არტისტული დიასპორის რეპრეზენტანტი; უფლ-

ბას, პერმანენტულად იმყოფებოდეს გზაში; მუდმივ ნომადურ რეჟიმში... და ასე გვევლინებოდეს უტოპიურ და ჰეტეროტიპიულ „ავტორად“.

ასეთია მოხეტიალე ქართველი მხატვრის თავისუფალი არჩევანი; არჩევანი – დიასპორის სასარგებლოდ; გნებაცთ, ამბივალენტურად დაძაბული და ტრაგიფრივოლური ინტერკულტურული როლი, რომელსაც იგი დამაჯერებლად „თამამობს“ ტრანსავანგარდულ არტისტცენაზე; თამამობს გეოპოტოპოლოგიური ლოკალიზაციის გარეშე...

ესაა გზა – არტისტული იდენტობისაკენ; გზა „სადაც“ ყოფნისაკენ, „ცხოვრებისა და შემოქმედების“ მუდმივი, ფიქსირებული ადგილის მოპოვებისაკენ.

და ესეც, l'étrangere-ის გზა...


უფრო ზუსტად, ტრენდია, რომელზე ფეხის მოკიდებაც დაუდევარი სურვილის გარეშე წარმოუდგენელია.

ეთერი მუდმივად ახდენს ამ სურვილის როგორც ფემინური სუბიექტურობის თავისებურ მოდელირებას და გვთავაზობს ამბივალენტურ სქემას, რომლის კვალობაზეც, ქალი არა მხოლოდ დამოკიდებულია „სხვაზე“, არამედ მასკულიზური ფანტაზიის ობიექტის სახით, ამ „სხვის“ ადგილსაც იკავებს.

და ამგვარი „უესტით“, თითქოსდა, იმამიც გვარწმუნებს, რომ თავად ფანტაზია, როგორც ფენომენი დიახაც, ქალურის კონსტანტის გავლით შეიძლება დაგვეუფლოს.

არადა, ამ „ფანტაზმატური ადგილით“ განსაზღვრული ქალიც რომ არ არსებობს?!

ქალი როგორც სხვა; ქალი როგორც მისტერიალური ობიექტი იმ თვისებრიობითვე არ შეიძლება არსებობდეს, რო-



გორც არ შეიძლება არსებობდეს უფალი – დააზუსტებდა ლაკანი.

და კიდევ: ქალის აბსოლუტური ექსტრალიოკალურობა, ისევე როგორც „სხვაგანობა“ უფლისა, მამრული თვითცნობიერების გარანტიაა; „სხვისი“ ადგილი, რომელსაც მდებრი იკავებს – ესაა ადგილი „დაკარგული“ ობიექტის ცვალებადი მნიშვნელობებით.

ჭკადუა ამ „დაკარგული“ ობიექტის მნიშვნელობებსაც უნდა ეძებდეს; ეძებს რეპრეზენტაციული სექსუალობის სახით, ქალური სექსუალობის სახით, „მასკარადის“ ცნებით რომ აღინერება.

მასკარადის ოპერაცია იდენტიფიცირებად პოზიციათა მუდმივი როტაციაა, რომელსაც ჩვენი მხატვარქალიც, მამრულ მარკერებთან მიმართებით ახორციელებს.

ეს მასკარადულობა სულაც არაა მდებრის განკერძოებული, გენდერული როლით მარკირებული და უნივერსალურია იმდენადვე, რამდენადაც უნივერსალურია „ქალური“ მონდომების პოზიცია ტრანცენდენტალურ აღსანიშნთან მიმართებით, ეთერის სურათებში ფალიური ატრიბუტები, იგივე იარაღი რომ განასახიერებს.

„ანატომია – ბედია“ – ჩაგვიჩინებს ფროიდი;

„ანატომია – ბედი არაა“ – ჩაუსწორებს ლაკანი.

ანატომია ჭკადუასათვისაც იდენტიფიკაციათა სიმბოლური მასკარადის ფიგურებია;

მხატვარი ქალი სწორედ ამ ფიგურების „ფერ-წერაში“ განიცდის jonissance-ს; ნამდვილ ტკობას ფალიურობის „სხვა“ მხარეს...

ესაა სიამოვნება „იარაღით“, რომელშიც ფალია, როგორც ტყვია, აღარ ეგულებათ.

უფალიო იარაღით კი, „ბრძოლა“ ინფანტილურიც ხდება და ინდიფერენტულიც...

ამასობაში, ისტერიული გამომსახველობის სტრატეგიაც, თავისი დრამატულად ტრავმატული მანიფესტატურობით, „სუბიექტურობის ისტერიულ თეატრს“ რომ უწოდებენ, მით უფრო ნეიტრალური ხდება.

და რალა რჩება?

„სურვილი სურვილი“ – ეს პოსტლაკანური კულბიტი!

ეთერ ჭკადუა ლამისაა ნანოტექნოლოგიური სკურპულოზურობით პრეციოზულობით გამო-ხატავს ვიზუალურის ფაქტორს; არა მხოლოდ სურათის, არამედ თავისი მდებრუ-

ლი სუბიექტურობის სტრუქტურაში ანთავსებს და „რეპრეზენტაციის პოლიტიკადაც“ აქცევს; არა იმდენად, მისი სუბიექტური „მე“-ს, რამდენადაც საზოგადოებაში არსებული გენდერული ხატების კულტურული რეპერტუარიდან ამოზრდილ პოლიტიკად...

მისი სუბიექტური სხეული – ბიოლოგიურ სხეულამდე სულაც არ დაიყვანება და სიმბოლური სურვილების ზეგავლენით ყალიბდება; სურვილებისა, „სარკისებური სტადიის“ გავლით რომაა ინპრინტირებული და მხატვარი ქალის „აქყოფნაც“ საკუთრივ იმ მომენტში იძენს სუბიექტურობას, როდესაც საკუთარი სხეულებრივი ხატის აღქმას იწყებს რეფლექსიური ზედაპირის საზღვრებში ანუ „იქ“ და „იმჟამად“, სადაც ეს სხეული ვიზუალურ სტატუსს იძენს.

ეთერ ჭკადუას ვიზუალური ხატი, როგორც ნარცისული სიბრტყე აყალიბებს როგორც მის ეგო-ს, ასევე Alter ego-ს საფუძველსაც; და ეს – მხატვარი ქალის სუბიექტურობის რეპრეზენტაციული სტრატეგიაცაა.

რაც მთავარია, ჩვენს წინაშეა არა მხოლოდ არტისტული სუბიექტის გარეგანი რეპრეზენტაცია, არამედ „სხვათა“ წარმოდგენაც.

იდენტიფიკაციის მთელი პარადოქსიც ესაა: ვიზუალურ ხატად გვევლინება ის, რომ სუბიექტი იდენტიფიცირდება იმასთან, რაც არ არის...

ასე ჩაენაცვლება „სარკეს“ – „ეკრანი“ და ჩემი პერსონაჟიც, თითქოსდა, ეკრანზე ხატავს; ეკრანზე, როგორც განსაზღვრულ კულტურულ „იმაგოზე“ ახდენს იმის პროეცირებას (და პროვოცირებას), რაც მისივე „მზერის“ ფუნქციასაც უზრუნველყოფს და გენდერულ იდეალთან იდენტიფიკაციასაც...

სხვათაშორის, ერთი თანამედროვე, ფემინისტური ფსიქონალიტიკოსი, კერძოდ, კაია სილვერმანი „ეკრანის“, როგორც კულტურული იდეალიზაციის სტრატეგიას „იდეალიზაციის კანონიზაცია“ მოიხსენიებს.

ეთერ ჭკადუასთან ამგვარი იდეალიზაცია – იმგვარი ოპერაციაა, მასკულიზურობის გენდერულ იდეალთა ნატურალიზაციასაც რომ მოასწავებს.

ამგვარი „ეკრანი“ იმის დემონსტრაციასაც ახდენს, თუ როგორ აღვიქმებით კულტურული მზერით ანუ როგორ „გამოვიყურებით“ კულტურაში.

ეს უკვე სუბიექტურობის ვიზუალური დრამაა; დრამა, რომელიც ემყარება კონფლიქტს იმას შორის, რადაც სუბიექტი გვევლინება და იმას შორის, როგორადაც იგია ვიზუალურად რეპრეზენტირებული.

მხატვარი ქალიც, იმიტომ ხომ არ უბრუნდება საკუთარ Alter-ego-ებს და Alter imago-ებს, რომ გვიჩვენოს რეპრეზენტაციულ განხეთქილებათა პარალაქსული სერიები და ასე დაამთხვიოს იდენტობა და სურვილი.

და ეტყობა, ესეც „სურვილის სურვილია“!



...ნიდა, , إنه حبه لجوز في
جد جبران الرجل ف
"المهاجر" لصاحب
في الشرق مواكباً
ثاماً على صدر
بينهم جوزفين
ن تزور المعر
النسبة له السيد
قدر طموحه,
1908) حفزت
"السابق" و"
امتدت بين الع
شكو في مذكرة
عليه أن يرسم لل
لتي كانت تعيش
لشهر. تضمنت الر
لرسائل
ظل من دون لقاء. أما سد

75/20

"مرأة أدرك جبران
العاطفي. وكانت
مقالين في
شملت مص
معرضه

Invisible

ქვიზა და ქაჯი

„კოჭია ჩები სისხლის დაავადებაა
და გარეგნულად დაუმჩრნა“

ფართოდ განხილული თვალეზი

სქალკელი და საანესთეზიო საშუალებები

ტისფერი ტეცხლის ალი

თ.თ.-ს

ცნობიერების ნაკადი

არაბული ენის მომავალი

ბელაჟი ძებვის საღებები...



فسور الف
مرحلة جد
فنه و موا
ليان في
كليزية،
جبران
بخ زواجه
به (10 سنو
من قيود
له الى نيوي
اسات حو
لامة
فهي شخ
بتكر